



რუსულიდან

თარგმნა ოთარ ჭელიძემ

ბუნება

ბუნება.

მეც მხვდა მისი მზაკვრობა,
მეც მყვარებია ენკენის თვეში
საყდრულად მყუდრო ზღვრებზე მგზავრობა,
თიბათვის უღვთო ქეიფის თქეში.
რას ნახავ მასზე უხვს და საყვარელს!
ვცან ნაირსახე და შნო ბუნების;
შრომანას თეთრად გაშლა გადამრევს
და შენც, კესანე, ბავშვო რუების.

ბუნება!

ვთხრიდი მის გზებს, სამაგრებს,
სოროდან მზისკენ ხელებს ვიწვდიდი,
ვცნობ მის ჩანჩქერთა, ვეფხვთა სიმკაცრეს,
მის ცხვარს და ბალახს — კეთილ სიწმინდით.
და მის წინაშე ქედს ვხრი ყრმობიდან, —
მაშინ ხე იყო ტოტებმიმჭკნარი,
პირისპირ შეფხვდი ნაგვის ორმოსთან,
გვქონდა ზიარი ეზო ჭისგვარი.

მერე ვიცურე ტივით კამაზე,
ყრუ, უკაცრიელ და უსაშველო
ღრუბლოვან ათას ვერსის სავალზე
მახვევდა უღრან ტყეებს გარშემო.

მასსოვს სამხრეთი.

დამრეც კონცხიდან
ვიხილე ზღვის რძე — ქაფი მთრთოლვარე
და კვიპაროსის მწვავე კოცნისგან
გადაპობილი ცაში მთოვარე.

ბუნება...

წყაროს ხმებით ნარნარებს,
ფსკერის შეხების დაგზრავს ცთუნება,
მდუმარ მყინვართა ქვეშ ასამარებს
და მატერიკებს მარხავს ბუნება.

ძველთაგან განა თქმულა ამაოდ:
ხელს თუ ჰკრავ, უკან დაგიბრუნდება...
საგაზაფხულოდ ასფალტს არ აპობს
თოთო ბალახის ძალით ბუნება?

წყვილად მან გაჰყო ქვეყნად, რაც იშვა,
ორ სქესად გაჰყო, მიდი, იდავე!
არც არის უფრო მკაცრი გათიშვა,
რაც მოხდა საწყის პირველ დღიდანვე!

იგი გარდუვალ სამანს გაგონებს —
ორი პოლუსის მოპირდაპირის,
ერთურთს რომ ერწყმის, მაგრამ აროდეს
არ ხდება შერწყმა ორი ნაპირის.
და ჰა, გალობამ შესძრა სულდგმულნი...
გადმოღვრის ვნებებს, სევდას, სიხარულს,
მორთული ზღაპრულ ფერის ბუმბულით
როჭო უმჟღავნებს დედალს სიყვარულს.

ცაში ლი-2-ით როცა ვმგზავრობდი,
ღრუბელთა შორის, კვამლის ნარკალზე
ჩანდა ბუნება არარაობად,
ცისფერშერეულ მწვანე ლაქასებრ.
მაგრამ რაც უნდა ზემოთ ფურინავდეთ,
მის დაძახილზე ადგილს მოვწყდებით,
ვართ მისი ცხელი წვენი თქრიალით,
მისი სიცოცხლის ყინით ცოცხლები.

და ვიცი, მულის ჟამთაბრუნვაში
სიკვდილი არა, სხვა აღსრულება:
შევალ, ვით წყალში, ვრცელ ბუნებაში,
წრედ შემეკვრება თავზე ბუნება.



თოლია

მახსოვს თოლია ცაში!
 წყვილი ფრთა,
 ქვემოთ — ზღვა,
 დიდი ლურჯი ნალივით...
 გამოგიტყდებით:
 სიყმაწვილე მაქვს
 უაზრო ზრუნვით, ფუჭად გავლილი,
 ლუდხანას ბურავს ჯანდის ლაბადა:
 ბიჭებს სიმღერით გაყავთ სალამო.
 მე კი მეწადა ცაში ავარდნა,
 სივრცე ცისფერი,
 დაუსაბამო.
 მაინც მადლობა, — რაც არსებობდა,
 მალვით იკრებდა ძალას სადღასაც,
 წვრილმან საქმეთა ძლევიტ ელოდა,
 უცდიდა უფროთოდ,
 ჩუმად რაღაცას.

*
 * *

ვიდრე მდინარეები ქვებით რბიან თავქვე,
 ვიდრე ქარბუქები აყრუებენ მინდვრებს,
 ვიდრე ხელებია და არ იცდის საქმე,
 სასიმღეროდ ცხელი გული გულობს ვიდრე, —
 პოეტები სიჭაბუკეს დაუწერენ ლექსებს,
 სადაც განცდას შეერევა ნალველი და სევდა,
 რუხი ყურებიან ქუდით ფიცხლად ახტი ზეზე,
 შენ, პოეტო, ომის უსასტიკეს დღეთა.

ადექ,
 შთამომავლობას
 მოუყევი ახლავ,
 სიჭაბუკე როგორ
 გენტო ბრძოლის ველზე,
 როგორ სძლიე ყინვას,
 თოვლის ღმუილს, ვაგლახს,
 როგორ ჩხვლექდი
 ხიშტით
 და არ წერდი ლექსებს.

*
* *

შორ გზას თუ ვერ გავუძელი,
თუ დაღლილი წავიქეც,
თუ დავვარდი თავდახლილი გზის მოყინულ ნაპირზე,
ამხანაგო, ნუ დამახვევ დიღებშეკრულ საკინძეს,
მივიწყებულ იმ სიმღერის ერთი ყლუბი მაღირსე.
ყელი როცა გაფიცრდება
დაძაგრული ძარღვებით
კუპლეტს მხოლოდ ბაგეებით
გამოვიჭერ და უცებ
სიკვდილისწინ წამოვდგები
მიღეული ძალებით
და ჩემს წასვლას
მიმქრალ ვარსკვლავს
ხელჩაქნევით ვაუწყებ.

*
* *

ეს სიმღერები უცბად არ დამიწერია,
ჯერ დაუწყებულთ,
ზამთრისპირ, თოშში ვუმწყემსე,
შავი მინდვრები
სულ ერთად დაგვისურია
პლასტუნკურ ხოხვით,
ლაფში გაწოლილს მუცელზე.
ამ თემებს გზებზე
ფეხები მიკარნახებდნენ —
ხანგრძლივ ლაშქრობით
დაღლილი, ნაწანწალები,
სიკვდილისაგან არ დამიფარავს არცერთხელ
ჩემსავით ჭირის, ოფლით ნაშოვნო პწკარები.
მათი უბრალო რიტმი მიმღერა ქარბუქმა, —
კოცონს დაჰბურა და შუადამით, მაზარით
ლექსებს ვათბობდი გულთან, რომელშიც ჩაგუბდა
სითბოს ის ერთი იმედი უზარმაზარი.
საქმეშიც, ფიქრშიც თან მახლდა ყველა სტრიქონი,
სულ ჩემთან იყვნენ
ჩემი სულის და სისხლხორცის,
ისინი მთელი სხეულით გამოვიგონე,
რომ დამეძლია უბედურება სიცოცხლით.

კ ა მ ლ ე ტ ი

ძეგლებს ედგმის კადონები დიდრონი,
საწყობს უკან ვასწრებთ სცენის გამართვას
და ჰამლეტის როლში ეფრეიტორი
დიადინი ხელებს სიმწრით აღმართავს.
ცხოვრებაში, მახსოვს, ასმეთაური
ვინც მოხიბლა ჯარისკაცულ სიმართლით,
იყო დინჯი, მსხვილი, სახემწითური
ხშირი ჭორფლით დახატვოდა სიფათი.
გამოსვლისას მკერდზე ხელებს იწყობდა,
თავის დახრით გამოსცემდა სიმძიმის,
როცა „ყოფნა არყოფნაო“ — იტყოდა
ჩვენ რატომღაც წაგვსკდებოდა სიცელი.
მრავალ ჰამლეტს გავცნობივარ ცადასულს
მზის ნათელში, ბნელი კულისებიდან, —
ხმამქუხარეს, ტანწვრილს, სევდით დაქანცულს...
ერთს დასჭექენ და გულები ბნდებიან.
ბინოკლებიც თრთიან მათი თამაშით,
მათი ძალით, მათი განცდით, თუ გზნებით!
ის კი ჩვენთან, იყო თოშში, თავსხმაში
და უბრალოდ კოცონს ერთად ვუსხედით.

თ ვ ა ლ ე ბ ი

აფეთქება... და დაეცა პირქვე... გაშალა ხელები.
წამოდგა იგი ჩოქელა, ტურების კვნიტით, წვალებით.
და მოითხუბნა შეშლილი პირსახე
განა ცრემლებით —
გადმოცვივნილი თვალებით.
წავხდი, შევშინდი და მაშინ ავწიე ორადმოხრილი,
და გვერდზე გადავაწვინე,
ჯახრით წამოვიკიდე აყალომიწით მოთხვრილი,
სოფლამდე ხოხვით გავწიე.
სანბატში იგი მედდასთან გამწარებული აყვირდა:
— მტკივა! მომეშვი! როდემდის უნდა მახვიო ფალასი!..
მე დავუტოვე მომაკვდავს, როგორც გვჩვევია თავიდან,
უკანასკნელი ნაფაზი...
როცა მიჰყავდათ, საზიდრის თვლები აკვნესდნენ ხმამაღლა,
ხმა იგი იყო საზარლად გამჭოლი, სულისდამღევი.
და გამახსენდა იმ წუთას, პირველად, რომ ჩემს ამხანაგს
ჰქონდა ცისფერი თვალები.

„სოროკი“

— სოროკ! — გავიძახი — სოროკ!..
 არის სხვადასხვა სახის
 წარმოდგენა ბედნიერებისა:
 პირველია მშრალი ფეხები...
 მათ სიმშრალეს საჩუქარივით განვიცდი.
 ფეხი ნებივრობდა ჩექმაში,
 ავხორცული ნეტარებით.
 თითებს ვარხვედი
 და არა ჭყაპუნობდა რა,
 და არც არა სტრაშუნობდა რა,
 პირიქით! სითბო ზუმოთ იწევდა
 და მთელ სხეულში მივლიდა,
 სიამით მავსებდა,
 არა, სიამით კი არა,
 რაღაც უცნაური
 სევდისმგვრელი, ოდნავ ნალვლისმგვრელი,
 ბედნიერებისმაგვარი შვებით,
 რამეთუ იგი არამყარად მერვენებოდა...
 ვზივარ რკინის ღუმელთან,
 გამჭვირვალე რომაა,
 სითეთრემდე გაფარვარებული...
 — სოროკ! — გავიძახი — სოროკ!
 და ჩემი მეზობელი
 აურიქარებლად მოკვნიტს
 გაზეთის სველ ნაკუწს,
 რომელსაც მოვქაჩავ,
 თვალებს მივლულავ
 და სადღაც, მკერდის სიღრმეში,
 როგორც ფუტკარი
 პირველი მოქაჩვა დამნესტრავს...
 მე არ ვარ ღარიბი.
 რას ჰქვია სიღარიბე?
 ბამბის შარვალი მაცვია
 მაუდის პილოტურა მახურავს.
 უცხო თვალისათვის პილოტურა
 ყველა ერთნაირია,
 ყველა ხაკისფერია,
 ყველა ლორის წვენიტაა დაწინწკლული,
 ყველა დაჭმუჭნილია,
 ოღონდ, ჩვენთვის, ყველა მათგანი
 ინდივიდუალურია,
 თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალობით.



მე ჩემსას გავარჩევ
 მთელი პოლკის პილოტურათა
 აზვინულ გროვაში! —
 ინდივიდუუმთა ბრბოს რომ წარმოადგენს.
 მე ვიცნობ მეზობლების პილოტურებს!
 ახლები,
 სტანდარტულები,
 აბსოლუტურად ცინცხლები,
 მაისის ფოთლებივით,
 ისინი ერთ საათში
 თვალისთვის უკვე თავისიანდებიან,
 რაღაც საკუთარით...
 რა არის ეს?
 ეგებ ფორმას
 ყმაწვილის გადახოტრილი
 მრგვალი თავისა,
 პილოტურა ზედ რომ ერგება,
 როგორც წყალი,
 ჭურჭლის ფორმას.
 თუ მორიგენი მათ ღამით
 ერთმანეთში აურევენ,
 დალაგებისას,
 სულერთია, დილით
 ყველას ერთ წამში დავიტაცებთ.
 სიღარიბეო?
 რა არის სიღარიბე?
 განა ღარიბი ვარ?
 ველზე ვიყინები. მოწვევა მინდა.
 და უცებ ვხედავ:
 ჩემი მეზობელი
 მახორკას ახვევს.
 — სოროკ! — ვყვირივარ. — სოროკ!..
 და ჰა, უკვე შემიძლია
 ერთი მოქაჩვით
 გულის ამოწვა.
 მინდორ-მინდორ მივაბოტებ,
 ნახშირის გორაკზე ვზივარ...
 შორს კი, როგორც ფარდულის ღრიჭოში,
 დაისი აღისფერდება.
 მე არ ვარ ღარიბი,
 რამეთუ ახალგაზრდა ვარ!
 — სოროკ! საბრძოლო შეძახილია
 ჩემი სიჭაბუკისა...
 ესაა გაჭირვების სიგნალი
 თოვლიან ტრამალებზე,

ძახილი დახმარებისა,
ძახილი სასოწარკვეთისა,
ეს პაროდიაა, რომლითაც
ერთმანეთს ვცნობდით.
ეს კივილია ადამიანის იმედისა,
წმინდა რიცხვია პითაგორელთა,
ძახილია ბედნიერებისა,
როგორც შეძახილი: „მიწა!“
რყევისაგან ილაჯგაწყვეტილ ხომალდზე,
ან მსგავსია
ყვირილის: „ევრიკა!“

ფ უ ძ ე

რაც მოდგამს ჯიშით, სისხლით და სახით,
მთელი არსებით
რასაც ვაფასებ,
ფართო მხრებიან,
მდაბიო ხალხის
შთამომავალი ვარ ქვეყანაზე.
ვინც მზესუმზირას გზადაგზა ტკვრეშით,
გარმონის ხმაზე აღრიალებით
ტბორავდა ათას ცხრაას ჩვიდმეტში
ლამაზ პროსპექტებს ჯვალოს ღვარებით.
მემკვიდრეობის ურთულეს საკითხს
გაკვრით ვეხები,
ღრმად არ ჩავწვდები,
მყავს ნათესავად ცხვირნოლა ხალხი,
უზომოდ ფართო რომ აქვს დაწვები.
დაუბრუნებლად მიწით წასული
არ ვარ ხარაზი და არც მექუდე,
მაინც უბრალო ხალხს ჩემი სული
მთელი ძირით და სიღრმით ეკუთვნის.

არა მწადაია სხვა არაფერი,
ვცხროვობ და რწმენად მიძევს ნუგეში:
ფუძე ძლიერი მაქვს და ჯანმრთელი,
დამიხსნის იგი მძიმე წუთებში.





ენტონ კანსენ ტემსაქე

ფოსტალიონი № 17

მონოგრაფია

ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ

მეჩვიდმეტე ნომერი!
— აქ გახლავართ, ბატონო! — გაისმის კანტორის კუთხეში მოხუცი ქალის ხმა.

— გუშინ ნ. ბ-ს ქუჩაზე რატომ არ მიუტანეთ გაზეთი ბატონ ტ-ს? რა-
შია საქმე?!

— მივუტახე, ბატონო, როგორ არ მივუტანე?!

— აბა, დღეს რომ იყო საჩივლელად, გაზეთი არ მიმიღიაო?

მეჩვიდმეტე ნომერი დუმს. იცის, რომ ახალგაზრდა ბატონი უსაფუძვლოდ არ განრისხდება და ბატონი ტ.-ც უმიზეზოდ არ იჩივლებს.

— დღეს ყოველ მიზეზგარეშე მიუტანთ ბატონ ტ-ს გაზეთს, გესმით? —
ბრძანებს ახალგაზრდა ბატონი.

— რა თქმა უხდა, რა თქმა უნდა, მივუტან, ბატონო. ვიცი, სადაც ცხოვ-
რობს: ყვითელი, ოთხსართულიანი ქვის სახლის სხვენიზე... ვაი, რა წამებაა იქ
ასვლა...

მე-17 ნომერს რა ხანია თავისი გასაჭირის მოყოლა უნდა: როგორ უძნელ-
დება მუშაობა, როგორ ეკეცება ფეხები მეოთხე სართულზე ასვლისას, მაგრამ
მაშინვე აჩუმებენ, შენიშვნას აძლევენ, შენი აღსარება სხვებს ხელს უშლისო
მუშაობაში.

მე-17 ნომერს პირველ ხანებში კიდევ უკვირდა, როგორ შეიძლება მას
ლაპარაკს სხვებისათვის მუშაობაში ხელი შეეშალა. იგი ხომ არავის აგინებს,
არავის უჩივის, არც აუტანელი პირობების გაუმჯობესებას მოითხოვს. ასეთი
რამ არც მოაფიქრდება, რადგან მე-17-ს სწამს, თუ დმერთმა ინება, ყველაფე-
რი თავისთავად გამოსწორდება! ეს შეიძლება ხვალაც მოხდეს, ზეგაც, ანდა
დღესვე. ჯერჯერობით კი მისი ცხოვრება ისე მიდის, როგორც უფალმა ინება.
ჩივილი რა საკადრისია! ეს კია, თავის აუტანელ ცხოვრებაზე ლაპარაკი სწყუ-

რია ისე უბრალოდ, დროის მოსაკლავად, გულის მოსაფხანად... მაგრამ მეტი უნდა ყველაფერს, რამდენჯერაც დააპირა, იმდენჯერ ჩააჩუმეს. ჰოდა, რაღა დარჩენია, კანტორის კუთხეში უნდა მიიყუყოს და თავის ფიქრებს მიეცეს. იცის, ფიქრით ხელს არავის შეუშლის, არც კანტორაში, არც ქუჩაში, არც მაშინ, როცა დაბინდებისას დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდება. ათ წელზე მეტია ასე უაზრო, დამქანცველი, ერთფეროვანი ცხოვრება აქვს. დილით კანტორაში უნდა გამოცხადდეს, გაზეთებს დაელოდოს, მიიღოს, დაარიგოს და სადამოს დასიებული ფეხებით სახლისაკენ წალასლასდეს. თავიდან გაზეთების დასტა მძიმეა და ზიდვა უჭირს; სიმძიმით მხარგადაღრეცილმა ქუჩები უნდა მოიაროს, აშშორებულ სარდაფებში ჩავიდეს, ზარი დარეკოს მდიდართა სადარბაზოებში. მათ მდიდრულ ბინებში ხანდახან კარის ჭუჭრუტანიდან თუ შეიჭვრეტს, თორემ შიგ ვინ შეუშვებს! ასე დაეხეტება დღენიადაგ ქუჩიდან ქუჩაზე, სართულიდან სართულზე, დაბლიდან — მაღლა, მაღლიდან — დაბლა, ზამთარ-ზაფხულ.

მხოლოდ მეჩვიდმეტე ნომერმა იცის, რას ნიშნავს ეს საშინელი დაღლა, რა ძნელია ძალაგამოცლილ ფეხებზე დგომა, მაგრამ შეჩერება არ შეიძლება, უნდა იაროს ქუჩა-ქუჩა, სართულ-სართულ, ზევით-ზევით... ხშირად, ქანცგალეულს, თავბრუ ესხმის, თვალები ებინდება. მაშინ წამით ჩამოჯდომა რად უღირს, სულ ერთი წამით! მაგრამ არა, არ შეიძლება, უნდა იაროს, თორემ:

- მე-ჩვიდმეტე ნომერი!
- აქ ვარ, ბატონო!
- გუშინ გაზეთი რატომ არ მიუტანეთ ბატონ გ-ს?!

მეჩვიდმეტე ნომერს ახალგაზრდა ბატონის შემჩნევებმა თავი მოაბეზრა, ოღონდაც ამ ერთფეროვან შემჩნევებს ნუ გაიგონებს და მზადაა შეუსვენებლად იაროს, იაროს, ვინემ არ წაიქცევა, ვინემ გზაში არ ამოხდება სული...

მე-17-ს თავისი სახელი თითქმის გადავიწყებია კიდევ. რაც კი გაზეთებს დაატარებს, მთელი ამ წლების განმავლობაში, მგონი, ერთხელაც არ გაუგონია იგი. კანტორაში, როგორც წესი, მხოლოდ ნომრით იხსენიებენ. თუ ვინმე საჩივლელად მოვა, მას ჩვეულებებისამებრ ეკითხებიან:

- რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?
- ს. ბ-ს ქუჩაზე.
- გასაგებია. თქვენს ქუჩაზე გაზეთებს მე-17 დაატარებს. მივიღებთ ზომებს.

და იწყება:

- მე-17 ნომერი! მე-17 ნომერი! მე-17 ნომერი!

შინაც კი, ნესტიან მიწურში, სადაც რძალი გამუდმებით ქმარ-შვილს ეკაპასება, მის სახელს არავინ ახსენებს: შვილი დედას, რძალი დედაბერს, ბავშვები კი ბებიას ეძახიან.

დღეს მე-17 უცებ მოიმჩვარა. შემოდგომის ქარწვიმას, ქუჩები ატალახებულია, სახლები ბურუსშია გახვეული. სადღაც ფარნის მკრთალი შუქი ციმციმებს, მაგრამ მე-17 ვერაფერს ხედავს, ბრმასავით მილასლასებს და ცინ-



ცხალ-ციცხალი ამბები მიაქვს: სად რა ბოროტმოქმედება თუ უბედური შემთხვევა მოხდა, რა ახალი პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში. იცის, ბევრი სულმოუთქმელად ელოდება მის გამოჩენას, გაზეთებს უხეშად გამოჰგლეჯენ და კარს მიიკეტავენ. ჭრელ-ჭრელი ამბები მათ აინტერესებთ, თორემ მე-17-ს თავისი საზრუნავიც ეყოფა: როგორმე გაუძლოს სიმძიმეს, გადაურჩეს ქარწყვიმას, დროულად მოუტანოს გაზეთები ბატონ ყ-ს, ზ-ს, დ-ს... ამ გაზეთებში თვითონ არასოდეს ჩაუხედავს. ხანდახან რძალი თუ ამოიკითხავს ხმამაღლა ცნობას უბედურ შემთხვევასა თუ ბოროტმოქმედებაზე, ეს არის და ეს.

დღეს მე-17 შინ მისვლისთანავე დაწვა და სავახშმოდაც აღარ ამდგარა. ვერ წამოდგა დილითაც. გაოცებული რძალი კაპასობს:

- შენ რა, ადგომას არ აპირებ?
- არ შემიძლია, გული მიღონდება. მამტვრევს... — ამბობს მე-17.
- ამდენი წელი თუ შეგეძლო, რაღა დღესა ხარ შეუძლოდ?
- ასეა. ადრე თუ გვიან ხომ უნდა დამდგარიყო ეს დღეც... — ქვითინებს მე-17. მერე შვილიშვილს ეძახის, კანტორაში აგზავნის. აბარებს, უთხარი, დღეს მე-17 სამსახურში ვერ მოვა-თქო. წევს. ავადაა!..

— დღეს ბებია სამსახურში ვერ მოვა... — ამბავი მიაქვს ბიჭუნას კანტორაში.

- ავადაა?
- ჰო.
- რა ნომერია ბებიაშენი?
- მეჩვიდმეტე.

გავიდა ორი კვირა.

— მეჩვიდმეტე ნომერი! — უხმობს გაზეთების დამტარებელს ახალგაზრდა ბატონი. არავინ პასუხობს. ახალგაზრდა ბატონი ისევ ეძახის, ისევ არავინ პასუხობს.

— ლიისი! არ გესმის, გეძახიან! რამდენი დღეა გაზეთებს დაატარებ და რით ვერ დაიმახსოვრე, რომ მე-17 ნომერი ხარ.

წამოდგა პატარა, ლოყებაწითლებული გოგო.

— შენ დროებით დაგნიშნეს ყოფილი მე-17-ის მაგივრად, — ეუბნებიან მას, — ყოფილი მე-17-ისაგან ორი კვირაა არაფერი ისმის. გინდა ჩვენთან მუდმივად იმუშაო?

- მინდა, — პასუხობს გახარებული გოგო.
- მაშასადამე, დღეიდან შენ იქნები მუდმივი მე-17. მაგრამ გუშინ ვ. დ-ს ქუჩაზე გაზეთი რატომ არ მიუტანე ბატონ რ-ს? იგი გვიჩვიის. რაშია საქმე? გოგო წითლდება, არ იცის, რა უპასუხოს.

— დაიმახსოვრე, შენ უნდა მიბაძო ყოფილ № 17-ს, კარგად უნდა იმუშაო.

— ის აღარ დაბრუნდება, მკვდარი გაზეთებს ვერ დაარიგებს, — წაილაპარაკა ერთმა ხნიერმა ფოსტალიონმა.

- მოკვდა? — იკითხა ახალგაზრდა ბატონმა.
- გუშინ ეკლესიაში აუგეს წესი.

— რომელ ეკლესიაში?
 — წმინდა გიორგის...
 — უცნაურია, გუშინ იქ ვიყავი, არაფერი გამიგია, — გაოცებით ამბობს ახალგაზრდა ბატონი. ხნიერი ფოსტალიონი მწარედ, დამცინავად იღიმება.

— ახალგაზრდა ბატონმა, მგონი, არც იცის მისი სახელი.


— თუმცა ჰო... ჩვენს სიაში მხოლოდ მე-17-დ ირიცხებოდა.

— ეჰ, როგორ უნდოდა იმ საცოდავს ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი ჭირ-ვარამი, მაგრამ... — განაგრძობს ხნიერი ფოსტალიონი, პასუხად კი ბრძანება ესმის:

— ჩუმად! თქვენი ლაპარაკით სხვებს ხელს უშლით მუშაობაში!

ფოსტალიონი ჩუმდება, სწორედ ისე, როგორც ყოფილი მე-17, რადგან ჩივილი და წუწუნი ირგვლივმყოფთა სიმშვიდეს არღვევს.





თარგმნა ჯარჯი ფსოველმა

* * *

ქვის სამი ბუდა მოსახლეობს გზასთან — შიშველი
ქანდაკნი დგანან... დაუღალავი

ქარნი ხორშაკნი ჩაუვლიან, სცემენ წვიმები,
თავს ემსჭვალებათ მეხი მზარავი...

ო, გშურდეთ მათი! რადგან ერთად დგანან მარადის,
არ დააშორებს იმათ არავინ!

* * *

ვხედავ, დაისის მიმკრთალმა ფერმა
ცა და მდინარე გააჭაღარა.

ლაქაშებიდან წამოფრინდა ეული ბატი,
სივრცე მწუხარე ხმობით დაღარა.

ეს შემოდგომაც, საცა არის, მიიწურება...
ვაგლახ,
რომ შენზე, მეგობარო, მესმის აღარა!

* * *

წყალზე ალიცლიცდა არღილი სხვაგვარი —
ბებერი განდევილი გადადის ხიდზე.

გზები შორეული და დასაკარგავი
ყველა მოგივლია... სად მიხვალ ისევ?

არ შეჩერებულა. ასწია არგანი —
მზერა ნაღვლიანი გაეჭვა ცისკენ.

* * *

აბა, რა გახსოვთ ლიუ ლინზე? ძინის დროს თურმე
ლიუს ეხურა ბრძენკაცის ჯილა!

აბა, ჩონ ჩხოლზე რაღა იცით? მასზე ამბობენ —
ახირებული და მასხარა იყო ვიღაც...

ერთს ბრძენის გვირგვინს უბოძებენ, ქვეყნად ასეა,
ხოლო მეორეს — მასხარის ნილაბს!

* * *


მთის ბალახების შეჭამანდი თუმცა მწარეა,
ხორცზე უფრორე შეამების, ჩემთვის ტიელი

ბამბუკის ქოხი ძვირფასია, ლოკოკინასთვის
ვიდრე ნიჟარა, ზღვისებრ ხმიერი...

მაგრამ, ვაგლახმე, სულს სიმშვიდე არ ეკარება:
შორს ჩემი სატრფო მეგულება სალმობიერი!

* * *

ბედის ხვეული — დაცემა და ზესვლა ზმანებად...
აჰა: შამბი ხრავს უძველესი ტებანის კედლებს.



მხოლოდღა მწყემსის სალამური ეხმიანება — **ეროვნული**
 რაიც აქ იყო და წასულა ყველაფრის შემდეგ... **ბიბლიოთეკა**

აქა ვსვამთ ღვინოს ცეცხლის პირას, სადაც ტკბილია
 კვამლიც კი,
 სადაც ყოვლიანი მდუმარებს დღემდე!

* * *

თოვს და თოვს. აჰა: იშლებიან ფიჭვის რტოებზე
 ფიფქნი ქათქათა თაიგულებად.

ერთ ტოტს ჩამოვტეხ... ო, ფრთხილად, ფრთხილად
 სატრფოს მივართმევ, დაე, გუნება

გაიხალისოს სასურველმა, დატკბეს ყვავილით,
 სწრაფად რომ ქრება და იწურება!

* * *

იმ დღეს, მეუფეს როს დავშორდი ხალისიანი,
 სთველის ფოთლოვანს მოდენიდა ქარი შრიალით.

აჰა: ზამთარიც მიიწურა. მიიქცა თოვლი.
 გადნა ყინული ღვარნი დაქანდნენ.

ყელყელობენ ყვავილები. ვწუხ: სასურველი
 აღარ მწერს წერილს. ყურიობს აქამდე!

* * *

ლოტოსის ფოთლებს, მშვიდად გაშლილთ. წვიმა გვიანი
 შემოდგომისა ეღირება თქემით, თქრიალით...

მაგრამ ფოთლებზე არ ჩანს კვალი, ყურდება წვიმა.
 და ფოთლებიდან წყალი გადადის...

შენც, სულო, მწიკვლი და წკვარამი არ გაიკარო,
ამ ფოთლებივით იყავ მარადის!

* * *

მოყვასმა ჩემმა კომ ააგო ბამბუკის სახლი
სამხრეთის მთასთან, კეთილად მჩენი.

იქ ყვავილები იშლებიან, მთოვარე მაღლით
დასცქერს და ისმის ხმა ზვირთთა ცემის...

აღბათ იქ ღვინოც იშოვება, თორემ თავისთან
არ მიმიწვევდა მოყვასი ჩემი!


* * *

მთის ბილიკს ზემოთ, ხრამის პირას, ტანადო ფიჭვო,
რას ელოდები, მშვიდი და მკაცრი?

არ გჯერა განა, რომ ახლოა დღე და საათი,
როს დაეცემა და ამ გორაკს ჭალაკზე გაცვლი?

ან იქნებ ელი იმ ჟამს, როცა ჩამოგათრევენ
და ნაფოტებად გაქცევენ კაცნი!

□



მონობა

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბან გემაზაშვილმა

ქვემოთ, გზატკეცილზე, მანქანები რკინის ხოჭოებივით მიმო-
დიოდნენ ექვს რიგად. დღისით მათი მონიკვლევებული ფარები
ჭრიდა თვალს, ღამით კი კაშკაშა სინათლის საცეცები. დაქროდნენ მანქანები
სწორ, გადაჭიმულ შარავზაზე. ზემოთ კი, მოთეთრო-მონაცრისფერო ცარცის
ბორცვებზე, მოშიშვლებული ნაპრალის პირას გაშენებულ მელორეობის ფერ-
მაში დინჯად მიედინებოდა ბურმენების ცხოვრება.

ზამთრის ხანმოკლე, ტალახიან და კუმტ დღეებში, როგორც კი ბინდი ჩა-
მოწვებოდა, ღორისა და ადამიანის ერთმანეთისაგან გარჩევა ჭირდა.

მხოლოდ ქალბატონი ბურმენი იყო ერთადერთი გამონაკლისი,— მისი გა-
მორჩევა ძნელი არ იყო ამ მასიდან.

ყოველ დილა ცისმარე იგი ერთი საათით, ან უფრო ადრეც დაასწრებდა
ადგომას ქმარსა და ხუთ უქნარა ვაჟიშვილს. სახლიდან გამოვიდოდა და ათ-
ქვეფილ ლაფში გაატლაპუნებდა. ამ დროს იგი ღორს კი არა, ბოსტნის ჩა-
მოდენძილ საფრთხობელას მოგაგონებდათ. ტალახშემხმარი დიდი ჩექმები ფე-
ხებს ერთიანად უფარავდა, ჯვალოს ქსოვილისაგან მოჯღანულ კაბასა და წინ-
საფარში გამოხვეული, ბეჭებგანიერსა და თეძოვიწრო მამაკაცს უფრო წა-
აგავდა. ნიკაპქვეშ ამოკრული ფართოფარფლებიანი, ნაცრისფერი შლაპა
და დაცრეცილი შალის შავი ყელსახვევი პირისახეს ისე უფარავდა, თვალებიც
კი აღარ უჩანდა, თითქოს ეშინოდა, სხეულის რომელიმე ნაწილი არ გამო-
მიჩნდეს და ჩემი ქალური ბუნება არ გავცეო. ამიტომ იყო, რომ ზამთარ-ზა-
ფხულ ხელებიდან არ იძრობდა ტალახითა და ხმარებით გაშავებულ, თითქოს
წუნწუნში ამოვლებულ შოფრის ვეება ხელთათმანებს.

მოდით და ამის შემდეგ გამოიცანით ასეთნაირად მორთული ქალის ასაკი.
მკვირცხლი ნაბიჯი და სწრაფი მიმოხვრა რომ არ ჰქონოდა, კუდიან დედაბერს

მიამსგავსებდით,— მარადიულ, დაუმარცხებელ, ბოროტ სულს, უხსოვარ დრო-
იდან რომ შეუთხზავს აწ გარდასულ, არა ერთსა და ორ თაობას, ასეთივე
მარადიული საგადან. სინამდვილეში კი იგი ორმოცდახუთი წლის ქალი იყო.
ვაჟიშვილები ტყუპტყუპად არ დაუჩენია, მაგრამ ისე ჩქარა მოყვნენ ერთიმე-
ორეს, რომ ახლა ეს უბადრუკები მართლა ერთ ჯერზე დაყრილებივით წა-
აგავდნენ ერთმანეთს. თვალის ახელის დღიდან სულ ღორებთან ცხოვრობდნენ
და თვითონაც ღორებს დამსგავსებოდნენ,— ზანტ, ლოხ, გაზინთულ ღორებს,
და უნდილად დააბიჯებდნენ აყროლებულ ბაკებში, ღორების ჭყვიტინ-ღრუტუ-
ნისაგან ატეხილ, გაუთავებელ გნიასში.

ოდესღაც ამ ბორცვის ფერდობზე ხშირი ხეხილნარი იყო გაშენებული,
მაგრამ ღორებმა ისე გააპარტახეს იქაურობა, რომ გადაჩიქნილ მიწიდან ძირ-
კვებილა მოჩანდა. ახლა ეს არემარე გასიებული გვამებით მიმოზნეულ ბრძო-
ლის ველს უფრო წააგავდა.

ეს გავერანებული ალაგი გაზაფხულობით უფრო უბადრუკად გამოიყუ-
რებოდა ერთადერთი გარეული ალუბლის ხის გამო. იდგა ჯიუტად აღმართუ-
ლი ხე, და მისი თეთრი ყვავილებით გადაპენტილი რტოები ყველასაგან მი-
ვიწყებულ და უკვე აღარაფრის მთქმელ დამარცხებულთა თეთრ დროშასავით
ფრიალებდა.

ამ გადათხრილ მიწაზე, ერთთავად იჩიქნებოდა ას ორმოცდაათამდე ღო-
რი. აქედან ქალბატონი ბურმენი პირადად ოცდახუთ-ოცდაათიოდე ბურვაკს
უვლიდა და ასუქებდა, ეს იყო მისი მეორე ოჯახი, ასე ვთქვათ, გულის გადა-
საყოლებელი, რითაც გამოუთქმელ სიყვარულს ამყლავნებდა და რაც მთავა-
რია, საკუთარი შემოსავლის წყარო გახლდათ. როცა ღორები გოჭებს დაყრიდ-
ნენ, იგი გადაარჩევდა ყველაზე ჭნავ და კატის კნუტივით მიკნავებულ ნაბო-
ლარებს; ბოთლით ასმევდა რძეს, სითბოში ჰყავდა, იქამდე ელოლიავებოდა,
სანამ არ მოამაგრებდა და თავის დროზე მათ მონაშენსაც კი არ მი-
იღებდა.

არც ერთ ბაზრობას არ გამოტოვებდა. ჩაყრიდა ძველ საბარგო მანქანაში
ათ-ოც გვარიანად ნასუქ, ფეხებგაკოჭილ კურატს, კარგ ფასად გაყიდიდა და
მერე დარჩენილ დროს როგორც მოეხასიათებოდა, ისე გაატარებდა,— დაუფ-
ლიდა მალაზიებს და თითქმის ნახევარ ფულს იქ მიაფლანგავდა.

სოფელში ამბობდნენ: ჭკა-მათიკო ისეთ ბრჭყვიალა საგნებს აგროვებს,
რაც არაფერში არგია და ფარულ სამალავში გულდაგულ ინახავსო.

ბურმანსაც ჰქონდა ასეთი საიდუმლო: იგი ჩუმად ყიდულობდა და ინახავ-
და ტანისამოსს: უბრალოს კი არა, რაც მის კლასსა თუ მდგომარეობას შე-
ეფერებოდა, არც საკვირაოდ გამოსასვლელს, რითაც გამოპრანჭვა და კონტა-
ობა შეიძლებოდა. ეს ნავაჭრი განზრახული ჰქონდა მალულად შეენახა. თვით
ტანისამოსიც უჩვეულო გახლდათ. ქალბატონი ბურმენი დახვეწილი გემოვნე-
ბით ყიდულობდა ყველაფერს,— დაწყებული მეწამული ქვედა საცვლის გარ-
ნიტურებით და დამთავრებული ოქროცურვილი ტროპიკების ზურმუხტის ან
ცხელი სინგურის¹ ფერის ჯემპრეებით, ციცასავით ხასხასა საღამოს კაბებით;

¹ სინგური — მინერალი. არსებობს მოყვითალო, წითელი და მოლურჯო-წითელი ფერის,
ალმასის ბრწყინვალეობა აქვს (მთარგმნელის შენიშვნა).

აქ იყო ვერცხლისფერი წავის წამოსასხამები, რჩეული, უკანასკნელი მოდის შლაპები და უაღრესად ელეგანტური მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. ამასთან ერთად შესაფერი სამკაულები, პური და ათასნაირი სუნამოები. უფერული და უღიმღამო ცხოვრებიდან თავის დასაღწევად იგი როგორც ხავსს, ისე ეჭიდებოდა ფუფუნების უძვირფასეს, თვალისმომჭრელ საგნებს.

ნავაჭრს სახლში წაიღებდა, საწოლ ოთახში მუხის დიდ გარდერობში ჩაალაგებდა თადარიგიანი ციყვივით, კარს მაშინვე ჩაკეტავდა და გასაღებს ყელზე ჩამოიკიდებდა.

ყოველ საღამოს ბურმენი თავის ხუთ დოყლაპია ვაჟიშვილთან ერთად ბარისაკენ მიეშურებოდა. იქ ისინიც თავისებურად ერთობოდნენ: ლუდით იტყიპებოდნენ, ლოტოს თამაშობდნენ, შვილდისარს ისროდნენ მიზანში, ან კინოში მიბრძანდებოდნენ და ვიღაც ქალებთან ერთად შემწვარ თევზსა და კარტოფილის ბურბუშელას შეექცეოდნენ.

მისის ბურმენი, როცა დიდიან-პატარიანად ყველას გაიგულებდა, ჯღანმანს გაიძრობდა და თავის დახვეწილ, ზღაპრულ სამყაროში გადავიდოდა. ჯერ გულდაგულ ჩაკეტავდა სახლის კარებს, გაათბობდა წყალს და ზევით აიტანდა. სააბაზანო არა ჰქონდათ, ამიტომ დიდ ტაშტს გაავსებდა, ყველაფერს გაიხდიდა და ტანის დაბანას შეუდგებოდა.

უსამოსოდ, დასვრილი რეზინის ჩექმებისა და დაჭმუჭნული ფეტრის შლაპის გარეშე, მისი მაღალი, ჩამოსხმული შიშველი ტანი ახლა ისე მოჩანდა, თითქოს რაღაც შესანიშნავ საიდუმლოს აეხადო ფარდა. მძიმე, ყოველდღიურ შრომას მისთვის ელასტიური კუნთები და ამასთან ერთად სილბო და მოქნილობა შეეძინა. საკმაოდ მოზრდილი, მოვარდისფრო თუ მოყავისფრო კერტებიანი ძუძუები ისეთი მკვრივი და ნატიფი ჰქონდა, რომ ოცი წლით ახალგაზრდა ქალსაც შეშურდებოდა. უმწიკვლო, სპილოს ძვლისფერი გლუვი კანი უცნაურად უქათქათებდა. საუცხოო მუქ ყავისფერ თმაში, რაც შლაპაში საერთოდ არ მოუჩანდა, ერთი ჭალარაც არ ერია.

ასეთი მოულოდნელი გარდაქმნა გააოცებდა ადამიანს. მის სიშიშველეში პირველი აღმოჩენის საიდუმლო იყო მიჩქმაღული. უეცრად ირკვეოდა, რომ ნუშისებრი თვალები, თმის დარად, მოწაბლისფერო კი არა, არამედ ლაყვარდ ცასავით სუფთა და ნათელი ფერისა ჰქონდა. ეს წმინდა ცისფერი თვალები მის სახეს უმანკოებისა და დამნაშავის უცნაურ იერსა სძენდა. ერცხვინებოდა ის, რასაც ამ არაამქვეყნიური ნეტარებისაგან განიცდიდა — თითქოს მალულად ეძლეოდა სიყვარულს ფარულ მიჯნურთან, ვინც მთელი დღე საიდუმლო ადგილას, ცხრაკლიტულში ჰყავდა გამოკეტილი, ღამით კი გამოჰყავდა, რათა მასთან ერთად მალულად გაეზიარებინა ჯადოსნური სასწაულის წამიერი ნეტარება. ტანის დაბანის შემდეგ ჩაცმას მიჰყოფდა ხელს. აუჩქარებლად, ზანტად იმოსებოდა, თითქოს სიყვარულისაგან მოთენთილ-მოღვენთილი ეგზოტიკურ სიამეს ეძლევაო. აკრძალულ, ნუგბარ ხილს შეექცეოდა... დროდადრო მორთვას თავს მიაწებებდა, შოფრის ხელთათმანების წყალობით დაცული ნატიფი თითებით მკერდს მალლა აზიდავდა და მსუბუქად იზებდა ძუძუებს. სანამ კაბას გადაიცვამდა, — მას ძალიან უყვარდა მოლივლივე ნაოჭებად დაყრილი, ფართეკალთებიანი, ვერცხლისფრად მოქარგული გრძელი კაბები, — იგი დიდხანს იგარცხნიდა აბრეშუმით თმას. დავარცხნის შემდეგ უფრო დიდ

ხანს უნდებოდა საყურეების, ყელსაბამისა და სამაჯურების შერჩევას. ბოლოს კი ამ მორთულობის შესაფერ ბეწვის მანტოს მოისხამდა.

მორთვა-მოკაზმვას თითქმის ორ საათს ანდომებდა. არ ეჩივრებოდა და არც ეჩვენებოდა სასაცილოდ ის ამბავი, რომ არც თვალის შემვლები ეგულე-ბოდა ვინმე და არც წაესვლებოდა სადმე. სულაც არ გააჩნდა სურვილი დაენახა ვინმეს, ჭუჭყიან საღორეებში გასვლა კი არაფრად ეპიტნაებოდა.

ასე გრძელდებოდა მრავალი წელი,—სანამ ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი მშვენიებით საიდუმლო ტკბობა არ დაირღვა.

აპრილის თბილი დამათრობელი საღამო იდგა. საღორეებში ალუბლულ ტალახსაც კი შეხმობოდა პირი და ზედ ცემენტის ქერქივით გადაკროდა. ქალბატონი ბურმენი იმ საღამოს ჭერმისფერ საზაფხულო კაბაში გამოეწყო. საკმაოდ ღრმად რომ ჰქონდა გულისპირი ამოჭრილი, მასთან შეხამებული ფეხსაცმელი და ხელთათმანები ჩაიცვა, შლაპა დაიხურა და სულ ერთი წუთით გავიდა გარეთ, რათა ალუბლის ხისათვის შეეგლო თვალი.

ველური ალუბალიც აფეთქებულიყო და თეთრად გადაპენტილი ქათქათებდა.

* * *

იგი ხუთი თუ ათი წუთი იდგა. ხარბად ისუნთქავდა აპრილის თბილ, მათრობელა ჰაერს,—გარინდებული და გაბრუებული ყურს უგდებდა გაზაფხულის მძლავრ გულის ფეთქვას. უცებ მანქანის მობრუნის ხმაური მოესმა, ფერდობის ოღრღოღრო გზას რომ მოუყვებოდა. „ალბათ ბურმენი და ბიჭებია...“ გაიფიქრა მან. აკრძალულ ტკბილეულზე წასწრებულ ბავშვივით სწრაფად შებრუნდა და სახლისაკენ გაიქცა.

რამოდენიმე ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ ვიღაცის ხმამ შეაჩერა:

— უკაცრავად, ქალბატონო...

სიტყვა „ქალბატონისა“ და მოკრძალებული ხმის გაგონებაზე იგი თავისდაუნებურად ადგილზევე გაქვავდა. ჭიშკართან მწვანე „კორტინა“ იდგა. მანქანაში თავისსავე ხნის, ან ცოტათი უფროსი მამაკაცი შეამჩნია. მას ქუდი არ ეხურა. საფეთქლებთან ოდნავ შეპარვოდა ჭაღარა. მამაკაცი ახლა ისე უყურებდა ლამის თვლებით შეეჭამა ქალი. ეს უკვე ზრდილობის ჩვეულებრივ საზღვარს სცილდებოდა. კაცი რაღაც უცნაურად ათვალეირებდა ქალს ამ უბადრუკ მიწის ნაკვეთზე და ისე უსიტყვოდ იჯდა, თითქოს ენა ჩავარდნოდა. შემდეგ ბოდიშის გამომხატველი უნიათო ღიმილი მოეფინა პირისახეზე.

— ხომ არ შეგაშინეთ? უკაცრავად... — კაცმა ისევ უხერხულად გაიცი-ნა.— ვერ მეტყვიან უილიამსონები სად ცხოვრობენ?

ქალბატონი ბურმენი უცებ გონს მოეგო, იგი დამალვას ცდილობდა და კრიჭამეკრული იდგა. მერე ისე უცბად ჩამოუშვა გახევებული ხელები ტანის გასწვრივ, რომ დასაქოქ თოჯინას დაემსგავსა, ხელების მოძრაობის მეტი რომ არაფერი იცის.

— მე მგონი მათ სახლს ბიჩეროუ ჰაუსს თუ რაღაც ამდაგვარს ეძახიან.



— ა, ბიჩეროუ, — ხმა ამოიღო ქალბატონმა ბურმენმა. — თქვენ სწორად არ მიდიხართ. გზას ასცდენიხართ. მეორე გზით უნდა წასულიყავით, იქით, მოშორებით.

მან ხელი ასწია, რომ მიენიშნებინა ფერდობის გასწვრივ, დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე. შიშისა თუ უხერხულობისაგან ხელი არ ემორჩილებოდა.

— რა სისულელე მომსვლია. მე კი მეგონა კარგად ვიცნობდი ამ არემარეს, — თქვა კაცმა. იგი გულდაგულ ათვალიერებდა საღორეებს, ფარდულებს, ბინებს, ამ საოცრად გაპარტახებულ კარმიდამოს, სადაც ჩამავალი მზის სხივებზე ღორები თბებოდნენ და წუნწუხი ხმებოდა. — ეტყობა, მხარი მექცა. აქაურობაც შეცვლილა.

ქალბატონ ბურმენს ისევ მოჩიხილივით ჩამოუვარდა ხელი. ახლა მისი ჯერი დადგა დამუნჯებულიყო. რამდენიმე ხნით უხერხული ღუმილი ჩამოწვა.

— აქ მე ჩემს პატარა ბიჭობაში ვყოფილვარ მარწყვზე. — სიტყვა ჩამოაგდო კაცმა და აღაღანებულ მთა-ველს მოატარა ხელი. — აქაურობა სულ ყვავილებით იყო გადაჭრელებული. თითქოს კონა-კონა ჩაურგავთო.

კაცს ენა დაება. ისევ დაჟინებით შეხედა ქალს, ვინც არაფრით არ ეხამებოდა გარემოს. უყურებდა ჭერმისფერ კაბას, უშნო, უგვანო ღორების ფონზე, მზერა გადაჰქონდა თეთრად აყვავებულ ველურ ალუბალზე და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თვალს არ უჯერებსო.

— თქვენ აქ ცხოვრობთ?

— დიახ.

კაცმა აღმაცერად და ათვალისწუნებით გახედა შიფერითა და ჩაყანგებული ღარული თუნუქით გადახურულ სახლს. ერთ კუთხეში, თითქოს ბოძად შეუყენებიათო, ღორების საკვებით გატენილი ტომრები იყო ახოხოლავებული. იქვე ჯართივით ეყარა ძველი კანისტრები.

— აქ თუ ცხოვრობთ, საკითხავიც არაფერია. — ტუჩი აიბზუა კაცმა.

ქალს უნებურად მოუნდა ტყუილის თქმა. დათრგუნვილსა და აფორიაქებულს სხეული კი არა, სული უთრთოდა.

— არა, არა! — თქვა მან. — ო, არა!

— ძალიან სასიხარულოა. რაღაც ვერ წარმოგიდგინეთ ამ ღორების სამყაროში.

ქალბატონ ბურმენს, თავისდაგასაოცრად, ნერვული სიცილი აუტყდა. ეს სიცილი მისი აფორიაქებული სულის გამოძახილი იყო.

— ო, არა! მე ზევით ვცხოვრობ. გაღმა მხარეს. აქედან არ მოჩანს. მისი დაბნეულობა ახლა აშკარად გასცემდა საშინელ მღელვარებას. თავისდაუნებურად ხელთათმანებს დაუწყო წვალება. ჯერ ერთი წაიძრო, შემდეგ მეორე. კაცს არ შეეძლო არ შეემჩნია მისი სათუთად მოვლილი, ნატიფი ხელები.

— ახლა კი წავალ, — თქვა ბურმენმა. — მე უკვე დაბრუნებას ვაპირებდი.

კაცი დიდხანს უცქერდა ალუბლის ხეს. მისი საგაზაფხულო მშვენიეობაც ვერ ეგუებოდა ამ შემზარავ გარემოს. მან უცვებ იგრძნო, რა ღამაში იყო ალუბლის ხე. საოცარი სიძლიერით გაახსენა წარსული, როდესაც ირგვლივ ყველაფერი ხელთუკარები და ისეთივე თვალწარმტაცი იყო.

— ვნებავთ ცოტაზე გავისეირნოთ?

ელდანაკრავმა ქალმა კბილებით ხელთათმანების წიწკნა დაიწყო. ეზონი და ისეთი არაფერი წამოსცდენოდა, რაც მის საიდუმლოს გასცემდა. ბაგეები აღარ ემორჩილებოდა საღ აზროვნებას და მის მაგივრად თითქოს სხვა ლაპარაკობდა.

— იცით, მე ქმარს ველოდები. წუთიწუთზე შეიძლება გამოჩნდეს. სწორედ აქ გვქონდა პაემანი დანიშნული...

უცებ კაცმა შეამჩნია, რომ ქალის აშკარა, გაუთავებელ მღელვარებას ისე აფასებდა, როგორც თავისებურ უბიწოებას, ერთგვარ შიშს იმის წინაშე, რომ შესაძლოა ეს თამამი მამაკაცი უგვანოდ მოქცეოდა, უკადრისი რამ ეკადრებინა. კაცს გულიანად გაეციინა.

— ოო, გარწმუნებთ, მეც ცოლიანი გახლავართ. კანონიერად ვარ შეუღლებული და სრულიად ბედნიერად ვგრძნობ თავს.

— როგორ გეკადრებათ! მე ეგ ერთი წუთითაც არ მიფიქრია!

კაცი მანქანიდან გადმოვიდა, ფერდობებს გახედა და თქვა:

— რა შესანიშნავია ეს ალუბლის ხე.

— დიახ, კარგია.

— ერთ ხეშია მთელი გაზაფხული მოქცეული.

— დიახ.

— ხანდისხან ბელურების ალუბალსაც ეძახიან. თქვენ არ გაგიგიათ?

— არა, მართლა?

კაცს გაეღიმა, ამჯერად დაუფარავად, თითქმის უტიფრად შეათვალიერა მისი სანდომიანი, ჭერმისფერ კაბაში გამოკვართული მკვრივი ტანი. კაბას საოცრად შეეფერებოდა ხელთათმანები და ფეხსაცმელი. ყველაზე გასაოცარი კი მუქი წაბლისფერი თმისა და ცისფერი თვლების განუმეორებელი შეხამება იყო. რა დიდებული გემოვნება ჰქონია ყველაფერში, — ფიქრობდა იგი.

— მოდით, ცოტა გავისეირნოთ გზაზე.

ქალბატონ ბურმენს უცებ მოეჩვენა, რომ უძირო უფსკრულის პირას იდგა. საშინელი თავბრუსხვევისაგან პირისახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— გავისეირნოთ, — გაიმეორა კაცმა. — ასიოდე ნაბიჯით ავუყვებთ გზას. პირობას გაძლევთ ჯიბიდან ხელებს არ ამოვიღებ. თითსაც არ გავანძრევ.

ქალს გაეღიმა. მის ნათქვამზე კი არა, უცებ შვება იგრძნო და იმის გამო. კაცმა კი ეს ღიმილი თანხმობად ჩათვალა. ამ სრულიად უბიწო ღიმილში ამაღელვებელი დაახლოების შეგრძნება იმალებოდა.

— მართალი რომ გითხრათ, არც მე მაქვს დრო. უილიამსონები სადილად მელოდებიან.

ისინი ალუბლის ხისაკენ გაემართნენ, ტოტებქვეშ ჩაიარეს.

— იცნობთ უილიამსონებს? ნამდვილად გეცნობებათ.

— არა. — თქვა ქალმა. — არ ვიცნობ.

— ოთხი... ოთხი კი არა თითქმის ხუთი წელია არ ვყოფილვარ მათთან. საზღვარგარეთ ვმსახურობდი. სპარსეთის ყურეში. თქვენ ვერც კი წარმოიდ-

გენტ რა არის შინ დაბრუნება. ინგლისური გაზაფხული... აი, ეს მინდოდა მეტქვა. ველური ალუბლის ხე... იმ პაპანაქება სიცხისა და მტკრის შემდეგ... ო, ვერ წარმოიდგენთ ეს რა სიმშვენიერება. იგი დროდადრო რატაცას ეჭვითხე-ბოდა, ქალი უგვიანებდა პასუხს. პირმოკუმულს, თითქოს თვალებიც დახუ-ჭოდა და თავის თავში შეყუყულიყო. დაბნეული, ლამის შეშინებული, სულ სხვა ადამიანად გრძნობდა თავს. ამავე დროს მტკიცე შთაბეჭდილება ექმნე-ბოდა, რომ იგი სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორადაც სხვას ეჩვენებოდა. კაცს ეს ქაოსი თავგზას უბნევდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობას უღვივებდა. იგი თავისებური შეკითხვებით ცდილობდა მიმხვდარიყო, თუ ვინ იყო ეს ქა-ლი. თამაშობდა თუ არა იგი ბრიჯს? უილიამსონები გადარეული არიან ამ თა-მაშით. მოგზაურობს ხოლმე? ხშირად თუ არის ლონდონში? ალბათ ცხენოს-ნობითაც არის გატაცებული?

ყველა კითხვაზე ქალი ყოყმან-ბორძიკით პასუხობდა: არა, ბრიჯს არ თა-მაშობს, არასოდეს ყოფილა ლონდონში, არ მოგზაურობს, არც ცხენოსნური სპორტითაა გატაცებული.

— თქვენ ქმარს ფერმა აქვს?

— დიახ.— უპასუხა ქალმა.

— აღრე აქედან ზღვა მოჩანდა,— უცებ თქვა კაცმა. იგი შედგა, შემო-ტრიალდა და გადაჩიქნილი საღორეების მიღმა დაბლობს გახედა. შორს, ჰო-რიზონტის სამხრეთ-დასავლეთით გალეული ნამგლის პირივით ლაპლაპებდა ზღვის ვიწრო ზოლი.

— ო, აი, ისიც. ღმერთო, რა სილამაზეა!

ფართოდ გაშლილი სურათით მოხიბლული კაცი დიდხანს გასცქეროდა შო-რეულ ზღვის ზოლს, ზედ იალქანივით მოლივლივე, თეთრად გადაფეთქილ ალუბლის ხეს და ცდილობდა არ შეემჩნია ბუნების ეს უგვანო ნაშიერნი — ღორები და მათ მიერ შებილწული, ოდესღაც წმინდა მხარე. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ღორებისაგან გაპარტახებული მიდამოს უგულვებელყოფა და უცებ ისე აღშფოთდა, რომ მთელი ტირადა დააფრქვია თავს იმ წყეულ ვან-დალზებს, სარამზადებს, ნაძირალებს, ვინც ეს ჩაიდინა საკუთარი გამორჩენის მიზნით.

— ეს წარმოუდგენელი მკრეხელობაა, სისაძაგლეა, თუ გნებავთ, ეს და-ნაშაულია საზოგადოებრიობის წინაშე! თქვენ არ მეთანხმებით?

ქალი ამ შეკითხვას ამჯერად ხანგრძლივი და უცნაური დუმილით შეხვდა. კაცმა თავი მოაბრუნა, მაგრამ ქალი გვერდით აღარ ედგა. რამოდენიმე წუ-თით ოინბაზისგან პირველ აპრილს გაპამბულებულივით იდგა, ეს ქალი მხო-ლოდ მოჩვენება იყო, ჯერ თავგზა აუბნია, მერე კი ოცნებასავით გაქრა, გაუ-ჩინარდა.

უცებ თვალი მოჰკრა ჭერმისფერ კაბას, რომელმაც ზევით, ჯერ შეურ-ყვნელი, ახლად გაფოთლილი ტყის პირას გაიელვა. იგი ნამდვილად ეულ მოჩვენებასავით ფეხაკრეფით მიაბიჯებდა.

— ა! აი, თურმე სად ყოფილხართ! მომითმინეთ! — დაუძახა მან და გაე-ცინა. — თქვენ სულ ერთი წამით მომატყუეთ. მე მეგონა, რომ წახვე-დით...

ქალი არ შეჩერებულა, არც შემობრუნებულა. კაცმა კიდევ დაუძახა და სახტად დარჩენილმა დაინახა, როგორ გაიქცა ქალი, მართალია არც ისე ჩქარა, მაგრამ რაღაც შეშფოთებული მიილტვოდა მისგან, თან ხელთათმანებს იცვამდა.

კაცი დაედევნა, შემდეგ ნაბიჯს მოუწელა და შეჩერდა.

ხელთათმანების ჩაცმაში კაცმა გაქცევის საბოლოო გადაწყვეტილება დაინახა, რაც ტანჯვის ფასად უჯდებოდა ქალს. უცნაურმა და მწვავე სურვილმა მასაც დარია ხელი.— უნდოდა, ერთხელ კიდევ ენახა ის ქალი.

* * *

ბოლო დროს ქალბატონ ბურმენს მარტოდმარტო ეძინა. ქმარს კი შუალამისას დაბრუნება ჩვეულებად ქცეოდა. არც ისე მთვრალი, მაგრამ ლუდისაგან კარგად გამობრუნული მიეგდებოდა სამხარეულოში, ლუმელთან მიღვმულ ტახტზე და დილაშდუ ძილქუში დააწვებოდა. ამ კაცის ოდესღაც საკმაოდ ლამაზი გარეგნობა ახლა გახუნებულიყო, კანიც ლაფში ამოთხვრილი ღორივით გახეშეშებოდა. ჯეელობაში არაჩვეულებრივად ღონიერი იყო, ცუღს ისე ოსტატურად ხმარობდა, რომ კვარს სულ თითო გოჯის სიზუსტით ჩააპობდა. ის მამაკაცი, ვინც ქალბატონ ბურმენს ოდესღაც უყვარდა, აღარ არსებობდა. მაგრამ აღარც ამასა ჰქონდა უკვე მნიშვნელობა.

გულგრილობის მიზეზი ხუთი-ექვსი წლის წინ წარმოიშვა. ჯვრისწერიდან ოცი წლის მანძილზე ხუთმა მშობიარობამ და სამჯერ მუცლის მოშლამ მთლად დააბეჩავა ქალი. ოჯახურ დავიდარაბას იშვიათად თუ დააღწევდა თავს. ყოველი ბავშვის დაბადებაზე გადაწყვეტდა, ეს უკანასკნელი იქნებაო, მაგრამ ცოტაც და ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი: ორმოცი წლისას უცებ ელდა ეცა, რომ ასე უღიმღამოდ უნდა გადაწურულიყო მისი ცხოვრების ყამი. მან თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია ქმარს. აგრძნობინა, დაბალი ღობე არა ვარო. ამავე დროს ღორების ურიცხვმა ნამატმა ბანკში მოზრდილი ანგარიშიც გაუხსნა. აი, მაშინ გადაწყვიტა პირველად, წასულიყო და ცხოვრების ერთი ციციქნა ნაგლეჯი ეყიდა: ახალი, უმაქნისი, ძვირფასი კაბა. აქედანვე დაიწყო მარტო ძილი.

იმ მწვანე მანქანიან მამაკაცთან შეხვედრის შემდეგ ქალბატონ ბურმენის თვალებს რული დიდხანს არ გაკარებია, იწვა იგი საამო მღელვარებით შეპყრობილი და მოთენთილი. ის, რაც იქ, ფერდობზე, ალუბლის ხესთან მოხდა, ისე ძლიერ აღებეჭდა გონებაში, რომ ახლა თავისებურ ბრალდებად ყდერდა. მან უკიდურესი უგუნურება, უდიდესი სისულელე ჩაიდინა, უფრო მეტიც,— ეს ღალატზე უარესი იყო, და აღარასოდეს არ უნდა გამეორებულიყო,— უჩიჩინებდა ქალი თავის თავს. ის არსება, ვინც იმ მომხიბლავ აპრილის საღამოს დასეირნობდა და ლაქლაქებდა — სხვა ქალი იყო. ქალბატონ ბურმენს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა თითქოს გაშიშვლებულს უეცრად თავს წასდგომოდნენ რაღაც მეტისმეტად ინტიმურ წამში.

ამ თვითგვემასა და აზრთა ჭიდილში ქალს ბოლოსდაბოლოს ჩაეძინა და ჩვეულებრივზე ორი საათით გვიან გამოახილა თვალები. შემწვარი შაშხის

მძაფრმა სუნმა გამოაღვიძა. მკვეთრი, მსუყე სუნი ნელ-ნელა მიიწვედა ზევით და ამის მიხედვით იგი სულ უფრო ცხადად ხვდებოდა, რომ შეუძლოდ გრძნობდა თავს. უჩვეულო გულისრევის შეგრძნება ბურთივით აწვებდა ყელში. ქალი წამოდგა, ქვევით ჩავიდა და მაგარი ჩაი დააყენა. შემდეგ ისევ თავის საწოლ ოთახში დაბრუნდა და ლოგინში ჩაწვა. გულისრევას ვერც ჩაიმ უშველა.

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ბუნდოვნად მიხვდა ქალი ყოველივე ამის მიზეზს. უცებ იგრძნო, რომ სახლიდან გასვლისა ეშინოდა, — უბრალოდ დღის სინათლეს უფრთხობდა. რაც უფრო დიდხანს ფიქრობდა. ამაზე, მით უფრო ძლიერ ეკვროდა სუნთქვა, სული ყელში ებჯინებოდა.

შუადღემ მოატანა, როდესაც აიძულა თავი წამომდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. სარკმლიდან დაინახა: მოღალატე აპრილს ფაქიზი საღამოს იდილია ჩამობნელებულ, მოქურუხებულ დღედ გადაექცია. თოვლჭყაპში შერეული წვიმა ფოლადის წკეპლებივით უშხაპუნებდა არემარეს. ამ წვიმის გამო იყო, რომ უფორმო ფეტრის შლაპის, ყელსახვევის, წინსაფარისა და რეზინის ჩექმებს გარდა, ზემოდან ქმრის ვეებერთელა, ძველი პალტოც წამოიცვა. მუქი ლურჯი პალტო მეზღვაურის ბუმლატს წააგავდა, რომლის უზარმაზარი აწეული საყელო წინ მაგრად იკვრებოდა, ასე რომ, როდესაც ქალი ეზოში გამოვიდა წვიმის მხეფები მხოლოდ ამოღამებულ თვალებსღა ეფრქვეოდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ენებაჩამქრალი კაცის იერით ჰკითხა ბურმენმა.

— ამინდის ბრალია, — უპასუხა ქალმა, — ალბათ გავცივდი.

— ასპირინი დალიე, — უთხრა ბურმენმა.

ამ მოკლე გასაუბრების შემდეგ ისინი ეზოში გავიდნენ. ზევით, დამრეც ფერდობზე მკვეთრი, გამჭოლი ქარი ზუზუნებდა. ხანდისხან ხოშკაკალას წამოყრიდა. რამდენიმე ხანს სტიქია ბობოქრობდა ჩამოწოლილ სიბნელეში.

შემდეგ მზის კარი გაიღო, სხივებმა წყვდიადი გააპეს და თვალისმომჭრელად აკიაფდნენ ღორის ჩხრინკელით სავსე ეზოში.

სანამ მზე პირს იბანდა, ქალი ერთხანს უმიზნოდ დაფრატუნებდა, შემდეგ გაახსენდა, ერთ-ერთ საღორეში ახლად დაგდებული ნაბოლარა გოჭი ეგულებოდა, რძე და მოვლა-პატრონობა რომ სჭირდებოდა. იგი სამზარეულოში დაბრუნდა, ქვაბში რძე შეათბო, ბოთლში ჩაასხა, საწოვარა წამოაცვა და საღორისკენ წავიდა.

უცებ, აჭახჭახებული გაზაფხულის მზის ცთუნებას ვერ გაუძლო და ისევ ეზოში გამოვიდა, ხელში ერთი ციცქნა გოჭი ეკავა, რომლისთვისაც სანახევროდ პალტო გადაეფარებინა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ბავშვს ძუძუს აწოვებდნო.

ამ მოხრილ, დედურ პოზაში გარინდებული ქალი ისევ უძველესი საგის გმირს დამსგავსებოდა. ახლა სრული სიმშვიდე დაეუფლა. ყელის ტკივილმა და გულისრევამ გაუარა. მოულოდნელად ისევ წვიმამ და ხოშკაკალამ წამოუშინა. იმავე წუთას მანქანის მოტორის ხმაურს მოჰკრა ყური, აღმართს რომ მოუყვებოდა.

ქალი საღაროს კარებში იდგა, ხელში გოჭი ეჭირა, რომელიც გაჭირვებით წოვდა რძეს. უცებ ზუსტად მის პირდაპირ, ოციოდე ნაბიჯის დაშორებით გზაზე ისევ ის გუშინდელი „კორტინა“ შეჩერდა.

— უკაცრავად, — ისევ გაისმა მანქანის სარკმლიდან მამაკაცის ხმა, — უკაცრავად...

გახშირებულმა ხოშკაკალას შრიალმა ჩაახშო კაცის ხმა. ქალბატონ ბურმენსაც არაფერი ჰქონდა სათქმელი და ხმის გასაცემი. იგი უცებ შეტრიალდა და უმძრახად წავიდა ფარდულისაკენ, სადაც ჯორჯი, მისი მესამე ვაჟიშვილი, ღორების ვარცლს უკირკიტებდა.

— ჯორჯ, იქ ვილაც კაცი იძახის, რაღაცას კითხულობს... წადი, გაიგე რა უნდა... კომივოიაჟორი ხომ არ არის...

ჯორჯი ჩაქუჩითა და ლურსმნებით ხელში გაემართა იქით. სანამ ჯორჯი მანქანას მიუახლოვდებოდა, ქალი თითქმის თავზარდაცემული იდგა ფარდულის უკან და ანგარიშმიუცემლად იკრავდა გულში გოჭს. ამ თოვლჭყაპში ზამბარასავით დაჭიმულსა და კრიჭაშეკრულს უფრო ძლიერ წამოაზიდა გულს, სპაზმებმა ყელი გაუთანგა. იგი დაძაბული უსმენდა, მაგრამ ხმებს ვერ არჩევდა. დიდი ხნის მტანჯავი, ილაჯის გამწყვეტი ლოდინის შემდეგ, უკან გაბრუნებული მანქანის ხმა გაიგო. ჯორჯი დაბრუნდა.

— რაღაცას მიედ-მოედებოდა, — თქვა მან. — ვითომ აქ ვილაც ქალი უნახავს. თავი და ბოლო ვერ გავუგე. ნეტავი რას ეჩრება ეს ხალხი სხვის საქმეში... რას დაეთრევიან...

ამ ამბის შემდეგ ქალბატონმა ბურმენმა რამდენიმე დღე უცნაურ ბურანში გაატარა. იგი შეუძლოდ არ გრძნობდა თავს, მაგრამ დროდადრო თითქმის ნამდვილი ავადმყოფობა დარევდა ხოლმე ხელს.

ყოველ საღამოს ის იღუმალი მორთვა-მოკაზმვაც კი აღარ ანიჭებდა ძველებურ, განუმეორებელ ნეტარებასა და ბედნიერებას.



ჯემალ აჯიაშვილი
გიგლა სარიშვილი

თამაზ ჩხენკელი

50

●

„გზა არის ჩვენს წინ! უვალი იყო და გავთელე. არაფერია საშიშარი, თვით გამოვცადე“... უიტმენის ამ სიტყვებს თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი ლექსიდან, ავტორთან ერთად, ვფიქრობთ, სავსებით იმსახურებს სახელოვანი ქართველი მთარგმნელიც. მართლაცდა, თ. ჩხენკელმა მანამდე უცნობი ბილიკები გაკვალა თანამედროვე ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში და სხვებიც ახალი გზების სათელად შეაგულიანა: „არაფერია საშიშარი, თვით გამოვცადე“.

მომდევნო ლიტერატურული თაობიდან ბევრი ახალგაზრდა პოეტ-მთარგმნელი გაჰყვა თ. ჩხენკელისეულ გზას. მათი პირველი ლიტერატურული ძიებანი სწორედ იმ წლებს დაემთხვა, როცა მისი თარგმანების საუკეთესო ნაწილი უკვე ქართული ლიტერატურის საკუთრება იყო. აღმოსავლური ტანკასა და ჰოიკუს სალექსო ფორმების კრისტალური სიმშვენიერე, ძველი ინდო-ჩინური ლირიკის აზრობრივი სიღრმე და ფორმისეული სპეციფიკა აფართოებდა ახალბედა ავტორების პოეტურ ცნობიერებას, საგრძნობლად მალღებოდა და იხვეწებოდა მათი ლიტერატურული გემოვნება.

სხვა სიახლეებთან ერთად, რაც თამაზ ჩხენკელმა შემოიტანა დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში, ახლებური იყო მისი თარგმანების ფორმალურ-ვერსიფიკაციული სტრუქტურაც: ახალი ვერსიფიკაციული მიმართულების ფართო გზა რუსთაველმა გაკაფა. ამ გზას ავითარებენ გურამიშვილი და ბესიკი, ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი... თ. ჩხენკელმა თავისი პოეტურ-მთარგმნელობითი მოღვაწეობით შეგვახსენა, რომ არსებობს მეორე გზაც — ურიად საგულისხმო და მნიშვნელოვანი; იგი დამშვენებულია იოანე მინჩისა და

გრიგოლ ხანძთელის შემოქმედებითი ღვაწლით, მიქელ მოდრეკილისა და იოანე ზოსიმეს მშვენიერი საგალობლებით, „ფსალმუნისა“ და „ქებათა ქების“ მთარგმნელთა სახელებით... ესაა ქართული ლექსის განვითარების ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მოგვიანებით, აღმოსავლური პოეტური ინტონაციების მოჭარბებამ დიდხანს დააყენა ჩრდილში.... მხოლოდ ბარათაშვილმა მიმართა ყველაზე გაბედულად ბიბლიისა და ჰიმნოგრაფიის პირველსაწყისებს, რაც დიდის ორიგინალობით შეურწყა იმჟამინდელ ვერსიფიკაციულ მონაპოვრებს.

თ. ჩხენკელმა სრულად გაიაზრა თავის მთარგმნელობით მუშაობაში ქართული ლექსის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა და მოახდინა უსამართლოდ მივიწყებული პოეტური ფორმების ლეგალიზაცია (მხედველობაში გვაქვს ქართული ჰიმნოგრაფიის პოეტური ტრადიციები). ამ კონტექსტში, ცხადია, თავისთავად წამოიჭრებოდა ე. წ. „ძველი ქართულის“ სიტყვიერი არსენალის გამოყენების საჭიროება, მაგრამ არა მექანიკურად, არამედ სიტყვათ-განახლებისა, პოეტური ფერისცვალებისა და კვლავწარმოების რთული შემოქმედებითი პროცესით, ქართული ვერსიფიკაციის უკანასკნელი მიღწევების დონეზე. ძველი და ახალი სალექსო ფორმების ამდაგვარი სინთეზი არ გამორიცხავს დღემდე გამოუყენებელი რიტმული ვარიაციების შესაძლებლობას:

„ნათელო, ნათელო ჩემო,
 ცით გამომჭვირვალო ნათელო,
 თვალთა მონასურო ნათელო,
 გულთა მოალერსე ნათელო!
 ჩემი სიცოცხლის გულისგულში როკავს ნათელი — მიჯნურო ჩემო!
 ჩემი სიცოცხლის ჩაღანაზე გალობს ნათელი — მიჯნურო ჩემო!
 ზანზარებს ზეცა, ჰყივის გრიგალი,
 სიცილი არყევს ქვეყნიერებას!
 ფრთეთა იალქნები შემართა ფარვანამ ნათლის მორევში,
 აყვავდა შროშანი და იასამანი ნათლის მორევში.
 ოქროს ნათელი მოეფინა მთებსა და ღრუბლებს — მიჯნურო ჩემო!
 აღმასის წვიმა წვიმს დედამიწაზე — მიჯნურო ჩემო!
 მხიარული ხმით ეხმიანება ფოთოლი ფოთოლს,
 განიხვნენ ცათა საქანელნი, ჰყივის გრიგალი,
 ზეცის დირენი გადმოხეთქა ნათლის ჩქერალმა
 და სიხარულმა წარღვნა ქვეყანა უნაპირო — მიჯნურო ჩემო!“

თ. ჩხენკელის მთარგმნელობით მოღვაწეობაში უძველესი პოეტური ფორმები იმდენად გათანამედროვეებულია, რომ იგი აღიქმება დღევანდელი ლიტერატურული პროცესის ერთიან და განუყოფელ ნაწილად, რაიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქართული ორიგინალური პოეტური აზროვნებისა და ლექსთწყობის განვითარებაზე. რომ შემდგარიყო თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა კრებული, მასში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა თ. ჩხენკელის თარგმანებიც, როგორც ეს, მაგალითად, ევროპულ პოეტურ ანთოლოგიებშია მიღებული.

უიტმენი და თავორი, ბჰაგავატგიტა და ინდური საგალობლები, დანტე და ჰომეროსი, პუშკინი და მიცკევიჩი, ბო-ძიუ-ი და მრავალზე მრავალი სხვა, აღმოსავლური, რუსული და ევრო-ამერიკული პოეზიის საუცხოო ნიმუშები ამშვენებენ არა მხოლოდ თ. ჩხენკელის მთარგმნელობით შემოქმედებას, არამედ დღევანდელი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევათა რიგსაც განეკუთვნებიან. მთარგმნელობითი მოღვაწეობის ასეთი დიაპაზონი, ცხადია, ყოველ კერ-



ძო შემთხვევაში სათარგმნელი მასალისადმი განსხვავებულ, დიფერენცირებულ მიდგომას გულისხმობდა. ეს კი ინდივიდუალურ შემოქმედებით ნიჭთან ერთად პოეტურ ოსტატობასაც მოითხოვდა, რასაც უთუოდ უძღოდა წინ მრავალწლიან ვარჯიშისა და ლიტერატურული ძიების წლები. ნიჭიერი პოეტის ხელში თავის შესაძლებლობებს თანაბრად ავლენს ორი რეალობა ქართული ლექსისა: ერთი, ესაა ტრადიციული რითმოვანი ლექსი (ბო-ძიუ-ის ლირიკა) და მეორე — თავისუფალი ლექსი (თაგორის „გიტანჯალი“). ორივე შემთხვევაში მთარგმნელი აღწევს თითქმის თანაბარ შედეგს და ისეთი ბუნებრივობით, რომ ერთგან რითმა მიგვაჩნია აუცილებლად, ხოლო მეორეგან ურითმობა. თ. ჩხენკელის თარგმანების გაცნობის შემდეგ რაბინდრანათ თაგორის საღვთო გალობანი ვერაფრით ვერ წარმოგვიდგენია გარითმულად, თუმცა რამდენადაც ვუწყით, „გიტანჯალი“ ბენგალურში უაღრესად მუსიკალურ-რითმოვანია.

საინტერესოა ორიგინალის ჩხენკელისეული წაკითხვა, სათარგმნელი ავტორის მთარგმნელისეული გააზრება. მისი თარგმანები შედეგია დედნის სისხლხორცეული განცდისა. ეს თვისება მთარგმნელს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად ჩაიძიოს ნაწარმოების შიდა-არსი, არ გაიტაცოს ლექსის გარეგნულმა დეტალებმა. ნაწარმოების ასეთი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ჯელალ-ედ-დინ რუმის ჩხენკელისეული თარგმანი. რუმის ლექსები თ. ჩხენკელს ურითმო, თავისუფალი ლექსითა აქვს შესრულებული. თითქოს კლასიკური სპარსული ლექსის რიტმული თუ რითმული სიმწყობრე, ფრაზის ფილიგრანული ჩამოქნილობა არ უნდა იძლეოდეს მისი გარეგნული სტრუქტურის ამგვარი გადახალისების შესაძლებლობას, მაგრამ მთარგმნელმა შეგნებულად თქვა უარი ფორმალურ კომპონენტებზე, წინა პლანზე წამოსწია ავტორის შინაგანი ხმა და გარეგნულად არითმიული ლექსის საშუალებით განგვაცდევინა ექსტაზისაკენ დაძრული სულის შინაგანი რიტმი:

რაშიგანა ვარ, მორწმუნენო, რომ თავი ჩემი
ვერ შემიცვნია:
არც ქრისტიანი ვარ, არც იუდეველი, არც მუსლიმანი.
არც აღმოსავლელი ვარ, არც დასავლელი,
არც ზღვიერი, არც მიწიერი.
არც მბრუნავი ცისა ვარ და არც ბუნებისა,
არც მტვრისაგან ვარ, არცა წყლისაგან, არც ქარისაგან,
არც ცეცხლისაგან...
არცა ჰინდო ვარ, არც ჩინელი, არც ხორასნელი.
არც ამ ქვეყნისა ვარ და არც იმ ქვეყნისა,
სამოთხის და ჯოჯოხეთის მკვიდრიც არ მქვია,
მე არც ადამის ტომთაგანი ვარ და არც ედემის
მცხოვრებთაგანი,
ჩემი სამყოფლო უმყოფლობაა, ჩემი კვალი — უნიშანწყლობა.
მე არც სული და არც სხეული არ გამაჩნია,
რადგან მიჯნურის ნატამალი ვარ.
მე განვიშორე ორჭოფობა და ერთს ვუჭვრეტ ორსავ სოფელში,
იმ ერთს დავეძებ, ერთს ვცნობ, ერთს ვხმობ, ერთს ვემონები.
იგია პირველყოფილი და უკანასკნელი,
იგია ცხადი და დაფარული.
და ამ სოფელში, ჩვენ ორის გარდა, სხვას არვისა ვცნობ.
მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს
ორივ ქვეყანა,
და მე რინდი ვარ და მებრუვე — სხვა სამანი არ მაბადია...

ასევე თავისებურად (მაგ. სუფიურად) „წაიკითხა“ მან ხაიამის რამდენიმე რობაი, თუმცა მეცნიერებაში დღესაც დავაა იმის შესახებ, თუ საიდან იღებს სათავეს ხაიამის პოეზია — მიწიერი ჰედონიზმიდან თუ ზემოცვრუტელობითი სუფიზმიდან.

მრავალ აღმოსავლელ პოეტთა (უპირატესად ჩინელ-იაპონელთა) ლირიკის მთარგმნელობის ჩხენკელისეული მეთოდი ერთგვარ ლიტერატურულ ტრადიციადაც კი იქცა, თითქოს რაღაც პოეტურად დაკანონებული სახე მიიღო და სხვა მთარგმნელები, რომლებიც ჩინურ-იაპონური თუ ვიეტნამური პოეზიის თარგმნას ჰკიდებენ ხელს, ხშირ შემთხვევაში თ. ჩხენკელის სალექსო ყალიბს ვერ სცილდებიან.

თამაზ ჩხენკელი 50 წლისაა.

ცხადია, ეს მცირე წერილი სრულიადაც არ ისახავს მიზნად მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეტნაკლები სისრულით წარმოჩენას. მხოლოდ მისალოცი თუ ეთქმის...

წინაც, ალბათ, უცნობი, ჯერეთ ფეხდაუდგმელი ბილიკებია. ნისლოვანი მთების კონტურებიც იკვეთება შორი-შორ... მაგრამ ამ ნახევარსაუკუნოვანი სიმალლიდანაც შეუძლია თამაზ ჩხენკელს გადმოხედოს თავის განვლილ გზას:

„აჰა, ვანცილინიც! უღელტეხილიდან
უკუშევბრუნდი და განვლილ გზას გავცქერ.
შემოდგომის ქარი, მძლავრი, უნაპირო,
ზუზუნით მიწეწავს ჭაღარა თმა-წვერს...“



ავებიკ ისაკიანი

*

* *

არეზის პირას ბოსტანი მქონდეს,
შიგ ვარდი მერგოს წითლად მშუქარი,
ალვების ჩრდილში ნიავი ქროდეს
და გუგუნებდეს ცეცხლით ბუხარი.

ეზოში გარჯას მოვრჩები თდეს
შენთან ალერსით ჟამი რბიოდეს,
არეზის პირას ბოსტანი მქონდეს,
მზე შენს ცქერაში ამომდიოდეს.

კორაციუსი

რომაული ლირიკა

ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო მაგარი,
პირამიდების ქვაზე გამძლე, მარადიული,
და მას ვერც დელგმა, ვერც მქუხარი აქვილიონი
ვერას დააკლებს, ვერ დაამხობს მას ჟამთა სრბოლა.
სიკვდილი სრულად როდი შთანმთქავს, — ჩემი არსების
უდიდეს წილით დავუსხლტები მე ლიბიტინას
და ვიდრე შედის კურთხევისთვის კაპიტოლიუმს
ვესტალთან ერთად ამოსული დიდი ქურუმი
უფრო და უფრო განითქმება სახელი ჩემი.
იქ, სადაც მთებში ავფიდუსი ხმაურობს შმაგი,
სადაც მდაბიორთ განაგებდა დაუნუს უწყლო,
უაზნოთაგან მე პირველმა იტალიურად
ავახშიანე ეოლიის საგალობელნი.
ო, იამაყე მელპომენა, ღირსი ხარ ამის,
მე კი მოწყალედ თავს დამადგი დაუნის გვირგვინი.

ფელეროკო ბარსია ლორკა

სხვისი ცოლი

ეს სანტიაგოს საღამოს მოხდა.

თითქოს უეცრად და უნებურად
ფარნები ჩაქრა და ჭრიჭინებმა
აანთეს ღამე წინანდებურად.
ბნულ შესახვევში მისი გულმკერდი
ძე გაფაღვიძე ხელის შევლებით
და ძუძუები აყვავდნენ უცებ
ვით იასამნის თეთრი მტევნები.
მისმა ხაბარდამ გახამებულმა
შიშველი ტანი ვეღარ შეფუთნა
და აშრივდა აბრეშუმივით,
თითქოს დასერა ასმა ბებუთმა.
დაუფერავნი ვერცხლის სევადით
ხეები გახდნენ უფრო მალღები
და ცის შორეულ ჰორიზონტივით
მდინარის გაღმა ყეფდნენ ძაღლები.

როცა გამოვცდით მყუდრო მაყვლიანს
და ყრუ ძეძვნარებს, მე სველ სილაზე
გავშალე მისი დამძიმებული
და მოელვარე თმების სინაზე.
მან შემოიხსნა წელზე სარტყელი
და გაიხადა ჭრელი ფარავი,
მე მოვისროლე ამოქარგული
ჩემი ჯუბაჩა და იარაღი.
არც ვარდის ფურცლებს და არც ნიჟარებს
არა აქვთ კანი ისე ნატიფი,
და მთვარიანში ისე არ ბრწყინავს
განათებული ყვითლად სათიბი.
გაელვებული სველი სინათლით
და ასხლეტილი ცივი შეხებით,
ბადეში გაბმულ კალმასებოვით
არ მიკარებდნენ მისი ფეხები.



იმდღეს სადაფის თეთრი ფაშატით,
 უბადლო გზებზე — შეუსვენებლივ,
 უუზანგებოდ და უაღვიროდ
 მე ვიჯირითე შმაგი ჭენებით.
 ნდომაკეთილი ჩვენი გაცნობა
 მახამის უსიტყვოდ და უქამანდოდ,
 და როგორც მამრს და ვაჟკაცს შეჭფერის
 არ ვიტყვი იმას, რაც მან გამანდო.
 როცა კოცნით და სილით მოსვრილი
 წყლის ნაპირიდან წამოვიყვანე,
 გზად ძეძვიანის მჭრელი დაშნები
 ბასრი შეხებით ჩხვლეთდნენ სიღამეს.

ვით ნამდვილ ბოშას შეეფერება
 მე უშურველი ვიყავ მისადმი —
 მრეში ატლასის დიდი ზარდახშა
 ვაჩუქე ერთი — ხელსაქმისათვის,
 მაგრამ მე იგი არ შევიყვარე,
 რადგან პასუხად სიტყვამისაგებს —
 არ მითხრა სხვისი ცოლი რომ იყო,
 როცა მიმყავდა მდინარისაკენ.

უოლტ უიტმენი

შიში, დათმობა, სიღარიბე

შიში, დათმობა, სიღარიბე —
 ჩემი ძველი დამთრგუნველი, სასტიკი მტრები!
 (მაგრამ რა არის კაცის სიცოცხლე,
 თუ არა მტერთან შერკინება გამუდმებული?)
 შეგინებულ ვაჟკაცობავ, ვნებას რომ ჰკლავ და ახშობ გულისთქმას,
 გულგატეხილი მეგობრობის მწვავე ტკივილო,
 (ყველაზე დიდი სატკივარი, ეგ არის ჩემთვის),
 ცუდმედრობავ, ჭორიკნობის ღვარძლო და შურო,
 ფუჭი ლაყობის სიდუხჭირვე
 (და მე ვიყავი მოლაყბეთა შორის პირველი),
 აუხდენელო ოცნებანო,
 გულს დაგუბულ მოუღარებავ, ბოლმის სიმწარვე,
 ადრეა, ადრე თქვენნი ზვიმი!
 კვლავ იხუვლებს და მოზღვავდება ჭეშმარიტი ნიშატი ჩემი,
 ბჭეს და ზღუდეებს გადამოანგრევს და ყველაფერს დაიმორჩილებს,
 კიდევ წამოვა ის საბოლოო გამარჯვების მძლე იერიშით!

ალექსანდრ ბლოკი

*
* *

გახსოვს, ყურეში წყალი დამდგარი,
გარინდებული სიციხით და თვლემით,
როცა ნავსადგურს მწყობრში ჩამდგარი
მოაღვა ოთხი სამხედრო გემი.

ოთხივე რუხი; და ჩვენ — ბიჭები
ვეღარ ვძლებოდით მათი ყურებით
და შედიდურად დააბიჯებდნენ
მზით გარუჯული მეზღვაურები.

ლალი და ვრცელი გახდა ქვეყანა,
მაგრამ უეცრად, მსობოლნი ამაყად —
ოთხივე, — ვნახეთ, — უკიდევანთ,
ყრუ ოკეანემ როგორ დამარხა.

და კვლავ უმსგავსი გახდა შორეთი
და უნიათო — ყურე მშიშარი,
როცა დაბალი სემაფორიდან
უკანასკნელი მისცეს ნიშანი.

მაინც რა ცოტა რამე გვჭირდება
ბავშვებს, — მე და შენ, რომ გაგვახაროს,
და გული შვებით ვით აზვირთდება
როს დაინახეს ახალ სამყაროს.

ჯიბის დასაზვ ბავშვურ გუმანით
შემთხვევით ჰპოვე ბრე ან ბულული
და მზისქვეშეთი კვლავ იდუმალი
ნისლით იქნება შემთბურული.

ანა ახმატოვა

*

* *

და არ ყოფილა არც ბავშვობა ვარდითფენილი,
 არც ნაზი ჭურჭელი, თოჯინები, არც გულკეთილი
 დეიდები და არც პირქუში ბიძები, და არც
 არავითარი ნაცნობები თვით კენჭებს შორის.
 მე იმთავითვე ჩემი თავი მეჩვენებოდა
 ვიღაცის ბოდვად თუ ზმანებად, ანდა უცნაურ
 სარკეში ნახულ უმიზეზო, უხორცო, უხმო
 და უსახელო მოლანდებად. ვიცოდი უკვე,
 იმთავიდანვე სია ყველა დანაშაულის,
 რომლებიც უნდა ჩამედინა. და აი, კრძალვით,
 მთვარეულივით შევაბიჯე მე ცხოვრებაში
 და შევაშინე მე ცხოვრება: იგი ჩემს ფეხქვეშ
 ფიანდაზივით გაიშალა, როგორც მინდორი,
 სადაც ოდესღაც პერსეფონე დასეირნობდა.
 და ჩემს წინაშე, — უთვისტომოს და უგერგილოს
 წინაშე უცებ ბჭე განიღო მოულოდნელი
 და მომეგება მხიარული ყიჟინით ხალხი:
 „იგი მოვიდა, როგორც იქნა, მოვიდა იგი“.
 ხოლო მე მათი აღტაცებით გაოცებული
 ვფიქრობდი: „აღბათ შეიშალნენ ჭკუაზე-მეთქი“...
 მერე, რაც უფრო გაშმაგებით მასხამდნენ ხოტბას
 და აღტაცებას გამოსთქვამდნენ რაც უფრო მეტად,
 ჩემთვის მით უფრო ბნელდებოდა წუთისოფელი,
 და უფრო მეტად მინდებოდა გამოღვიძება,
 რადგან ვიცოდი, — გადვიხდიდი ასმაგად ყოველს
 ციხეში, სახლში, სამარეში ან საგიჟეთში,
 ყველგან — იქ, სადაც უწერიათ გამოღვიძება
 ჩემნაირთ, — მთავრამ გრძელდებოდა შვებით წამება.

□

ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჩიკვაიძემ

თავი I

შემთხვევა ეგერში

ეს მოხდა 1938 წლის 13 სექტემბერს, განთიადისას. ორმა ჩეხმა პოლიციელმა ველოსიპედებით დინჯად ჩაიარა სუდეტის უძველესი ქალაქის — ეგერის მთავარი ქუჩა. ისინი სასტუმრო „ვიქტორიასთან“ შეჩერდნენ. ველოსიპედები წიშკართან მიაყენეს და კიბეებს აუყვნენ, სადარბაზო შესასვლელისაკენ გაემართნენ. ვიდრე ერთ-ერთი მათგანი ზარის ღილაკს თითს აჭერდა, მეორემ ტყავის საველე ჩანთიდან ქალაქის ფურცელი ამოიღო. ეს იყო ქალაქ ხეხის (ასე უწოდებდნენ ჩეხები ეგერს) სამხედრო მოსამართლის, დოქტორ ანტონ დრიაკის მიერ ხელმოწერილი ორდერი, რის საფუძველზედაც პოლიციელებს სასტუმრო „ვიქტორიაში“ საგულდაგულო ჩხრეკის ჩატარების უფლება ენიჭებოდათ, რადგან იქ სუდეტელ გერმანელებს ნაციონალ-სოციალისტთა პარტიის შტაბი გაემართათ და ფიქრობდნენ, რომ უკანასკნელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში იქაურობა მალულად შემოზიდული იარაღის საწყობად იქნებოდა გადაქცეული.

ცივი, ღრუბლიანი, ცრიატი დილა იდგა. ქუჩებში კაცი არ ჭაჭანებდა. „აბა, კიდევ ერთხელ დარეკე“, — გადაულაპარაკა პოლიციელმა თავის თანამგზავრს და ზარი კვლავ აწკრიალდა, მაგრამ ამჯერადაც არავინ გამოპასუხებიათ. შენობაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ქუჩაც თითქოს უჩვეულოდ განაბულიყო.

დუმილით გაგულისებულმა და აღშფოთებულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა ანაზღად კარს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტები დაუშინა, მეორემ წელზე რევოლვერი მოისინჯა, აქაოდა, სიფრთხილეს თავი არა სტკივანო. სწორედ ამ დროს მალეიდან რაღაც ხმაური შემოესმათ. პოლიციელი კარს მოშორდა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, უნდოდა ზევით აეხედა, მაგრამ ვერ მოასწრო, ვილაცამ უეცრად ტყვია შიგ შუბლში დაახალა. იგი წამით დაბარბაცდა, მერე კიბეებიდან თავქვე გადმოეშვა და ქვაფენილზე ზღართანი მოადინა. სხეული დაეკრუნჩხა, ძლივს გასაგონად რაღაც ამოიგმინა და მალე სულიც განუტევა.



სამარისებურ სიჩუმეს მეორე პოლიციელის მძიმე სუნთქვალა არღვევდა. კაცმა კიბეები კისრისტეხით ჩაირბინა, თავის ველოსიპედს ეცა, მაგრამ შეჯდომა რომ ვერ მოახერხა, იქვე მიაგდო და თავქუდმოგლეჯილი, მეზობელი შენობის კუთხეში მიიმალა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. სასტუმროდან ჩამიჩუმი არ გამოდიოდა. ქუჩებშიც არავინ ჩანდა. კრიალა ქვაფენილზე გაშხლართული ჩეხი პოლიციელი სისხლის გუბეში ცურავდა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ სადარბაზოს კარი გაიღო, სასტუმროდან ვილაც ახალგაზრდა გამოვიდა, ბრიჯები და დაბალყელიანი ჩექმები ეცვა, ყავისფერი პერანგი ემოსა, მარცხენა ხელზე სვასტიკიანი სამკლავური ეკეთა. მან სწრაფად მიირბინა გვამთან, ფეხით პირალმა ამოაბრუნა, რევოლვერიანი ქამარი შეხსნა, მხარზე გადაიგდო და ისე დინჯად გაბრუნდა უკან, გეგონებოდათ, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო, მაგრამ უცბად რალაც ხმაური შემოესმა და, თავზარდაცემული, უმაღვე სადარბაზოს კარისაკენ გავარდა.

ქალაქ ეგერის პოლიციის დროებითი სამხედრო შტაბის ორი მუზარადიანი, იარაღმომარჯვებული მოტოციკლისტი შემთხვევის ადგილისაკენ მოიჩქაროდა. მათ თავიანთი მოტოციკლეტები იქვე, კუთხეში გააჩერეს, მაგრამ ძრავა არ გამოურთავთ. გავიდა რამდენიმე წუთი და მთელი ქუჩა სასტუმროსაკენ ტყვიამფრქვევმიმარჯვებული ჯავშნოსანი მანქანებით აივსო. მათ მოულოდნელად სროლა აუტეხეს შენობას და მეორე სართულის მინები სულ ერთიანად ჩაღეწეს. „ახლავე დაგვნებდით, თორემ ყველას ამოგხოცავთ“, — გერმანულად, ოღონდ ჩეხური აქცენტით დაიძახა მეგაფონში რომელიღაც პოლიციელმა. ამის საპასუხოდ ტყვიამ შემზარავად გაიზუზუნა და წინ მიმავალ ჯავშნოსანს შეასკდა. სასტუმროდან კვლავ წამოვიდა ტყვიების სეტყვა. ფანჯრიდან ნატყორცნი ხელყუმბარა ქვაფენილზე სწორედ იმ დროს აფეთქდა, როცა ერთ-ერთი პოლიციელი თავისი მოტოციკლით ელვის სისწრაფით გავარდა მის ასაღებად, მაგრამ ვერ მიუსწრო და ყუმბარამ ქვა ქვაზე აღარ დატოვა — მოტოციკლეტიცა და მისი პატრონიც ნაცარტუტად აქცია. იქვე მდგარი ჯავშნოსანი ცეცხლის ალში გაეხვია. მთელი ეს ხანი ტყვიამფრქვევს სასტუმროს ფანჯრებზე გამუდმებით მიჰქონდა იერიში.

ახლომახლო შენობებთან ნაღმსატყორცნებით შეიარაღებული ჩეხი ჯარისკაცები გამოჩნდნენ და სასტუმროს ჭურვები დააყარეს. ისე მარჯვედ ისროდნენ, მიზანს არ აცილებდნენ: ჭურვი ხან სახურავზე ფეთქდებოდა, ხან — შიგ შენობაში. ერთი წყალსატუმბ ავზს დაეცა.

დიდხანს გრძელდებოდა ეს ორომტრიალი. სროლა მთელი დილა არ მიწყნარებულა. ასე, შუადღე იქნებოდა, როცა სასტუმროს ერთ-ერთ სარკმელში თეთრი ბაირალი გამოვიდა. მერე ის ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, იმ დილით მოკლულ ჩეხ პოლიციელს რევოლვერი რომ აართვა. ხელები თავზე შემოეწყო და ისე მოაბიჯებდა. ცრემლსადენი გაზისაგან თვალებზე ცეცხლი ეკიდებოდა და ცდილობდა ცრემლები იდაყვებით მოეწმინდა. სასტუმროში მხოლოდ ორი კაცი გადაურჩა სიკვდილს, რვა სუდეტელი გერმანელი კი სიცოცხლეს გამოესალმა.

ბედმა გაუღიმა კარლ გერმან ფრანკსაც, რომელიც მეორე კაცად ითვლებოდა სუდეტელი გერმანელების ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. ჯერ ისევ სროლა იყო გაჩაღებული, როცა იგი ფანჯრიდან ეზოში გადაცოცდა და პარტიის ერთ-ერთი წევრის სახლს შეაფარა თავი. იქიდან კი თავიანთი პარტიული ხელმძღვანელობის შტაბში, ქალაქ აშში ჩაიყვანეს. კარლ გერმანმა თავის შეფს კონრად ჰერლაინს დაწვრილებით მოახსენა პოლიციასთან შეტაკების ამ-

ბავი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში მას რვა ამხანაგი გამოეცალა ხელიდან, ფრანკი მაინც გახარებული იყო და გამარჯვებას ზეიმობდა. საამისო მიზეზიცა ჰქონდა. მასზე გაცილებით უფრო სიმპათიურ და ლმობიერ ჰერლაინს ეტყობა არ მოსწონდა თავისი ხელქვეითის ასეთი უსულგულო დამოკიდებულება დაღუპული ამხანაგების მიმართ, მაგრამ ამ ინციდენტის ფასიც მიშვენივრად იცოდა. „ჩვენი მეგობრები თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ, — თქვა მან. — ჩვენმა გამოასალმეს ისინი სიცოცხლეს, მაგრამ ჩვენ მათ არასოდეს დავივიწყებთ. სწორედ რომ კარგ დროს ისახელეს თავი“. აღელვებულმა ჰერლაინმა კაბინეტში პირადი მდივანი იხმო; „ფიურერს დაუყოვნებლივ უნდა შევატყობინო ყველაფერი. ახლა ადოლფ ჰიტლერს შეუძლია მთელს მსოფლიოს აუწყოს, რომ სუდეტელი გერმანელებისა და ჩვენების ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია, მოლაპარაკების გაგრძელება წყლის ნაყვია და სხვა არაფერი. სუდეტელ გერმანელებს რაიხს იქით გზა არა აქვთ“, — გაჰყვიროდა ჰერლაინი.


იმ დღესვე მან საზღვარს გადაღმა სპეციალური შიკრიკი აფრინა, ხოლო ჰიტლერს ბავარიის ქალაქ ბერტესგადენში ტელეგრაფით აცნობა, რა მიუხანათურად გამოასალმეს ჩვენმა სიცოცხლეს რვა უიარალო სუდეტელი გერმანელი.

სუდეტელ გერმანელთა მკვლელობის ამბავი ჰიტლერს გულზე ტუზივით დაეცა. სწორედ 15 სექტემბერს გამოემგზავრა ლონდონიდან გერმანიას სასოწარკვეთილი ინგლისის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი რაიხსკანცლერთან შესახვედრად, იმ მძიმე პრობლემის გადასაწყვეტად, იმხანად მთელ ევროპას აგრერიგად რომ აშფოთებდა: საჭირო იყო ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები სუდეტელი გერმანელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მაგრამ ისე, რომ გერმანიას ინგლისი და საფრანგეთი ან მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანა ომში ვერ ჩაეთრია.

დღემდე ზოგიერთ ისტორიულ სასიათის წიგნში 1938 წლის სექტემბრის დილას ქალაქ ეგერში, სასტუმრო „ვიქტორიას“ წინ გამართული შეტაკების ამბავს თითქმის არც კი იხსენიებენ. განა ღირდა ამაზე ლაპარაკი — ბრძოლაში სულ რაღაცდენიმე კაცი მონაწილეობდა და მათგან მხოლოდ რვა დაიღუპა. მაგრამ ამ ინციდენტმა გადაამწყვეტი და ტრაგიკული გავლენა მოახდინა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე დასავლეთ ევროპაში. ამბობენ, 1914 წელს სარაევოში გასროლილი ყუმბარით დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მეორე მსოფლიო ომი ეგერში აფეთქებულ ყუმბარებს არ გამოუწვევია, მაგრამ სწორედ ამან განაპირობა ჩეხოსლოვაკიის მომავალი იმ კრიტიკულ ჟამს, როცა ორი სახელმწიფოს მეთაურს — ჰიტლერსა და ჩემბერლენს ამ ქვეყნის შემდგომი ბედი უნდა გადაეწყვიტათ¹.

¹ 1914 წლის 28 ივნისს იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში „შავი ხელისა“ და „მლადა ბოსტის“ იატაკქვეშა ორგანიზაციების წევრმა სერბიელმა ნაციონალისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სერბიის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი. კაიზერის გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ეს ფაქტი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს; ამ საბაბით ისინი თავს დაესხნენ სერბიას და პირველი მსოფლიო ომი გააჩაღეს.

ავტორი ცდილობს „გასროლა სარაევოში“ და ეგერში მომხდარი პროვოკაცია ომის გამომწვევ მიზეზად წარმოაჩინოს, როგორც ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ისტორიკოსებს სჩვევიათ ხოლმე, რითაც სურთ მიჩქმალონ ომების წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური არსი, ცდილობენ თვალი აარიდონ ნათვარ დამნაშავეებს — გერმანიასა და საერთაშორისო იმპერიალიზმს (მთარგმნელის შენიშვნა).



წიგნი მოგვითხრობს ომისწინა მშვიდობიანი პერიოდის უკანასკნელ მშფოთ-ვარე დღეებსა და პირველ, უღმობელ ბრძოლებზე, როცა ევროპაში 1938 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. წიგნი ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მომხდარი სამწუხარო ფაქტები გაშუქებული არ არის, მაგრამ ომის წინა თვეებში ევროპაში შექმნილი ვითარების გასარკვევად აუცილებელია იმ მოვლენათა მოკლე მიმოხილვა, რომლებიც წინ უძღოდნენ უკანასკნელ მშვიდობიან თვეებს.

1938 წლის ზაფხულში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და მათ მეტაურებს შიშით თავგზა პქონდათ აბნეული, რადგან წინასწარ გრძნობდნენ, რომ ერთი კაცი მათ უთუოდ ფათერაკს რასმე გადაჰყრიდა. ეს კაცი გერმანიის კანცლერი, ადოლფ ჰიტლერი გახლდათ².

იმხანად დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ განაგებდა ერთ ვებერთელა იმპერიას, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვდა. მას ჰყავდა სანაქებო საზღვაო ფლოტი, ხელთ ებყრა უზარმაზარი ტერიტორია, საიდანაც სურსათი, ნედლეული და ოქრო შემოჰქონდა. ინგლისის მოკავშირე საფრანგეთს ევროპაში უძლიერესი არმია ჰყავდა და მის ზოგიერთ პოტენციურ მეტოქეს ეს არმია ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანადაც კი მიაჩნდა.

მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა პროპაგანდის, მუქარისა და შანტაჟის გზით შეძლო დაერწმუნებინა ამ სახელმწიფოთა მეტაურები, რომ მათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევდათ და თუ მის მოთხოვნებს ყურად არ იღებდნენ, უმაღვე ზვავივით დაიძრებოდა და ყველას მიწასთან გაასწორებდა.

1933 წელს, როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოექცა, ჰიტლერმა გერმანია ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოდ აქცია. გერმანიის დიქტატორს ერთხანს მოსვენებას უკარგავდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ძლიერება, რადგანაც ინგლისის ფლოტს შეეძლო გერმანია ალყაში მოექცია, რის შედეგადაც იგი მოსწყდებოდა იმ ქვეყნებს, საიდანაც სურსათით მარაგდებოდა, და იძულებული გახდებოდა ფარ-ხმალი დაეყარა, როგორც პირველი მსოფლიო ომის ღრთს დაემართა. მაგრამ 1935 წელს იტალიამ აბუჩად აიგდო მთელი ცივილიზებული სამყარო და თავს დაესხა აბისინიას, რომელიც იმხანად აფრიკის ზოგიერთ ქვეყანასავით ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის სტატუსს ინარჩუნებდა. იტალიის დიქტატორის, ბენიტო მუსოლინის აგრესიულმა აქტმა ყველგან და, განსაკუთრებით, ინგლისში ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, გარდა ამისა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა დიდი ბრიტანეთის იმპერიის კომუნიკაციებსა და სტრატეგიულ პერსპექტივებს. სწორედ ახლა უნდა ემარჯვა ინგლისს და ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ ასეთ მუქარას გულხელდაკრეფილი არც ის შეხედებოდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ინგლისელები მხარს უჭერდნენ თავიანთ მთავრობას, თუმცა ასეთი მხარდაჭერა მორალური მოსაზრებებით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე პოლიტიკური შეხედულებებით.

ადოლფ ჰიტლერი მოუთმენლად ელოდა, როდის გაამჟღავნებდნენ ინგლისელები თავიანთ ზრახვებს. როცა ჰიტლერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბარონი ერნსტ ფონ ვეიცი-ზეკერი ეწვია და იტალიელების უსტარი გადასცა აღმოსავლეთ აფრიკაში სა-

² ვერსია იმის შესახებ, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველ წრეებს ჰიტლერი შიშისზარს სცემდა, სიმართლეს არ შეეფერება. ინგლისი, საფრანგეთი და აშშ ომის წინა წლებში ყოველნაირად ცდილობდნენ ფაშისტური გერმანიის აგრესია მხოლოდ ერთი მიმართულებით, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ წარემართათ (მთარგმნელის შენიშვნა).

ზღვას ოპერაციების ჩასატარებლად სამხედრო ხომალდების დროებით გამოყოფის თაობაზე, კანცლერმა ბარონს უთხრა: მიეცით იტალიელებს ასე ხომალდი! დარდი ნუ გაქვთ, დაუზიანებლად დაგვიბრუნებენ უკან. ერთს კი მივლენ სუეცის არხამდე, მაგრამ იმის იქით ფეხს ვეღარ მოიცვლიან. იქ ინგლისელების ლინკორი — „რიპალსი“ დაუხვდებათ და „კურსი საით ავიღიათ?“ ჰკითხავს. „სამხრეთისაკენ“, — უპასუხებენ იტალიელები. „სამხრეთისაკენ კი არა, ჩრდილოეთისაკენ მიემართებითო!“ — დაარწმუნებენ ინგლისელები და იტალიელებიც უმაღვე პირს ჩრდილოეთისაკენ იბრუნებენ.

ჰიტლერს ერთხელ თავისი ადიუტანტისათვის, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ძველი მეგობრის, ფრიც ვიდემანისათვის უთქვამს: „საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იტალიელებს ინგლისელები მირჩევნია. მართალია, მუსოლინი უფრო ახლობელია ჩემი, მაგრამ ინგლისელებს პირველი მსოფლიო ომის დროიდან ვიცნობ და გამოცდილებით ვიცი, რა მაგარი ბიჭებიც არიან; თუ მუსოლინის ჰგონია, რომ ინგლისელების ფლოტს ხმელთაშუა ზღვიდან სხვის დაუხმარებლად ალაგმავს, ძალიან ცდება“.

მაგრამ მუსოლინის ანგარიში არ ეშლებოდა. იტალიელებმა თავიანთი მოუმზადებელი და პირადი შემადგენლობით დაუკომპლექტებელი ფლოტით (მოგვიანებით ერთმა ინგლისელმა ადმირალმა „სულის შებერვით ჩასაპირად ვანწირულ ქალაქის ნაგების ესკადრას“ რომ შეადარა) ისე მოხერხებულად აუხვიეს ინგლისელებს თვალი, რომ იმათ ნავსადგურიდან ღია ზღვაში გასვლაც კი ვერ გაბედეს. თურმე ნუ იტყვიან, მაშინ ინგლისელებს შეეძლოთ საიმედოდ ჩაეკეტათ სუეცის არხი და იტალიელებისათვის არხის გახსნის ყოველგვარი შესაძლებლობა სამუდამოდ წაერთმიათ. აბისინიაში იტალიელთა ჯარი თავის ბაზებს მოსწყდებოდა და მარტოდმარტო დარჩენილს დამარცხება არ ასცდებოდა. ამის ნაცვლად, იტალიელთა რეპრესიებით დაშინებულმა ინგლისელებმა არხი უპატრონოდ მიატოვეს. იტალიელებმა საბოლოოდ დაიპყრეს აბისინია. ჯარითა და სამხედრო ტექნიკით დატვირთული მათი ხომალდები არხზე ისე მიმოდიოდნენ, აინუნშიც არავის აგდებდნენ.

ადოლფ ჰიტლერი მართლაც არ მოელოდა, თუ ბრიტანეთის ბებერ ლომს ასე თავივით დაჩიავებულს იხილავდა. ის დღე იყო და ის დღე, გერმანიის კანცლერი ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1936 წელს მან თავის ჯარებს უბრძანა ვერსალის ხელშეკრულების თანახმად მოკავშირეთა მიერ დემილიტარიზებულ ტერიტორიად გამოცხადებული რაინის ზონა დაეპყროთ; ამასთანავე ჰიტლერმა სარდლები წინასწარ გააფრთხილა, თუ ინგლისელები თავიანთ სამხედრო ფლოტს საბრძოლველად მოამზადებენ და სამხედრო-საჰაერო ძალთა მობილიზაციას მოახდენენ, ჩაფიქრებულ ოპერაციაზე უმაღვე ხელი უნდა ავიღოთო. მაგრამ ინგლისელებს თითქმის არ გაუნძრევიათ. ამან კიდევ უფრო დააეჭვა ჰიტლერი, დიდი ბრიტანეთის ლომს მართლა ძალა ხომ არ გამოლევიანო. 1938 წლის 4 თებერვალს ჰიტლერმა გერმანიის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია მოახდინა და თავი მთავარსარდლად გამოაცხადა. ერთი კვირის შემდეგ ავსტრიის კანცლერი კურტ ფონ შუშნიგი ბერტესგადენში იხმო და დაემუქრა, თუ შენს ქვეყანაში ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდის აღკვეთას მოითხოვ, მკაცრი სასჯელი არ აგცდებათ. შუშნიგმა მიიღო ჰიტლერის ულტიმატუმი, რომლის შემწეობითაც ნაციონალ-ტებს ავსტრიაში ფრთების გაშლის საშუალება ეძლეოდათ, ხოლო ერთი თვის

შემდეგ, როცა შუშნიგმა ავტონომიის საკითხის გადასაწყვეტად პლებისციტი გამოაცხადა, ჰიტლერმა თავისი ჯარით საზღვარი გადალახა და ვენაში ტრიუმფით შევიდა. ამრიგად, ეს იყო პირველი დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც მან გერმანიის რაიხის უღელი დაადგა. ჰიტლერს ღრმად სწამდა, რომ ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი მის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ გაბედავდნენ და უნიტო პროტესტით დაკმაყოფილდებოდნენ. მართლაც ასე მოხდა. როცა ნაცისტთა დამკვირვებმა ბრიგადებმა ვენაზე იერიში მიიტანეს, როცა ქალაქში უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა დაიწყო, ხოლო ებრაელები და დემოკრატები საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს, თავი არავის გამოუდგია.

მაინც რისა ეშინოდათ ინგლისსა და საფრანგეთს? ისინი ხომ იმხანად ჯერ კიდევ ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ?

რიგით ინგლისელებსა და ფრანგებს შიში სწორედ რომ არაფრისა ჰქონდათ. უბრალოდ, გერმანიაში ნაცისტური მოძრაობის აღზევებას თვალს ადევნებდნენ და ეს ამბავი სულაც არ ეჭმნიკებოდათ. კითხულობდნენ ცნობებს იმაზე, თუ როგორ სდევნიდნენ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს რასობრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური მრწამსის გამო. მათ აქამდე საკონცენტრაციო ბანაკებზე სიტყვაც კი არ გაეგონათ. კინოქრონიკებში ნაცისტური პარტიის თავაშვებულ მეთაურთა მუქარისა და ტრაბახის მეტი არაფერი ესმოდათ. ინგლისისა და საფრანგეთის რიგით მოქალაქეებს ჭირის დღესავით ეჯავრებოდათ ნაცისტები და გუმანით გრძნობდნენ, რომ უთუოდ სადავეების აკრეფა იყო საჭირო, თორემ ეს ხალხი მათ მშვიდობიან ყოფას საცაა ბოლოს მოუღებდა. გერმანელთა საქციელმა ინგლისელები დაარწმუნა, რომ უბადრუკი ლიდერების მეთაურობით ამხედრებული ტირანული სულისკვეთების ადამიანები მათ კარგს არაფერს უქადდნენ. ფრანგები გერმანელებს წინანდებურად „ბინძურ გერმანელებს“ უწოდებდნენ.

გერმანიის გაძლიერებამ ინგლისისა და საფრანგეთის ბევრი რჩეული ხელმძღვანელიც შეაშფოთა. ირგვლივ გამეფებულმა პანიკამ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს აზროვნების უნარი წაართვა. საფრანგეთში შემარჯვენე რეაქციული წრეების გამუდმებულ ინტრიგებს პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა და მემარცხენენი პოლიტიკურ სარბიელს ჩამოშორდნენ. ამით მათ გზა გაუკვალეს ახალ ხელისუფლებას ედუარდ დალადიეს მეთაურობით, რომელიც ღმერთს პოლიტიკოსად არ გაეჩინა. მაგრამ თავი და თავი ის იყო, რომ მის მთავრობას ძალაუფლება ხელთ მტკიცედ არ ეპყრა. დალადიე აიძულეს, მთავრობაში ყველაზე გავლენიან თანამდებობაზე — საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე — ჟორჟ ბონე დაენიშნა, რომელიც საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიაში ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბნელი პიროვნება.

ამ ორი სახელმწიფოს ე. წ. „მმართველი კლასები“ შიშით ძრწოდნენ გერმანიის წინაშე; ესენი იყვნენ დიდგვაროვანი ბატონები და ქალბატონები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი და წარჩინებული პირები, რომლებიც, განურჩევლად იმისა, მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ თუ არა, მაინც მმართველ კლასს მიეკუთვნებოდნენ და დიდებულად იცოდნენ ძალაუფლების გამოყენება. საფრანგეთში ეს ხროვა სულით-ხორცამდე კორუფციის სენით იყო დასნეულებული და ფარ-ხმალის დასაყრელად მომზადებული.

გერმანიის მუქართა და თავიანთი ქვეყნის შიგნით კომუნიზმის საფრთხით შეშფოთებულები ცდილობდნენ, ნაციონალ-სოციალისტებს შეთანხმებოდნენ, რათა მათი ხელშეწყობით ადვილად ჩაეხშოთ წითელი რევოლუცია. ამ ადამიანებს

არც საკუთარი თავის იმედი ჰქონდათ და არც თავიანთ ხალხს ენდობოდნენ. რაც უფრო აგრესიული ხდებოდა გერმანია, მით უფრო ფრთხილობდნენ ისინი და სირაქლემასავით თავს ქვიშაში მალავდნენ, იქნებ ამასობაში ქარიშხალმაც ჩაიაროსო. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად საფრანგეთს ევროპაში უძლიერესი არმია ჰყავდა და ჰიტლერული გერმანიის მუქარის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებიც ჰქონდა დადებული, ამ ქვეყნის მმართველი კლასები მაინც სასოწარკვეთილებას შეეპყრო. ამიტომ იყო, რომ ამ ხალხმა ევროპაში მშვიდობის დაცვის, სტაბილურობისა და ქვეყნის უშიშროების განმტკიცების საქმე თავის მოკავშირეს — დიდ ბრიტანეთს გადაულოცა.

ამ ამბამდე ერთი წლით ადრე კონსერვატორთა პარტიის მეთაურის პოსტზე სტენლი ბოლდუინი პრემიერ-მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა შეცვალა. ასეთ რთულ ვითარებაში ეს არჩევანი ძალზე გონივრული არ ყოფილა. 1938 წლისათვის მსოფლიოში საერთაშორისო მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და დიდ ბრიტანეთს ყველგან, დედამიწის ყოველ კუთხეში, გააფთრებული მტერი ემუქრებოდა. ახლა ინგლისს ისეთი შეუპოვარი ლიდერი ესაჭიროებოდა, რომელიც იგრძნობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შეძლებდა ინგლისელი ხალხის დარაზმვას მოახლოებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მმართველ კონსერვატიულ პარტიაში პარლამენტის წევრთა ერთი პატარა ჯგუფი ნათლად ხედავდა, რომ დიდი ბრიტანეთი უფსკრულის პირას იდგა და დაბეჯითებით მოითხოვდა შეიარაღების ახალი პროგრამის დაუყოვნებლივ შემუშავებას, ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი, მტკიცე და პოზიტიური პოლიტიკის გატარებას გერმანიისა და იტალიის დიქტატორების მიმართ. ამ ჯგუფს სათავეში უინსტონ ჩერჩილი ედგა, რომელიც წინასწარ ჭვრეტდა კარზე მომდგარ უბედურებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ იმ დროს გამეფებული გუნება-განწყობილების შესაბამისად ჩერჩილს მეგობრებმა იერემია შეარქვეს, ბიბლიაში ბედისმომდურავ გულთამხილველად რომ გვევლინება. ნევილ ჩემბერლენს ჩერჩილი გულზე არ ეხატებოდა და კაბინეტის შემადგენლობაში მისი შეყვანის დიდი წინააღმდეგი იყო. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჩემბერლენი არასდროს აწინაურებდა იმ პირებს, ვისაც ნაციზმი ანათემად მიაჩნდა და გერმანიასთან ომი გარდაუვალად ესახებოდა, თუმცა მისი კაბინეტის ორი მინისტრი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გერმანია ინგლისს კარგს არაფერს უქადდა. ჩემბერლენი ამ ხალხს სათოფეზე არ იკარებდა და თავის გულისნადებს არასდროს უზიარებდა. როცა ჩემბერლენის გეგმებს ნათელი მოეფინა, გვიანლა იყო თითზე კბენანი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარა ჰქონდა.

ინგლისელი ისტორიკოსები ნევილ ჩემბერლენს ათასგვარად გვისურათებენ: ხან გაბრიყვებული სახელმწიფო მოღვაწე წარმოგვიდგება თვალწინ, ხან ვითარების მსხვერპლი, ხანაც ქვეყნის დამაქცევარი, მიაბიტი პოლიტიკოსი, უთანასწორო ბრძოლაში უშიშარი მებრძოლი. მაგრამ ამასთანავე ისინი ერთხმად დასძენენ: ჩემბერლენი ცდილობდა, ყველაფერი გამოსვლოდა. კეთილი, უბრალო, პირდაპირი და გულახდილი ადამიანი იყო, — თუმცა ფაქტები მოწმობენ, რომ ჩემბერლენს ეს ეპითეტები სულაც არ მიესადაგებოდა. ჩემბერლენი, როგორც ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში ხშირად ხდებოდა ხოლმე, თავის პარტიას პოლიტიკურ სარბიელზე მიღწეული წარმატებების წყალობით კი არ მოექცა სათავეში, — ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება იმან განაპირობა, რომ იგი არც ღვინო იყო და არც წყალი და ჭკუა-გონებითაც არავის აოცებდა.

მამამისი ვიქტორიანული ეპოქის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ, ხოლო ძმა (დედით სხვადასხვა იყვნენ), ოციანი წლების გამოჩენილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ თვით ნევილს, როგორც ერთმა მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ აღნიშნა, განგებამ ისეთი თვისებები დაანათლა, რომ გაჭირვების ჟამს სულ იოლად შესძლო ბირმინჰემის მერი გამხდარიყო. სწორედ თავის ხასიათს უნდა უმაღლესად, ოციან-ოცდაათიან წლებში კონსერვატორული პარტიის მთავრობაში სხვადასხვა სამინისტროების ხელმძღვანელ პოსტებზე რომ დაწინაურდა. საქმეს, მართალია, ყოველთვის ბრწყინვალედ ვერ უძღვებოდა, მაგრამ ცდილობდა ყველაფერი მარჯვედ გაეკეთებინა³. ეკონომიკაში იგი დაბეგვრის დაბალი ნიხრის მომხრე იყო, ბიუჯეტის გაწონასწორებისაკენ ისწრაფოდა, სახელმწიფო თანხების გაღება მშვიდობიანი მიზნებისათვის უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, ვიდრე შეიარაღება და თვითმფრინავების მშენებლობა ჩემბერლენი საჭიროდ არ თვლიდა ინგლისის ხელახალ შეიარაღებას. მას ღრმად სწამდა, რომ მშვიდობის შენარჩუნება გონივრული მოლაპარაკების გზით უფრო შეიძლებოდა, ვიდრე ძალის მეშვეობით. შემდგომში უინსტონ ჩერჩილმა მოშვენივრად აგვიწერა, რა ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ანტონი იდენს პრემიერ-მინისტრთან, რათა დიქტატორის წინააღმდეგ მტკიცე ზღუდის შექმნის აუცილებლობა დაემტკიცებინა. „იდენს განსაკუთრებით შეიარაღების ნელი ტემპი უხეტქავდა გულს, — წერდა ჩერჩილი; — 1937 წლის 11 ნოემბერს იგი ესაუბრა პრემიერ-მინისტრს და სცადა როგორმე აეხსნა მისთვის, რა საფრთხის წინაშე იდგა ინგლისი, მაგრამ ნევილ ჩემბერლენმა ყურიც კი არ ათხოვა. უმჯობესია შინ წაბრძანდეთ და ასპირინი მიიღოთ, — დაარიგა“.

ჩემბერლენი, 1937 წელს პრემიერ-მინისტრის პოსტი რომ დაიკავა საოცრად გამოიცვალა. სანამ მინისტრი იყო, ან კიდევ კაბინეტის წევრი, კოლეგები მოკრძალებულ, უწყინარ ადამიანად იცნობდნენ, რომელიც თავის ექსპერტთა აზრებს უწყურადღებოდ არასდროს ტოვებდა და მკაცრად იცავდა სხვა დეპარტამენტის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპს. როცა საქმე საშინაო პრობლემას ეხებოდა, გარკვეულ ზღვრამდე ძველ პოზიციებს არც ახლა დალატობდა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ჩემბერლენს ყველაზე მეტად საგარეო პოლიტიკა იტაცებდა და თავი მაშინდელ საგარეო მინისტრზე უფრო უნარიან ხელმძღვანელად მოჰქონდა. გულდაჯერებული იყო, რომ წინათ, დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის პროფესიონალი მესვეურნი ღრმად ვერ სწავდებოდნენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს და არასწორი გეზი ჰქონდათ აღებული, რაშიც ზრალი იმ პროფესიონალებს მიუძღოდნენ, ვინც პრემიერ-მინისტრს საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხზე რჩევა-დარიგებას აძლევდა. მალე ყველა მიხვდა, რომ ჩემბერლენი ევროპაში ფაშისტური რეჟიმისადმი „ახლებური მიდგომით“ ფიქრობდა მასთან მორიგებას და ამით — კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებას. მან აშკარად აგრძნობინა ყველას, რომ ფორინ ოფისში⁴ ზოგიერთი თანამშრომელი ასეთი პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ჩემბერლენი

³ ჩემბერლენმა ჯანმრთელობის მინისტრის პოსტზე მუშაობისას ბევრი პროგრესული პრობლემა წამოაყენა, ამიტომ ასეთი დახასიათება ხანდახან სიმართლეს არ შეეფერებათ, აღნიშნავდა ერთ-ერთი რედაქტორი, რომელიც ჩემბერლენის ხელნაწერებს რედაქციას უკეთებდა (ავტორის შენიშვნა).

⁴ ასე უწოდებენ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს (მთარგმნელის შენიშვნა).

დარწმუნებული იყო, რომ დეპარტამენტების ხელმძღვანელები ფრანგულ ორიენტაციას იზიარებდნენ, მაშინ როდესაც საფრანგეთი, მისი აზრით, ევროპის კონტინენტზე უკვე დასწრეულ და პოლიტიკური კინკლაობით არაქათგამოცლილ ადამიანს ჰგავდა. სწორედ ეს ხალხი ცდილობდა პარიზთან საერთო ენის გამონახვას, ხოლო ბერლინის ძლიერი და რეალისტურად მოაზროვნე ხელმძღვანელები გულზე სულაც არ ეხატებოდათ.

ჩემბერლენს სჯეროდა, რომ ინგლისის პოლიტიკაზე ევროპაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე, პროფესიონალი დიპლომატი სერ რობერტ ვანსიტარტი, მისი აზრით კი ეს ინგლისს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. რობერტ ვანსიტარტი ევროპის მომავალი წინასწარ განჭვრიტა. მაგრამ ჩემბერლენი მას ზედმეტად ფრანგული ორიენტაციისა და მეტისმეტად ანტიგერმანული განწყობილების ადამიანად თვლიდა. პრემიერ-მინისტრმა მისი გზიდან ჩამოშორება გადაწყვიტა, წმინდა ინგლისური ტრადიციების თანახმად „ზევით მოისროლა“ და ინგლისის მთავრობის დიპლომატიურ მრჩევლად „დააწინაურა“; მაღალ თანამდებობაზე კი დანიშნა, მაგრამ ყოველგვარი უფლება ჩამოართვა. ვანსიტარტს ბარონეტის ტიტული მიუგდეს. ის დღე იყო და ის დღე, მერე მას საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ ღირსებია⁵.

შესაძლოა, ვანსიტარტი საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობის მრჩევლის უბადრუკ თანამდებობაზე არც კი გადაეყვანათ, იმხანად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, სახელმძღვანელო, ახალგაზრდა პოლიტიკურ მოღვაწეს ანტონი იდენს რომ არ სჭეროდა. იდენი ორმოცი წლისა იყო. მომნიშვნელო გარეგნობის, ენამოქარგული და გონიერი კაცი გახლდათ. იგი თვალნათლივ ხედავდა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა ევროპას და მტკიცედ სწამდა ჰიტლერისა და მუსოლინის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. სამწუხაროდ, ვანსიტარტი იდენის მოსაზრებას არ იზიარებდა. მას გერმანია მიაჩნდა ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელიც ევროპის უშიშროებას ემუქრებოდა და ასე ეგონა, ნაციზმთან გარდუვალ ომში იტალიის მისამხრობად იტალიის ფაშიზმის ხელმძღვანელთა დაშოშმინება იყო საჭირო და სხვა არაფერი. სწორედ ამის გამო შეუნდო მუსოლინის აბისინიაზე თავდასხმა, მაშინ როდესაც იდენი გახედულად ილაშქრებდა იტალიის ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ. ამ საკითხში ფორინ ოფისის ორი პასუხისმგებელი დიპლომატის შეხედულებები მკვეთრად ემიჯნებოდა ერთმანეთს. როცა ჩემბერლენმა ვანსიტარტის ფორინ ოფისიდან გამგება გადაწყვიტა, საერთაშორისო ვითარებაში ასე ბრწყინვალედ გარკვეული ადამიანის დასაცავად იდენს ხმა არ აუმაღლებია. მას რომ მაშინ პირში წყალი არ დაეგუბებინა, პრემიერ-მინისტრი ამ გადაწყვეტილებაზე უთუოდ ხელს აიღებდა, რადგანაც ეს იყო მისი ძალის პირველი დემონსტრაცია და არც ეგონა, თუ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდა. მაგრამ იდენმა მას წინააღმდეგობა არ გაუწია და ჩემბერლენმაც ადვილად შეასხა ფრთები თავის მიზნებს. როცა ეს ამბავი ვანსიტარტს მოახსენეს, მან იდენს თითქოსდა სამარადის ამოსძახა: ახლა თქვენი ჯერიაო!

⁵ ჩემბერლენმა ვანსიტარტი საგარეო პოლიტიკას სხვა მიზეზითაც ჩამოაშორა: ვანსიტარტი ჩუმად ხდებოდა ჩერჩილს და საგარეო პოლიტიკის დარგში მომხდარ ამბებს წვრილწვრილად ატყობინებდა, სადაზვერვო სამსახურის აგენტებს დაევალოთ მათი შეხვედრების შესახებ მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა (ავტორის შენიშვნა).



მართლაც ასე მოხდა.

გასაგებია ნევილ ჩემბერლენსა და მის საგარეო საქმეთა მინისტრს რატომ არ უხატებოდათ გულზე ერთმანეთი.

ჩემბერლენი კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. პარლამენტშიც თავისი ოჯახის წყალობით გაიკვალა გზა. მაშინ კარგა მოწიფული, ორმოცდაცხრა წლისა ბრძანდებოდა. იდენი კი ოცდაექვსი წლისა იყო. პარლამენტში რომ აირჩიეს, სოლო ოცდარვა წლისამ უკვე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა. იდენმა ყველაფრის ასავალ-დასავალი იცოდა, მაგრამ მარტო პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობის წყალობით როდი გებულობდა რა ხდებოდა ირგვლივ. კალამი შესანიშნავად უჭრიდა, მშვენივრად ერკვეოდა ხელოვნებაში. დიდად აფასებდა იმ მხატვრებს, რომელთა ტილოები მისი საცხოვრებელი აპარტამენტების კედლებს ამშვენებდნენ. აქ თქვენ შეგეძლოთ გეხილათ დუნიერ დე საგონზაკის, სინიაკის, პიკასოს, ბენ ნიკოლსონის, შაგალის და სხვათა დიდებული ფერწერული ნამუშევრები. იდენი თავისი შენიშვნებით ხშირად გულზე ხეთქავდა ჩემბერლენს: „ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ ისე ლაპარაკობთ ფრანკონიელებზე, მე მგონი არც იცნობთ მათ. როცა მე ნიურენბერგში ვცხოვრობდი“... და ა. შ.

იტალია იყო ამ ორ მოღვაწეს შორის ჩამოვარდნილი პრინციპული უთანხმოების ერთ-ერთი ძირითად მიზეზთაგანი. ჩემბერლენი ირწმუნებოდა, ბენიტო მუსოლინი ევროპული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორიაო და, მისი აზრით, ამ დიქტატორის დასაშოშმინებლად და მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ინგლისი ტყავიდან უნდა გამძვრალიყო; იდენს კი მუსოლინი უბრალო ქალაქის ვეფხვად მიაჩნდა. ჩემბერლენმა იტალიელთა გულის მოსაგებად იმდენი ქნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს აუკრძალა პროტესტი გამოეთქვა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ხმელთაშუა ზღვაში იტალიელთა წყალქვეშა ნაგების მიერ ინგლისის ხომალდების ჩაძირვის გამო. იგი თვლიდა, რომ მუსოლინისთან „განსაკუთრებული ურთიერთობა“ ჰქონდა, რამეთუ ამ იტალიელსა და ჩემბერლენის ნახევარ-ძმას ოსტინს ოციან წლებში გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ. ნევილმა რომში თავისი დისწულიც კი აფრინა მეგობრული უსტარით: მუსოლინის ეფიცებოდა, რომ მისი მთავრობა ყველაფერს იღონებდა, რათა ინგლისის საზოგადოებრიობას იტალიის მიერ აბისინიის მიტაცება კანონიერად მიეჩნია. ეს ამბავი მან არც იდენს გაანდო და საგარეო საქმეთა სამინისტროშიც კრინტი არავისთან დასცდენია⁶.

ეს არ იყო უბრალო ამბავი, მაგრამ იმათი აზრით, ვინც ნაციისტური მუქარის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს დარაზმვას აპირებდა, ჩემბერლენმა უფრო მცდარი ნაბიჯი 1938 წელს გადადგა. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო დღენიადაგ იმის ცდაში იყო, როგორმე ამერიკა ევროპის მწვავე კონფლიქტებში ჩაეთრია, რათა ბოლო მოღებოდა ამერიკის იზოლაციონიზმს და თუ ევროპაში ომი გაჩაღდებოდა, ინგლისს მატერიალური დახმარების იმედი მაინც ჰქონოდა. 1938 წელს, როცა ევროპელები ერთმანეთთან კინკლაობას უნდებოდნენ, ამერი-

⁶ „ქალბატონი ჩემბერლენი ფაშისტურ ნიშანს ატარებს“, — წერდა 1937 წლის 22 დეკემბერს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო თავის დღიურში. — „მე ჩემი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი ვარ და დიდად ვაფასებ ინგლისელი ქალის ასეთ საქციელს ამ მძიმე ჟამს... ქალბატონი ჩემბერლენი დუჩეს გავაცანი. ამ შეხვედრაზე გადასცა მან მუსოლინის ნევილ ჩემბერლენის ეს მეტად მნიშვნელოვანი ბარათი“ (ავტორის შენიშვნა).

კა ყოველნაირად ცდილობდა თავის ნაჭუჭში ჩაკეტილიყო ატლანტიკის მეორე მხარეს და ევროპის საქმეებისათვის თავი აერიდებინა. გამონაკლისს მხოლოდ პრეზიდენტი რუზველტი წარმოადგენდა. თუმცა არც იმას სურდა ევროპის მოვლენებში გარევა (პოლიტიკური მოსაზრებებით ეს არც მისთვის და არც მისი დემოკრატიული პარტიისათვის იყო ხელსაყრელი), მაგრამ რუზველტს დიდად აშფოთებდა ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის მუქარა და ამიტომ ძველი სამყაროს სახელმწიფოთა შორის ატეხილი დავის მოსაწესრიგებლად შუამავლის როლში გამოსვლა გადაწყვიტა.

1938 წლის 12 იანვარს რუზველტმა დიდი ბრიტანეთის მთავრობას მიმართვა გაუგზავნა კონფერენციის მოწვევის თაობაზე (მას განზრახული ჰქონდა შემდეგ ასეთი მიმართვა სხვა ქვეყნების მთავრობებისთვისაც გაეგზავნა), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამ კონფერენციაზე ზოგიერთი ევროპული ქვეყნის, უპირველეს ყოვლისა — გერმანიისა და იტალიის პოლიტიკური მიზნებისა და პრეტენზიების განხილვას ისახავდნენ მიზნად; უნდა გაერკვიათ, დაკმაყოფილდებოდნენ თუ არა ეს „დამშეული სახელმწიფოები“ ყველა ქვეყანას შორის მსოფლიო ნედლეულის თანაბარი განაწილებით. პრეზიდენტის ბარათი, რომელიც ინგლისის მთავრობის თვალსაზრისის გარკვევამდე, წინასწარი გაფრთხილების თანახმად, სრულიად საიდუმლოდ უნდა განეხილათ, ვაშინგტონში ინგლისის ელჩს, რონალდ ლინდსეის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, სამნერ უელსმა გადასცა.

რუზველტის ასეთ მიმართვას, რალა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ამიტომ ამ ცნობას ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეები დიდი სიხარულით უნდა შეხვედროდნენ. ბოლოს და ბოლოს ამერიკა, რომლის კონგრესი ევროპის მიმართ ტკიცედ იცავდა თავის ნეიტრალიტეტს და რომლის იზოლაციონიზმი 1938 წელს კიდევ უფრო აშკარა გახდა, ახლა თავისი პრეზიდენტის მეშვეობით იმ დავის მოწესრიგებას აპირებდა, რომელმაც ევროპა დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებად დაჰყო.

რასაკვირველია, ეს იყო პირველი ნაპერწკალი, მაგრამ იგი იმედს აღვივებდა, რომ შემდგომში ამერიკა აქტიურად ჩაერეოდა ევროპის საკითხებში.

მაგრამ, სამწუხრხაროდ, ინგლისს ეს საიმედო მახარობელი ძალზე უდროოდროს ეწვია. ანტონი იდენი, რომელიც ამ მიმართვას მაშინვე ალღოს აუღებდა, საფრანგეთის რივიერაზე გახლდათ და ჩემბერლენის შეურიგებელ მტრებს — უინსტონ ჩერჩილსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ლოიდ ჯორჯს ეთათბირებოდა. რადგან საგარეო საქმეთა მინისტრი ადგილზე არ იმყოფებოდა, პრეზიდენტის წერილი პირდაპირ პრემიერ-მინისტრს მიუტანეს. მან ბარათი წაიკითხა, მაგრამ ჯეროვნად ვერ შეაფასა, ადგა და საგარეო საქმეთა მინისტრის ახალ მუდმივ მოადგილეს ალექსანდრ კადოგანს გადაუგზავნა, თან უბრძანა, რომ წერილი პრემიერ-მინისტრის მთავარ მრჩეველთან უილსონთან ერთად განეხილა.

მართალია, იმხანად უილსონის სახელი ჯერ ბევრს არც კი გაეგონა, მაგრამ 1938 წელს იგი მმართველ წრეებში უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთ დროს უილსონი შრომის სამინისტროში მუშაობდა. იგი პროფკავშირთა ლიდერებთან ურთიერთობაში გაიწაფა და გამოიწროთ. ჩემბერლენს პირველად მაშინ დაუკავშირდა, როცა ეს უკანასკნელი ფინანსთა მინისტრი იყო, ხოლო 1934 წელს ოტავაში საბაჟო ტარიფებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ერთად მუშაობის დღიდან ერთმანეთს ფიანდაზად ეგებოდნენ. „კონფერენციაზე რომ

მივემგზავრებოდით, ზღვის ავადმყოფობა შეგვეყარა და ორივენი ძლიერ ვიტანჯებოდით, ამან კიდევ უფრო დაგვაახლოვა“, — წერდა უილსონი, პრემიერ-მინისტრ ბოლდუინის ერთ-ერთი მრჩეველთაგანი, ხოლო როცა ბოლდუინი ჩემბერლენმა შეცვალა, უილსონი ძველ პოსტზე იქნა დატოვებული, დაუნინგ-სტრიტ 10-ში⁷. სულ მალე იგი ჩემბერლენის პირველი მრჩეველი გახდა, რომელზედაც პრემიერ-მინისტრს მზე და მთვარე ამოსდიოდა. გაზეთებმა კი უილსონს „ფეტრისჭუდიანი, საცოდავი მისი უსამღვდელოესობა“ შეარქვეს⁸. თავისი შეფიგით, არც უილსონმა იცოდა უცხო ენები, იგი ინგლისის საზღვრებს არასოდეს გასცილებია, უცხოელებს იშვიათად ხვდებოდა და არც დიპლომატიურ საქმიანობაში ყოფილა დიდად გაწაფული. „მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? — უთქვამს შემდგომ. — განა უცხოელებიც პროფკავშირულ მოღვაწეებს არ ჰგვანან? ჩემბერლენი პრაქტიკული ადამიანი იყო, მეც პრაქტიკული კაცი გახლდით. აბა, სხვა რაღა მოგვეთხოვებოდა?“.

აი, ასეთ გულგრილ პროფესიონალ ჩინოვნიკზე იყო დამოკიდებული რუზველტის მიმართვის ბედ-იღბალი. მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ უილსონიც თავისი შეფიგით იდენის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა და გუმანით გრძნობდა, პრეზიდენტის წინადადება საგარეო საქმეთა მინისტრს რარიც გაახარებდა, — მას იმის დარდი უფრო კლავდა, რომ ასეთი კონფერენცია ხელს შეუშლიდა ფაშისტურ იტალიასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენას, უილსონი და ჩემბერლენი იდენისა და კაბინეტის სხვა წევრების უჩუმრად რომ ანხორციელებდნენ.

უილსონის რჩევით ჩემბერლენმა კადოგანს უბრძანა რუზველტისათვის უარი შეეთვალა, აქაოდა მე უფრო საინტერესო გეგმები მაქვს შემუშავებული. ამასთანავე კადოგანი მკაცრად გააფრთხილეს, არც იდენტან და არც კაბინეტის სხვა წევრებთან პრეზიდენტის მომართვასა და საპასუხო წერილის შესახებ კრინტი არ დაემრა. კადოგანმა სცადა საგარეო საქმეთა მინისტრს ტელეფონით დაჰკავშირებოდა, მერე შიკრიკის ხელით იდენს პრეზიდენტის მომართვის ასლი გაუგზავნა, მაგრამ შიკრიკს მარსელში ჩასვლა დააგვიანდა; მატარებელმა, რომლითაც იდენი გაემგზავრა, ხუთი წუთით გაასწრო. 15 იანვრამდე, ფოლკსტაუნში ჩასვლამდე, მინისტრმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. იქ კადოგანი დაუხვდა და ეს სამწუხარო ამბავი იმან აუწყა.

მეორე დღით გააფთრებული იდენი უილსონს კაბინეტში შეუვარდა:

„თქვენ შეგაჩვენოთ ღმერთმა, ნამდვილი სულელი ყოფილხართ! — გესმით კია, რა ჩაიდიინეთ?“

უილსონმა იდენს ოლიმპიური სიმშვიდით ახედა, როგორც სამოქალაქო მოსამსახურეთ სჩვევიათ ხოლმე მოთმინებადაკარგულ მეშახტეთა პროფკავშირულ ლიდერებთან შეხლა-შემოხლის დროს. „მაპატიეთ, მინისტრო. ხომ არ დაშავდა რამე?“ — იკითხა წყნარად.

— დაშავდა, აბა არ დაშავდა! — აფეთქდა იდენი. — ნუთუ არ გესმით, რუზველტის წინადადების უარყოფით რამდენი რამ დაკვარეთ!

⁷ დაუნინგ-სტრიტ 10 — ინგლისის მთავრობის რეზიდენცია (მთარგმნელის შენიშვნა).

⁸ „საცოდავი უსამღვდელოესობა“ — მამა ჟოზეფი, ფრანცისკელი ბერი, კარდინალ რიშელიეს — საფრანგეთის ფაქტიური მმართველის (მე-17 საუკ.) საიდუმლო ჯაშუში. ამ შედარებით წიგნის ავტორი ხაზს უსვამს ჩემბერლენსა და უილსონს შორის საიდუმლო კავშირის არსებობას (ავტორის შენიშვნა).

იქიდან იდენი პირდაპირ პრემიერ-მინისტრთან მივიდა და დაემუქრა, თუ თქვენს გადაწყვეტილებას არ შეცვლით და რუზველტის წინადადებას არ დაეთანხმებით, უთუოდ გადავდგებიო.

„მაგრამ თქვენ მაინც ვერ გადადგებით, ჩემო ძვირფასო ანტონი,— ეშმაკურად შეაპარა ჩემბერლენმა.— პრეზიდენტმა წინასწარ გამაფრთხილა, ეს ბარათი არ გამეხმაურებინა“.

ამასთან დაკავშირებით ჩერჩილი წერდა: „რალა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომა იმ მიზეზით, რომ პრემიერ-მინისტრმა არ მიიღო პრეზიდენტის წინადადება, შეუძლებელი იყო. ბატონი რუზველტი თავს მართლაც საფრთხეში იგდებდა, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის გამოსარჩლებას აკისრებდა. ცნობას პრეზიდენტის ამ მიმართვის შესახებ იზოლაციონიზმის მომხრეთა ყურამდე რომ მიეღწია, ერთი ალიაქოთი ატყდებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ომს სხვა ვერაფერი შეაჩერებდა თუ არ აშშ-ის გამორჩენა გერმანიის მუქარით შემფოთებულ და დამფრთხალ ევროპის კონტინენტზე“.

სწორედ ახლა წყდებოდა ინგლისის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ძნელია იმის რეტროსპექტიული განსაზღვრა, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა ეს კონფერენცია ჯერ ავსტრიასა და მერე მიუნხენში დატრიალებულ მოვლენებზე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტის წინადადების უარყოფით ხელიდან იქნა გაშვებული ის მცირე შესაძლებლობა, რასაც, ვინ იცის, ეგებ ტირანიისაგან უომრად ეხსნა მსოფლიო.

ამ სიკეთეს ინგლისელები ჩემბერლენს უნდა უმადლოდნენო, უთქვამს ჩერჩილს. ასეთი გადაწყვეტილების გამო „ბოლმა ყელში გვებჯინება; ძნელად წარმოსადგენია, ჭკუათამყოფელ ადამიანს ასეთი ნაბიჯი გადაედგა“.

მაგრამ იმხანად ჩემბერლენს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საგარეო საქმეთა მინისტრის გზიდან ჩამოშორება და აქტიურად ერეოდა იდენის საქმეებში. სამი კვირის შემდეგ ჩემბერლენმა მისი გადაყენების გეგმა შეიმუშავა. ჩემბერლენისა და იტალიის ელჩის, გრანდის მიერ მოწყობილი იდენის საწინააღმდეგო მზაკვრული შეთქმულება პრემიერ-მინისტრის ურცხვი საქციელის ნათელი დადასტურებაა.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა იდენმა (საფრანგეთის მთავრობასთან მოსათათბირებლად იგი 25 იანვარს პარიზს გაემგზავრა) რამდენჯერმე სცადა დაემარტოხლებინა იტალიის ელჩი ლონდონში დინო გრანდი და გაერკვია მუსოლინის აზრი ავსტრიის საშინაო საქმეებში ნაცისტური გერმანიის ჩარევის შესახებ. გრანდი კი, დურჩეს მითითებით, იდენთან შეხვედრას ყოველნაირად გაურბოდა და უსიამო შეკითხვებზე პასუხის გაცემას ერიდებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა იტალიის ელჩი 10 თებერვალს მოინახულა, მაგრამ მათ შეხვედრას ჩემბერლენიც ესწრებოდა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ინგლის-იტალიის მეგობრული ურთიერთობის აღდგენას შეხებოდა. 15 თებერვალს გამოაცხადეს, კანცლერმა შუშნიგმა ჰიტლერის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ავსტრიაში ნაცისტების მთავარი აგენტი — არტურ ზეის-ინკვარტი ავსტრიის მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანაო, ეს კი აშკარა ფარ-ხმლის დაყრას ნიშნავდა, რაც ძირს უთხრიდა ავსტრიის დამოუკიდებლობას. ამიტომ იდენმა გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, გაერკვია რას მოიმოქმედებდა იტალია, რომელიც დღენიადაგ ავსტრიის დამოუკიდებლობის დამცველად გამოდიოდა. იქნებ ორი დიქტატორის საიდუმლო შეთანხმება

იყო და სხვა არაფერი? მაგრამ გრანდი ოსტატურად ირიდებდა თავიდან იდენ-თან შეხვედრას, სანამ ჩემბერლენმა თავის საიდუმლო გეგმებს ფრთები არ შეასხა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემბერლენის ემისარი, კონსერვატორული პარტიის წევრი, თავისი უპრინციპობით სახელგანთქმული ჯოზეფ ბოლი გრანდს ეწვია და სთხოვა იდენს შეხვედროდა. „ეს თათბირი ჩემბერლენის მონაწილეობით ჩატარდება დაუნინგ-სტრიტზე“, — აცნობა. ამასთანავე, მან ელჩი წინასწარ გააფრთხილა, რა უნდა ელაპარაკა.

იტალიის ელჩი გამჭრიახი და მომხიბვლელი კაცი გახლდათ და შექმნილ სიტუაციას ალღო მაშინვე აუღო. ჩემბერლენი მას, ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, პაიკის როლს სთავაზობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყველაფერზე თანახმა იყო, რადგან იდენის გადადგომა ინგლისის კაბინეტიდან იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის გაძევებას მოასწავებდა.

ისინი 18 თებერვალს შეიკრიბნენ. შეხვედრამ ისე ჩაიარა, როგორც ჩემბერლენს ჰქონდა ჩაფიქრებული. პრემიერ-მინისტრი იტალიის ელჩს სულ იმას უმტკიცებდა, მუსოლინისა და რომის ფაშისტური მთავრობის მიმართ ჩემი პირადი „მეგობრული დამოკიდებულება“ უფრო კარგ შედეგს გამოიღებს, ვიდრე იდენის ცდებიო. იდენმა კი ელჩს აშკარად აგრძნობინა, ინგლისთან მოლაპარაკების დაწყებამდე დუჩემ ესპანეთიდან იტალიელი მოხალისეები უნდა გაიყვანოსო.

ამიტომ იყო, რომ გახარებულმა გრანდმა შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა. ეს თავყრილობა მიზნად ისახავდა ქვეყანას გაეგო, რომ ნევილ ჩემბერლენს მტკიცედ გადაეწყვიტა საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციების ხელში ჩაგდება, რომ ამ სფეროში თავისი აქტიური მოღვაწეობით ურიცხვი მეგობარი შეიძინა და მოწინააღმდეგის პოლიტიკაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. იდენი კი ბედს უნდა შერიგებოდა და მისთვის განკუთვნილ მეორეხარისხოვან როლს დასჯერებოდა.

ეს გახლდათ პრემიერ-მინისტრის ეშმაკური სვლა: დიქტატორების ხასიათს თუ ვერ ჩასწვდა, სამაგიეროდ საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრის ავიციცოდა და კარგიც. იდენი ამ შეხვედრიდან გაგულისებულნი და შეურაცხყოფილი წავიდა. მას ჭირივით ეზიზღებოდა, როცა ჩემბერლენი თვალთმაქცობდა, როცა ეშმაკურად უვლიდა გვერდს და ცდილობდა უიმისოდ გადაეწყვიტა საგარეო პოლიტიკის ესა თუ ის საკითხი. პრემიერ-მინისტრმა იგი უცხო ქვეყნის ელჩთანაც ასე გააბიაბრუა, რამაც იდენი განსაკუთრებით გაამწარა.

გრანდი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ გალეაზო ჩიანოს ატყობინებდა: „ჩემბერლენი განგებ ისეთ შეკითხვებს მაძლევდა, ვგრძნობდი, უნდოდა იდენთან დავეპირისპირებინე. მე მაშინვე მივუხვდი ეშმაკობას და, რაღა თქმა უნდა, მხარი ავუბი. რასაკვირველია, ჩემსა და ჩემბერლენს შორის არსებულ კონტაქტს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა“.

აღსანიშნავია, რომ გრანდი და ბოლი ერთ დღეს ორჯერ შეხვედნენ ერთმანეთს. ბოლი იტალიის ელჩს პრემიერ-მინისტრის ბარათი გადასცა. 19 თებერვალს გრანდი თავის მინისტრს სწავდა: „როგორც აღმატებულმა, გუშინ საღამოს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციიდან რომ გამოვედი, ჩემბერლენმა ჩუმად თავისი ემისარი მომიგზავნა (ლონდონის ერთ ჩვეულებრივ ტაქსში ვისაუბრეთ) და პრემიერ-მინისტრის სახელით გულითადი მადლობა გადამიხადა

შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებისათვის. ძალზე კმაყოფილი იყო, ყველაფერმა ასე ჩინებულად რომ ჩაიარა“.

ჩემბერლენი ფრთებს ასხამდა თავის ჩანაფიქრს. მეორე დღეს, კაბინეტის სხდომაზე ანტონი იდენი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა. რაღა თქმა უნდა, უმჯობესი იყო თავის პოსტზე დარჩენილიყო და ბრძოლა გაეგრძელებინა. უილიამ სტრენგი — ფორინ ოფისის ცნობილი დიპლომატი, რომელსაც იდენთან მტკიცე თანამშრომლობა აკავშირებდა, აღნიშნავდა: „რა დასამალია, ჩემბერლენი საგარეო საქმეებში ცუდად ერკვეოდა, ყველაფერს შეუგნებლად, ჰაიპარად აკეთებდა, მიამიტურად თვითდაჯერებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და წარმატებებით თავბრუდახვეული გახლდათ, რაც იმ დროს სულაც არ იყო საჭირო“. თავისი მდგომარეობის აღსადგენად იდენს კაბინეტის დანარჩენი წევრები თავის გარშემო უნდა დაერაზმა, ჩემბერლენს მაშინ პოპულარული და საშიში კოლეგის მიერ მოწყობილი შეთქმულებისა და ინტრიგების წინააღმდეგ გალაშქრება მოუხდებოდა. სამწუხაროდ, იდენი შეთქმულების მოწყობას არც კაბინეტის შიგნით და არც კაბინეტის გარეთ არ აპირებდა, ამიტომ გადადგომა ამჯობინა.

ჩემბერლენს კი თავი ისე ეჭირა, გეგონებოდათ საგარეო საქმეთა მინისტრის განთავისუფლება გულშიც კი არ გაუვლიათ. მის გულწრფელობაში კაბინეტის წევრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ. სიმართლე მოგვიანებით, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოაშკარავდა.

„პრემიერი თვალთმაქცობდა, როცა ამ საკითხს კაბინეტის სხდომაზე იხილავდა, — წერდა ალფრედ დაფ კუპერი, სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პირველი ლორდი. — იდენს ურჩიეთ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან არ გადადგესო, ეუბნებოდა ჩემბერლენი კაბინეტის წევრებს, სინამდვილეში კი იდენის თავიდან მოშორება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და თავისი გულისხმადები იტალიის ელჩსაც კი გაანდო. ღრმად სწამდა, რომ ამ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებდა. — ეს ამბავი რომ მცოდნოდა, იდენთან ერთად მეც გადავდგებოდი, ნევილ ჩემბერლენის გვერდით ერთ კაბინეტში მუშაობა ძალზე გამიჭირდებოდა“.

თავი II

არმაგოშენის წინასწარმეტყველი

იდენი ინდოეთის ყოფილმა მეფისნაცვალმა, წარმოსადგემა, სათნო, პატიოსანმა და სათრიანმა ლორდმა ედუარდ ჰალიფაქსმა შეცვალა. ჩემბერლენი და სერი უილსონი ამ პოსტისათვის სწორედ ასეთ კაცს ეძებდნენ. ბუნებით წინდახედული, ახირებით არავის აუხირდებოდა. უილიამ სტრენგი, რომელიც იმხანად მის ზელქვეითად მუშაობდა, შემდგომში ედუარდ ჰალიფაქსს დიდი ბრიტანეთის შეგვიერთ საზოგადო მოღვაწესთან ერთად მოისხენიებს ინგლისის მოწინავე მატალატეთა, პრივილეგიებულ სასწავლებელდამთავრებულთა, ბრწყინვალე სასულიერო პირთა გვერდით, რომელნიც ევროპაში იშვიათად ჩადიოდნენ და ევროპელების არც ავი იცოდნენ და არც კარგი. არც ჰიტლერის ვერაგობისა

გაეგებოდათ რამე. ისეთი აღზრდა-განათლება ჰქონდათ მიღებული, რომ არ სჯეროდათ, თუ შეიძლებოდა ქვეყნად ასეთი ხალხი არსებულიყო, ხოლო ნაცისტურ სახელმწიფოს უგუნურთა სახელმწიფოს უწოდებდნენ. მართალია, ედუარდი ძალზე გამჭრიახი კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ მსოფლიო უბიწო სამყაროდ ესახებოდა. მამის იდეებზე აღზრდილს, ჰიტლერის ეპოქაში ცხოვრება განსაკუთრებით უჭირდა. იგი ისე იყო ტრადიციების ტყვეობაში მოქცეული, რომ ბავშვობაში შესისხლხორცებული პრინციპების ღალატს გულში ვერასდროს გაიტარებდა. რწმენა ვერც სამყაროზე ახალმა შეხედულებებმა და ვერც მსოფლიოში გაბატონებულმა ძალმომრეობამ შეაცვლევინა.

ნევილ ჩემბერლენი უკეთეს მსახურს ვერ ინატრებდა.

აქ კვლავ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი კლასების წარმომადგენლებს შიშის ზარს სცემდა ნაცისტური გერმანიის მუქარა, მაგრამ აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ნევილ ჩემბერლენს არც გერმანიისა და არც ადოლფ ჰიტლერისა ეშინოდა. მისი აზრით, შიშის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, ეგონა, რომ ჰიტლერთან შეთანხმება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზითაც შეიძლებოდა, რითაც ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღებოდა და ომის საფრთხე თავიდან იქნებოდა აცილებული. მთავარი იყო შექმნილი ვითარების გონივრული შეფასება, ამიტომ 1938 წლის ზაფხულს, როცა ნევილ ჩემბერლენმა და სერმა ჰორაციო უილსონმა ფხიზელი, პრაქტიკული თვალით გადახედეს ევროპაში შექმნილ ვითარებას, დარწმუნდნენ, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი არსებობდა და ბრიტანეთისა და საფრანგეთის „მმართველ წრეებში“ გამეფებულ შიშის ციებ-ცხელებას გერმანიის მიმართ, შეიძლებოდა ეს ქვეყნები ერთმანეთისგან გაეთიშა.

მთავარ დაბრკოლებას ჩეხოსლოვაკია და მისი დედაქალაქი — პრაღა წარმოადგენდა. ეს შუაევროპული ქვეყანა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გერმანიას ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით — პოლონეთს, ხოლო სამხრეთით — ავსტრიას, უნგრეთსა და რუმინეთს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაგრეგებზე აღმოცენდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი — ჩეხები და სლოვაკები — თითქმის ათ მილიონს შეადგენდა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული „სუდეტელი გერმანელებიც“¹ და მილიონზე მეტი პოლონელი, მადიარი და რუმინელი. ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჰიტლერი, რომელიც „გერმანელი ძმების“ რაიხში თავმოყრის პოლიტიკას² ასორციელებდა, მალე ყურადღებას მიაპყრობდა სუდეტს და ახალ გერმანიასთან სუდეტის მხარის შემოერთებას მოითხოვდა.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიას საფრანგეთთან კარგა ხანია ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰქონდა დადებული; ცოტა მოგვიანებით ასეთივე ხელშეკრულება დადო მან რუსეთთანაც (აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ჯერ საფრანგეთი უნდა დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, ხოლო მერე რუსეთი გამოვიდოდა მის და-


¹ თუმცა გერმანია მათ „ძმებს“ უწოდებდა, ისინი გერმანიის შემადგენლობაში არასდროს შედიოდნენ და ყოველთვის ავსტრია-უნგრეთის იმპერიას მიეკუთვნებოდნენ (ავტორის შენიშვნა).

საცავად). გარდა ამისა, საფრანგეთის მოკავშირე დიდი ბრიტანეთი ვალდებუ-
ლი იყო, თუ ომი დაიწყებოდა, საფრანგეთს მხარში ამოსდგომოდა.

ჩემბერლენსა და მის მრჩევლებს საქმის ასეთი ვითარება, რასაც შეიძლება
ბევრი მოულოდნელი რამ მოჰყოლოდა, ძალზე სახიფათოდ ეჩვენებოდათ. ამიტომ
სრულიად გასაგებია ჰორაციო უილსონის სიტყვები: ჩეხოსლოვაკია მხოლოდ
იმიტომ არსებობს, რომ დიდ სახელმწიფოებს დაბრკოლებები შეუქმნასო. „ეს სა-
ერთოდ ჰაერში გამოკიდებული სახელმწიფოა,— ამბობდა იგი. მისი დაარსება
ვერსალის ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობამ გამოიწვია“. ასეთი
იყო თვალსაზრისი ჩემბერლენის მთავრობისა, რომელიც უგულვებელყოფდა ჩე-
ხოსლოვაკიის არსებობის ფაქტს. ჰიტლერს კარგად ესმოდა, რომ ასეთი ანტი-
ნაციონალური, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, ძლიერი არმიის მქონე და გერ-
მანიის საზღვართან საიმედოდ გამაგრებული სახელმწიფო „მტრის ავიამზიდს“
წარმოადგენდა, რომელიც მუდამ საფრთხეს შეუქმნიდა გერმანიის ზურგს, თუ
ერთ მშვენიერ დღეს ჰიტლერი ინგლისსა და საფრანგეთზე თავდასხმას განი-
ზრახავდა.

ჩეხების მიმართ ჰიტლერის მტრული დამოკიდებულება სიძულვილმა შეცვა-
ლა ეგრეთწოდებული 1938 წლის „მაისის კრიზისის“ შემდეგ, როცა უნიათო
დაზვერვითა და ინტრიგებით შეშფოთებული ჩეხები მიხვდნენ, რომ გერმანია
მათზე თავდასხმას აპირებდა, და არმია უმაღვე საომრად გაამზადეს. ინგლისის
ელჩი ბერლინში ნევილ ჰენდერსონი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რი-
ბენტროპს ეწვია, რათა შექმნილი ვითარების გამო თავისი შეშფოთება გამო-
ეთქვა. გაგულისებულმა რიბენტროპმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: კრიზისზე
მითქმა-მოთქმა „მტკნარი სიცრუეა“ და სხვა არაფერიო, მაგრამ მართლა ასე
როდი იყო. უბრალოდ, იმხანად გერმანიას ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმე-
ბი შემუშავებული არ ჰქონდა. საფრთხემ თითქოს ჩაიარაო, მაგრამ, სამწუხაროდ,
პრესაში გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიათა სათაურები მდგომარეობას კიდევ
უფრო ამწვავებდნენ. დასავლეთის გაზეთები ჩეხების საბრძოლო მზადყოფნაზე
წერდნენ, ხაზს უსვამდნენ ინგლისელთა სიმტკიცეს, მათ გამარჯვებას გერმანი-
აზე. „გერმანიამ უკან დაიხიაო“,— აღნიშნავდნენ ისინი. ამ აურზაურმა ჰიტლერი
ისე გაახელა, რომ 21 მაისს რაიხის უმაღლეს ხელმძღვანელთა თათბირზე ჩე-
ხოსლოვაკიაში შეჭრის წინასწარი ჩანაფიქრი რეალურ გეგმად აქცია. „უახლოეს
მომავალში სამხედრო ძალის მეშვეობით ჩეხოსლოვაკიის სრული განადგურება
ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებააო“,— განაცხადა მან.

ჩემბერლენი სერიოზულად ჩააფიქრა „მაისის კრიზისმა“, თუმცა იგი შო-
რეულ ქვეყანაში იმ ხალხთა შორის ატეხილ დავად მიიჩნია, რომელთა შესახე-
ბაც მან ბევრი არაფერი იცოდა. ჩემბერლენმა მკაცრად დაგმო ჩეხოსლოვაკიაზე
გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის გამო დემოკრატიულ ქვეყნებში ატეხილი
ჩოჩქოლი. მტრულმა დამოკიდებულებამ ჩეხების მიმართ 1938 წლის ზაფხულს
კიდევ უფრო აშკარად იჩინა თავი (ერთხელ ჩემბერლენმა უილსონთან საუბარ-
ში განაცხადა: ჩეხები თავიანთი განვითარებით უმაღლეს საფეხურზე კი არა,
საშუალო დონეზედაც არა დგანანო). ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ედუარდ ბე-
ნემს მისმა ელჩმა ლონდონში, იან მასარიკმა ყურში ჩააწვეთა: „ჩემბერლენის
მთავრობას გულში ჩეხების ღალატი უდევსო“. პრეზიდენტი თავის ელჩს ტე-
ლეფონით ხშირად უკავშირდებოდა, ორივენი დარწმუნებული იყვნენ, თუ ვინმე
მათ საუბარს აყურადებდა, გულითაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერაფერს გა-



იგებდა, რადგანაც ისინი ჩეხურად ლაპარაკობდნენ; აუგად იხსენიებდნენ ჩემ-
ბერლენს, უილსონსა და ჰენდერსონს. რა ეპითეტებით გინდათ, რომ ახ ამგობ-
დნენ, „კრეტიანიდან“ მოყოლებული „ფაშისტების მლიქვნელებამდე“ ფელდმარ-
შალ გერინგის სადაზვერვო სამსახური კი ტელეფონს ჩუმად უგდებდა ყურს და
საუბრის შინაარსს ლონდონს ატყობინებდა, რომ შემდეგ გერმანიის საელჩოს
პირველ მდივანს, თეო კორდტს ბერლინის მითითებით ეს ყველაფერი ჰორაციო
უილსონისათვის მოეხსენებინა.

ობიექტური კაცი, საგარეო საქმეთა პროფესიონალი სპეციალისტი ასეთ თავ-
ხედობას აინუნშიც არ ჩააგდებდა, მაგრამ ჩემბერლენი სხვა ჯურის ადამიანი
იყო. იგი შეურაცხყოფას კაციშვილს არ აპატიებდა. ამიტომ ფორინ ოფისს სა-
სწრაფოდ ახსნა-განმარტება მოსთხოვა, ინგლისის სათანადო უწყებები ჩეხთა
ტელეფონით საუბარს რატომ არ აკონტროლებენო. გამოირკვა, რომ ინგლისის
სადაზვერვო სამსახურს ხელთ ჰქონდა ყველა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი,
მაგრამ ფორინ ოფისმა ამის თქმას პირში წყლის დაგუბება ამჯობინა. ბოლოს
და ბოლოს ჰორაციო უილსონმა ერთი მაგრად შეახურა სათანადო სამინისტრო-
თა მუშაკები და ყველა მკაცრად გააფრთხილა, ამიერიდან ასეთი რამ აღარ გან-
მეორდესო. ბრიტანეთის რადიომაუწყებლობათა კორპორაციებს დაევაღათ, უფ-
რო უხეში ტონით ეხსენებინათ ჩეხები. ხოლო ფორინ ოფისის პრესის საქმეთა
მდივანი, ცნობილი თავისი სკეპტიკური განწყობილებით ჩემბერლენ-უილსონის
პოლიტიკისადმი, თანამდებობიდან გადააყენეს და სამუდამოდ ათენში გა-
გზავნეს.

იმხანად ჩეხოსლოვაკიის ერთიანობის ფრანგულ გარანტიებს ჯერ წყალი
არ შესდგომოდა. თუ ჰიტლერი სუდეტის ტერიტორიის რაიხთან მიერთების მიზ-
ნით ჩეხოსლოვაკიას თავს დაესხმოდა, საფრანგეთს, ხელშეკრულების თანახმად,
გერმანიის წინააღმდეგ უნდა გაელაშტრა. ამ ომში უთუოდ ინგლისიც მიიღებ-
და მონაწილეობას. „ძალზე საოცარ მდგომარეობაში ჩავგარდით,— უთქვამს
ერთხელ ჩემბერლენს უილსონისათვის.— როგორმე თავი უნდა დავალწიოთ ამ
სიტუაციას, მაგრამ რა გზით?“

და აი, სწორედ მაშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრს მხსნელად შიში მოეგ-
ლინა. ხოლო სრულიად შემთხვევით მას ოთხმა კაცმა, ერთმა ფრანგმა და სამმა
ამერიკელმა, მხარი დაუჭირა. აგვისტოში საფრანგეთის საელჩოს ბერლინში პა-
რიზიდან აცნობეს, საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალი გენერა-
ლი ჟოზეფ ვიულემენი გერმანიის სამხედრო-საჰაერო („ლუფტვაფა“) ხელ-
მძღვანელობამ სტუმრად მიიწვიაო. ეს უნდა ყოფილიყო გერმანიის სამხედრო-
საჰაერო ძალებში გერინგის შემდეგ მეორე კაცის — გენერალ მილხის საფრან-
გეთში ამასწინანდელი მიწვევის საპასუხო ვიზიტი.

გერმანიაში ვიულემენის მიწვევამ ძალზე შეაშფოთა ბერლინში მყოფი
ფრანგები. ამ ამბავმა განსაკუთრებით სამხედრო ატაშეს გენერალ დე ჟეფრიეს
და ახალგაზრდა კაპიტანს პოლ სტელენს დასცა თავზარი. მათ მშვენივრად
იცოდნენ, რომ გერმანელებს ფრანგების დასაფრთხობად სამხედრო-საჰაერო
ძალთა შეფის წინაშე თავიანთი საჰაერო ძლიერების საგულდაგულოდ მომზადე-
ბული დემონსტრაცია უნდა გაემართათ, რომელიც თვით მაღალ ღმერთსაც კი
შეაშინებდა. მართლაც ასე მოხდა.

უბედურება ის იყო, რომ ერთ დროს შესანიშნავი ავიატორი, პატიოსანი
და პირდაპირი ადამიანი, გენერალი ვიულემენი სამხედრო-საჰაერო ძალთა ხელ-

მძღვანელის შესაფერი არც ხასიათითა და არც სიმტკიცით არ დაეჯილდოებინა ბუნებას, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან თვითონაც არ იცოდა ბომბდამშენების ფასი და დანიშნულება. პირველი მსოფლიო ომის დროს ვიულემენი საფრანგეთის ავიაციის ბომბდამშენთა ერთ-ერთ ესკადრილიას ხელმძღვანელობდა და დასავლეთის ფრონტზე გერმანელების მიერ ოკუპირებულ ელზასს, ლოტარინგიასა და რურში განლაგებულ მტრის უდიდეს არსენალს ბომბავდა. ერთ-ერთი ასეთი რეიდის დროს მისმა ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა უზარმაზარ კარავს, სადაც სწორედ მაშინ საცირკო წარმოდგენა მიმდინარეობდა და უამრავ ბავშვს მოეყარა თავი. კაიზერის გერმანიის პროპაგანდისტებმა იგი ხალხს ბავშვთა მკვლელად დაუსურათეს. მის მეგობრებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ვიულემენი დღენიადაგ სინდისის ქენჯნას განიცდიდა და თავს დამნაშავედ თვლიდა. ამ ამბის შემდეგ მისთვის ბომბდამშენები ჯოჯოხეთურ იარაღად იქცა. დიახაც, ეს ყველა ცივილიზებული ადამიანის საკადრისი აზრი იყო, მაგრამ მას, როგორც სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარსარდალს, ასეთი განსჯა კარგს არაფერს მოუტანდა.

ვიულემენს გერმანიაში მოგზაურობის დროს ისეთი რამ აჩვენეს, რამაც ჯერ შეაშფოთა იგი, მერე კი შიშისაგან ენა მუცელში ჩაუგდო. თავდაპირველად გერმანელებმა მას მესერშიტიისა და ჰაინკელის საავიაციო ქარხნები მოატარეს, სადაც გამანადგურებლებს, ბომბდამშენ-გამანადგურებლებსა და ბომბდამშენებს ამზადებდნენ, სულ ბოლოს ბარტსა და ბალტიისპირეთში სამხედრო-საჰაერო ძალთა ტექნიკის ექსპერიმენტული ცენტრი დაათვალიერებინეს. აქ სამი საათის განმავლობაში გამანადგურებლები და მოპიკირე თვითმფრინავები მიწასთან ასწორებდნენ შენობებსა და მოძრავ სამიზნეებს. ყოველი ყუმბარის აფეთქებას თავისი კვალი უნდა დაემჩნია ვიულემენის ნერვულ სისტემასა და გონებაზე.

სამშობლოში გამგზავრების წინ ფრანგ გენერალს გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარსარდალმა დარბაზობა გაუმართა კარინჰოლის მონადირეთა დიდებულ ქოხში, ჩრდილო ბერლინიდან ასე, სამოცდაათი მილის დაშორებით. დარბაზობის დროს ვიულემენს გერინგი მიუახლოვდა, თავისი მრგვალი, ცისფერი თვალები ჯიქურ მიაშტერა და ჰკითხა: „ბატონო გენერალო, რას იზამთ, ჩვენ რომ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ გალაშქრება განვიზრახოთ?“

ვიულემენი საგონებელში ჩავარდა. იქვე მდგარმა ელჩმა ფრანსუა პონსემ და კაპიტანმა სტელენმა მაშინვე ყურები ცქვიტეს. ვიულემენმა არც აცია, არც აცხელა და პირში მიახალა: „საფრანგეთი თავის სიტყვას არ უღალატებსო“.

გერინგი გაოცდა. ფრანსუა პონსე დამშვიდდა, სტელენმა კი გაიფიქრა, ამ სიტყვებს რაღაც დამაჯერებლობა აკლდაო. საელჩოში რომ ბრუნდებოდნენ, ვიულემენმა ელჩსა და სტელენს განუცხადა: ომი თუ დაიწყო, საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს თხუთმეტ დღეში მიწასთან გაასწორებენო.

საფრანგეთში დაბრუნებული ვიულემენი ყველას უზიარებდა თავის აზრებს და ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ყურად იღო მისი ნათქვამი, ედუარდ დალადიე გახლდათ, რომელიც იმხანად მიუნხენში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

„გენერალი ვიულემენი გერმანიას უდროო დროს ეწვია, — ამბობდა შემდეგ სტელენი. — გერმანელებმა მის გასაოგნებლად რა ფანდს არ მიმართეს, თავიანთ საავიაციო შეიარაღებას ფარდა ჩამოხსნეს. მიზანსაც ადვილად მიაღწიეს. ხოლო ვიულემენის აზრებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებებზე“.

ასეთ ვითარებაში სცენაზე გამოვიდა ჩარლზ ლინდბერგი, რომელმაც ისე-დაც გაოგნებულ ხალხს ცეცხლზე ნავთი დაასხა. ეს გამოჩენილი მფრინავი უკვე რამდენიმე წელია დასავლეთის ქვეყნების მმართველ წრეებს სულ იმას უკვირებდა, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების განადგურება არავის ძალუძსო. იგი ამას ამბობდა მაშინაც კი, როცა ცნობილი გახდა (ისე, როგორც ეს დღესაც ცნობილი), რომ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა ასეთი შეფასება სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

1936 წლის დამდეგს გერმანიაში ჩასულ ლინდბერგს გერმანელებმა თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძლიერების ისეთი დემონსტრაცია გაუმართეს, რომ ვიულემენიც კი შეძრწუნდებოდა. ამან ლინდბერგზედაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი იმხანად კენტში ცხოვრობდა, მეგობრის, ცნობილი ინგლისელი მწერლისა და დიპლომატის ჰაროლდ ნიკოლსონის ბინაში. ნიკოლსონი თავის დღიურში 1936 წლის 8 სექტემბერს წერდა: „ლინდბერგი, როგორც ჩანს, შინ თავზარდაცემული დაბრუნდა. იგი ფიქრობდა, გერმანელთა სამხედრო-საჰაერო ძალებს მსოფლიოში ძლიერებით ტოლს ვერავინ დაუდებსო. დარწმუნებული იყო, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მოსპობა მათ ჩირადაც არ უღირდათ. ლინდბერგი არ მალავდა, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები სერიოზულ საფრთხეს რომ ქმნიდნენ, მაგრამ სულ არ ეგონა, თუ ეს საფრთხე ინგლისსაც ემუქრებოდა. ლინდბერგის აზრით, მომავალში ფაშიზმი და კომუნიზმი უთუოდ ერთმანეთს შეეჯახებოდა და თუ დიდი ბრიტანეთი გერმანიის წინააღმდეგ ომში „არაქათგამოცლილ“ საფრანგეთსა და რუსეთს დაუჭერდა მხარს, ევროპის ცივილიზაციას ბოლო მოეღებოდა“².

ორი წლის შემდეგ, 1938 წლის 22 მაისს, ნიკოლსონი ნიუ-იორკში კვლავ შეხვდა ანა და ჩარლზ ლინდბერგებს. გამოჩენილი მფრინავი ძალზე გულგატეხილი იყო; ინგლისის თავდაცვის იმედი არ ჰქონდა. ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ გერმანელთა სამხედრო-საჰაერო ძალები სულ ცოტა, ათჯერ მაინც აღემატებოდნენ მთლიანად რუსეთის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საავიაციო ძალებს. იგი ხსნას მხოლოდ გერმანიასთან შეთანხმებაში ხედავდა. ნიკოლსონის აზრით, ლინდბერგის ასეთ შეხედულებებს განაპირობებდა მისი სიძულვილი დემოკრატიის, ამერიკის საზოგადოებისა და თავისუფალი პრესისადმი.

1938 წელს ლინდბერგი პარიზს ჩავიდა — გერმანიაში, რუსეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის შემდეგ, სადაც იგი, როგორც თავად ამტკიცებდა, ამ ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალებს ეცნობოდა. მაგრამ ეჭვგარეშეა, ეს ორი უკანასკნელი ქვეყანა მას თავისი სამხედრო-საჰაერო ძალების „დათვალიერების“ უფლებას არამც და არამც არ მისცემდა. ძნელი დასაჯერებელია, საბჭოთა რუსეთს თავის აეროდრომებზე შემოეშვა ანტიკომუნისტი და პრონაცისტის პიროვნება — ლინდბერგი, საჰაერო ბრძოლების ეს სახელგანთქმული გმირი, არც ჩეხოსლოვაკიაში ეხატებოდათ გულზე, რადგან ყველამ იცოდა მისი სიძულვილი „გადაგვარებული“ ფრანგებისა და მათი „პატარა ბალკანელი მოკავშირეებისადმი“, მაგრამ დასავლეთის ბევრი საზოგადო მოღვაწე ლინდბერგის სიტყვებსა და აზრებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. პარიზში ჩასვლისთანავე ამერიკის ელჩმა ლინდბერგის პატივსაცემად სასწრაფო წვეულება გამართა, რათა მას

² ლინდბერგის პროტესტის მიუხედავად, გამომცემლობამ, რომელმაც ნიკოლსონის დღიურები დასტამბა, უფლება არ მისცა მას ნიკოლსონის წიგნიდან ციტატები მოეტანა.

მმართველი წრეების წარმომადგენელთა წინაშე თავისი მოსაზრებები გამოეთქვა, ევროპაში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ.

1938 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საფრანგეთში იყო უილიამ ბულიტი³ — ენერგიული, პირდაპირი, დემოკრატიულად განწყობილი პიროვნება და ფრანგი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი. ცხრა წელიწადი იგი ძველებურ, დიდებულ შანტიის სასახლეში ცხოვრობდა, მაგრამ გრძნობდა, დღეს თუ ხვალ გუდა-ნაბადს აუკრავდნენ. ლინდბერგის ჩამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე მას ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრის მდივნის, ჰაროლდ იკესისათვის უთქვამს: „მე მგონი, ომი კარზეა მომდგარი და, ალბათ, ოც წელიწადს გაგრძელდება; გამარჯვებით ვერავინ გაიმარჯვებს. პარიზსა და ევროპის სხვა დიდ ქალაქებს ნგრევა და განადგურება მოელით“. იკესი მოგვიანებით იგონებდა: „ბულიტი მეტად პესიმისტურად იყო განწყობილი და ამერიკაში დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ ბარათშიც ევროპაში შექმნილი ვითარება ძალზე უიმედოდ დაუხატავს, სწორედ ისე, როგორც ჩვენ გაგვაცნო“.

დღესაც გაუგებარია, როგორ არ ესმოდა ბულიტს, რომ თავისი ასეთი პესიმისტური განწყობილებით ისედაც გულგატეხილ ფრანგებს ცეცხლზე ნავთს უსხამდა. დიპლომატსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, შეუძლებელია ფრანგების დაშინება ნდომებოდა, რათა იძულებული გაეხადა ისინი ხელშეკრულება გაეუქმებინათ და თავიანთი პატარა და გულადი ჩენი მოკავშირე ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ. მაგრამ, მეორე მხრივ, მას ლინდბერგის იმედიც არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც იგი თავის მსმენელებს სანუგეშოს ვერაფერს ეტყოდა.

მიუხედავად ამისა, 1938 წლის 5 სექტემბერს ამერიკის ელჩმა შანტიის სასახლეში დიდი წვეულება გამართა და სტუმრად საგანგებოდ საფრანგეთის ავიაციის მინისტრი გი ლა შამბრი მიიწვია. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს იმხანად მეთაურებში მართლაც არ წყალობდათ ბედი. რამეთუ ყველას უომრადაც თავი უკვე დამარცხებულად მიაჩნდა. ჰოდა, ლა შამბრსაც მათსავით ფარ-ხმალი წინასწარ დაეყარა. იგი საგარეო საქმეთა მინისტრს, დაშოშმინების პოლიტიკის მიმდევარს, ჟორჟ ბონეს უჭერდა მხარს. ლა შამბრის მეგობრებს ქსელი ჰქონდათ გაბმული ოტო აბეცთან, გერმანიის საგანგებო ემისართან, რომელიც პარიზში ნაცისტთა სასარგებლო⁴ მეგობრული ურთიერთობისა და კონტაქტების დასამყარებლად ჩამოსულიყო.

ავიაციის მინისტრმა წვეულებაზე ვიულებენისაგან მიღებული ავბედითი ამბავი მოიტანა. „საშინელი მდგომარეობაა, — ამბობდა იგი. — გერმანელები ისე წინ წავიდნენ, ალბათ ფრანგები კარგა ხანს ვეღარ დაეწევიან. გერმანია ყოველთვიურად ხუთასიდან რვაასამდე თვითმფრინავს უშვებს, საფრანგეთი კი მხოლოდ ორმოცდახუთ-ორმოცდაათს, ინგლისი — სამოცდაათს“. სინამდვილეში

³ უილიამ ბულიტი აქტიური „მიუნხენელის“ სახელითაა ცნობილი. საფრანგეთში ელჩად მუშაობის დროს ის ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა საფრანგეთის მთავრობა ჰიტლერს მიმხრობოდა. ბულიტი ანტისაბჭოურ პროპაგანდას ეწეოდა და 1935 წელს თავდაუზოგავად იბრძოდა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ (მთარგმნელის შენიშვნა).

⁴ საფრანგეთის დაცემის შემდეგ ოტო აბეცი პარიზში გერმანიის ელჩად დანიშნეს (ავტორის შენიშვნა).

მართლა ასე როდი იყო. იმხანად გერმანიის საავიაციო წარმოება კრიზისს განიცდიდა და გერინგს ძალზე აშფოთებდა თავისი ავიაციის მდგომარეობა.

როცა ლა შამბრმა ლინდბერგს სთხოვა ამის თაობაზე თავისი აზრი გამოეთქვა, ლინდბერგმა უარი განუცხადა და თავი აარიდა იმ ქვეყნებში გამოშვებულ თვითმფრინავთა რაოდენობის დასახელებას, სადაც მას მოგზაურობა უხდებოდა. მაგრამ ლა შამბრივით მანაც მტკიცება დაიწყო, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს ევროპაში ბადალი არ მოეპოვებათ. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საჰაერო ძალებზე რაღას გვეტყვითო, რომ ჰკითხეს, მხრები მრავლისმეტყველად აიჩეჩა⁵. ლა შამბრმა სასახლე მაშინვე დატოვა, რათა ეს ამბავი პრემიერ-მინისტრ დალადიესა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბონესათვის ეცნობებინა. სულ მალე მმართველი წრეები საშინელმა პანიკამ მოიცვა.

ამ საუბრის შინაარსი ბულიტენმა ვაშინგტონის შეატყობინა, ხოლო მოხსენებების ასლი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ლონდონში, ჯოზეფ კენედის გაუგზავნეს, რომელსაც ინგლისის პრემიერ-მინისტრთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ისინი წინათაც ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაშინ ჩემბერლენი ფინანსთა მინისტრი იყო, კენედი კი — ვაშინგტონის საფინანსო წრეებთან დაახლოებული მილიონერ-ბიზნესმენი. ორივენი „პრაქტიკული ადაპტაციები“ ბრძანდებოდნენ, რაც სერ უილსონს დიდად აღაფრთოვანებდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ არც ერთი მათგანი გრძნობათა ტყვეობაში არ მოექცეოდა. ისინი ერთნაირად აფასებდნენ ევროპაში შექმნილ ვითარებას და, მათი აზრით, გერმანიის რაიხთან შეთანხმება აუცილებელი იყო. ვინც წინ აღუდგებოდა ასეთ, უდავოდ ეფექტურ გადაწყვეტილებას, ყველანი გზიდან უნდა ჩამოეცილებინათ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კენედიმ ნათლად გამოხატა თავისი გულისნადები გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და გერმანიის ელჩს ლონდონში, ჰერბერტ ფონ დირკსენს მტკიცება დაუწყო, რას არ ვიღონებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპაში გაჩაღებულ ომს თავი აარიდონო. ამერიკის იზოლაციონიზმის პოლიტიკიდან გამომდინარე ასეთი დაპირებები მისი უშუალო მოვალეობა იყო და სხვა არაფერი. შემდეგ კენედიმ სიტყვა მოამზადა, რაც შოტლანდიის ქალაქ აბერდინში უნდა წარმოეთქვა. იგი ჩემბერლენს ამის შესახებ წინასწარ ესაუბრა (ახლა ისინი ხშირ-ხშირად ხვდებოდნენ და აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს). ტექსტში ასეთი წინადადება გვხვდებოდა: „ღმერთმანი, ვერ გამიგია, რატომ უნდა ჩაებას ვილაცა ომში ჩეხების გადასარჩენად“. როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ამ სიტყვის პროექტს გაეცნო, ელჩი გააფრთხილეს, რომ ცოტა შეერბილებინა ეს გამოთქმა, რაზედაც კენედიმ ცივი უარი განაცხადა. მერე ეს ამბავი პრეზიდენტ რუზველტს მოახსენეს, რომელმაც ფინანსთა მინისტრ, ჰენრი მორგენტაუსთან საუბარში შენიშნა: ამ ახალგაზრდა კაცს ხელები ერთი ლაზათიანად უნდა დავუჩეჩოთო. პრეზიდენტის ბრძანება ამ წინადადების ამოღების შესახებ ელჩს დეპეშით შეატყობინეს და ინასაც სხვა რა გზა ჰქონდა, უსიტყვოდ დამორჩილდა.

⁵ შემდგომში ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს იმხანად ძლიერი საჰაერო ძალები ჰყავდა, ხოლო ჩეხოსლოვაკიის საჰაერო ძალები, როგორც მისი დაპყრობის შემდეგ დარწმუნდნენ გერმანელები, მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ტექნიკით იყო შეიარაღებული (ავტორის შენიშვნა).


პრეზიდენტის საყვედურით გაგულისებულმა კენედიმ ყური მოჰკრა თუ არა პარიზში ლინდბერგის გამოსვლების ამბავს, მაშინვე მისი ინგლისში მიწვევა განიზრახა. თავისი გადაწყვეტილება ნევილ ჩემბერლენს წინასწარ შეატყობინა, რომელმაც უმაღლვე კვერი დაუკრა. ლინდბერგმა ჯერ იყო და საფრანგეთის მთავრობა ჩააგდო საგონებელში, ახლა კი მას დიდი ბრიტანეთის მთავრობის დასაშინებლად ლონდონში ეპატიჟებოდნენ.

იმ დროს, როდესაც პოლკოვნიკი ლინდბერგი ხოტბას ასხამდა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა ძლიერებას, თავად „ლოფტვაფის“ მეთაურებს თავზარი ჰქონდათ დაცემული, არ იცოდნენ, მოახერხებდნენ თუ არა ორ ფრონტზე გალაშქრებას, რაც მოსალოდნელი იყო, თუ ინგლისი და საფრანგეთი ჩეხოსლოვაკიის დასაცავად გამოვიდოდა. გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა ხელმძღვანელებს არც მაინცდამაინც მოსწონდათ თავიანთი თვითმფრინავები. მათ სრულიად ნათლად ჰქონდათ შეგნებული, რომ ჯერ პოლანდიისა და ბელგიის აეროდრომები უნდა ეგდოთ ხელთ და მთავარ მტერს — ინგლისს მერე გამკლავებოდნენ. ამ აეროდრომებზე იერიში გერმანიის სახმელეთო არმიას უნდა მიეტანა. მაგრამ არც გერმანიის ჯარებს ადგათ კარგი დღე, რადგან თავად ისინიც არ იყვნენ მზად ორ ფრონტზე საბრძოლველად. მათ არ შეეძლოთ ერთდროულად გაელაშქრათ კარგად შეიარაღებული ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და თან აეროდრომების ხელში ჩაგდებას მიზნით ნიდერლანდებსაც შებრძოლებოდნენ.

1938 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში გერმანელთა სახმელეთო ჯარების ერთმა ჯგუფმა, ვინ ნოთფელის, რამდენჯერ აფრინა ლონდონს ნდობით აღჭურვილი პირები ინგლისელთა აზრის გასაგებად. ისინი სთხოვდნენ ინგლისს, როგორმე ჩაეფუშათ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის ჰიტლერისეული გეგმა. არც ის დაუმაღავთ, რომ ფიურერის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ. ოპოზიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა: ინგლისში ნამდვილი ჯენტლმენი უნდა გაგვზავნოთ. პირველი ასეთი დესპანი გახლდათ ძველი პრუსიული სკოლის არმიის ოფიცერი ევალდ ფონ კლაისტ-შმენზინი. იგი სამხედრო ჯარების შტაბის ყოფილი უფროსის, გენერალ ბეკის (იგი 1938 წლის ზაფხულს გადადგა, რადგან ჰიტლერის გეგმებს არ ეთანხმებოდა), რამდენიმე სხვა გენერლისა და მაღალჩინოსან სამოქალაქო პირთა დავალებით ინგლისში ჩავიდა. კლაისტ-შმენზინს გესტაპო ალმაცერად უყურებდა, როგორც ანტინაციონალისტურად განწყობილ პიროვნებას და ამიტომ, რალა თქმა უნდა, გერმანიის საზღვარს გადაღმა ოფიციალურად აბა ვინ გააჭაჭანებდა, მაგრამ მას შეთქმულების ერთ-ერთი წევრის, აბვერის⁶ შეფის — ადმირალ ვილჰელმ კანარისის დახმარებით ყალბი პასპორტი გაუმზადეს და ლონდონისკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩასვეს.

ინგლისის ელჩმა ბერლინში ნევილ ჰენდერსონმა კლაისტ-შმენზინის გამზავრების ამბავი რომ შეიტყო, მაშინვე ლონდონში დეპეშა აფრინა და საგარეო საქმეთა სამინისტრო გააფრთხილა, მისი მიღება ოფიციალური წრეების მიერ უგუნურება იქნება და სხვა არაფერი. ნაციისტების დიდ თაყვანისმცემელს, ჰენდერსონს იმის დარდი კლავდა, ვაითუ კლაისტ-შმენზინმა ჰიტლერის დაშოშმინების გეგმები წყალში ჩაგვიყაროსო. კლაისტ-შმენზინი ჰენდერსონს უნდა უმაღლოდეს, რომ დაუნიღ-სტრიტამდე ვერ მიაღწია, თუმცა შეთქმულები მთელ

⁶ აბვერი ხელმძღვანელობდა გერმანიის სამხედრო დაზვერვასა და კონტრაზვერვას (მთარგმნელის შენიშვნა).



იმედებს ამაზე ამყარებდნენ. მაგრამ კლაისტ-შმენზინმა იმდენი ქნა, რომ ფორინ ოფისში რობერტ ვანსიტართან შეხვედრა მაინც მოახერხა, შემდეგ კი ჩერჩილს შინ ეწვია, ჩარტუელში. მან ორივეს შეატყობინა, რომ გერმანიის გენერალური შტაბის ძლიერი წარმომადგენლები მტრულად ეკიდებოდნენ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის ჰიტლერისეულ გეგმებს და, დროს მოიხელთებდნენ თუ არა, ჰიტლერს პოსტიდან გადაყენებას უპირებდნენ.

სწორედ იმხანად ჩეხოსლოვაკიაში ჩასული იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი ლორდ რენსიმენის მეთაურობით. რენსიმენს ჩეხებისა და სუდეტელი გერმანელების მორიგება ევალეობდა. ისინი საკვანძო პრობლემათა გადასაწყვეტად უნდა შეკრებილიყვნენ და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად ეთნიკურ და პოლიტიკურ სფეროში არსებული უთანხმოება საბოლოოდ აღმოეფხვრათ. მაგრამ ეს მისია წინასწარ იყო განწირული დასაღუპავად, ვიდრე ამას რენსიმენი მიხვდებოდა. სუდეტელი გერმანელების ლიდერმა, კონრად ჰენლაინმა რენსიმენის ჩამოსვლამდე ჰიტლერის საიდუმლო მითითება მიიღო, ჩეხებისათვის ისეთი მოთხოვნები წაეყენებინა, რომ ეს პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი დარჩენილიყო.

უცხოელ კორესპონდენტებს, რენსიმენის ხალხს დღენიადაც კუდში რომ დასდევდნენ, დღესაც ახსოვთ, როგორ აიღეს ხელი ფორინ ოფისის ექსპერტებმა შეხვედრების ჩატარებაზე, რადგანაც პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა, რომ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო. მოხსენებით ბარათზე მუშაობისას რენსიმენის მისიის წევრები მთელ დროს სუდეტელ მემამულეებთან, უმეტესად — სუდეტელ გერმანელებთან ატარებდნენ, ამიტომ მოხსენებაც ანტიჩეხური ხულისკვთებით იყო გაჟღენთილი.

ამგვარად, რენსიმენის მისიას დამაბულობა არ გაუნელებია. ხოლო, რაც შეეხება კლაისტ-შმენზინს, იგი ლონდონში ჩასვლის დღიდან სულ იმას იხვეწებოდა, ინგლისმა მტკიცედ უნდა განაცხადოს, რომ საფრანგეთს მხარში ამოუდგება და საფრანგეთიც აიძულოს, ჩეხოსლოვაკიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს. ორივე საუბრის შინაარსი პრემიერ-მინისტრს დაწვრილებით მოახსენეს. უინსტონ ჩერჩილი უფრო ყურადღებით მოეკიდა ამ თხოვნას, ვიდრე პრემიერ-მინისტრი. ჩერჩილმა კლაისტ-შმენზინს ჰიტლერის მოწინააღმდეგეებთან ბარათი გაატანა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ კრიზისის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი, თქმა არ უნდა, მტკიცე პოზიციას დაიკავებდა⁷.

თავდაპირველად ჩემბერლენს არავითარი ზომები არ მიუღია კლაისტ-შმენზინის ვიზიტთან დაკავშირებით. აბა, მისი განცხადება რა ყურადსაღებიაო, — ფიქრობდა იგი. მხოლოდ ერთხელ უთქვამს ჰალიფაქსისათვის: ეს სიტუაცია იაკობინელების საქმეს მაგონებს საფრანგეთის სასამართლოში, მეფე უილიამსის დროს... იმას, რასაც კლაისტი ამბობს, ყურადღება არ უნდა მივაქციოთო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ეჭვებმა შეიპყრო და ჰალიფაქსს ბარათი გაუგზავნა, მოდით, რამე ვიღონოთო, შესთავაზა. ინგლისის ელჩი ბერლინში, ნევილ ჰენდერსონი სასწრაფოდ ლონდონში გამოიძახეს, კლაისტ-შმენზინის საუბრის ჩანაწერი მოასმენინეს და ორი რამ დაავალეს: წინასწარ გაეფრთხილებინა ჰიტ-

⁷ ერთი შეხედვით, ეს წერილი დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ იგი საბედისწერო აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ბრიტანეთმა კრიზისის დროს მტკიცე პოზიცია არ დაიკავა. მეორეც, 1944 წელს, ჰიტლერზე თავდასხმის დროს, ეს წერილი კლაისტ-შმენზინს საწერი მაგიდის უჯრაში უპოვეს და ამის საფუძველზე დახვრეტა მიუსაჯეს (ავტორის შენიშვნა).

ლერი, რომ ინგლისი ჩეხოსლოვაკიის საკითხთან დაკავშირებით მტკიცე პოზიციას დაიკავებდა; ამასთანავე ჰენდერსონს ინგლის-გერმანიის შესაძლებლობა უნდა გაერკვია. ჰენდერსონს მეორე დავალება უფრო დაუჯდა ჭკუაში, ვიდრე პირველი. მან ჰიტლერის წინააღმდეგ სამხედრო წრეების შეთქმულების ამბავი არ დაიჯერა და ჩემბერლენს შეევედრა, გერმანიის კანცლერს ვერ გავაფრთხილებო. როგორც ჩანს, ეს იყო ჩემბერლენის წუთიერი ახირება, რადგანაც თავისი პირველი თხოვნა მაშინვე უკან წაიღო. ამის ნაცვლად ჰენდერსონი ჰიტლერს უნდა შეხვედროდა და ინგლის-გერმანიის მეგობრული მოლაპარაკების შესაძლებლობანი დაეზუსტებინა.

მაგრამ განა შეთქმულთა ჯგუფი ამისათვის იღვწოდა? შეთქმულები შუამავლად ვიღას არ გზავნიდნენ ინგლისში, ყველას დაწვრილებითი ინფორმაციები ჩაჰქონდა შეთქმულების მზადების შესახებ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დოქტორი ერის კორდტი, საგარეო საქმეთა მინისტრის, იოაჰიმ ფონ რიბენტროპის კანცელარიის უფროსი. იგი შეთქმულთა მეკავშირის როლს ასრულებდა და თავს საფრთხეში იგდებდა, რადგანაც რიბენტროპი ფანატიკოსი ნაციისტი იყო, ინგლისი ჭირის დღესავით სძულდა და მტკიცედ უჭერდა მხარს ჰიტლერის გეგმებს. ერის კორდტის ძმა — თეო კორდტი, შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაური, იმხანად ლონდონში გერმანიის საელჩოს პირველ მდივნად მუშაობდა, სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად დადიოდა ფორინ ოფისში და მონდომებით ასრულებდა თავისი უფროსების — ნაციისტების ზეპირ თუ წერილობით განკარგულებებს, მაგრამ ვანსიტარტსაც ხშირად ეწვეოდა ხოლმე კენსიგტონის ქუჩაზე და შეთქმულების მზადებასთან დაკავშირებულ ამბებს უზიარებდა.

1938 წლის 5 სექტემბერს მან ვანსიტარტს ისეთი მნიშვნელოვანი რამ აუწყა, რომ ვანსიტარტმა მასვე სთხოვა, უილსონს ეს ამბავი შენ თვითონ მოახსენეო. თეო კორდტის მოტანილმა ცნობამ დინჯი უილსონიც კი წუთით ისე ააფორიაქა, რომ მაშინვე, ფარულად ჰალიფაქსთან გაარბენინა, დაუნინგ-სტრიტ 10-ში⁸.

კორდტმა ჰალიფაქსს შეატყობინა, რომ გენერალმა ჰალდერმა, რომელმაც სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი, გენერალი ბეკი შეცვალა, თანხმობა განაცხადა შეთქმულებს მიმხრობოდა, ხოლო სახმელეთო ჯარების მეთაურმა, ვალტერ ფონ ბრაუნშიმი, შეთქმულების ამბავი გაიგო თუ არა, პირადად უარი განაცხადა მონაწილეობაზე, მაგრამ შეთქმულებს აღუთქვა, არავისთან კრინტს არ დავძრავო. კორდტმა ჰალიფაქსს ესეც აცნობა: ჰიტლერი გერმანიის ჯარების მობილიზაციას დაახლოებით 15 სექტემბრისათვის აპირებს, ხოლო 1 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიაში შეჭრას ვარაუდობსო. შეთქმულები, კორდტის თქმით, ჰიტლერს მობილიზაციის დღეს შეუტევდნენ. გენერალი ერვინ ფონ ვიტცლენი — ბერლინის ჯარების უფროსი, რომელსაც შეთქმულთა შორის საპატიო ადგილი ეკავა, რაიხის კანცელარიას, ფიურერის მთავარ სამმართველოს, ალყას შემოარტყამდა და ჰიტლერს დააპატიმრებდა. ბერლინის პოლიციის უფროსს, გრაფ ფრიც ფონ შელენბერგს ქალაქში წესრიგის დაცვა ევალებოდა. გენერალ ვალტერ ფონ ბროკდორფ-ალფელდს, პოტსდამის ქვეითი ჯარების დივიზიის უფროსს, დედაქალაქი ალყაში უნდა მოექცია და ჰიტლერის გესტაპოს ჯარებს თავს დასხმოდა, თუკი რომელიმე მათგანი წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდა. ხოლო

⁸ დაუნინგ-სტრიტი — ინგლისის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია (მთარგმნელის შენიშვნა).



თუ გაუჭირდებოდათ, ტიურინგიიდან ჰოპნერიც დაეხმარებოდათ. შემეშინებულნი
 ჰქონდათ ჰიტლერის გასამართლების გეგმაც.

რა ევალეობდა ამ დროს ინგლისს? შეთქმულები მოითხოვდნენ, დასავლეთის
 მოკავშირეებს მსოფლიოსათვის და, განსაკუთრებით, გერმანელი ხალხი-
 სათვის მოახლოებული ომის საშიშროება ეცნობებინათ, საქვეყნოდ განეცხადე-
 ბინათ, რომ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს არასოდეს უღალატებდნენ და ჩეხო-
 სლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში ამ ქვეყანას ღვთის ანაბარა არ მიატო-
 ვებდნენ.

ლორდმა ჰალიფაქსმა სრულიად გულგრილად მოისმინა ეს საოცარი ცნო-
 ბები, კორდტი კარამდე ისე მიაცილა, სიტყვა არ დასცდენია. ძალზე საინტე-
 რესო ამბავი მაცნობეთო, — უთქვამს ბოლოს. აბა, კორდტს საიდან უნდა სცოდ-
 ნოდა ჰალიფაქსის ასეთი თავშეკავების ჭეშმარიტი მიზეზები. აბა, როგორ იფიქ-
 რებდა, თუ ჩემბერლენს ჰიტლერთან კერძო მოლაპარაკება ედო გულში. პრემი-
 ერ-მინისტრმა მხოლოდ ჰალიფაქსს, კაბინეტის ორ წევრს — ჯონ საიმონსა და
 სამუელ ჰორს და, რაღა თქმა უნდა, უილსონს გაუზიარა ეს საიდუმლო. თან ჰა-
 ლიფაქსი გააფრთხილა, ათი თვალი და ათი ყური გამოება, რათა იმით, ვინც
 ჩემბერლენის გეგმებსა და იდეებს არ იზიარებდა, საბოტაჟის საშუალება არ
 ჰქონოდათ.

ლორდ ჰალიფაქსს, რომელიც ჩვეულებრივ უსიტყვოდ ასრულებდა თავისი
 პრემიერ-მინისტრის მითითებებს, ამჯერად მოსვენება დაეკარგა. მართალია, ერ-
 თი შეხედვით, თითქოს აინუნშიც არ ჩაუგდია კორდტის ინფორმაცია, მაგრამ
 ამ საუბარმა ძალზე ჩააფიქრა. დღენიადაგ უდავიდარაბო, მიშვიდობიანი ყოფის
 მოტრფიალე, ეჭვებმა შეიპყრო. ახლავა ჩაუფიქრდა ჰიტლერთან დაზავების ჩემ-
 ბერლენისეულ პოლიტიკას. ჩეხოსლოვაკიის ბედით შეშფოთებული, ღამეებს
 თეთრად ათენებდა. კორდტთან შეხვედრის შემდეგ რამდენიმე დღე რომ გავიდა,
 ბერლინიდან საიდუმლოდ ახალი ცნობა მიიღო, მაგრამ ამანაც ვერ დაამშვიდა.
 იმსანად ბერლინში შვეიცარიელ მეცნიერს დოქტორ კარლ ბურჰარდტს უნდა ჩა-
 მოევლო, რომელიც ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი იყო დანცინგში. მართლაც,
 ჩამოვიდა თუ არა, იგი კარგა ხანს ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრის მო-
 ადგილეს, ბარონ ერნსტ ფონ ვაიცზეკერს.

ბარონი მხარს უჭერდა შეთქმულებს და ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის დიდი
 მოწინააღმდეგე გახლდათ. ბურჰარდტთან საუბრისას მან ხაზგასმით აღნიშნა
 დასავლეთის მოკავშირეების მიერ თავიანთი პოზიციის მტკიცედ გამოხატვის
 აუცილებლობა. იგი დასავლეთის სახელმწიფოებს სულ იმას უკიჟინებდა, ვიდრე
 ჰიტლერი ნაცისტური პარტიის მორიგ ყრილობაზე თავის საპროგრამო სიტყვას
 წარმოთქვამდეს, მანამდე უნდა გააფრთხილოთ. ეს ყრილობა ნიურნბერგში
 5 სექტემბერს იყო დანიშნული, სწორედ იმ დღეს კორდტმა შეთქმულთა
 ცნობა ლონდონს გადასცა. ერნსტ ფონ ვაიცზეკერის თხოვნა ბურჰარდტმა გულ-
 თან ახლოს მიიტანა. მაშინვე შვეიცარიაში გაემგზავრა (ეს ფაქტი იმაზე მეტყვე-
 ლებს, რომ ბურჰარდტი ნევილ ჰენდერსონს არ ენდობოდა და საჭიროდ არ მი-
 აჩნდა ამ საუბრის შინაარსი იქვე, ბერლინში, ბრიტანეთის საელჩოსათვის მო-
 ვესტინგჰაუსი). ფენევაში ჩასვლისთანავე იგი სასწრაფოდ ეწვია ინგლისის ელჩს და
 სთხოვა გაეცნევიდას აზრი ლონდონისათვის ეცნობებინა.

თეო კორდტის ინფორმაციამ და კორდტის თხოვნის დამადასტურებელმა ამ
 დამატებითმა ცნობამ ჰალიფაქსი აიძულა პრემიერ-მინისტრის უკითხავად ზო-

გიერთი მართებული გადაწყვეტილება მიეღო, რისთვისაც მას არავინ დაძრა-
ხავდა. ჰალიფაქსმა ჰენდერსონს ელვა-დეპეშა გაუგზავნა და მიითქმება მისცა,
ჰიტლერს სასწრაფოდ შეხვედროდა და გაეფრთხილებინა, რომ ჩეხოსლოვაკიაზე
გერმანიის გალაშქრებას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა.

ჰენდერსონს ეს დეპეშა ნიურნბერგის რკინიგზის სადგურის ჩიხში მდგარი
მატარებლის საძინებელ ვაგონში გადასცეს. სწორედ მაშინ ქალაქში ნაცისტური
პარტიის ყრილობა ტარდებოდა. ელჩი ვაგონის ვიწრო კუბეში თავს მოუსვენრად
გრძნობდა და საშინელი ტკივილებისაგან ცუდი უღონდებოდა. მას კიბოს ნიშ-
ნები აღმოაჩნდა და მართლაც, ამ სენმა იმსხვერპლა კიდევც. ამ მოგზაურობის
დროს ჰენდერსონს მდივანი თან არ ახლდა, ხელთ არც კოდის ჩასაწერი წიგნი
ჰქონდა და არც ქალაქის ფურცელი. იგი ჰიტლერს მუდამ მოკრძალებით შეს-
ციცინებდა თვალებში და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე მისი ქება დაემსახუ-
რებინა, ახლა კი იცოდა, ლანძღვა-გინება არ ასცდებოდა. ნაცისტთა პარტიის
ყრილობის დაწყების ჟამს, როცა ენაგალესილი პარტიული ხელმძღვანელები
გერმანიის განდიდებას აპირებდნენ, ნაცისტთა ლიდერთან მისვლისა და მისი
გაფრთხილების პერსპექტივამ ჰენდერსონს თავზარი დასცა. მან დეტექტიური
წიგნიდან (უძილო ლამეების დროს რომ კითხულობდა) ფურცელი ამოხია და
უმალვე დეპეშის ტექსტი შეადგინა. ამ უსიამო მისიისაგან გამათავისუფლეთო,
ვევდრებოდა ლონდონს. პარლამენტის წევრი და სამხედრო-საზღვაო სამინის-
ტროს პირველი ლორდი, ალფრედ დაფ კუბერი თავის დღიურში 12 სექტემბერს
წერდა: „სასოწარკვეთილი ჰენდერსონი დეპეშას დეპეშაზე გვიგზავნიდა. გვევედ-
რებოდა, არ გადაგვედგა ეს ნაბიჯი, რამეთუ მას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა.
ბოლოს და ბოლოს, მთავრობა დათმობაზე წავიდა“.

მთავრობამ კი ჰენდერსონს მხარი იმიტომ აუბა, რომ იმხანად ჩემბერლენს
მტკიცედ გადაეწყვიტა, ბოლო მოეღო სულელური მითქმა-მოთქმისათვის ჩეხო-
სლოვაკიის შესახებ. „კმარა იმაზე ჩიჩინი, რომ საფრანგეთი ვალდებულია შე-
ასრულოს თავისი მოვალეობა ჩეხოსლოვაკიის მიმართ, და რომ ამის შედეგად
ინგლისიც უთუოდ ჩათრეული აღმოჩნდება გერმანიის წინააღმდეგ ომშიო“. მე-
ორე მხრივ, სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ომის საფრთხე თვით საფრან-
გეთსაც თავზარსა სცემდა. პოლკოვნიკმა ლინდბერგმა და გენერალ უილიამსის-
თანა ადამიანებმა დიდებულად შეასრულეს თავიანთი როლი, ხოლო პრემიერ-
მინისტრ დალადიეს, მის კაბინეტსა და საფრანგეთის შტაბს ყუმბარებით ნაცარ-
ტუტად ქცეული და ცეცხლის ალში გახვეული პარიზის წარმოდგენაზე გული
უღონდებოდათ. შიშის ვირუსი დიდ ბრიტანეთსაც მოედო. თავისი ჩანაფიქრის
განსახორციელებლად ჩემბერლენმაც დრო იხელთა.

ასეთი იყო ვითარება 1938 წლის 13 სექტემბერს, როცა სუდეტის ერთ პატა-
რა ქალაქ ეგერში ეს ტრაგიკული ამბავი დატრიალდა. ხოლო 16 სექტემბერს,
გერმანიის არმიის მობილიზაციის გამოცხადებისთანავე, შეთქმულთა ჯგუფი
ჰიტლერის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა. მაგრამ 14 სექტემბერს ინგლი-
სის პრემიერ-მინისტრმა თემთა პალატას გამოუცხადა, რომ მეორე დღეს გერ-
მანიაში, ბერტესგადენში მიემგზავრებოდა ჰიტლერთან შესახვედრად. საფრან-
გეთის პრემიერი, რომელსაც ამას შესახებ წინასწარ არაფერი შეატყობინეს,
ლონდონს სასწრაფოდ ტელეფონით დაუკავშირდა, ბერტესგადენში მეც ხომ არ
ჩამოვიდეთ? მაგრამ სიტყვა არ აცალეს, პარიზიდან ფეხი არ მოიცივალოთ,
უბრძანეს. მოვლენებს ახლა ინგლისელები წარმართავდნენ.

გერმანიაში კი შეთქმულებს ეგონათ, ნევილ ჩემბერლენმა, როგორც იქნა, შეისმინა ჩვენი რჩევა-დარიგებანი და ახლა ბავარიაში ჰიტლერთან ულტიმატუმის წარსადგენად მიფრინავსო. ამიტომ თავიანთი საქმიანობა ღრთობით შეწყვიტეს. თანაც, შეთქმულთა გეგმების განხორციელება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როცა ჰიტლერი ბერლინში იქნებოდა და არა ბავარიაში, თავის შეუვალ ციხე-კოშკში.

პრემიერ-მინისტრმა გერმანიაში გამგზავრების ამბავი მხოლოდ ნდობით აღჭურვილ პირებს — ფინანსთა მინისტრ ჯონ საიმონს, საგარეო საქმეთა მინისტრს სამუელ ჰორსა და ჰალიფაქსს გაანდო. კაბინეტის დანარჩენ წევრებთან კი კრინტი არ დასცდენია. ამის შესახებ უილსონმაც იცოდა. პირველად მას დაებადა ასეთი აზრი. საქმის კურსში იყო ჰენდერსონიც, ვინც ამ საკითხს ბერლინთან ათანხმებდა. ჰალიფაქსს პრემიერ-მინისტრისათვის გერმანიაში წაყვანაც კი არ უთხოვია, ის კი არა და, როცა პრემიერ-მინისტრმა თავისი არჩევანი უილსონზე შეაჩერა, ხმა არ ამოუღია და უნიათობა ჰალიფაქსისა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისა, სწორედ მაშინ წარმოჩინდა. პრემიერ-მინისტრმა თან გაიყოლა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ევროპის დეპარტამენტის უფროსი უილიამ სტრენგი, სკოტლანდ-იარდის თანამშრომელი და მდივანი კირპატრიკი.

15 სექტემბერს თვითმფრინავმა გეზი მიუნხენისაკენ აიღო. უილსონი თვითმფრინავით პირველად მგზავრობდა, ჩემბერლენი კი — მეორედ, მაგრამ ამ ახალი განცდებისათვის ახლა არც ერთს არ სცხელოდა. უილსონი და სტრენგი ჩემბერლენის სახელზე გამოგზავნილ, კეთილი სურვილებით აღსავსე დეპეშებს ჩაჰკირკიტებდნენ, როცა თვითმფრინავი კენტის აეროდრომს გადაეგლო და გერმანიისაკენ გაფრინდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს არც ჩემბერლენს და არც მის ხელქვეითებს არ ესმოდათ, სწორად ირჯებოდნენ თუ არა. ჰაროლდ ნიკოლსონმა თავის დღიურში ეს სტუმრობა ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას შეადარა. „ინგლისის ლუდხანაში პირველად მოხვედრილი ორი პატიოსანი დიაკვნის მსგავსად მათ არ იცოდნენ, ვის უნდა შეხვედროდნენ ამ თავყრილობაზე. განა ესმოდათ, რომ ეს ჭრელი ხალხი მათთან საუბარს არ ინებებდა და არც საერთო ენის გამონახვას შეეცდებოდა. ეგონათ, უთუოდ თავაზიან და პატივსაცემ ადამიანებს იხილავდნენ“. უეცრად უილსონი ეჭვებმა შეიპყრო, ვერა და ვერ გაარკვია, იყო თუ არა მართებული გერმანიაში მათი გამომგზავრება. „ჩვენ თან უნდა წაგვეყვანა ორმოცდაათი მდივანი მაინც, — უთქვამს მას შემდეგ. — ხელქვეითებით და პირადი მცველების თანხლებით უნდა ჩავსულიყავით. ასეთი პატარა დელეგაცია ისეთ დიდ სახელმწიფოს, როგორც დიდი ბრიტანეთია, რაც მართალია, არ ეკადრებოდა“. 15 სექტემბერს, დილით თვითმფრინავი მიუნხენის მიწაზე დაეშვა. დელეგაციას რიბენტროპი და ჰენდერსონი დახვდნენ. შემდეგ ყველანი მატარებლით ბერჰტესგადენისკენ გაემგზავრნენ. სტუმრები იქ სულისმოსათქმელად მხოლოდ ოცი წუთით შეასვენეს. მერე მანქანებით მთებისკენ მიმავალ გზას დაადგნენ და ჰიტლერის რეზიდენციისაკენ, ბერგჰოფისაკენ აიღეს გეზი. წინ ნევილ ჩემბერლენისა და რიბენტროპის მანქანა მიდიოდა, უკან უილსონის, სტრენგისა და ჰენდერსონის მანქანა მისდევდა. მიხვეულ-მოხვეული, მთიანი გზის ორივე მხარეს შავ მუნდირებში გამოწყობილი ესესელები ჩამწყრივებულნი იყვნენ. „მახსოვს, ესესელებს გვერდით რომ ჩავუარეთ, გულში გავიფიქრე, ნე-

ტაფ ცოცხალი თუ დავბრუნდები-მეთქი, მეღირსება კია ქვევით დაშვება? — იგონებდა შემდეგ უილსონი. ნევილ ჩემბერლენს კი ეტყობოდა, ცა ქუდად არ ში-აჩნდა და დედამიწა ქალამნად.

„ჰიტლერი ბერგჰოფში, კიბესთან შემოგვეგება, — დასძენს ჰორაციო უილსონი. — მახსოვს, მის ჩაცმულობას ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ფართლელთ მოვაჭრის მსახურიაო, იტყოდით. ჰიტლერი ჩემბერლენს მიესალმა და ყველანი ჩაიზე მიიპატიჟა. ამასობაში გაავდრდა კიდეც. წვიმამ დასცნო. დიდ დარბაზში გაგვიყვანეს. აქედან, ეტყობა, კარგად მოსჩანდა სად-ღაც, ჩვენს ფერხთით გაწოლილი ზალცბურგი, მაგრამ ახლა ყველაფერი ბურუსში იყო გახვეული. უზარმაზარ მაგიდას შემოვუსხედით. ჰიტლერი ჩემბერლენის გვერდით დაჯდა. თარჯიმანი შმიდტი — პრემიერის ხელმარჯვნივ, მერე გერინგი, კეიტელი, მე, სტრენგი და ჰენდერსონი. მე სწორედ ჰიტლერის პირდაპირ მოგხვდი და საშუალება მომეცა თავით ფეხებამდე ამეწონ-დამეწონა. ხშირად, როცა შრომის სამინისტროში მოლაპარაკების ჩატარება მიხდებოდა, ყოველთვის ისეთ ადგილს შევარჩევდი ხოლმე, რომ მოსაუბრე კარგად დამენახა, რათა უკეთ გამეცნო და გამერკვია, ვისთან მქონდა საქმე. შევეყურებდი ჰიტლერს და მზარავდა მისი თვალები, პირის მოყვანილობა, მართლაცდა ბევრი რამ თვალში არ მომივიდა“.

მოგვიანებით გამოთქმული ასეთი შენიშვნების მიუხედავად, ჩემბერლენზე ჰიტლერს, როგორც ჩანს, მაინც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია, თუმცა მაღალ დონეზე ჩატარებულ მოლაპარაკებათა ისტორიაში, მათი შეხვედრა ყველაზე უბანალურესი საუბრით დაიწყო:

ჩემბერლენი: რამდენი რამ მსმენია ამ ოთახის შესახებ, მაგრამ არ მეგონა, თუ ამხელა იქნებოდა.

ჰიტლერი: ეს თქვენა გაქვთ, ინგლისში, უზარმაზარი დარბაზები.

ჩემბერლენი: როგორმე უნდა ჩამობრძანდეთ და საკუთარი თვალთ იხილოთ ყველაფერი.

ჰიტლერი: იქ საპროტესტო დემონსტრაციებს გამიმართავენ.

ჩემბერლენი: თქვენც ადექით და ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეთ.

ერთხანს ასე საუბრობდნენ, შემდეგ ორივე გაჩუმდა. ისხდნენ ფიქრებში წასულები და ჩაის მიირთმევდნენ, ხმას არავინ იღებდა. ანაზღად ჩემბერლენის ყურადღება იქვე, კედელზე ჩამოკიდებულმა შიშველი, ქერათმიანი ქალის სურათმა მიიპყრო. პრემიერი პურიტანული გახლდათ. „კარგი იქნებოდა შიშველ სხეულზე ფოთოლი მაინც დაეფარებინათო“, — გაიფიქრა გუნებაში. მერე ორივენი წამოდგნენ და თარჯიმნის, დოქტორ პაულ შმიდტის თანხლებით ფიურერის სამუშაო ოთახისაკენ გაემართნენ. პრემიერ-მინისტრი და ფიურერი ერთმანეთის პირისპირ უნდა დარჩენილიყვნენ, რადგანაც ინგლისელები წინასწარ გააფრთხილეს, თუ მოლაპარაკებაში რიბენტროპი მიიღებს მონაწილეობას, კარგს ნურაფერს მოელოთო. ამიტომ ჩემბერლენმა არც უილსონი და არც თავისი თარჯიმანი გაიყვანა. მართალია, ამ შეხვედრას ნაცისტთა მინისტრი არ დაასწრეს. მაგრამ მისი გავლენა იქ მაინც იგრძნობოდა.

ჰიტლერისა და ჩემბერლენის საუბარმა სამ საათზე მეტხანს გასტანა. ჩემბერლენი არ ღელავდა, თავაზიანად, გაბედულად ეჭირა თავი, პრაქტიკული ადამიანის ენით, სიტყვამოსწრებულად ლაპარაკობდა, ჰიტლერი უფრო ნერვიულობ-



და, წამდაუწუმ ხმა უწყდებოდა, როცა ჩეხებსა და პრეზიდენტ ედუარდ ბენეშს ახსენებდა.

ჩემბერლენი: საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თქვენც იცით, რომ სუდეტელ გერმანელებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ გვადელვებს, რომ დიდი ბრიტანეთი ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული.

ჰიტლერი: რა უფლებით ლაპარაკობთ მშვიდობაზე, როცა ჩეხოსლოვაკიაში იგი უკვე ხელყოფილია? ნება მომეცით, კიდევ ერთხელ სრულიად გარკვეულად განვაცხადო, რომ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრა. აბა, როგორ მოვითმენ, ჩეხოსლოვაკიისთანა პატარა ქვეყანამ ორი ათასი წლის ისტორიის მქონე რაინი მეორეხარისხოვან სახელმწიფოსავით აბუჩად აიგდოს.

ჩემბერლენი: ყური მიგდეთ. მე პრაქტიკოსი კაცი ვარ. მოდით განვსაჯოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ სუდეტელი გერმანელები რაინში დავაბრუნოთ? მათ ხომ ჩეხოსლოვაკიის ესა თუ ის გარკვეული ნაწილი არ უკავიათ. ვინ იცის, სად არ არიან მიმოფანტულები. გერმანიამ ის რაიონები, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტს სუდეტელი გერმანელები შეადგენენ, კიდევ რომ მიიერთოს, ამ პრობლემის გადაჭრას მაინც საშველი არ დაადგება, რადგანაც მაშინ სხვა რაიონებში მცხოვრებ გერმანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩება ცაში გამოკიდებული. მაინც რატომ მოითხოვთ საზღვრების გადასინჯვას? ამას არ ჯობია, იქიდან ყველანი ავყაროთ და ერთად გადმოვასახლოთ?

როგორც ჩანს, ამ საუბრის დროს ჩემბერლენს ამაზე გონივრული არაფერი უთქვამს. გერმანიის კანცლერს თითქოს მათრახი გადაუჭირესო. შუაგულ ჩეხოსლოვაკიაში განლაგებული სტრატეგიული რაიონების დაკარგვა და ორ-ნახევარი მილიონი გერმანელის გერმანიაში დაბრუნება ჰიტლერს ჭკუაში სულ არ მოსდიოდა. ამიტომ უმაღვე სიტყვა ბანზე აუგდო: „ეტყობა, აზრთა ასეთი გაცვლა-გამოცვლა ხეირს არ მოგვიტანს, იგი ძალზე არაცხოვრებისეულია, მოვლენები კი ელვის სისწრაფით ვითარდება“, — აბობოქრდა ჰიტლერი კარგი მსახიობივით. — „ნუთუ არ გესმით, რომ ბევრმა სუდეტელმა გერმანელმა მიატოვა თავისი სახლ-კარი? — აღშფოთებული ტონით მიმართა მან ჩემბერლენს. — გერმანიაში ათი ათასზე მეტი ლტოლვილი ჩამოვიდა, ვინ მოთვლის, რამდენი დაიღუპა და რამდენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა⁹. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ნიურნბერგში ჩამოსვლისთანავე, ვთქვი, მომავალში ასეთ რამეს აღარ დავუშვებ-მეთქი და თქვენც, პატივცემული პრემიერ-მინისტრო, ძალიან დააშავებთ, თუ ზოგიერთი თქვენი კორესპონდენტის მსგავსად ჩემს სიტყვებს ნიავს გაატანთ. დროა შეწყდეს გერმანელების დევნა და თუ კაცი ვარ, ამას ბოლოს მოვუღებ“.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და ჩემბერლენი ჰიტლერის უცნაურად ანთებულ თვალებს მშვიდად მიაჩერდა. შემდეგ დამცინავად ჩაახველა და უთხრა: „კეთილი, მაშინ ჩეხოსლოვაკიაში ორივე მხარეს მოგუწოდოთ, რომ დამშვიდდნენ. იქნებ ღმერთმა ჭნას და ჩვენმა მოწოდებამ გაჭრას კიდევ, შესაძლებელი გახდეს მშვიდობიანი მოლაპარაკება. რასაცვირველია, თუ თქვენი ინფორმაცია სწორია,

⁹ სინამდვილეში ლტოლვილთა რიცხვი ათასობით კი არა, ასობით განისაზღვრებოდა, ხოლო ჩეხებთან შეტაკების დროს, სულ 27 გერმანელი გამოეხალბა სიცოცხლეს (ავტორის შენიშვნა).

როგორც ჩანს, სუდეტში ვითარება მეტისმეტად დაძაბულია, მაგრამ ბევრჯერ ყოფილვარ ასეთი რთული ვითარების მომსწრე და ფაქტების საგულდაგულო გადასინჯვის შემდეგ ხშირად იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ გამოსავალი არსებობს. თავდაპირველად კი მეგონა, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება-მეთქი“.

განრისხებულმა და გაოცებულმა ჰიტლერმა ინგლისის პრემიერ-მინისტრს თვალი თვალში გაუყარა. ფიურერს, რაც გერმანულ გაზეთებში იბეჭდებოდა და გერმანიის რადიოთი გადმოიცემოდა, ყველაფერი მართალი ეგონა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ხშირად იხმობდა პრესის ხელმძღვანელს ოტო დიტრიხსა და პროპაგანდის მინისტრს ჯოზეფ გებელსს და მათთან ერთად ბეჯითად ამუშავებდა ცილისმწამებლური, სალანძღავი და შეურაცხმყოფელი კამპანიის ჩატარების გეგმებს იმათ წინააღმდეგ, ვინც თვალში არ მოსდიოდა. ამჯერად ფიურერი ჩეხების დასალაშქრად ემზადებოდა. ზოგჯერ იგი პირადად უკეთებდა რედაქციას ცრუ პატაკებს, რათა ფაქტები მეტი სენსაციური და შემზარავი წვრილმანებით გაემდიდრებინა. მაგრამ საკმარისი იყო ეს ამბები პრესაში ამოეკითხა, ანდა რადიოთი მოესმინა, ბრაზს ვეღარ იოკებდა — ეს რა დღეში ჰყავთ მტრებს „უმწიკო“ გერმანელებიო. თავის ტყუილს თავადვე იჯერებდა. ახლა იგი სწრაფად შემობრუნდა, მაგიდიდან ქალაქი აიღო და ჰენლაინის მოხსენების ხმამალა კითხვა დაიწყო, სულ მარცვალ-მარცვალ წაიკითხა ეგერში მომხდარი სისხლიანი შეტაკების ამბავი. ჰიტლერის გულწრფელობით გაბრიყვებულ პრემიერ-მინისტრს ენა მუცელში ჩაუვარდა და ფიურერს პირდაღებული მიაჩერდა.

„აბა, ასეთ ვითარებაში შემძლია განა, სუდეტელ გერმანელებს მოწოდებით მივმართო? — ბოხოქრობდა ჰიტლერი. — არც კი უნდა მთხოვოთ, ჩეხების მიერ რეპრესირებულებს მათთან მოლაპარაკების უფლება მივცე. იმედიც კი არ უნდა იქონიოთ, რომ კონფერენციის მაგიდასთან მათ გვერდით დავჯდები. საზღვრის ორივე მხარეს ვითარება დღითი დღე უფრო და უფრო იძაბება. ჩეხები სუდეტელ გერმანელებს ტყვიას ესვრიან. ამიერიდან გერმანელებს ნებას არ მივცემ, იდგნენ ასე პირდაღებულები, უყურონ და უსმინონ, როგორ ანადგურებენ ჩეხები ისეთ ძველ გერმანულ ქალაქს, როგორც ეგერია. მოთმინების ფიალა ამევსო, — ჰიტლერი ზეზე წამოიჭრა და მაჯაზე მუშტი დაირტყა. — ბატონო პრემიერ-მინისტრო, გთხოვთ გულის ფიცარზე დაიწეროთ: 1918 წელს გერმანელმა ერმა სერიოზული დამარცხება იგემა, მაგრამ თავისი ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე ქედი მაინც არ მოუხრია. არც ამ უკანასკნელ ომში მოქცეულა ლარულად; იცოდეთ, ახლაც ასე იზამს. გმირული გზით ივლის მუდამ! — ფიურერმა ხმას აუწია. — იცით რას გეტყვით, ჩეხები არაადამიანურად ულმობლები და მხდლები არიან; რასაკვირველია, არავინ გაგვამტყუნებს, თუ ჩვენს ძმებს მხარში ამოგუდგებით, რადგან ეს უღირსი ადამიანები მათ ასე დაუნდობლად ჩაგრავენ. აბა, წუთით წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე დადგებოდით, როგორ დაგეწვებოდით გული, თქვენს ხალხს რომ ასეთი დღე აყარონ“.

„კეთილი, — კვერი დაუკრა ჩემბერლენმა. — ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ ასეთი რამ გაქვთ განზრახული, მაშინ ჩემთან შეხვედრა რაღა საჭირო იყო? თუ ძალის გამოყენებას აპირებთ, რაღა აზრი აქვს მოლაპარაკებას ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის თაობაზე?“

„არსებობს მხოლოდ ერთადერთი მშვიდობიანი გზა: ჩეხების პოლიციამ ამ რაიონებიდან გუდა-ნაბადი უნდა აიკრას, ხოლო ჩეხების ჯარი თავიანთ ყაზარმებს დაუბრუნდეს“. — ჰიტლერი, ამას რომ ამბობდა, როგორც ჩანს, ჩემბერლენს

ყურადღებით ადევნებდა თვალს. მან კარგად იცოდა, რომ პრემიერ-მინისტრს წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანიის ჯარის მობილიზაციისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვართან მისი თავმოყრის შესახებ. ამ ბოლო შენიშვნაზე ჩემბერლენმა ჰიტლერს დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, თითქოსდა აგრძნობინა, ეს თხოვნა ჭკუასთან უფრო ახლოაო.

ამის შემდეგ მოხდა აზრთა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლა და ჩეხოსლოვაკიის ბედი მრთხელ და სამუდამოდ გადაწყდა. გადაწყდა ევროპაში ომისა და მშვიდობის საკითხიც.

„რაც შეეხება საერთო ვითარებას,— განაგრძობდა ჰიტლერი,— გთხოვთ გამარკვევით: ინგლისი მართლა დაინტერესებულია თუ არა სუდეტის პრობლემის მოწესრიგებით? რას იტყვით, მაგალითად, სუდეტის ტერიტორია რომ გამოიყოს და, ამგვარად, ჩეხოსლოვაკიის დღემდე არსებული საზღვრები შეიცვალოს? თუ ინგლისი ასეთ გამოყოფაზე თანხმობას განაცხადებს და მთელ მსოფლიოს აუწყებს, რომ უამისოდ ყველაფერი წყლის ნაყვა იქნება, კონფლიქტს ბოლო მოეღება. მაგრამ ინგლისის აზრი ამ საკითხზე ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ“. იგი წამით შეჩერდა, ჩემბერლენისკენ შემობრუნდა და მშვიდად ჰკითხა: „როგორ გგონიათ, თანახმა იქნებიან თუ არა ინგლისელები, ჩეხოსლოვაკიას სუდეტის ოლქი რომ გამოეყოს? ეს იდეა გერმანელებს არ ეკუთვნით. ჯერ კიდევ 1919 წელს წამოიჭრა ამ მხარისათვის თვითგამორკვევის მინიჭების საკითხი. თუ ვსურთ საუბარი გავაგრძელოთ, თქვენ, პრემიერ-მინისტრო, უპირველეს ყოვლისა სუდეტელი გერმანელების თვითგამორკვევის უფლება უნდა აღიაროთ“.

ეს განცხადება ამ მოლაპარაკების გასაღები იყო, თუმცა დასავლეთის ქვეყნებში ასეთი წინადადება საქვეყნოდ ჯერ არავის გამოეთქვა¹⁰. აქამდე სუდეტელ გერმანელთა ნაციისტი მეთაურები სუდეტელი გერმანელებისა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების გერმანიის რაიხთან მიერთებას მოითხოვდნენ. ჰიტლერსაც ხომ სწორედ ეს უნდოდა, სუდეტელი გერმანელების დარდი კი არ ჰქონდა, სუდეტის იმ ტერიტორიის ხელში ჩაგდება სურდა, რომელიც ჩეხებმა გაამაგრეს და თავდაცვის სანგრად აქციეს „აღმოსავლეთით გერმანელთა შემოტევის წინააღმდეგ“ (Drang nach Osten).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩეხოსლოვაკია ომის დაწყების შემთხვევაში საფრანგეთის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე და მტრის ზურგში მისი საიმედო დამცველი უნდა ყოფილიყო, მწელი წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის დასავლეთელ მოკავშირეს, ინგლისს არ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა სუდეტის საიმედოდ გამაგრებული რაიონების გამოყოფისა და პოტენციური მოწინააღმდეგისათვის მისი გადაცემის იდეას. მაგრამ ჩემბერლენს ასეთ რთულ და საშიშ ვითარებაშიც კი ნაციისტური გერმანია თავის მტრად არ მიაჩნდა. ჩეხებს პრემიერ-მინისტრი ნეორტენბარისხოვან ადამიანებად თვლიდა. ის ამბავი, რომ

¹⁰ 1938 წლის 7 აგვისტომ ბერლინში „ტაიმსის“ ნოწინავე სტატიის აზრი გამოითქვა, იქნებ ყველასათვის, მათ შორის ჩეხებსაც. სჯობდეს, რომ სუდეტის მხარე გერმანიას შეუერთდეს. ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად უარყო ეს წინადადება. მეორე მხრივ, მწელი დასაჯებელია, რომ ეს აზრი შემთხვევით გამოთქმულიყო, რადგან „ტაიმსის“ რედაქტორი ჯეფრი ლეუნსონი, დაშოშმინების პოლიტიკის დიდი მიმდევარი, სწორედ ამ სტატიის გამოქვეყნებამდე ესაუბრა ჩემბერლენსა და უილსონს. ინგლისურ გაზეთში „ნიუ სტეიტსმენსა“ და პარიზის „ლა რესპუბლიკაშიც“ ასეთივე აზრი გამოითქვა, თუმცა მათი განცხადება ნაკლებ ავტორიტეტული გახლდათ (ავტორის შენიშვნა).

ისინი ფრანგების ერთგული მოკავშირეები იყვნენ, კიდევ უფრო ნაკლებ ადელ-
ვებდა, რადგან არც ფრანგებზე დარდით იკლავდა თავს.

ჩემბერლენმა ჩაახველა და განაცხადა: „მოუთათბირებლად, რაღა-თქმა უნ-
და, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით ვერაფერს მოგახსენებთ. თავისთა-
ვად ცხადია, ფრანგების, ლორდ რენსიმენისა და კაბინეტის მინისტრების აზრიც
უნდა გავიგო. მაგრამ, თუ გნებავთ, ჩემს მოსაზრებას ახლავე გეტყვით. ხოლო
იმ ამბავმა, რაც აქ მოვისმინე, გული ამიფორიაქა და მზად ვარ გავარკვიო, იზი-
არებენ თუ არა ინგლისში ჩემი მინისტრებიც ამ თვალსაზრისს. პირადად მე
თანახმა ვარ სუდეტის მხარე ჩეხოსლოვაკიას თვითგამორკვევის საფუძველზე გა-
მოეყოს“.

სათქმელი უკვე ითქვა. მართალია, ამას ახალი ამბები და ახალი კრიზისე-
ბი მოჰყვა, მაგრამ საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. თავისი პრემიერ-მინის-
ტრის პირით დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ჩეხოსლოვაკი-
იდან სუდეტის მხარის გამოყოფასა და რაიხის შემადგენლობაში მის შეყვანაზე.
მართალია, ჩემბერლენმა ისიცა თქვა, ბრიტანეთის კაბინეტის წევრთა და ფრანგ-
თა აზრიც უნდა დავაზუსტოთო, მაგრამ ჰიტლერს კარგად მოეხსენებოდა, რომ
მთელი კაბინეტი ჩემბერლენს თვალეში შესციცინებდა. ისიც იცოდა, რომ სა-
ფრანგეთის მმართველ წრეებში პანიკას დაესადგურებინა. ამიტომ, მაშინვე
მიხვდა, რომ ბრძოლა უსისხლოდ ჰქონდა მოგებული.

„რა ადვილად გავიმარჯვეო“, — გაიფიქრა ჰიტლერმა და ბრიყვ, ხანდაზმულ
პრემიერ-მინისტრს თვალი გააყოლა, მანქანით თავისი სასტუმროსაკენ რომ გა-
ხარებული მიიჩქაროდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ქან-ქაკ რუსო

ქიული ანუ ახალი ელოიზა

თარგმნა ნიკა აბიაშვილმა

XVII წერილი

შეკასუხება

გულმჩივანმა წავიკითხე თქვენი ბარათი: თქვენს სიცოცხლეში მარტოოდენ ერთხელ დაწერეთ სისულელე.

მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მე ვბღალავ თქვენ ღირსებას, — მისი გულისთვის ხომ ასჯერ შემოძლია თავი გავწირო! მაშასადამე, შეურაცხყოფ შენს ღირსებას, — შე უმადურო, ხომ დაინახე, რომ შენი გულისთვის კინალამ ჩემი პატივი და სახელი დავკარგე! მაშ, რაღაა შენი ღირსება, რომელიც მე შევბღალე? მიპასუხე, შე უღირსო ადამიანო! მიპასუხე, შე უსულგულო! ჰოი, რა საბრალო ხარ, უკეთუ მხოლოდ ის ღირსება მოგეპოვება, რაიც ქიულიმ არა უწყის? აბა, ეს როგორი ამბავია? ნუთუ ისინი, ვინც მუდამ მზად არიან ერთმანეთს გაუყონ სიხარულიცა და მწუხარებაც, ვერ გაბედავენ ქონების გაზიარებასაც. და ნუთუ მას, ვინც დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა, ჩემ სვე-ბედს შენ გაბარებო, შეურაცხყოფს ჩემი საჩუქარი? როდის და რა დროიდან გახდა სამარცხვინო საყვარელი არსებისაგან საჩუქრის მიღება? როდის იყო, რომ სატრფოს საბოძვარი ბღალავდა მიჯნურის ღირსებას? ეგ როგორ იქნება? განა ვინც მოყვარისაგან საბოძვარს იღებს, სიძულვილის ღირსია? განა უნდა შევიძულოთ უპოვარი ადამიანი? მერე და ვინ უნდა შეიძულო? მარტოოდენ სულ-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 6

მდაბლებმა, ვისთვისაც ღირსება სიმდიდრეა და სათნოებას ოქროთი წყავენ. განა ასეთ მდაბალ წესებს ემყარება პატიოსანი ადამიანის ღირსება? და ხომ არა აქვს მიდრეკილება ჩვენს გონებას უკვე წინასწარ ის ამჯობინოს, ვინც უფრო ღარიბია?

ცხადია, არის დაძაბვები საბოძვარიც, და წესიერი ადამიანი მას ვერ მიიღებს. მაგრამ მერწმუნეთ, ასეთი საბოძვარი ბლაღვს გამცემის ხელებსაც, ხოლო სპეტაკი სულითა და გულით მოძღვნილს სპეტაკივე გული შეიწირავს. ამრიგად, ვერაფრით გავიმტყუნებ თავს, პირიქით, ვამაყობ კიდევ ჩემი საქციელით¹. არავინაა ქვეყნად იმ მამაკაცზე უფრო საძულველი, ვინც ყიდის და ახურდავებს თავის გულსა და სათუთ გრძნობას — განადამც თუ მარტოოდენ მათი მყიდველი დედაკაცი. ხოლო მიჯნურობით შეკავშირებული ორი არსების საერთო ქონება ემყარება სამართლიანობასა და მოვალეობას. მე უფრო მეტი ფული მაქვს, ვიდრე თქვენ, და თავშეუწუხებლად ვიტოვებ ზედმეტ თანხას, ოღონდ ვფიქრობ, თქვენი მოვალე რომ ვარ. ეჰ, უკეთუ ტრფიალების საბოძვარი ტვირთია, მაშინ ადამიანის გულისთვის უცხო ყოფილა მადლიერების გრძნობა!

ხომ არ გგონიათ, ძალიან მესაჭიროებოდა ის ფული, თქვენ ხელშესაწყობად რომ გადავდევი? ახლავ დაგიმტკიცებთ საწინააღმდეგოს. საქმე ისაა, რომ ჩემგნით უკანვე დაბრუნებულ იმ ქისაში იმაზე ორჯერ მეტი თანხა დევს, რაც წინათ გამოგიგზავნეთ, და შემეძლო კიდევ თანხის გაორკეცება. მამაჩემი სახარჯოდ მაძლევს გარკვეულ თანხას. მართალი რომ ვთქვა, ძალიან მცირეს, მაგრამ ესეც თავსა მდის, რადგან დედაჩემი ძალზე ზრუნავს ჩემთვის და არაფერს მაკლებს; ესეც არ იყო, ბლომდა მაქვს ჩემი ნახელავი მაქმანი და ნაქარგი. მართალია, ყოველთვის როდი ვიყავი ასეთი მდიდარი; ამ შავბედითმა ტრფიალებამ იმდენი მწუხარება მარგუნა, რომ თავი ვანებე მორთვა-მოკაზმვას და ახლა წინანდებურად იმდენს აღარ ვხარჯავ მათთვის, და სწორედ ეს არის კიდევ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რამაც წამაქეზა ასე ხელგაშლილად მოგპყრობოდი ფულს: უნდა დაისაჯოთ ყველა იმ უკეთურების გამო, რაც მომაგეთ, და მარტოოდენ სიყვარული გამოისყიდის თქვენს შეცდომებს.

ახლა, რაც მთავარია, ხომ ბრძანეთ, ჩემი ღირსება მიკრძალავს შენგან საჩუქრები მივიღო. უკეთუ ასეა, მაშინ ლაპარაკიც არა ღირს: გეთანხმებით, ნება არა გაქვთ თქვენი ღირსებისათვის ზრუნვა სხვა ვინმეს დააკისროთ. თუ გნებავთ ამის დამტკიცება, დაამტკიცეთ ნათლად და მკაფიოდ, უცილობლად და სავსებით მიუკიბ-მოუკიბავად. რადგან კარგად უწყით, ვერ ვიტან სოფიზმებს. ქისა შეგიძლიათ დამიბრუნოთ; უდრტვინველად მივიღებ მას და კრინტსაც არ დავძრავ მის გამო ოდესმე.

ოღონდ არ მიყვარან წვრილმანი, ყალბი თავმოყვარეობით განმსჭვალული ადამიანები. ამიტომ, უკეთუ მეორეჯერაც უკან დამიბრუნებთ ქისას, ისე რომ არ წარმომიჩინოთ გამამართლებელ მიზეზთ, ანდა არადამაჯერებლად დაიწყებთ თავის მართლებას, მეტად აღარ შევხვდებით ერთმანეთს. მშვიდობით. კარგად დაუფიქრდით ყველაფერ ამას.

¹ ქიული მართალია. ამ იქტლებითი მოგზაურობის გამომწვევი ფარული მიზეზი იმას მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა გაღებული თანხა უფრო მეტად ღირსეული მიზნისათვის. მხოლოდ სამწუხარო ისაა, ამას არავითარი სარფა რომ არ მოჰყოლია.

XVIII წერილი

ქიულისადვი

მივიღე თქვენი საჩუქარი; თქვენს უნახავად გავემგზავრე, და აი უკვე შორსა ვარ თქვენგან. კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა თქვენი ტირანული ძალაუფლებით? გახლავართ თუ არა საკმაოდ მორჩილი?

მოგზაურობის ამბავს ვერ მოგიხრობთ; მგონი, მეც არ ვიცი კარგად, როგორი იყო იგი. ამ სამი დღის მანძილზე ოცი ლიე განვლე; ყოველი ნაბიჯის შემდეგ, თქვენ თავს რომ მაშორებდა, ვგრძნობდი, რომ სული ჩემი მზად იყო ხორცს გაჰყროდა, და სიკვდილის პირას მისულს საშინელი ნალველი შემომაწვა. მე ხომ მინდოდა მომეწერა ყველაფერი, რაც ვნახე და განვიცადე. ეს ფუჭი განზრახვა გამოვიდა და მეტი არაფერი! ყველგან თქვენ მელანდებოდით და მხოლოდ ერთადერთ ჟიულიზე შემიძლია მოწერა თქვენთვის. ერთიერთმანეთზე შემოჯარულმა დარღმა და ვარამმა გონება დამიბნია; სულ ასე მეგონა, ისე იქა ვარ, ჩემი ჟიულის გვერდით-მეთქი; გონიერება იქამდე მეყო, გზა არ ამზნეოდა და არ დამეწყო მისი კითხვა-კითხვით ძებნა. ასე მივალწიე სიონამდე, ხოლო ჯერ ვევეს არ გავცილებოდი.

აი, რა გზით მოვახერხე თქვენი მკაცრი აკრძალვისაგან თავის არიდება და თქვენი ხილვა ისე, რომ ურჩობა არ გამეწია! დიახ, ულმობელო, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, სავსებით მაინც ვერ მოახერხეთ ჩემი განრიდება. მთლად მე როდი ვარ გაძევებული, არამედ ჩემი ხრწნადი გარსი; ყველაფერი, რითაც ვარ შთაგონებული, თქვენთანა ჰგებებს განურიდებლად. ჩემი სული თამამად ამბორს უყოფს თქვენს თვალებს, ბაგეთ, მკერდს, თქვენს ყველა მშვენიებას: ეს სული რაღაც ორთქლივით გეხვევათ გარს, და თქვენს ჯიბრზე ისე ბედნიერად ვგრძნობ თავს, როგორც არასოდეს ვყოფილვარ თქვენი ნება-სურვილით.

იძულებული ვარ აქ ზოგიერთ ვინმეს შევხვდე. მოვაგვარო სხვადასხვა საქმე, და ეს ამბავი ძალზე მანაღვლიანებს. არამცდაარამც არ ვუჩივი მარტობას: ეს ხომ საშუალებას მაძლევს ვიფიქრო თქვენზე და ოცნებით გადავიქროლო იქითკენ, სადაც თქვენ იმყოფებით. მხოლოდ ჩემთვის აუტანელია საჭიროება მოქმედებისა, რაც ზოგჯერ მთელ ჩემ ძალ-ღონეს მოითხოვს. მაშინ ვცდილობ ხელად დავამთავრო ყველაფერი, ოღონდ უფრო სწრაფად გავთავისუფლდე და გული ვიჭერო აქაური კუთხის უდაბურ, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტად წარმტაც ადგილებში ხეტიალით. უნდა დავუთევო ყველაფერი და დავრჩე მარტოდმარტო, როგორც ვული, უკეთუ თქვენთან ახლოს ყოფნა არ მიწერია.

XIX წერილი

ქიულისადვი

აქ არაფერი მაკავებს, თქვენი ბრძანების გარდა. აქ გატარებული ხუთი დღე გადაჭარბებით გასწვდებოდა ჩემს საქმეს, თუკი საქმეს ვუწოდებთ იმას, რაც არ ესალბუნება ადამიანის გულს. ერთი სიტყვით, ჩემი გაწვალება რომ არ გდომოდათ, არავითარი საბაბი აღარ გშთენოდათ ჩემდა გასაწირად.

ქალიან მაწუხებს ჩემი პირველი წერილის ბედი. აქ ჩამოსვლისთანავე დავწერე და ფოსტას გამოვაყოლე; მისამართი თქვენი გამოგზავნილიდან წა-
რადაა გადმოწერილი. ასეთივე სიზუსტით გაუწყეთ ჩემი მისამართიც. უკეთუ დაუყოვნებლივ გამოგეგზავნათ ჩემთვის პასუხი, აქამდე უკვე მოვი-
დოდა. ხოლო პასუხი არა და არ ჩანს; ჩემი აღრეული გონება კი მიხატავს
ათასგვარ საშინელებას, რაც ასეთი დაგვიანების მიზეზად მიმაჩნია. ო, ჩემო
ჟიული! ნუთუ ამ ერთ კვირაში მოხდა რაღაც ანაზღეული უბედურება, რომ-
მელმაც სამუდამოდ გასწყვიტა და დაარღვია სათუთობით ნალოლიავებ- კავ-
შირი ამ ქვეყანაზე! შიშით თავზარდაცემულს ერთადერთი გზა მშთენია
ბედნიერებისა და მრავალი უბედურებისათვის¹. ნუთუ დამივიწყეთ, ჟიული?
ოი, რა იქნება ამაზე უფრო საშინელი? მზადა ვარ გავუძლო ყოველგვარ გან-
საცდელს, ოღონდ როგორც კი გავივლებ გულში, ვაითუ ბედმა ეს სასჯელიც
მომისართა-მეთქი, სულიერი ძალ-ღონე მყისვე მეცლება.

თავად ვიცი, რა ცოტა საბაბი მომეპოვება ასეთი შიშისათვის, მაგრამ ჩემ
თავს ვერაფერი მოვუხერხე. თქვენგან მომორვეებული სულ უფრო და უფრო
მწვავედა ვგრძნობ ფიქრსა და ნაღველს. უამისოდაც საკმარისია ტანჯვა და
ვაება, მე კი დამატებით ვიგონებ კვლავ ახალ-ახალს და ვაღიზიანებ წყლულს.
თავდაპირველად არცთუ ისე ძლიერ ვღელავდი, უეცარი გამგზავრების გამო
მღელვარებამ და მგზავრობის შთაბეჭდილებებმა დააყუჩა ჩემი დარდი. იგი
კვლავ იჩენს თავს მარტოსულობის ჟამს. ვაგლახმე! ვიბრძოდი, მაგრამ ცულს
განმეწონა პირბასრი ლახვარი, ხოლო სატკივარს როდი შეიცნობ ჭრილობათა
მიღების უმალ.

რომანთა კითხვისას ასგზის მაინც გამცინებია დაშორიშორებულ მიჯნურ-
თა მალაღფარდოვანი ვიშვიშის გამო. ეჰ, მაშინ რა ვიცოდი, რაოდენ აუტანე-
ლი გახდებოდა ჩემთვის ერთხელ თქვენგან გაკიდევანება. ახლა კარგად ვიცი,
თუ სული დაშოშმინებულია, მას არ ძალუძს გულის ვნებათა განსჯა და სისუ-
ლელეა იმ გრძნობათა აბუჩად აგდება, რაც თავად არ ვანგიცდია. და მაინც.—
გამოგიტყდეთ განა?—არ ვიცი, რატომ, მაგრამ როგორც კი გავიფიქრებ, ჟი-
ულის ნება-სურვილით გავიყარენით-მეთქი, მაშინვე ეს ერთადერთი აზრი შვე-
ბასა მგვრის და მანუგეშებს, მიქარვებს განშორების დარდსა და სევდას. თქვენ
რომ ტანჯვა-წამება მომაგეთ, არც ესოდენ საშინელია ჩემთვის, როგორც ბე-
დისაგან მოვლენილი შეჭირვება. და უკეთუ ეს გართობთ და გსიამოვნებთ,
დაე იყოს ასე: ის ხომ მომავალ საბოძვართა საწინდარია, რადგან ქალიან კარ-
გად ვიცნობ თქვენს გულს და არა მჯერა, უმიზეზოდ იყოთ ესოდენ
სასტიკი.

უკეთუ ჩემი გამოცდა ვნებავდათ, მეტს აღარ ვიწუწუნებ. ხომ გსურდათ
გაგეგოთ, ვარ თუ არა ერთგული მომთმენი ან მორჩილი, — ერთი სიტყვით,
ვარ თუ არა ჩემთვის განკუთვნილ საბოძვართა ღირსი. ოი, ღმერთებო! უკეთუ
თქვენს განზრახვას ჩავწვდი, ჟიული, მაშინ როდი უნდა ვამბობდე სამდუ-

¹ მეტყვიან, ენის ცდომილებათა გასწორება გამომცემელს ევალებაო. დიახ, თუ გამომ-
ცემელი ამას რაიმე მნიშვნელობას აძლევს ანდა უკეთუ წიგნში შეიძლება ენის გასწორება,
ისე რომ არ დაირღვეს და გაფუჭდეს იგი. მასთან, ეს კარგია, როცა გჯერა შენივე სტილისა,
და შენი შეცდომებით არ შეცვლი ავტორის შეცდომებს. და ყველაფერ ამასთან, განა რაიმეს
მოიგებს წიგნი, შვეიცარიელი ფრანგი აკადემიკოსივით თუ ილაპარაკებს?



რავს — ჯერ ხომ ცოტა ტანჯვას განვიცდი! დიახაც, ჩემ გულს სასიამოო ტყენები რომ დაეუფლოს, თუ — შესაძლოა, გამოიგონეთ ჩემთვის საბოძვრის თანაბარი სატანჯველიც.

XX წერილი

ქიშლისაგან

ერთბაშად მივიღე თქვენი ორივე წერილი, და, მეორე მათგანის წაკითხვისას, სადაც გაწუხებთ პირველის ბედი, ვრწმუნდები: როცა წარმოსახვა მეტი-მეტად მალიად შეაჭირვებს კაცის გულს, გონება ვეღარ მიწვდება და სავსებით განერიდება მას! სიონში ჩასვლისას, თქვენ ალბათ, იფიქრეთ, ფოსტალიონი უკვე მზად იყო გამოსამგზავრებლად, და მხოლოდ თქვენ წერილს ელოდებოდა. როგორც კი ადგილზე მიიღებდნენ, წერილს მაშინვე ჩამაბარებდნენ და ასევე მარჯვედ მოგვარდებოდა ყოველივე ჩემი პასუხის გამოსაგზავნადაც. არა, საყვარელო მეგობარო, ყველაფერი ასე მარტივად როდი ხდება! ორივე თქვენი წერილი ერთსა და იმავე დროს მოვიდა, რადგან ფოსტალიონი კვირაში მხოლოდ ერთხელ დადის და მხოლოდ მაშინ გამოემგზავრა, როცა მოუსწროთ თქვენმა მეორე წერილმაც¹; ხოლო წერილების განაწილებისათვის ხომ დროა საჭირო; საჭიროა დრო იმისთვისაც, რომ დამტარებელმა ფარულად ჩამაბაროს პაკეტი, ფოსტალიონიც როდი მიდის აქედან ჩამოსვლის მეორე დღეს. ამგვარად, თუ კარგად გამოვარკვევთ ყველაფერს, მაშინ, ჩანს, პასუხის მისაღებად საჭიროა ერთი კვირა! (და, მასთან, როცა დააზუსტებ ფოსტის გაგზავნის დღეს); ყოველივე ამას იმიტომ გიხსნით, რომ მსურს სამუდამოდ დავაშოშმინო თქვენი სულსწრაფი მოუთმენლობა. და აი, სანამ თქვენ ენამზეობთ და ამტყუნებთ უწყალო სვე-ბედსა და ჩემს უყურადღებობას, მე, როგორც ხედავთ, ფრთხილად გულისხმავყოფ ყველაფერს, რათა გავაიოლო ჩვენი მიწერ-მოწერა და აგაცილოთ მღელვარება. თავადვე გადაწყვიტეთ, ვინ უფრო მეტ სათუთ ზრუნვას იჩენს ჩვენ ორში!

მაგრამ შევეხოთ უფრო სასიამო საგანს, ჩემო საყვარელო მეგობარო! აჰ, წარმოიდგინეთ და ჩემთან ერთად გაიზიარეთ ჩემი სიხარული: რვა თვის განშორების შემდეგ ვნახე მამაჩემი, ყველა მამის მჯობი მამა ამქვეყნად. იგი ჩამოვიდა ხუთშაბათს საღამოს, და ამ უბედნიერესი წუთიდან მხოლოდ მას დასტრიალებს ჩემი ფიქრი², ჩემო უსაყვარლესო ყოველთა შორის, — იმათ გარდა ვინაც დამბადეს, — შენი წერილებითა და შენი საყვედურებით აბა რაისთვის მიფორიაქებ სულის მშვიდობას. რად მიშრეტ მშობლის ნახვით გამოწვეულ პირველ სიხარულს? ალბათ, ისა გწადია, მარტოოდენ შენ იყო მარად და მარად ჩემი გულის უფალი; აბა ერთი ეს მითხარი. განა გაუმიჯნურდებოდი მამის ურჩისა და უმადურ ქალიშვილს, რომელიც, ვნებათა ცეცხლით აღტყინებული, დაივიწყებდა ასულის მოვალეობას და მიჯნურის ჩივილით შეპყრობილი გულქვად მოექცეოდა უნაზეს მამას? არა. სახიერო, უსამართლო საყვედურე-

1 ახლა ფოსტა კვირაში ორჯერ დადის.
 2 წინათ თქმულიდან ჩანს, რომ ქიული აქ მართალს არ ამბობს.

ბით ნუ მომიწამლავ ალალ ბედნიერებას, ესოდენ სასიამო გრძნობათაგან რომ მომეგლინა. შენი სული ასე სათუთობით ნაზარდია და კეთილმოწყალე. რომ იცი, რაოდენ ძვირფასია ქალიშვილისთვის მამის ფაქიზი, წრფელი ჩახუტება, როცა იგი სიხარულით აჩქროლებულ გულში ჩაიკრავს თავის ასულს. აბა ერთი ეს იფიქრე, განა შეიძლება გული თუნდ წამიერადაც განმრჩობლდეს და წარსტაცოს ბუნებას მისი უფლებები!

*Sol che Son iglia io mi rammento adesso.*¹

მაგრამ არა, ნუ იფიქრებთ, რომ მაგიწყდებით. განა შეიძლება მისი დავიწყება, ვინც გიყვარს? თუკი ზოგჯერ მომეძალებიან კიდევ უფრო ახალი შთაბეჭდილებები, ისინი მაინც ვერ აღმოფხვრიან მათ, დანარჩენთ. დამწუხრებულ მიგაცილებდით გამგზავრების ჟამს. სიხარულით შემოგეგებებით დაბრუნებისას... ოღონდ... ოღონდ ჩემებრ აღიჭურვეთ მოთმინებით. რამეთუ ასეა საჭირო. და ნულარაფერს გამოიკითხავთ. მერწმუნეთ, მოგიხმობთ, რა ჟამსაც ეს შესაძლებელი იქნება. და ესეც იცოდეთ, სხვაზე მეტად ყოველთვის ის კი არ იტანჯება, ვინც უფრო ხმამაღლა ჩივის განშორების გამო.

XXI წერილი

ქიულისადმი

ოიძე, როგორ გავიტანჯე, ვიდრე სასურველ უსტარს მივიღებდი! ფოსტაში ველოდი მას. აი ფოსტა გახსნეს კიდევ. წამსვე წარმოვთქვი ჩემი გვარი. სწორედ რომ აბეზარი ვხდები. მეუბნებიან, შენს სახელზე წერილიაო. ვთრთი და ვცახცახებ. საშინელი მოუთმენლობით შეპყრობილი მოვითხოვ ჩქარა მომცენ წერილი. როგორც იქნა. მომცეს. ქიული! ვცნობ შენი მშვენიერი ხელით მოხაზულ პწკარებს! აკანკალებულ ხელს ვიწვდი სანუკვარი საუნჯისაკენ. მზადა ვარ კოცნით დავფარო წმიდათა წმიდა ასოები! მაგრამ რაოდენ წინდახედულია მფრთხალი სიყვარული! ვერ ვბედავ ბაგე დავაკონო წერილს. ვერ ვბედავ მოწმეთა თვალწინ მის გახსნას. გავეშურე დასამალავად. მუხლები მიკანკალებს. მღელვარება სულ უფრო და უფრო შემომენტო, და გზას ძლივსღა ვიგნებ. პირველსავე მოსახვევში ვხსნი უსტარს. ვკითხულობ, თვალებითა ვნთქავ ნაწერს. და, როგორც კი მივედი იმ პწკარამდე, სადაც ასე კარგადაა აღწერილი გულითადი სიხარული, რომელსაც განიცდი შენი დარბაისელი მამის ჩახუტებით, მყისვე ცრემლთა ნაკადი წამსკდა. გამვლელები მაჩერდებიან; ცნობისმოყვარეთა თვალს რომ დავმალოდი, ხეივანში გადავუხვიე. შენი სიხარული მეც ვადამედო. აღტაცებული, გუნებაში ვეამბორები შენს უბედნიერეს მამას, რომელსაც ოდნავ თუ ვიცნობ. ბუნების ხმა შემახსენებს მამაჩემს, და კვალად მოკრძალებით ვღვრი ცრემლებს მის მოსაგონრად.

აბა, რა ბედენაათქვენთვის, ყველა ასულთა შორის რჩეულო, ბედითი ყოფა და მოსაწყენი ცოდნანი ჩემნი? თქვენგან უნდა შევიმეცნოთ ყოველივე, რაიც ადამიანთა გულს შეამკობს და გააკეთილშობილებს, უმეტნავესად სათ-

¹ მხოლოდ ეს მახსოვს, რომ გახლავართ ასული მისი (იტალ.).

ნობის, სიყვარულისა და ბუნებრიობის ღვთაებრივი შეხამება, რაც მარტო-ოდენ თქვენ შეგფერით! ქვეყნისქვეყნად არ მოიპოვება ისეთი ფაქიზი გრძნობა, რომელიც არ განეცადოს თქვენს გულს, თავისი სათუთი მოპყრობით კვალად და კვალად რომ გაუკეთილშობილებია იგი. და მეც რომ დაგეუფლო ჩემი გულის უკეთ მართვას, მთელ ჩემს მოქმედებათ უკვე ვუმორჩილებ თქვენს ნება-სურვილს, და კიდევ უფრო დაგემონებით ყველა გრძნობით.

ოღონდ როგორ განსხვავდება თქვენი და ჩემი ყოფა, გვედრებით, იფიქრეთ ამაზე. სულაც არ მაფიქრებს გვარიშვილობა, ანდა სიმდიდრე — პატივისცემა და სიყვარული ყველაფერს შეავსებენ. მაგრამ გარს გახვევიათ თქვენი მოყვარული ადამიანები, ისინი გეთაყვანებიან, მზრუნველობა ძვირფასი დედამამისა, რომელთათვის — თქვენ ერთადერთი სიხარული ხართ; მეგობრობა მამიდაშვილისა, ვისთვისაც, როგორც ჩანს, ყველაფერი ხართ ამქვეყნად; ოჯახი, ვისი მშვენებაც თქვენა ბრძანდებით, მთელი ქალაქი, რომელიც ამაყობს, იქ რომ დაიბადეთ, — ყოველივე ამას თქვენ გულში აქვს მოპოვებული სათანადო ადგილი და ყველაფერს უნდა გაუზიაროთ მცირედი მაინც თქვენი გრძნობებიდან. სიყვარულს შთენია მხოლოდ უმცირესი ნაწილი, დანარჩენს სისხლიერი ნათესაობა და მეგობრობა მიითვისებს. მე კი, ჟიული, — ვაგლახ ჩემდა! ვინმე ყარბს, უსახლკაროსა და თითქმის უსამშობლოს, — თქვენს იქით არავინ მივს ამქვეყნად, და სიყვარული ყველაფრის მაგივრობას მიწევს. ამიტომაც ნუ გაიკვირვებთ, ჩემს სულს რომ ძალუძს უფრო ძლიერი სიყვარული, თუმც თქვენი უფრორე გრძნობიერია. და უკეთუ მე ჩამოგრჩებით ბევრ რამეში, სამაგიეროდ სიყვარულში გჯობნით კიდევ.

ოღონდ ნუ იშიშვით, ამიერიდან არ მოგაბეზრებთ თავს კადნიერი ჩივილით. არა. არ გაგიწბილებთ სიხარულს, რადგან ესოდენ ფაქიზია, და რადგანაც ის თქვენ გეკუთვნით. ჩემი გონება წარმოსახავს გულისშემძრავ სცენებს, და შორიდან ვიშვებ და ვიხარებ თქვენთან ერთად: ვინათგან ბედმა არ მარგუნა გავიხარო საკუთარი ბედნიერებით, თქვენი ბედკეთილობით მაინც ვისიამებ. პატივსა ვცემ იმ მიზეზთ, რომელთა გამოც თავიდან მომიშორეთ; აბარად მინდა ვიცოდე ის მიზეზები, ხომ სულ ერთია უნდა დავემორჩილო თქვენს ნება-სურვილს, მაშინაც კი, უკეთუ არ ვეთანხმები გულის სიღრმეში. ნეტავი უფრო ძნელი თუ იქნება ჩემთვის ღუმლის დაცვა, ვიდრე თქვენგან გაკიდევანება?


გახსოვდეთ, თი, ჟიული. თქვენი სული ორ არსებას რომ განაგებს და ის, ვინც მან აღირჩია და ვისაც შთაბერა სიცოცხლე, სამარადჟამოდ დაიმარხავს. უცვლელ ერთგულებას.

... *podo piu Sorte:*

*Ia bri cato da noi, non dalla Sorte.*¹

მაშ, ასე, ვღუმვარ. ხოლო მანამდე, სანამდისინაც არ ინებებთ ბოლო მოულოთ ჩემ განდევნას, ვეცდები სევდის გაქარვებას და მიმოვიარ ვალეს მთებს. კარგია, რომ ეს მთები ადვილი მისადგომია. მერწმუნეთ, ეს მიყრუებული კუთხე ყურადღების ღირსია. და, მათი ხილვით აღტაცების გამოსათქმელად მხოლოდ მაყურებელი არ ყოფნის, რომელიც დატკბება და მათი მზერით შევეცდები თავი მოვუყარო თქვენი ყურადღების შესაფერ ზოგ-ზოგ დაკვირვებას.

¹ კავშირი იგი მტკიცეა. უფრო, ოღონდ როდია ბედითქმნილი, არამედ — ჩვენგან (იტალ.).



რომელიმე პირმწყაზარ ქალს იმით ართობენ. რომ უამბობენ ზნეკეთილ და ზრდილი ხალხის ცხოვრებას. ხოლო შენ, ჩემო ქიული, შენს გულს უბრალო და ბედნიერი ხალხის ცხოვრების აღწერა უფრო აამებს.

XXII წერილი


ქიულის აზანი

როგორც იქნა, პირველი ნაბიჯი გადადგმულია: სიტყვა თქვენზე ჩამოვარდა. თუმცაღა დიდი აზრისა არა ხართ ჩემ ცოდნაზე, მაგრამ მამაჩემი დიდად გაოცდა, არანაკლებ გაუკვირდა ჩემი წარმატებები მუსიკასა და ხატვაში² და, თქვენი ცრუობით³ წინასწარ შეგონებული დედაჩემის განსაცვიფრებლად, მამა დიდად კმაყოფილი დარჩა ჩემი ზრდა-განვითარებით. ოღონდ უჩიოდა ჰერალდიკას, რაზედაც, მისი აზრით, ხელი მქონდა აღებული, მაგრამ ზრდა-განვითარება უმასწავლებლოდ ხომ არ მოიპოვება. მომიხდა მისი სახელის გამხელაც. გავუმხილე კიდევ. და დიდი ფართიფურთით ჩამოვთვალე ყველა მეცნიერება, გარდა ერთისა! რის დასწავლასაც არ დამამადლის ჩემი მწვრთნელი. მამაჩემმა მოიგონა, ჩემი წინანდელი ჩამოსვლის დროს ბევრჯერ შემხვედრიაო, და ისე მომეჩვენა, არცთუ გულარძნილად გახსენებდათ.

შემდეგ გამოიკითხა, რა შეძლების პატრონიაო, უპასუხეს: არა უშავს რაო: მერე თქვენი გვარტომობა გამოიძია, მოახსენეს: რიგიანი ოჯახიდან არისო. ხოლო სიტყვა „რიგიანი“ ძალზე გაურკვეველად ჟღერს აზნაურის ყურისათვის, და ამან აღუძრა ეჭვი, რაც შემდგომი პასუხებით დადასტურდა კიდევ. რა წამს გაიგო, აზნაური არ ყოფილაო, მამაჩემმა მაშინვე იკითხა, თვეში რამდენს უხდითო. მაშინ დედაჩემმა შენიშნა, გასამრჯელოზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა და, კიდევ მეტიც, ის მუდამ უარსა ჰყოფდა ჩემს საჩუქრებს, ისეთებსაც კი, რასაც ჩვეულებრივ არ უარყოფენო. მაგრამ მსგავსი სიამაყის გამოჩენამ მხოლოდ შეაგულიანა მამაჩემის გულზვიადობა. აბა, განა შეიძლება იმ ფიქრის ატანა, რომ შენ რილაკით დავალებული ხარ უგვარტომო კაცის წინაშე! ამრიგად, გადაწყდა შემოგთავაზონ გასამრჯელო და თუკი ამას უარს ჰყოფ, მაშინ არ მიხედავენ თქვენს უდავო ღირსებებს და შეგელევიან. აი, ჩემო მეგობარო, ასეთია დედაარსი იმ საუბრებისა, ჩემს დარბაისელ მასწავლებელს რომ შეეხება, და რომელთა მოსმენისას თქვენი თვინიერი მოწაფე თავის ჭკუაზე აღარ არის. საჭიროდ ჩავთვალე საჩქაროდ გაცნობოთ ეს ამბავი, რათა მოგცეთ დაფიქრების დრო. როგორც კი მიიღებთ გადაწყვეტილებას, მყისვე მაცნობეთ; საქმის გადაწყვეტა მხოლოდ თავად შეგიძლიათ — ჩემი უფლებები ესოდენ ვრცელი და ფართო როდია.

დაძმატებულ გუნებაზე მყოფმა გავიგე თქვენი ლაშქრობა მთებში. იმიტომ კი არა, რომ ვეჭვობდე, მიიპოვებო თუ არა იქ საამო საშუალებას გართობა-შეჭტევასათვის, და არც იმიტომ, რომ თქვენმა დაწვრილებითმა აღწერილობამ სიხარული არ მომანიჭოს, — არა. ნეშინია, რომ გადაიქანცებით:

² აი, მართლაც, ოცი წლის ბრძენ-კაცი, უამრავი ამბავი რომ იცის! უნდა ითქვას, რომ ის ოცდაათისა შესრულდა, ქიულიმ მიულოცა, სწავლულობისათვის თავი დაგინებებიაო.
³ ეს ეხება განადგურებულ, დედის მისამართით გავზავნილ და ცოტაოდენ ორაზროვნად შეთხზულ წერილს.



თქვენ ხომ ვერა ხართ ამტანი და გამძლე. მასთან, კიდევ უკვე გვიანი დროა: სადაცაა თოვლი ყველაფერს დაფარავს, და დარწმუნებული ვარ, სუსხი და ყინვა დალილობაზე უფრო გამტანჯველი იქნება თქვენთვის. უკეთეს მანდ ავად გახდებით, ვერასოდეს გავიხარებ. მაშ წამოდით მაქედან, საყვარელო მეგობარო. დაევანეთ სადმე ჩემს მახლობლად. ჯერ კიდევ არ დამდგარა ვევეში დაბრუნების დრო, მაგრამ ის მწადია, თქვენთვის მაინც აგერჩიათ ნაკლებ მკაცრი მხარე, — წერილებსაც უფრო მალე მივიღებდით. ხოლო, სად უნდა დაემკვიდროთ, ეს თქვენი არჩევანისთვის მომინდვია. ოღონდ იცოდეთ, ყველაფერი ისე მოაგვაროთ, აქ არ გაიგონ თქვენი სამყოფელი. იმოქმედეთ ფარულად, ოღონდ მთლად ნუ მოიხვევთ იღუმალების ბურუსს. უფრო დაწვრილებით აღარ დაგიწყებთ დარიგებას. მაგრამ ერთის იმედი კი მაქვს — ხომ კარგად გაგეგებათ, თუ რა სიფრთხილე გმართებთ თავად თქვენთვისაც, და კიდევ უფრო მეტწილად — ჩემთვისაც.

მშვიდობით, მეგობარო ჩემო! მეტი აღარ შემიძლია თქვენთან მუსაიფი. ხომ კარგად იცით, რა სიფრთხილეს ვიჩენ ჩვენი მიმოწერისას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია: მამაჩემმა თან ჩამოიყვანა თავისი ძველი მეგობარი, დარბაისელი უცხოქვეყნელი, რომელმაც დიდი ხნის წინათ, ომის დროს, სიკვდილს გადაარჩინა იგი. აბა, თვითონვე განსაჯეთ, როგორ ვცდილობთ მის სიამოვნებას, ხვალ ის გაემგზავრება, და ვისწრაფით, სანამ არ წასულა, გავართოთ ჩვენი მწყალობელი და ვაგრძნობინოთ გულმხურვალე სიყვარული. მეძახიან. დროა დავამთავრო წერა. კვალად მშვიდობით!

XXIII წერილი

მისულისადმი

რადაც ერთ კვირაში შემოვიარე მხარე, რომლის შესასწავლადაც წლებიც არ მეყოფოდა. ოღონდ, თოვლმა შემაშინა და თან მინდოდა დამესწრო მოწიგნარისათვის: იმედი მაქვს, მომიტანს თქვენგან გამოგზავნილ წერილს. ლოდინში ხელი მივყავ შენთან გამოსავზავნი უსტარის წერას — თუ საჭირო იქნება, კიდევ ერთსაც დავწერ თქვენდა საპასუხოდ.

ამჟამად სრულიადაც არ ვფიქრობ ჩემი მოგზაურობისა და დაკვირვებათა ვრცლად აღწერას; ანგარიში უკვე შედგენილია, და ვვარაუდობ უშუალოდ თქვენ გადმოგცეთ იგი. მიმოწერა უნდა ეძღვნას იმას, რაც უფრო ახლოსაა ჩემსა და თქვენს გულთან. მე გამცნობთ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სულიერ განწყობილებას: ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ იმის გამო, რაც თქვენ გეკუთვნია.


მოგზაურობას შევუდექი ჩემი ბედშავობით შენაღონები, ოღონდ თქვენი სიხარულით ნუგეშდებულნი; ყოველივე ამან მონგვარა რადაც შფოთიერი სევედა — რაიც გვრძნობიარე გულთათვის მომხიბვლელობითაა აღსავსე, ნელინელ მივუყვებოდი ფეხით საკმაოდ დამრეც ბილიკებს. თან მახლდა ჩემს მიერ გამოცოლად დაქირავებული ადგილობრივი მცხოვრები. მაგრამ ჩვენი ყარიბობის დროს უფრო მეტი მეგობრობა გამიწია, ვიდრე უბრალო მოქირავნებ. მინდოდა მეოცნებნა, მაგრამ მიტაცებდნენ ფრიად მოულოდნელი სურათები. ხან

თავს ზემოთ ჩამომზვლელული უზარმაზარი ტინი კლდეები. ხანაც მალლიდან დაქანებული მქუხარე ჩანჩქერები იფრქვეოდნენ უამრავ შხეფებად. ზოგჯერ ჩემი გზა მიუყვებოდა გიჟმაჟი ღვარქათის ნაპირს. და ვერ ვბედავდი მის უძირ-რო ფსკერში ჩახედვას. ჟამიდან-ჟამად დავალაჯებდი უღრან ტევრში. დროდა-დრო პირქუში ხეობიდან თავს ამოვყოფდი თვალის მალხინებელ უტურფეს ველზე. უდაბური ბუნებისა და დამუშავებული მიწა-წყლის გასაოცარი აღრე-ვა ადასტურებდა ადამიანის გარჯას იქ, სადაც, თითქოსდა, ვერასოდეს შეად-წევდა იგი; მღვიმეებს მიკროდნენ მომცრო სახლები; დაიწყებ მაყვლის კრე-ფას — და ხედავ ვენახის ლერწებს: ნამეწყრალებზე გაშლილა ზვარი. კლდეთა შორის — საუცხოო ნაყოფით დახუნძლული ხეხილი. უფსკრულთა ზედა და-კიდებული ყანები.

მაგრამ მარტოდენ შრომას როდი შეუტანია ამ საუცხოო მხარეში ესო-დენ გასაოცარი კონტრასტები; ასეთ ფერთამრავლობას ზოგჯერ ხედავ ერთსა და იმავე ადგილასაც, ასე გეგონებათ, თითქოსდა თვით ბუნებისთვის იყოს საიასა-ლო ეს წინააღმდეგობანი. აღმოსავლეთ ფერდობთა ზედან — საგაზაფხულო ვარდ-ყვავილები. ხოლო სამხრეთით — სამემოდგომო დოვლათი. ჩრდილო-ეთით კი — თოვლი და ყინვა. თვალის დახამხამებაში უერთდება ერთმანეთს წლის სხვადასხვა დროს; და ქვეყნის ერთსა და იმავე კუთხეში — ერთურთს შეზავებია ნაირფეროვანი ჰავა; მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე — სხვადასხვა-გვარი ნიადაგი. ამრიგად, აქ, ბუნების ნება-სურვილით, მთისა და ბარის ნაერ-თი გვაოცებს არნახული თანხმოვანებით, ხოლო ყოველივე ამას დაუმატეთ თვალთამცდარობით გამოწვეული სურათები: წარმოიდგინეთ ნაირნაირად აელვარებული მთათა მწვერვალები, სინათლისა და ჩრდილთა თამაში. საგან-თიადო ცისკრისა და დაისის შუქით ათასფრად ანთებული ცის ტატნობი — და ნაწილობრივ წარმოგესახებათ იმ ლანდშაფტთა მუდმივი ცვალებადობა, რომ-ლებიც უხმობდნენ და იზიდავდნენ ჩემს ალტაცებულ მზერას; მათ შემყურე კაცს თეატრში გეგონება თავი, ვინაიდან თვალი ერთბაშადვე წვდება ციცაბ მთაგრეხილთა მწკრივს, მაშინ როცა თანდათანობით იშლება თვალთა წინარე შორს განფენილი ბარის სურათი, სადაც ერთი საგანი აშთობს მეორეს.

პირველსავე დღეს ნაირფეროვნების ამ სიმშვენიერეს მივაწერე ის სიმ-შვიდე, კვლავ რომ დაეუფლა ჩემს სულს. ალტაცებას მგვრიდა ბუნების ძლე-ვამოსილება, რომელიც აოკებს და აშოშმინებს ყველაზე აზავთებულ ვნებებს, და მძაგდა ფილოსოფია იმის განო, რომ არ ძალუძს ის გავლენა მოახდინოს ადამიანის სულზე, როგორსაც უწევს უსულო საგანთა წყება. სულიერ სიმშვი-დეს განვიცდიდი მთელ ღამეს, ხოლო მეორე დღეს კვალად უფრო გაძლიერდა იგი — და მაშინ მივხვდი, ამის მიზეზი კიდევ რაღაც სხვა რომ იყო, რაც გერ-ჯერობით ჩემთვის უცნობია. იმ დღეს ვხეტილობდი ფრიალო კლდეთა შო-რის, ხოლო მას უკან გადავიარე დაკლაკნილი ბილიკები და გადავადექ იმ მი-დამოში ყველაზე მაღალ ქედს. დრუბელთა შორის მოხეტიალემ, ფეხი და-გადგი ბრწყინვალე მწვერვალს, საიდანაც გაზაფხულის ჟამს კარგად მოჩანს, თუ როგორ იბადებიან ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი. — ასეთ მწვერვალებს ამა-ოდ ადარებენ ბრძენ-კაცის სულს, ვინაიდან სულის ესოდენ მაღალ სიდიადეს სხვაგან ვერსად იპოვით, განაღამც იმ მხარეში, საიდანაც მოუხმეს ამ სიმბო-ლოს.

სწორედ მაშინ ვიგრძენი აშკარად, რომ მთის სუფთა ჰაერი გახლდათ ჩე-



მი გუნება-განწყობილების ცვალებადობის მიზეზი, კაი ხანია დაკარგული ჩემი სიმშვიდის დაბრუნების მიზეზი. მართლაცდა, მაღალ მთებში, სადაც ჰაერი სპეტაკია და გამჭვირვალე, ყველას ეუფლება ერთი და იგივე გრძნობა, თუმცა ყოველთვის როდი შეუძლიათ ამის ახსნა, — აქ უფრო ლაღად სუნთქავს ადამიანი: სხეული თითქოსდა ძალუმ მსუბუქი ხდება, აზრიც — უფრო ნათელი; ვნებათღელვა ნაკლებ მწველია, გულისთქმა დაშოშმინებული. ფიქრებს მნიშვნელოვანი და ამალღებული, დიდებული პეიზაჟის შესაფერი ხასიათი ენიჭებათ. და წარმოქმნიან სანეტარო, მყუდრო სიმშვიდეს, რასაც ეცლება ყოველივე უკეთური, ყოველგვარი ავხორცული. თითქოსდა, ადამიანთა საცხოვრისის დაგდებით ხელს იღებ ყოველგვარ ბილწ ქვენა გულისწადილზე; ცისიერი სიმაღლეებიდან მიწვდენილი სული მათთან პოულობს უმწიკვლო სისპეტაკის წილს. უფრო სერიოზული ხდები, ოღონდ სევდიანი კი არა; მშვიდი, მაგრამ გულქვა კი არა; გიხარია, ცოცხალი რომ ხარ და აზროვნებ კიდევ; ყოველი აზღვაგებული ვნებათღელვა და გულისთქმა ჩლუნგდება, ეკარგება მწვავე სიმკვეთრე და გულსა გვშთენია მარტოოდენ მსუბუქი და საამური ბორგვა, — აი, მაღლიანი ჰავა როგორ წარმართავს ადამიანთა საკეთილდღეოდ იმ ვნებათღელვას, რაც ჩვეულებრივ ტანჯავს და განაწამებს მათ. მერწმუნეთ, ყოველგვარი ძლიერი მღელვარება, ყოველი სევდა-ნაღველი განქარდება, უკეთუ აქაურ ველ-მიდამოში იცხოვრებ; და მე მიკვირს კიდევ, მთის ჰაერით ესოდენ სამკურნალო და მარგებელ მსგავს განბანვას რად არ გვინიშნავენ, როგორც ყოველისგანმკურვნელ წამალს ხორციელ და სულიერ საღმობათა წინააღმდეგ.

*Qui non palazzi, non teatro o loggia,
Ma'n lor vece un'abete, in faggio, in pino
Tra l'erba verde e'l monte vicino
Levan di terra al Ciel nostrsinte eletto.¹*

წარმოიდგინეთ, ეს არის აღწერილ შთაბეჭდილებათა მთელი ერთობლიობა, და ნაწილობრივ გულისხმაჰყოფთ, რაოდენ მშვენიერია ეს სანახები. ეცადეთ წარმოიდგინოთ, რა სანუკველად ნაირფეროვანია განუწყვეტლივ ცვალებად სურათთა სიდიადე და სიტურფე, რა საამურია, როცა ირგვლივ ყველაფერი ახალია შენთვის — გასაოცარი ფრინველები და საკვირველი, ჯერარნახული მცენარეები, როცა ჭვრეტ სულ სხვანაირ ბუნებას და სავსებით სხვა სამყაროში გადაეშვები. ლანდშაფტთა ამ ენით გამოუთქმელ სიუხვეს უფრო დიდ მომხაბვლელობას ანიჭებს ჰაერის კრისტალისებრი გამჭვირვალობა: აქ უფრო ნათლად ელვარებენ ფერები, უფრო მკვეთრად ჩანან ნაკვთები, ყოველიფერი თითქოს თანისთან გიახლოვდება, მანძილი უფრო მოკლე გეგჩვენება, ვიდრე ვაკეზე. სადაც მკვირივი ჰაერი ბურავს მიდამოს: ანაზღად ჰორიზონტზე თვალთა მზერას მოავლებ ეგზომ უამრავ წვრილმან რასმეს, გაგიკვირდება კიდევ, ვით აზერხებსო იგი ამდენის დატევნას. ერთა სიტყვით, მთის ლანდშაფტი შეიცავს რაღაც მომაჯადოებელს, ზესთაბუნებრივს, გონებისა და გრძნობათა აღმაფრთოვანებელს: ყველაფერს ივიწყებ, თავა აღარ გახსოვს და აღარ უწყი, სად იმყოფები.


¹ სრა-სასახლეთა, თეატრთა თუ ლოჯიის ნაცვლად —
გადამწვანებულ ველ-მინდორთა და მთათა შორის
მხოლოდ ნაძვს, ან ფიჭვს, ანდა წიფელს მოკრავ თვალს ზოგჯერ
და აღტაცებით მაღლა ცისკენ აღევლინები (იტალ.).

მოგზაურობის დღეებში, მუდამყამს მოხიბლულივით ვისიამტკბილებდი ბუნების ხილვით, გული ჩემი რომ არ აღენთო უფრორე დიად სიხარულს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობას. ჩემს აღწერილობაში თქვენ იპოვით ნარკვევს მათი ზნე-ჩვეულებების, ცხოვრების უბრალო ხირისა და ყაიდის, ზომიერი და დინჯი ხასიათისა და მათი გამაბედნიერებელი სანეტარო სიმყუდროვის შესახებ, — იმიტომ კი არა, რომ მათ ახარებთ სიამენი ამა სოფლისა, არამედ იმიტომაც, რომ მათთვის უცხოა ურვა და მწუხარება. ოღონდ, შეუძლებელია აღწეროს ადამიანმა მათი უანგარო კაცთმოყვარეობა და სტუმარმასპინძლობა შემთხვევით, ან ცნობისმოყვარეობის გამო იქ მოხვედრილ უცხოქვეყნელთა მიმართ. ეს ამბავი ჩემდა განსაცვიფრებლად დავადასტურე მე, უცხო კაცმა, მარტოოდენ გამყოლთან ერთად რომ აღმოვჩნდი აქ. ერთხელ, საღამოთი, რომელიღაც პატარა სოფელში შევედი, და იქაურმა მცხოვრებლებმა ისეთი დაჟინებით დამიწყეს მოპატიჟება თავთავიანთ სახლებში, რომ გასაჭირში ჩავფარდი. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ისე გაიხარა, რომ თავდაპირველად ასე მეგონა, ამას ანგარების მიზნით სჩადის-მეთქი. და მერე როგორ განცვიფრდი, როცა მის სახლში მთელი დღე გავატარე და მისი მდგმური გავხდი. ხოლო ფული არაფრის დიდებით არ აიღო. რომ ჩავაცივდი, ითაკილა კიდევ: ასე ხდებოდა ყველგან. ამრიგად, საყოველთაო გულთბილი მოპყრობა სარფის გამო ზრუნვა მეგონა. ისინი იმდენად უანგარონი არიან, რომ მთელი მოგზაურობის დროს ერთი პატაგონი¹ კი არ დამიხარჯავს. მართლაც, რაში უნდა გაიღოს კაცმა ფული იმ ქვეყანაში, სადაც ბატონები არ იღებენ გასამრჯელოს თავიანთი დანახარჯის გამო. ხოლო შინაყმანი — სამსახურისათვის, და სადაც მათხოვრებიც კი არსად გამოიძებნებიან! თუმცაღა ზემო ვალეში ფული ძალზე იშვიათია, მაგრამ სწორედ ამის გამო იქ ადამიანები დოვლათიანად ცხოვრობენ: მთელ მხარეში უხვადაა ყოველნაირი სანოვაგე. ხოლო საქონელი არსად არ გააქვთ; ქვეყნის შიგნითაც როდია დიდი სიუხვე. და შრომისმოყვარე მიწის მუშებს — მთიელებს — როდი აქვთ დაკარგული მუშაობის ხალისი. როგორც კი ჯიბეში ფული გაუჩნდებათ, მყისვე გალატაკდებიან — ეს გარდუვალია. მაგრამ იმდენად ბრძენები არიან, რომ კარგად ესმით ყოველივე ეს და კრძალავენ კანტონის მთებში აღმოჩენილ ოქროს მადნის დამუშავებას.

თავდაპირველად ძალიან გამიკვირდა, თუ როგორ განსხვავდება აქაური ზნე-ჩვეულებები ქვემო ვალეს ზნე-ჩვეულებებისაგან, სადაც იტალიაში მიმავალ მოგზაურებს საკმაოდ უნამუსოდა ყვლეფენ ხოლმე. და გამიძნელდა კიდევ გამეგო, თუ როგორ ეხმარებიან ერთმანეთს ესდენ გასაოცრად ერთი და იმავე ხალხის მოპირისპირე ნიშან-თვისებები. ეს ამბავი ადგილობრივმა მკვიდრმა განმიმარტა:

— ჩვენს ვაკე ადგილებში ჩამვლელი უცხოქვეყნელი, — მითხრა მან, — ან ვაჭრები არიან, ანდა ის ადამიანები, ყოველგვარ მომგებიან საქმიანობას რომ ეწევიან, და ისინიც თავიანთი შემოსავლის ნაწილს სამართლიანად უტოვებენ ჩვენს ქვეყანას. ჩვენც ისე ვეპყრობით მათ, როგორც ისინი ყველა სხვებს. ხოლო ჩვენს მხარეში არაფერი იზიდავთ საქმოსან უცხოქვეყნელთ. და ჩვენც გვჯერა, რომ აქ ანგარების მიზნით როდი მოგზაურობენ, იმიტომაც

¹ პ ა ტ ა გ ო ნ ი — წვრილი ფული.



გუწევთ უანგარო მასპინძლობას. უცხოქვეყნელები ჩვენი სტუმრები არიან, ისინი კეთილი გულით მოდიან, და ჩვენც მეგობრულად ვუხვდებით. ბოლოს და ბოლოს, — ჩაცინებით დასძინა მან, — ძვირი როდი გვიჯდება სტუმართმოყვარეობა, და ძნელად თუ ვინმე მოინდომებს ამით ხელის მოთბობას.

— ო, რასაკვირველია-მეთქი. — მივუგე მე. — რა უნდა მოიმოქმედო იმ ადამიანთა შორის, არსებობისათვის რომ ცხოვრობენ და სარფასა და პატივისცემას არ დაეძებენ? რა ბედნიერი ადამიანები არიან, თავიანთი ზვედრის ღირსნი და სანაქებონი! ვფიქრობ, ოდნავ მაინც დაგემსგავსოთ თქვენ, რათა ჩინებულად ვიგრძნოთ თავი თქვენს წრეში.

სტუმართმოყვარეობა როდი გვეჩოთირებოდა, არც თავად იმათ, არც მე, და ეს იყო ყველაზე სასიამოვნო ამბავი. ცხოვრების ნირი არ შეუცვლიათ, თითქოს არც კი ვიყავი იქ, შემეძლო ისე მოქცევა, თითქოს მარტოკა ვცხოვრობ-მეთქი. მათ არ სჩვევიათ ამან ფაციფუცი, სტუმარი უპატივცემულო არ დაგვრჩესო, არც ცდილობენ პატივი მიაგონ უცხოქვეყნელს და სწორედ ამით მოაგონონ მას, მასპინძლები ვართო. ესე იგი, განსაკუთრებით აღნიშნონ, ჩვენზე ხართ დამოკიდებულიო. მე არ გამომიტყვამს არავითარი სურვილი, და ისინი ფიქრობდნენ, ჩვენს მიერ დადგენილი წესრიგი მოსწონსო. მაგრამ, როგორც კი სიტყვას დავძრავდი, შემეძლო ჩემს ნებაზე მეცხოვრა, და არ გამოვიწვევდი არც უკმაყოფილებას, არც გაოცებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ მხოლოდ ერთადერთი ქათინაური მითხრეს: როცა გაიგეს, შვეიცარიელიაო, დამიჩემეს, ძმები ვართო. და მთხოვეს, ისე მოიქეცი, ვითომც შინ ხარო. ხოლო შემდეგ არც კი უფიქრიათ ჩემ საქმეში ჩარევა, ვერც კი წარმოედგინათ, ჩვენი სტუმართმოყვარეობის გულწრფელობაში დაეჭვდებო. ანდა ამ სტუმართმოყვარეობით სარგებლობისას სინდისის ქენჯნას იგრძნობსო. ასე ეპყრობიან ისინი ერთმანეთსაც; უკვე წამოჩიტულ ბავშვებს მამების თანატოლებად მიაჩნიათ თავიანთი თავი, მოჯამაგირენი მაგიდაზე ბატონთა გვერდი-გვერდ სხდებიან — თავისუფლება სუფევს სახლებსა და რესპუბლიკაში, და ოჯახი სახელმწიფოს პირველ სახეს წარმოადგენს.

მარტოდენ ერთი რამ აკვეცდა ფრთებს ჩემს თავისუფლებას — უსაზომოდ გრძელჟამიერი ტაბლობა. რასაკვირველია, არხეინად შემეძლო არ მივჯდომოდი სუფრას, მაგრამ უკეთუ მიუჭდები, კეთილინებე და მათთან ერთად შუალამემდე კარგი ქეიფიც გასწიე, თანაც ბლომად ჩაღლიე. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მამაკაცი და მასთან შვეიცარიელი, დალევა რომ არ უყვარდეს! გამოგიტყდებით, კარგი ღვინო — საუცხოო რამ არის, და მე ქეიფის წინააღმდეგი როდი ვარ, უკეთუ ღვინოს არ დაგაძალებენ. მუდამ ჟამს შემომჩნევია არამსმელები თვალთმაქცებიც რომ არიან: სუფრასთან თავშეკავებას ხშირად თან ახლავს თვალთმაქცობა და ორპირობა. ალალ-მართალ ადამიანს არ ეშანია მსუბუქი სიმთვრალის თანამგზავრთა — გრძნობების გამყდვანებისა და გულახდილი საუბრებისა; ოღონდ ჟამიერად უნდა შევიკავოთ თავი და მეტისმეტად არ მოგვივიდეს. მე კი ამას ვერ ვახერხებდი ისეთ თავგამოდებულ მოქეიფეთა ასაბიაში, როგორებიც არიან ვალეს მცხოვრებნი; ადგილობრივი ღვინო ძალზე მაგარია, ხოლო მაგიდებზე წყალს თვალსაც ვერ მოჰკრავ. სისულელე აღწებოდა, არამსმელობა დაგეჩემებინა და გაგენაწყენებინა კეთილი ადამიანები. და მეც მათდამი მადლიერების გამო მაგრად გამოვიბრუყებოდი

ხოლმე. და რადგან არ შეიძლებოდა მათი სტუმართმოყვარეობისათვის ფული გამეღო, ამისთვის ჩემი გონებით ვიხდიდი ნახარჯს.


არანაკლებ მზღუდავდა მეორე ჩვეულება: ძალზე მეჩოთირებოდა, როცა მასპინძლის ცოლი და ქალიშვილი მემსახურებოდნენ და ჩემს მაგიდასთან იდგნენ, — ასეა მიღებული თვით თანამდებობის პირთა ოჯახებშიც. ზრდილობიანი ფრანგი სასწრაფოდ გამოასწორებდა ამ უთავბოლოებას. მით უმეტეს, რომ ვალეს მკვიდრ ქალებს, თვით მოჯამაგირე ქალებსაც კი, ისეთი იერი აქვთ, რომ უხერხულობას განიცდი, როცა ისინი გემსახურებიან. შეგიძლიათ მერწმუნოთ, მეტისმეტად კარგები არიან, რაკი ისინი კეკლუცებად მიმაჩნია: ჩემი თვალები ხომ შეეჩვივნენ თქვენი მზერით დატკბობასა და ძვირად აფასებენ მშვენიერებას.

მაგრამ მე უფრო მეტად ვაფასებ იმ ქვეყნის ადათ-წესებს, სადაც ვცხოვრობ, ვინემ თავაზიანობით ნაკარნახევ ზნე-ჩვეულებებს, და მათ სამსახურს ისეთი დუმილითა და თავმომწონებით ვიფერებდი, ვით დონ კიხოტი ჰერცოგის ცოლის სასახლეში; ზოგჯერ მეღიმებოდა კიდევ, როცა ჩემს თანამესუფრეთა ფაშფაშა წვერსა და ტლანქ სიფათს ვადარებდი თეთრსპეტაკსა და ლოყაწითელ პირისახეს ნორჩ-ნორჩი ლამაზმანებისას, ესოდენ მორცხვი და მოკრძალებული რომ იყვნენ, ყოველი სიტყვის გაგონებისას აიღეწებოდნენ ხოლმე და კიდევ უფრო მომჯადოები და ეშხიანი ხდებოდნენ. ოღონდ, ერთობ მეჩოთირებოდა მეცქირა მათი ვება, სავსე გულმკერდისათვის — თავისი ქათქათა სითეთრით ჩემს საოცნებო სრულქმნილ ნიმუშს რომ ჰგავდა, — თვალთაგან დაფარულ მომხიბვლელ ნიმუშს, რომელიც თავისი ნაკვთებით, როგორც ეს მალვით ჭვრეტისას შევნიშნე, იმეორებს იმ შესანიშნავი თასის ნაკვთებს, რომლის მოდელსაც წარმოადგენს ყველაზე უმშვენიერესი გულმკერდი ამქვეყნად.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ მე ეგზომ ბევრი რამ ვიცი იმაზე, რასაც ასე გულმოდგინედ უმაღავთ ყველას; თუმცა ძალიან ცდილობთ, მაგრამ კარგად ვიცი — ზოგჯერ თქვენი ერთი გრძნობათაგანი ხელს რომ უწყობს მეორის შეცნობას, მიუხედავად ყველაზე თავგამოდებული სიფხიზლისა, და ყველაზე მკაცრ ტანისამოსსაც კი არ ძალუძს ფარულ მშვენებათა მიჩქმალვა: თვალს მოჰკრავთ თუ არა მას სადა გულისპირს შიგნით, გეგონებათ, ხელი მივანანეო. უტიფარი, ხარბი მზერა თავხედურად იჭრება სამოსს მიბნეულ ყვავილებს ნიღმა, შეიჭვრეტს ხავერდისა და დოლბანდის წიაღ, და თითქოს ხელშესახებად გრძნობ მკვრივ და მაგარ ძუძუებს, ვერასოდეს რომ ვერ გაუბედავდი შეხებას.

Parte aparr delle mamme acerve e crude,
 Parte altrui ne ricopre invida verta;
 Invida, ma S'agli occni il varco cniude,
 L'amonoso pensier già non arresta!¹

¹ მკვრივი და ოდნავ მოღვლილი ბროლის გულმკერდი...
 მეორე ყოველი უსაშველოდ შებურვილია;
 ოღონდ, რაც უნდა მკაცრ საფარველს მივწოდო გულშით,
 მკვნივარ თენუნას საბურავი ვერ დააოკებს (იტალი).



ყურადღება მივაქციე აგრეთვე ვალეს მკვიდრ ქალთა სამოსელის საკმაოდ შესამჩნევ ნაკლს; მათი კორსაჟი უკანდან იმდენად მოკლეა, რომ გვერდებზე კუწიანები არიანო; ეს კორსაჟები და მომცრო შავ-შავი თავსაფრები, თანაც ტანსაცმლის სხვა ნაწილები, რომელთაც არ აკლიათ მოხდენილობა და სისადავე, რაღაც თავისებურ იერს აძლევს მათ. მე ჩამოგიტანთ ასეთ კოსტუმს — მერწმუნეთ, ძალიან დაგმწვენდებათ. იგი ამ კუთხის ყველაზე ტანკენარი გონიასთვისაა ზომით შეკერილი.

ხოლო რა ამბავია თქვენთან. ჩემო ჟიული, სანამ აღტაცებული ვმოგზაურობდი ამ მიდამოებში, ესოდენ ნაკლებად ცნობილი რომაა, ოღონდ, ყურადღებას ღირსია უდავოდ. ნუთუ თქვენს მეგობარს შეეძლო თქვენი დავიწყება? განა ჟიულის დავივიწყებ? უფრო ადრე დავივიწყებდი საკუთარ თავს! განა შემიძლია, თუნდ ერთი წამითაც კი აგლავოთ ხელი? მე ხომ მარტოდენ თქვენით ვსულდგმულობ! უფრო ნათლად აროდეს შემიძინებია, რომ უნებლიეთ წარმოვიდგენდი ჩვენს ორთა ცხოვრებას ხან ერთ, ხან მეორე ადგილას, იმისა და მიხედვით, თუ რაგვარ გუნება-განაწყობილებაზე გახლდით. როგორც კი სევდა-ნაღველი შემომიხდება, იგი უმალ თქვენს ახლოს იძიებს თავშესაფარს და ნუგეშსა ჰპოვებს იმ არემარეში, სადაც ჰგებთ თქვენ, — ასეც მოხდა, ოდეს დაგშორდით. როგორც კი აღმიტაცებს ლხენა და სიხარული, და უკვე აღარა მწადს მარტოულად ვისიამტკბილო, მაშინ ჩემდა მოგიხმობთ. ასე იყო ჩემი მოგზაურობის დღეებში, რაჟამს ვტკბებოდი ნაირფეროვანი შთაბეჭდილებებში და თანვე დაგატარებდით ყველგან. უთქვენოდ არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, როცა, ლანდშაფტთა ცქერით ნასიამოვნები, ვისწრაფოდი, თქვენთვის შეჩვენებინა ეს სანახები. ხეთა კორომები გფარავდნენ თავიანთი საბურვლით, ამწვანებულ მდელოზე სულს იბრუნებდით. ზოგჯერ, გვერდი-გვერდ მსხდომნი, ერთად ვხარობდით და ვიშვებდით თვალწარმტაცი მიდამოს ცქერით: დროდადრო, იქვე, თქვენს ფერხით, განვცხრებოდი საარაკო სილამაზით, მგრძნობიარე და გულთბილი ადამიანის უფრორე დიდი აღტაცება რომ უნდა მიეგოს. ხანდახან. გზაზე წავაწყდებოდი რაიმე დაბრკოლებას, და ვხედავდი, რა მარდად და მსუბუქად გადახტებოდით ხოლმე, ვით ნორჩი ნუკრი დედა შეველთან ერთად; როცა ნაკადულს გაღმა გადასვლა მიწევდა, ვხედავდი გულში ჩამეკრა სანუკვარი ტვირთი; და აღტაცებული, აუჩქარებლად გადავდიოდი ნაკადულს, თან ვნანობდი, უკვე რომ გამოჩნდებოდა გაღმა გამსვლელი ბილიკი. თქვენ თავს მაგონებდა ამ მყუდრო მხარეში ყველაფერი — სულის აღმძვრელი ბუნების სურათებიც, ჰაერის პირველქმნილი სისპეტაკეც, აქაურ მცხოვრებთა მარტივი ადათ-წესებიც, და მათი მშვიდი, იმედნეული კეთილგონიერებაც, ქალიშვილთა ფაქიზი კდემამოსილებაც, მათი უმწიკვლო სიმწვენიერეც, — უკლებლივ, რაიც სასიამოდ ანცვიფრებდა თვალებსა და გულს, ყოველივე ეს უხატავდა ჩემ წარმოსახვას იმ ადამიანს, რომელსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ეძიებდნენ ისინი.

„ო, ჟიული ჩემო! — აღერსით ვუხმობდი მე. — ნეტავი რად არ ძალმიძს შენთან ერთად გავატარო დღეები ამ ყველასათვის უცნობ მხარეში, გავიხარო ჩემი ბედნიერებით, და არ კი მეშინოდეს ადამიანთა მითქმა-მოთქმის? ეჰ, რად არ ძალმიძს შენ ერთადერთს შემოავწირო სულნი ჩემი და დაგენაცვლო სამარადისოდ ამ ქვეყანაზე! ძვირფასო ჩემო და სანატრელო, მაშინდა მოგეგების ყოველი პატივი, რისი ღირსიც შენა ხარ კიდევ. ო, სიამენო სიყვარულისა!

სწორედ მაშინ ინეტარებდნენ ჩვენი გულები თქვენს მიერ უკუნისამდე, ხანგრძლივი და სანეტარო განცხრომით გაბრუებულნი ვერც კი შევამჩნევდით ჟამთასვლას, ოღონდ, ბოლოს და ბოლოს, როს ხანდაზმულობა დაგვიფრებდა ახალგაზრდულსა, გიჟურსა ლტოლვას, ერთობლივი ფიქრისა და განცდის ზნე და წესი ამის სანუქფოდ მოგვანიჭებდა ასეთსავე უნაზეს მეგობრობას; ჩანავლდებოდა ცეცხლი ვნებისა, მაგრამ პირადშკმულ სიცარიელეს ამოავსებდა ჯეელობის ჟამს სიყვარულის მზრდელი ყველა კეთილშობილური გრძნობა; აქაურ ბედნიერ ხალხს შორის და მისი მაგალითით წაქეზებულნი ჩვენც აღვასრულდით კაცთმოყვარეობის მოვალეობას, ჩვენი გულებიც შეერთდებოდნენ ქველი საქმისათვის, და სიცოცხლით ამებულნი საუკუნოდ განვისვენებდით“.

ფოსტა მოვიდა. ვამთავრებ უსტარს და მივეშურები შენი წერილისათვის. მხოლოდ ის მინდა, როგორმე გაძლოს გულმა ჩემმა ამ წუთამდე. ვაგლახ ჩემდა! ეს-ეს არის სვებდნიერი ვიყავი, ოცნებით გატაცებული. ბედნიერება მასთან ერთად ქრება. ნეტავი რას მიქადის სინამდვილე?

XXIV წერილი

ქიულისადმი

დაუყოვნებლივ ვუპასუხებ თქვენი წერილის იმ ნაწილს, სადაც გასამრჯელოს ახსენებთ, — მადლობა ღმერთს, აღარ დამჭირვებია ბევრი ჭოჭმანი. აჰ, რას ვფიქრობ, ქიული, ამის გამო.

იმ ნიშანთვისებათ შორის, რასაც ღირსება ეწოდება, მე გამოვარჩევ საზოგადოებრივი აზრის მიერ ნაკარნახევ და საკუთარი თავის პატივისცემით წარმოქმნილ ღირსებებს. პირველი წარმოდგება ზღვის ტალღაზე უფრო შერყევ ცრურწმენათაგან, მეორე მათგანი კი ზნეობის უკვდავ საწყისებს ემყარება. მაღალი წრის ღირსება, იქნებ, ხელსაყრელი იყოს კიდევ ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის, მაგრამ იგი სრულიადაც არ განმსჭვალავს მის სულსა და გულს და არავითარ გავლენას არ ახდენს ჭეშმარიტ ბედნიერებაზე. ნამდვილი ღირსება, პირიქით, შეადგენს ბედნიერების დედაარსს, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ მისგან გვენიჭება თვითკმაყოფილების დაუშრეტელი გრძნობა, და მარტოოდენ მას შეუძლია ბედნიერი გახადოს მოაზროვნე არსება. მაშ, ქიული, მივუსადაგოთ ეს პრინციპები თქვენს მიერ აღძრულ საკითხს, და ჩვენც ადვილად გადავწყვეტო მას.

ვთქვათ, ფილოსოფოსად მომაქვს თავი და იგავ-არაკის რეგვენი გმირივით ფულისათვის ჭკუას ვასწავლი ადამიანებს. მაღალი საზოგადოების თვალში ეს ძალზე მდარე ხელობაა. და, უნდა ვაღიარო, ეს სასაცილოდაც კი მიჩანს. მაგრამ ადამიანმა როგორღაც ხომ უნდა ირჩინოს თავი, და რადგანაც ყველაზე ადვილია საკუთარი შრომით ლუკმაპურის მოპოვება, მაშ შრომის სიძულვილი მივაკუთვნოთ უსაშიშროეს ცრურწმენათა წყებას. ნუ ვიქნებით ესოდენ რეგვენნი და ნუ გავიღებთ მსხვერპლად ბედნიერებას სულელური მითქმა-მოთქმისათვის. თქვენ უფრო ნაკლებ აღარ მცემთ პატივს, ხოლო მე უფრორე ღირსი არ ვიქნები შებრალებისა, უკეთუ თავს ვირჩენ იმ ნიჭისა და უნარის მეოხებით, რასაც ვინვითარებდი.



ოღონდ, საყვარელო ჟიული, ამასთან ერთად უნდა ავწონ-დავწონოთ სხვა ვითარებანიც. თავი ვანებოთ გარეგნულზე ზრუნვას და ჩავიხედოთ ჩვენს გულში. მართლაცდა, რა ვიქნები მამიშენის თვალში, ოდეს გასამრჯელოს აღებ ღებ გაკვეთილებისათვის, და საფასურით დავუთმო მას ჩემი დროის ნაწილს, ესე იგი, ჩემი საკუთარი თავის ნაწილს? მოქირავნე, მოჯამაგირე, რალაც ფარეშის მინაგვარი, ხოლო მისი ნდობისა და ავლა-დიდების უვნებლობის საწინდარი იქნება ჩემი თაღლითური ერთგულება — სწორედ ისეთივე, როგორიც მის უკანასკნელ ფარეშს მოეპოვება.

მაგრამ, აბა რა უფრო ძვირფასია ერთადერთი ასულის მამისთვის, თუნდაც იგი სულ სხვაგვარი იყოს, ვიდრე ჟიული? როგორ მოიქცევა ადამიანი, რომელიც სამსახურისათვის ფულს გამოართმევს მამას? განა თუ მოთოკავს თავის გრძნობებს? აჰ, თავადვე უწყვი, ნუთუ ეს შესაძლებელია! ანდა, ფიცხლავ აყვება გულისთქმას და საშინელ მწუხარებას მიაყენებს იმას, ვისი ერთგული სამსახურიც იკისრა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ და მხოლოდ ვერავი არამზადაა, ფეხით რომ ქელავს წმიდათა წმიდა უფლებებს¹, გამცემია და სახლში შემოპარული მაცდუნებელი; მათ მსგავსებს კანონი სამართლიანად სიკვდილითა სჯის. ვიმედოვნებ, ის გამიგებს, ვისაც ამ უსტარს ვუგზავნა. სიკვდილისა არ მეშინია, არამედ იმას ვუფრთხი, ვაითუ სირცხვილი ვიწვინო და ჩემი თავიც შემძაგდეს.

გახსოვთ, როცა ელოიზასა და აბელარის წერილებს შეავლეთ თვალი, მაშინ გამოვთქვი ჩემი აზრი ამ წიგნისა და ღვთისმეტყველის საქციელის გამო? ელოიზა მუდამ მებრალებოდა, მისი გული სიყვარულისთვის იყო შექმნილი. აბელარი კი უღირს ადამიანად მიმაჩნდა მარადჟამს: იმდენადვე უცხო იყო მისთვის სიყვარული, რამდენადაც სათნოება. მე დავგმე და გავკიცხე იგი, — ნუ უკვე-თუ ხელს მივყოფ მის წამბაძველობას? ვაი მას, ვინც მორალს ქადაგებს და ვერკი ანხორციელებს თავის ქადაგებას, ვინაც ესოდენ დაბრმავებულია ვნებათაღელვით, მისგან დაისჯება ადრე და მალე, აინუნშიც აღარ ჩააგდებს სიყვარულის გრძნობას, რასაც ანაცვალა პატიოსნება. როგორც კი სიყვარულს მოაკლდება ღირსება, იგი დაჰკარგავს კიდევ თავის ყველაზე უდიდეს სიმშვენიერეს: სიყვარულის ფასის მთელი სიდიადე რომ შევიცნოთ, გული დღენიადაც უნდა გრძნობდეს მისდამი აღტაცებას და აღგვამაღლებდეს თავად ჩვენაც, შარავანდედით მოსავდეს ჩვენს სატრფიალო საგანს. წარსტაცეთ მას სრულქმნილების იდეა, და თქვენ აღუკვეთთ მას აღტაცების უნარსაც; მოუსპეთ პატივისცემა, და სიყვარულისაგან ხელთ აღარაფერიღა შეგრჩებათ. და განალა-თუ შეუძლია ქალს პატივი სცეს თავისი თავის გამბახებელ ადამიანს? და ნუთუ ძალუძს მამაკაცს ეთაყვანოს ქალს, რომელიც დანებდება საზიზღარ მაცდუნებელს? მაშასადამე, ძალიან მალე ისინი შეიძულევენ ერთმანეთს; მათთვის

¹ უბედური ყმაწვილი! მას არ ესმის, რომ როცა გასამრჯელოს ნაცვლად იღებს მადლობას და უარს ამბობს ფულზე, ის თელავს უფრორე წმიდათა წმიდა უფლებებს, ის კი არ ასწავლის, არამედ რყვნის; ის საზრდოს კი არ აძლევს, არამედ სწამლავს; მისგან მოტყუებული დედა ემაღლიერება იმის გამო, შვილი რომ დაედუბა. მაგრამ იგრძნობა, რომ გულწრფელად პატივსა სცემს სათნოებას, თუმცა ვნებათღელვა კი აცდუნებს; და გიჟმაჟი სიყმაწვილე რომ არ ამართლებდეს, ენაწყლიანი მოქადაგე საერთოდ არამზადა აღმოჩნდებოდა. ჩვენი მიჯნურები შესაბრალისნი არიან; სამაგიეროდ დედა არაა შეწყყნარების ღირსი.



სიყვარული სამარცხვინო კავშირად გადაიქცევა. ისინი დაჰკარგდნენ პატროს-
ნებას, და ნეტარებასაც ვეღარ ეწევიან.

სულ სხვა ამბავი ემართებათ, ჩემო ქიული, ტოლ-სწორებს, როცა ისინი
აღგზნებული არიან ერთი და იმავე ვნებით; უკავშირდებიან ერთმანეთს ურ-
თიერთმიდრეკილებით, რასაც არ ზღუდავს სხვა რაიმე სახის დამოუკიდებლო-
ბა, როცა ისინი თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში და არავისა აქვს
უფლება აუკრძალოს მათ ტრფობის აღთქმათა გაზიარება. უსასტიკესი კანონე-
ბი მიუსჯიან მათ მხოლოდ ერთ სასჯელს — სიყვარულს. მათ რომ ერთმანეთი
შეუყვარდათ, ამის ერთადერთი სასჯელი გახლავთ — ვალდებულება სამარად-
ჟამო სიყვარულისა; თუკი მაინც არსებობს ქვეყნად ისეთი უგვანი მხარე, სა-
დაც უმწიკვლო სიყვარული დაირღვევა რომელიმე ურჯუკის ნება-სურვილით,
იგი, რასაკვირველია, სამაგიეროს მიიზღავს ამის გამო, ვინაიდან თავისუფლე-
ბის შეზღუდვა წარმოქმნის დანაშაულს.

აი, ჩემი მოსაზრებანი, ბრძენო და სათნო ქიული; ეს მხოლოდ და მხოლოდ
იმ მოსაზრებათა საღი ახსნა-განმარტებაა, ასეთი გზნებითა და მჭევრმეტყვე-
ლებით რომ ახსენებდით ერთ-ერთ თქვენს წერილში, მაგრამ კმარა ამაზე ლა-
პარაკი, უამისოდაც კარგად ხედავთ, თუ რაოდენად აღვიქვენ ისინი. მოიგონეთ,
მე როდღი გავჯიქებულვარ, როცა უარსა ვყოფდი თქვენს საბოძვართ. და თუმ-
ცალა ზიზლსა მგვრიდა, — ეს ცრურწმენათა გამოძახილია, — მაინც ხმისამო-
უღებლად მივიღე თქვენი საჩუქარი და ისიც მართალია, ნამდვილმა ღირსებამ
არ მივარნახა არავითარი მიზეზი, ხელი ამეღო მათზე. ოღონდ ამჟამად აღარ
ძალმიძს ყურად არ ვიღო მოვალეობისა და გონების, თავად სიყვარულის ხმა.
და თუკი თქვენსა და პატროსნებას შორის მომიწევს არჩევანის გაკეთება, ჩემი
გული უმაღ თქვენს დაკარგვას ირჩევს. ო, ქიული, ჩემი სიყვარული მეტის-
მეტად დიდია, ესრეთი ძვირი საფასურით რომ შევინარჩუნოთ.

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში



ფრანგულიდან თარგმნეს

ელიზერ ბიორბაკეა და ბიორბი ლოლაკეა

წინათქმა

ეს ჩანაწერები ჩვენი ყოველდღიური აღსარებაა. აღსარება ორი თანაშეზრდილი სულისა, რომელნიც განუყრელნი იყვნენ სიხარულსა, შემოქმედებასა თუ მწუხარებაში.

ამ ორ გონებაში ადამიანები თუ საგნები ისე მსგავს, ლამის იგივეობრივ შთაბეჭდილებებს აღძრავდნენ, რომ დღიური თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ერთი პიროვნების, ერთი მე-ს ნაფიქრალად.

ამ ავტობიოგრაფიაში იხილავთ იმ ადამიანთა სახეებს, ვისაც ბედმა შეგვყარა ცხოვრების გზაზე. ამ კაცთა და ქალთა ჩვენ ვასურათებდით ისე, როგორადაც ისინი გამოგვეცხადებოდნენ ხოლმე ერთსა რომელსამე ჟამს. მერმე კი კვლავ და კვლავ ვინიშნავდით მათ ყოველგვარ იერცვლასა თუ გარდაქცევას.

სულაც არ გვსურდა დავმგვანებოდით იმ მემუარისტებს, რომლებიც ისტორიულ პირებს, საგანთან სიშორის მიზეზით, გამოხატავდნენ ზერელედ და ბუნდოვნად, ერთი მონასმით და მკვდრული ფერებით.

თავს ვიდეთ, კვალში მივყოლოდით ადამიანის ცვალებად, დენად ბუნებას და მოგვეხელთებინა ყოველ ცალკეულ წამს გამოცხადებული მისი ჭეშმარიტი სახე.

ხშირად დავეჭვებულვარ, ჩვენთვის ახლობელი და ძვირფასი ადამიანების იერცვლას ხომ არ იწვევს-მეთქი თვით ჩვენში მომხდარი ცვლილებანი.

ვადიარებ, რომ ეს სავსებით შესაძლოა.

გამოგიტყდებით, ჩვენ გახლდით ჟინიანი, ნერვიული, ავადმყოფურად მგრძნობიარე არსებები და ამის გამოისობით ხშირად ალბათ უსამართლოდაც ვირჩებოდით.

ოდონდ დაბეჯითებით ვიტყვით: თუკი ზოგჯერ წინასწარშეგონების, ან

აუხსნელი ათვალწუნების გამო ვინმე უკადრისად მოგვიხსენებია, ეს არამც-
დაარამც არ მოგვსვლია შეგნებულად.

ამრიგად, ჩვენ ვცდილობდით შთამომავლობისათვის შემოგვენახა თანა-
მედროვეთა ცოცხალი სახეები, გადმოგვეცა მათი ცხოველი საუბარი, თითოე-
ული თუნდაც უბრალო მიხრა-მოხრა, რამეთუ ეს ყოველივე რაღაც მანქანე-
ბით ავლენს ხოლმე ხასიათს მთლიანს. ვმეცადინობდით ხელთგვეპყრო ცხოვ-
რების ფერხულისათვის ნიშნადი, ძნად მოსახელთებელი თვისებრობანი. და-
ბოლოს, გვწადდა მკითხველს ეგრძნო გიჟმაჟი პარიზული ცხოვრების ციებ-
ცხელეზა.

გვინდოდა დღიურის ფურცლებზე გადმოგვეტანა ჩვენი, ჯერეთ კიდევ
ცოცხალი მოგონებები.

დღიურს ნაჩქარევად ვწერდით, გადაკითხვითაც როდი ვიწუხებდით თავს,
არც სინტაქსს ვაქცევდით ყურადღებას და გამოთქმებსაც ანდეზე ვხმარობდით.

ჩვენს მიერ მოტანილი სიტყვები მუდამ გვერჩივნა იმ აკადემიურ, ბრტყელ-
ბრტყელ ფრაზებს, გრძნობებს რომ აბლაგვებენ და ფრთებს რომ აკვეცენ
აზრთა ამაღელვებელ ქროლვას.

დღიური დავიწყეთ 1851 წლის 2 დეკემბერს, სწორედ იმ დღეს, როცა
ჩვენი პირველი წიგნი გამოიცა. ეს თარიღი სახელმწიფო გადატრიალების
დღეს დაემთხვა.

დღიურს ერთად ვადგენდით. ქალაღზე კი ჩემ ძმას გადაჰქონდა ერთობ-
ლივი ნააზრევი. ასეთი გახლდათ ჩვენი მუშაობის წესი.

როცა იგი აღესრულა, მე დამთავრებულად მივიჩნიე ჩვენი ლიტერატუ-
რული მოღვაწეობა და დავაპირე გამესრულებინა დღიური. ბოლო წერტილი
დამესვა ყიულის მიერ 1870 წლის 20 იანვარს დაწერილ უკანასკნელი სტრი-
ქონების შემდეგ.

ოღონდ, ეს იყო მწვავე სურვილმა შემძრა საკუთარი თავისათვის მეამბნა
ჩემი ძვირფასი ადამიანის ბოლო თვეების განცდებისა და მისი სიკვდილის
შესახებ.

ამას დაერთო პარიზის ალყისა და კომუნის ტრაგიკული ამბები.

და მეც განვაგრძე დღიურის წერა, რომელსაც დღესდღეობითაც გავან-
დობ ხოლმე ჩემს ფიქრებს.

ვღვონ დე გონკური.

1852 წელი.

გავარნი ამბობდა დიკენსზე, მის სახეზე
აღბეჭდილია უსაშველო პატივმოყვარეობა,
რომელიც მნახველს ვააოგნებსო.

1855 წელი, მარტი.

გავარნი გვიყვება, რომ ბალზაკი პირ-
ველად 30-იან წლების დასაწყისში უნახავს

ჟირარდენთან. იგი ყოფილა ჩასუქებული,
ჩამრგვალებული კაცი. ლამაზი, შავი თვა-
ლები, მადლა აპრეხილი, თღნავ ჩაკყლე-
ტილი ცხვირი ჰქონია. ლაპარაკობდა ბევრს
და ხმამაღლა. გავარნის იგი წიგნის მაღა-
ზის ნოქარი ჰგონებია.

ბალზაკის ზურგი სწორ ხაზს წარმოად-
გენდა, მარტოდენ ნაკუთალები თუ გამო-

იყოფოდა, ივერდიდან კი, პროფილში რომანისტი ნამდვილ ყვავის ტუზს მიაგავდაო, დასძინა გავარნიმ.

და მხატვარმა, თვალსაჩინოებისათვის იწყო ბალზაკის ზუსტი სილუეტის გამოჭრა ქალაქიდან.

1857 წელი, 17 მაისი.

ჩანაფიქრი მარტოდენ სიმყუდროვეში იშვება, მოცალებობის უამს, როს სული თითქოსდა თვლემს. გრძნობები აბრკოლებენ წიგნის დაბადებას. ხამს წარმოსახვისაკენ მიდრეკილნი გარიდებულნი იყვნენ ცხოვრებას. მათი დღე ყოველი უშფოთველი უნდა იყოს. ამ ჯურის ადამიანი ლამის ობივატელს უნდა ემგვანოს, შეიშნოს ბამბის ჩაჩი, რათა შექმნას რამ დიადი, მძაფრი და დრამატული. ადამიანები, რომლებიც ეძლევიან თავიანთ ვნებებს, ანდა თავს აძარცვინებენ სულიერ მღელვარებას, გერაოდეს შექმნიან რასმე ღირებულს. ისინი მხოლოდ ცხოვრებისათვის იცოცხლებენ.

1857 წელი, 11 ივნისი.

ტეშმარიტად საწყალობელია ის მწერალი, ვისაც ფაქიზი ნერვული სისტემა დაჰყოლია.

საზოგადოებამ რომ უწყოდეს, რაოდენი შეურაცხყოფის, მტრობა-ქიშპობის, ცილისწამების თუ სულისა და სხეულის გვევის ფასად ჯდება თუნდაც მცირე რამ სახელის მოხვეჭა, მაშინ, რა თქმა უნდა, ნაცვლად შურისა, სიბრალულით აღივსოდა ჩვენს მიმართ.

1857 წელი, ოქტომბერი.

დღეს ჩვენთან ბოდლერი ვახშობს. ყველი მოუშიშვლებია, ჰალსტუხი არ უკეთია, თავი მოპარსული აქვს. სწორედ რომ გილიოტინისთვის გამზადებული გეგონებათ. ერთადერთი სინატიფე: პატარა, ფრჩხილებ მოქნილი, ქალურად სალუქი ხელები. და ამასთან, შეპყრობილის სახე. მჭახე, ფოლადისებრი ხმა, რომელიც სურს მიამგვანოს სენ-ჟიუსტის განუხრელი ვარაყიანი მეტყველების წყობას. ამას ახერხებს კიდევც.

იგი ერთგვარი გაგულისებით აცხადებს, რომ თავის ლექსებით არ შეუღალავს ზნეობა.

1858 წელი, 13 აპრილი

გადავიკითხე „რამოს ძმისწული“. მართლაც რომ ბადალი არ მოეძევება დად-

როს. მერსიეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მიჩქეფარებს მისი სიტყვა და აზრი.

არადა, ვოლტერი უკვდავადია შერაცხული, დიდროს კი მხოლოდ ცნობილთა შორის აღირსეს ადგილი. რად და რისთვის? ვოლტერმა ხომ დაასამარა ეპიკური პოემა, მოთხრობა, ტრაგედია, ლექსიც არ დაინდო. დიდრომ კი აღაზვევა დრამა, ხელოვნების კრიტიკა, თანამედროვე რომანი.

ერთი მათგანი ძველი საფრანგეთის უკანასკნელი ნიჭია, მეორე კი—ახალი საფრანგეთის პირველი ვენია.

1858 წელი, სექტემბერი.

წიგნის ავტორი პოლიციელს უნდა ჰგავდეს: თავის ნაწარმოებში ყველგან უნდა ტრიალებდეს, თღონდაც უჩინმაჩინის ქუდი უნდა ეხუროს.

1858 წელი, ოქტომბერი.

ჯერეთ არავის შეუნიშნავს, თუმცა პირდაპირ თვალში საცემია, რარიგ ზედმიწევნით შეუთვისებია ბალზაკს ნაპოლეონის მოკლე, ბრძანებათა ფრაზების ენა. ენა შემონახული ლას კაზის „წმიდა ელენეს მემორიალსა“ და უმეტესად რედერერის „საუბრებში“.

სწორედ ამ ენით არ აამეტყველა ბალზაკმა თავის ქმნილებებში სამხედრო პირნი, მოსამსახურენი, ჰუმანიტარები, ყველანი — ვოტრენიდა და საბჭოს წარჩინებული მოხელენიც?!

1859 წელი, 12 აგვისტო.

გუმინ კრუასის კოშკში გრძელ მაგიდას ვუსხედით.

ელმონი ტერეზას ელაპარაკებოდა. მაგიდის ბოლოში ვიჯექი და ჩემ ყურს ვერ სწვდებოდა მათი ნაუბარი, მაგრამ როცა ჩემი ძმა იღიმოდა, მეც ბუნებრივად მებადრებოდა სახე. თავიც ელმონივით მქონდა დახრილი.

— დიდება შენდა. დმერთო, ერთი სული — დაბინადრებული ორ სხეულში, — გამიელვა ფიქრმა.

1859 წელი, ოქტომბერი.

ზოგი ადამიანის ტალანტის მახასიათებელი გახლავთ უწყვეტი დენადობა და ნაყოფის თანაბრობა.

დასანახავად ვერ ვიტან ამ ყაიდის ლიტერატორებს.

სახალხო ზეიმებზე ბრბოსთვის გამოდ-

ვმული ღვინის კასრებიდან დაღვნილ ტბორებს მომავონებენ ჩეჩქივით დახვავებული მათი მეტაფორები.

1859 წელი, 16 ნოემბერი.

ჩემი საწოლის თავთან დგას წიგნების თარო, იმ წიგნებისა, რომლებსაც არასდროს ვიცილებ და მუდამ ხელთა მაქვს. შევმზერ ამ თითო-თითოდ შეგროვილ დასტას, ვით ჩემი ფიქრის კლავიატურას, ჩემს პალიტრას: ესქილე, ჰაინრიხ ჰაინე, ადამ-ჟამინდელი ჯიბის ფრანგული სიტყვარი, „ანგოლა“, „ანონაკრებნი“ ციცერონისა, „მაიმუნების ისტორია“, არისტოფანე, ჰორაციუსი, პეტრონიუსი, გრიის „ძველმანი“, რაბლე, კურაე, ბალზაკის „პარიზის ამბები“, „ტრისტრამ შენდი“, ლაბრიუერი, ბონავენტურა დეპერიე, ანაკრეონტი.

1860 წელი, 4 მარტი.

ნუთარდეს გააბეზრებ სხვას შენს თავზე ლაქლაქით. მოსაუბრეს ნიადავ თავის თავზე ელაპარაკე. ასეთია ხელოვნება — მოაწონდე გარემოთ. ეს ყველამ იცის და მაინც ყველას ავიწყდება.

1861 წელი, 11 ივლისი.

მთელი ღღის განმავლობაში „და ფილომენას“ დაბეჭდვის საქმეზე დავრბოდი. საღამოთი ვესტუმრე შარლ ედმონს, რომელიც ეს ესაა ჩამოვიდა ბრიუსელიდან, სადაც მას ჰიუგოსთან დაუყვია რამდენიმე დღე. ის ბრიუსელში სწორედ იმ დროს ჩასულა, როცა ჰიუგომ ბოლო წერტილი დაუსვა თურმე თავის რომანს („საბრალონი“). ჰიუგოს ასე უთქვამს ედმონისათვის: „ღანტემ შექმნა პოეტური ჯოჯოხეთი, მე კი ვცდილობდი, ეს ჯოჯოხეთი სინამდვილიდან შემექმნაო“.

ედმონმა მითხრა: პოეტი სრულებით არ განიცდის თავის გადასახლებას. ასე გაიძახის, სამშობლო მიწაა მხოლოდ და სხვა არაფერი, მერე კი დასძენს ხოლმე: სამშობლო? რა არის სამშობლო? მარტოდენ იდეა! პარიზი რაღაა? არც პარიზს ვაქნევ დიდ რამედ. პარიზი ეს ხომ რივოლის ქუჩაა, მე კი ვერ ვიტან ამ ქუჩას.

1862 წელი, 13 ივლისი.

რის ტანჯვითა და რის წამებით — აი, როგორ იწვება ლიტერატურის ნაყოფი.

ჩაიფიქრო და განახორციელო. მწერლისათვის ეს ორი სიტყვა გამომსახველია გაუსაძლისი დაჭირვება-ვაგებლსა. თავად განსაჯეთ, რარიგ საქმელოა იმ არაოთხიდან, იმ ემბრიონიდან, რასაც იდეა წარმოადგენს, შექმნა punctum saliens¹. სათითაოლ ამოაწვთინო სულის წიაღში არიალებული ფაბულა, ხასიათის ნიშნები, კვანძი, კვანძის გახსნა, ის მცირე სამყარო მთლიან, რაიც აღაშენებს რომანს. თავში თითქოსდა ჩაფარდაგებულ თეთრ ქაღალდზე ჯერაც ჩამოუქნელ აზრს რის ვაინაჩრობით გამოკყავს ბატიფეხური. რავგარი ძალგაცლილობა, შავი ნადველი, უსასრულო სასოწარკვეთა საკუთარი თავის უძლურების გამო. სირცხვილის აღმური. გაუთავებელი ტვინის ტყლეტა. თავი — თითქოსდა ცარიელი ქვევრი. ამ დაუსრულებელ ფათურში ხელში მოგვხვდება რაღაც მკვდარი, უსულო — ეს ხომ შენი წარმოსახვაა. ვერაოდეს შექმნი რაიმეს, ვერც ახლა, ვერც მერმე, ხშიანობს ფიქრი.

სრული უმწეობა.

ამავ დროს იდეა შენში სუფევს, მიმზიდველი და მოუხელთებელი, ვითა ღრუბლებში გახვეული მშვენიერი, ოღონდაც დაუნდობელი ფერია. ძალს არ იკარებ იმ იმედით, რომ იქნებ ვატეხილი ღამით მოგვრილმა ციებ-ცხელებამ აღგიძრას რაიმე ხატი.


აზრს შენსას კვლავ დაიურვებ, ტაიქივით ამოსდებ ლავას. ყოველი სიმი სულისა დაძვებულია ბოლომდე და ვრთის გზნებითაა აღძრული.

მყისიერად რაღაც გაგიელვებს და წამს გაქრება. ეს უფრორე ქანცგამცლელია, ვიდრე სრული მარცხიანობა.

ო, ეს ბორიალი წარმოსახვის წყვდიაღში. ეძიებდე და ვერა ჰპოვებდე სულს წიგნისას, იტანჯვიდე საათობით, მოსვენებაწართმეული და ხელცარიელი შთებოდე, შენს მიერ შექმნილი, შენგან მოკვეთილი ბოლო ნაწარმოებისა და ახლის, ჯერაც დაუწერელის მიჯნაზე გამოჩენილი. და განუსვენებლივ გწეწდეს ფიქრი წიგნზე, აწ რომ ელის ხორცშესხმას. რარიგ მძიმეა სულში ატარებდე რაიმე უსახურს აზრისა და წარმოსახვის მიმდევნი კაცისათვის ეს ენათქმეელი საშინელებაა.

მთელი ეს დღეები აგრე ვეწამეთ. დაბოლოს, დღეს საღამოს გამოიკვეთა პირვე-

¹ punctum saliens — აქ: პირველი ჩანასახი.



ლი მონახაზი ჩვენი რომანისა — „ახალგაზრდა ბურჟუაზია“ (რენე მოპერენი). ეს მოხდა, ჩვენი სახლის უკან, ბაღების მაღალ კედლებშუა ჩაქედნილ შუკაში სეირნობის უამს.

ნიავე რაღაცას ჩასჩურჩულებდა ალვის ხეთა კენწერობებს. მზე ჩადიოდა. მისი აღმური აბზინებდა შორეთში მწვანეანი არემიდამოს.

მარცხნით, ძველ ბაზართან შავად ილანდებოდა წაბლიანი. თქროცურვილ ცაზე ხელის მტევანივით იკვეთებოდა ფოთლები, თითქოსდა გათლილ აქატის ქვაზე ამოკვეთილი სურათი. და ვარსკვლავებს მოჰგავდა ნემსისყუნწა შორისეთები.

ეს იყო უცნაური სანახაობა, მსგავსი ლაბერყეს პეიზაჟისა „სადამო“, რომელიც ლუფრში ჰქვია.

ხეები აქარგულიყვნენ ბინდბუნდში. შავი ფოთლები ახატოდა გადანათებულ, დიდებულად აფეროვნებულ ზეცას.

ქეშმარიტად — წიგნებსაც აქვთ თავიანთი აკვანი.

1863 წელი, ივლისი.

ქალის გამომზერა, ესაა იდუმალემა, სფინქსი! ო, ეს უსიტყვოდ გამოთქმა ყოველივესი. რა იდუმალემაა!

ჩემი ფიქრი ნიადაგ უტრიალებს ამ საცნაურს.

გულში მაქვს ამოჭრილი, ოდესმე ორისამი გვერდი მაინც დავწერო ამის შესახებ.

1863 წელი, აგვისტო.

მიჭირს სოფელში მუშაობა. თავი ხან ცაზე მიმცურავი ღრუბელი მგონია, ხან რტოებზე ათრთოლებული ფოთოლი, ანდა მოჩუხჩუხე წყარო. ყველაფერი, რაც ვნებავთ, ვარდა მოაზროვნე არსებისა.

1863 წელი, 14 ოქტომბერი.

შაბათი დღეა. შინ ვსადილობთ. ვილაცამ ჰიუგო ახსენა. ამ სახელის გაგონებაზე სენტ-ბევი გაწიწმატდა და წამოხტა.

— ის ხომ შარლატანია, სპეკულაციის პირველი მოთავე ლიტერატურაში,— განგვიცხადა.

ფლობერმა სიტყვა არ შეაწია. ასე მიუგო,— ეგ ის კაცია, რომლის ტყავშიაც სიამოვნებით გავეხვევოდით.

სენტ-ბევი არა სთმობს.

— ლიტერატურაში არავის სურს იყოს სხვა ვინმე საკუთარი თავის გარდა. შესაძლოა გადმოიღო რაიმე თვისებები, ოღონდ

საკუთარ თავს არა და არ უნდა უღალატო,— ასეთია მისი მრწამსი.

და უეცრივ იგი არბილებს ხმას. ხარკს მიუზღავს ჰიუგოს. მის ძალუმ უნარს დამოძღვრისა.

— დიახ, ეს მან მასწავლა ლექსების წერა. ერთხელ ლუფრში, სურათების წინ, მხატვრობის საიდუმლოსაც მაზიარა. უზარმაზარი ტემპერამენტი ეს ჰიუგო. მისი დალაქი მეუბნებოდა. თუ სხვას ერთი ღერი წვერი ამოსდის, იმ ალაგს ჰიუგოს სამი ღერი ეზრდება, სამართებლები ერთიანად დამიბლაგვაო. ფოცხვერის კბილები ჰქონდა,— განაგრძობს სენტ-ბევი,— ატმის კურკებს თხილის გულივით ფშვნიდა. „შემოდგომის ფოთლებს“ რომ წერდა, იმ ხანებში ყოველ სადამოს ნოტრ-დამის კოშკზე ავდიოდით მზის ჩასვლის სახილველად. ჩვენს შორის დარჩეს და ეს სანახაობა სულაც არ მალეღვებდა. ეგ ბქით იყოს. ჰიუგოს ისე უჭრიდა თვალი, წარმოიდგინეთ, ამ სიშორიდან არსენალის აივანზე გადმოდგარ მადმუაზელ ნოდის კაბის ფერს არჩევდა.

რაღა თქმა უნდა, ეს მიგვანიშნებს ამაგენიოსის მოუცილებელ ჯანმრთელობაზე, მაგრამ ნატიფი, ხიბლიანი და სევდით გათანგული, გულის სიმების ამათრთოლებელი ნაწარმოების შესაქმნელად, ვინძლო ხამს ადამიანს სულის თუნდ ერთი კუნჭული ეპოვნებოდეს სნეული, და ცოტაოდნავ მაინც მოჰგავდეს ჰაინრიხ ჰაინეს, ფიზიკურად ჯვარცმულ კაცს.

1864 წელი, იანვარი.

ადამიანს თავისი ბუნებით არ უყვარს ქეშმარიტება — ეს გასაგებიცაა. სიცრუე, მითოსი, მისთვის ბევრად უფრო სასურველია.

ადამიანისათვის ბევრად უფრო სასიამოა წარმოიდგინოს გენია ავარდნილ ალად, ვიდრე მასში დაინახოს ნევერტული არსება.

1864 წელი, 5 აპრილი.

მწერლობას ჩვეულებრივ იწყებენ იმით, რომ საკუთარი ორიგინალობის წყაროს ეძიებენ სხვებში, სხვათა შემოქმედებაში... მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩენენ, რომ ეს ორიგინალობა თურმე სულ ახლოს, საკუთარ თავშივე არსებულა.

1864 წელი, ივლისი.

დაწერილი წიგნი იმთავითვე შედევრი-

როდია. იგი ასეთად მხოლოდ შემდგომ იქცევა. გენია — მხოლოდღა მიცვალებული ადამიანის ნიჭია.

1864 წელი, სექტემბერი.

როცა ავგუსტუსების ისტორიას კითხულობ, გიკვირს, რომ სიკეთის, ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის ცნებებს შეეძლოთ ეარსებათ კეისრების დროს და რომ რომაელმა იმპერატორებმა ვერ მოახერხეს ჩაეკლათ ადამიანური სინდის-ნამუსი.

1864 წელი, 5 ნოემბერი.

მიშლეს წიგნების ხიბლი ის გახლავთ, რომ მათ ხელნაწერის იერი აძევთ და გარიდებულნი არიან უფერულ, ბეჭდურ უპიროვნობას. ისინი თითქოსდა თვით აზრის ავტორავია.

1865 წელი, იანვარი.

არიან ლიტერატორები, რომელთა ნიჭი ოცნებას გასაქანს არ აძლევს.

მათი სათქმელი მხოლოდ იმით ამოიწურება, რაც დაუწერიათ.

ასეთი მწერლების სიტყვა ფანფარის ფშუტე ბგერასავით ხვდება ყურს.

1865 წელი, ივნისი.

მამაკაცი წიგნში ხშირად ჭეშმარიტებას ეძიებს.

ქალი კი ყოველთვის — თავის ნაოცნებარს.

1865 წელი, აგვისტო.

არსებობენ ჩვეულებრივი, ცხოვრებაში შემხვდური ადამიანებივით ანტიპათიური ავტორები. როცა მათ უბადრუკ ნაწარმოებებს ვკითხულობთ, თითქოსდა ეს ავტორები გვედგას თვალწინ.

1866 წელი, იანვარი.

ვინ ისმენს ყველაზე მეტ აბდა-უბდას? ალბათ მუხეუმში გამოფენილი სურათი.

1866 წელი, 8 იანვარი.

მომქანტა და გამოძალა ჩვენს გარშემო ატეხილმა ამდენმა აურზაურმა. მოგეხსენებათ, სახელის განთქმას დიდი ხმაური მოსდევს. ახლა ვოცნებობ, იქნებ ღმერთმა ქნას და ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე გვეღირსოს.

1866 წელი, 15 იანვარი.

სადილი მანისთან.

ტენი აცხადებს, რომ ყოველი ნიჭიერი ადამიანი თავისი წრის ბიომშობა ჩვენ სხვა საფეხრობთ. სად მოვიძიოთ აბა შატობრიანის ევზოტიზმის ფესვები. ეს ხომ ყაზარმაში აღმოცენებული ანანასია. გოტიე ჩვენ გვემხრობა და ამტკიცებს, რომ ხელოვანის ტვინი ფარაონების დროიდან დღემდე იოტის ოდენადაც არ შეცვლილა. რაც შეეხება ბითურ ბურჟუას, ვინ იცის, იქნებ მას ტვინი შეეცვალა კიდევ. მერედა რა?.. აქვს კია ამას რაიმე ფასი?

1866 წელი, იანვარი.

მივიღე ტენის მიერ გამოგზავნილი წიგნი, სადაც აღწერილია იტალიის ფუნჯის ოსტატთა ლამის ყველა სურათი, მისი ბუნება და თვით ის შეუვალი საზოგადოებაც, რომელიც თავის მარაქაში აგრე იოლაფ არავის რევს.

დაბოლოს, ტენი ამ ქვეყნის წარსულსაც ხატავს, აწმყოსაც და მომავალსაც.

იტალიელთა ავან-ჩავანის შეტყობა, თურმე ნუ იტყვიოთ და, სულ რაღაც სამ თვეში მოუხწრია.

საბედნიეროდ, ჭკუაღამჯდარ ადამიანებს ამსუბუქებას იოლად შეუნდობენ ხოლმე.

1866 წელი, 12 თებერვალი.

ქალბატონი სანდი დღეს მანისთან მოვიდა სადილად. ის ჩემს გვერდით ზის. სანდის მშვენიერ სახეზე ასაკთან ერთად, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება მულატი ქალის ტიპი. იგი შეცბუნებული შეპყურებს ფლობერს და ყურში ჩასჩურჩულებს: „აქ მხოლოდ თქვენი არ მერიდება“.

სანდი სულგანაბული უსმენს ჰიუგოს ლექსს, რომელსაც ხმამაღლა კითხულობენ. თვალი ცრემლით ენამება ყველაზე სენტიმენტალური და ყალბი ადგილის მოსმენისას.

მაოცებს მწერალი ქალის მაქმანის სამაჯვებში შემალული ნატიფი, კოხტა ხელები.

1866 წელი, თებერვალი.

მეცხრამეტე საუკუნე ჭეშმარიტების და სიყალბის საუკუნეა. არაოდეს აგრე ბევრი არ უცრუვიათ და არაოდეს ასე დაჟინებით არ უძებნიათ ჭეშმარიტება.

1866 წელი, თებერვალი.

მართლაც რომ ბედის დაციწვია. გონი-

ერი, მაღალნიჭიერი ადამიანები მთელ სი-
ცოცხლეს სწირავენ ბრყვე და ლენჩ საზო-
გადოებას და ამავე დროს სულის სიღრმეში
ჭირივით სძაგთ ყოველი ეს ჩერჩეტი, რომ-
ლებიდანაც შედგება ეს ჯამაათი.

1866 წელი, 25 აპრილი.

Qualis artifex pereo¹. ღვთაებრივი და
ჯერაც დაუფასებელი გამონათქვამი. აი, ყვე-
ლაზე დიდი პატივი, რომელიც ოდესმე
მიჰგებია მსახიობს, იმ ჭეშმარიტებას, რომ
მას ტოლი არ მოეძევა. ნერონი თავის
თავს როკორც იმბერატორს როდი დასტი-
რის. იგი იგლოვს ხელოვნების საიდუმლოს,
რაც თან მიაქვს საფლავში.

1866 წელი, აპრილი.

ღიახ, ბატონებო, ჰიუგოს წიგნები მარ-
თლაც რომ ჯადოსნურია, და ყველა დიდი
მწერლის წიგნების დაგვარად ისინი თრთოლ-
ვას იწვევენ ჩვენში.

1866 წელი, 6 ივნისი.

ესადილობთ ფლობერთან ერთად კრუა-
სეში. იგი დღეში თავგადადებულად შრო-
მობს თოთხმეტ საათს. ამას უკვე მუშაობა
აღარ ეთქმის. ეს ნამდვილი მოწამეობაა.

1866 წელი, 27 ივნისი.

ავადმყოფობა, ავადმყოფობა! აი, რა
ამოგვადინეს ცხვირში ჩვენი წიგნების გა-
მო. ჰო, მაგრამ ამ დროში რაღას არ ეთ-
ქმის ავადმყოფობა? ბაირონი, შატობრიან-
ი — განა ეს ავადმყოფობა არაა? განა
ქრისტიანობის დიდი ძვრა, თავად იესო
ქრისტე — ავადმყოფობად, ტანჯვად არ გვე-
სახება?

იუპიტერი, აი, რა გახლდათ სიჯანმრთე-
ლე. ვინა ქმნის ჯანსაღ ნაწარმოებებს ღლეს-
ლდობით? ვინა და პონსარი.

1866 წელი, 5 აგვისტო.

საზოგადოება ვერაოდეს გითანაგრძნობს
იმ იმედგაცრუების გამო, როს შენი სუ-
ლიდან გწადია დაიხსნა თუნდ მცირე რამ
ნაფიქრი სულ რაღაც ერთ გვერდს რომ
დაიჭერს, ის კი არა და არ მოგდევს.

1866 წელი, ოქტომბერი.

რაშია ჩვენი ძლიერება თუ უძლურება
XVIII საუკუნის ხალხთან შედარე-
ბით.

ისინი სულდგმულობდნენ თავიანთ
იმედთა აღსრულების ახლო მოლოდინით.

¹ რა მსახიობი იღუბება.

ჩვენ კი მოგვიწია ცხოვრებამ ამა იმედთა
დამსხვრევის მეორე დღე.

1866 წელი, ოქტომბერი.

ერთხელ, საუბრისას ლავუამ გვითხრა:
პარიზი ადამიანს მეობის მესამედსდა თუ
შეარჩენს. აქ იმდენი შთაბეჭდილება, იმდე-
ნი სხვისი იდეა და აზრი გეხვევა თავს,
რომ მე მივემგზავრები ბრეტანში, რათა
კვლავ აღვიდგინო ჩემი ინდივიდუალობა
და კვლავ ნამდვილ ლავუად ვიქცე.

1866 წელი, 25 ნოემბერი.

გადავშალე გაზეთი „საფრანგეთი“ და
ღმერთო ჩემო, თითქოს მეზი დამეცა... გა-
ვარნი გარდაცვლილა. ახლა, ამ წუთს ასაფ-
ლავებენ.

ისე მოხდა, ვერ გავყვებით იმ კაცის
კუბოს, ვინც ყველაზე უფრო გვიყვარდა,
ვისაც ყველაზე მეტად ვეთაყვანებოდით.

აწ ვედარასოდეს ვიხილავთ მას.

რამდენი მოგონება აღგვეძრა.

ახლა ვიხსენებთ, რარიგ ნაღვლიანი ია-
რებოდა ბოლო დღეებში. თვალწინ გვიდ-
გას ხელოვანის ხმელი, ჩამოქნილი, თითქოს-
და ნაქანდაკარი თითები და ყურში ჩაგვეს-
მის მისი საამო ხმა: ჩემო ძვირფასებო, ჩე-
მო პატარებო.

მართლაც რომ მამობრივი გრძნობა
ამოძრავებდა ჩვენს მიმართ.

მახსენდება, ოპერაში გამართულ მეჯ-
ლისს დავესწართ, დახეთ, ბედის დაცინ-
ვას. მან უკანასკნელად იხილა ეს მეჯლისი.
ხელკავით მომყავდა თეატრიდან. უკვე მა-
შინ აღარ უჩანდა სააქაო პირი.

მწარედ ვინანი, რად არ ჩავიწერე ბევ-
რი რამ მის შესახებ.

ო, რარიგ ცხადლივ გვიჩვენებს სიკვდი-
ლი, რომ ადამიანის სიციოცხლე ისტორიის
ნაწილი ყოფილა.

1867 წელი, 2 იანვარი.

წიგნის ჯიხურებში სკამები გაქრა. ეს
ნიშნადია ჩვენი დროისათვის. ფრანსი იყო
უკანასკნელი ბუკინისტი, ვისაც სკამები
ედგა. ადამიანს შეეძლო ჩამომეძარიყო და
თავი შეექცია საუბრით.

ახლა წიგნს ფეხზე დვომეღა ყიდულო-
ბენ. ითხოვენ წიგნს და გებულობენ ფასს.
ესაა და ეს.

აი, სადამდე დაიყვანა დღესდღეობით
წიგნით ვაჭრობა ყოვლისჩანმთქმელმა, გა-
ცოფებულმა კომერციამ. ეს ხელობა, რაც
განუყრელად დაკავშირებული იყო ფოლი-

ანტების გაუთავებელ ფურცვლასა და შინა-ურულ, ერთი შეხედვით უკმ მასლაათთან.

1867 წელი, 23 აპრილი.

რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობ, მით უკეთ ხედავ, რომ ამ ქვეყნად არაფერი არ მიიჩნევა ისე ღირსსაყნობად, როგორც უმნიშვნელო ამბავი და არაფერს არ უცქერენ უფრო ზერელედ, ვიდრე მართლაც და საგულისხმო ამბავს.

1867 წელი, ივლისი.

ჩვენში დღითიდღე სულ უფრო და უფრო ნაკლებ ზრუნავენ იმაზე, რომ საკუთარი სახელი ღირსეულად შეუნარჩუნონ შთამომავლობას. ჩემი დაკვირვებით ლიტერატურა იქცა მხოლოდ იოლი ცხოვრების საშუალებად.

და ასეთი მიდგომა მწერლობისადმი თითქოსდა იძლეოდეს მუქთახრობის უფლებას, რაიც, ასე გასინჯეთ, საძრახისად როდი ითვლება.

1867 წელი, ოქტომბერი.

ჩვენი ჯურის ხალხისათვის ცხოვრება ისეთი ტვირთია, იმდენი ჯაფა გვიწევს, ნიდაგ ისე მოუცლელნი ვართ, რომ სიკვდილის წინ ალბათ ვიკითხავთ კიდევ — ბოლოს და ბოლოს ვიცხოვრეთ ამ ქვეყნად თუ არა.

1867 წელი, აგვისტო.

სიკვდილი იზიდავს ადამიანებს, ვითარცა უკანასკნელი თავგადასავალი.

1867 წელი, 25 აგვისტო.

მან ბევრი იცის, ბევრი წაუკითხავს, საზოგადოებაში გამოსულა, საქმის ხალხშიც ტრიალებს და ქალებშიც გაჩვეულია. ლაპარაკობს ერთგვარი შთაგონებით, ამიტომაც მისი მონათხრობი საინტერესოა და ცოცხალი. ეს მხიარული, თავაზიანი თავლიყაცი — ერთ-ერთი სასიამოვნო პიროვნებაა ლიტერატორთა შორის. სინამდვილეში კი ჩვენი ძვირფასი ფეილო ბრიყვია. ოღონდ მის სიბრიყვეს ვერაფრით დაასაბუთებ. ეს მხოლოდ უნდა შეიგრძნო.

1867 წელი, სექტემბერი.

მახსენდება სენტ-პეტერსბურგის სიტყვები, რომლებიც ამ დღეებში სულიემ გადმოიტანა: „ჩემს მიერ სენტში წარმოთქმული სიტყვა ჩაისახა მანისთან გამართული სადილების დროს“.

მართლაც, ფასდაუდებელი იყო მანისთან შეხვედრები, თუ რომდენიმე ხელისშემშლელს არ ჩავაგდებთ სათვალავში. მისი სამკვიდრებელი განსაზღვრა და სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლების სავანე.

1867 წელი, თებერვალი.

ამჟამად ჩვენ ვიძენთ უამრავ მემუარებს, წერილებს, ავტობიოგრაფიებს, ადამიანთა ყოველგვარ საბუთს — ნაშთებს სიმართლისას.

1867 წელი, 25 თებერვალი.

ლიტერატურაში მშვენიერი არის მხოლოდ ის, რასაც ოცნება ნათქვამის მიღმა გადაჰყავს. სწორედ ისე, სულთმობრძავის უბრალო, ბუნდოვანი და უაზრო ყესტი რომ მიგვანიშნებს ბევრს რასმე ადამიანურზე.

1868 წელი, 1 იანვარი.

აჰა, დადგა ახალი წელიც!.. აი, კიდევ ერთი საფოსტო სადგური, სადაც ბაირონის თქმისა არ იყოს, ბედი-მღევარი იცვლის ცხენებს.

1868 წელი.

როცა სევდა მოგვერევა, ცხოვრება სინამდვილედ როდი გვიჩანს.

თითქოს სიზმარში ვხედვიდეთ ყოველივეს, იქნება ეს რაიმე შემთხვევა, სანახაობა თუ ვინმე გამვლელი.


1868 წელი, თებერვალი.

განდგომა საზოგადოებისაგან — აი, ერთი მიზეზიც ხმაურიანი დიდებისა. ვოლტერი — ფერნეში, ჰიუგო — ჯერსიში. ორი განმარტოებული, თითქოსდა ერთმანეთის ეჭოდ ნახმევენი.

გენიოსი, ან ნიჭით ცხებული კაცის ხალხში ტრიალი ფასს აკლებს მას ადამიანთა თვალში.

1868 წელი, მაისი.

ობრიე! ო, ობრიე! რა დავაშავე ნეტავი, ვინ მომისაჯა თქვენს საზოგადოებაში ცხოვრება. ერთხელაც იქნება, ვიყიდი რევოლვერს და მაღალფარდოვანი ან გადაპრანჭული სიტყვაც რომ დაგცდეს ჩემთან, იმავე წამს პირდაპირ შეტბლში გახლით ტყვიას.



1868 წელი, მაისი.

ორი პოეტის კანდიდატურა წარადგინეს აკადემიაში. ერთს ოტრანი ერქვა, მეორეს — თეოდორ გოტიე.

და როცა ოტრანი აირჩიეს, მაშინდა ვირწმუნე აკადემია კრეტილების და მართლაც სინდისგარეცხილთა ჯგრო რომ ყოფილა.

აწ კი, თავში ქვაც უხლიათ, ვინც უნდათ ის აირჩიონ.

1868 წელი, ოქტომბერი.

მწერალს, თუკი იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ყველაზე დიდ სიამაყესა და სიხარულს ჰგვრის საკუთარი უნარი, უკვდავპყოს ყოველივე, რისი უკვდავყოფაც მოესურვება.

რა ნაკლებ ნიჭიერიც არ უნდა იყოს მწერალი, იგი მაინც გრძნობს თავს შემოქმედ ღვთაებად. ღმერთი ბადებს ცოცხალ არსებებს. ადამიანი კი წარმოსახვით ქმნის გამოგონილ არსებათ. და ასეც ხდება, რომ კაცობრიობის მახსოვრობაში ეს არსებანი უფრო ღრმა, თითქოსდა ცხოვრებისეულ განცდებსა და მოგონებებს ტოვებენ.

1868 წელი, 4 დეკემბერი.

ხელოვნებაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, არსებობენ ჩასუქებული, ღიბიანი, გაზულუქებული ახალგაზრდები.

ესენი პირწავარდნილი მეწარმეები არიან.

1870 წელი, ივნისი.

ოდესღაც მანისთან ვახშობა გავარნიშ, სენტ-ბევმა და ჩვენ ორთა, მე და ჩემმა ძმამ დავიდეთ წესად.

გავარნი გარდაიცვალა, წავიდა ამ ქვეყნიდან სენტ-ბევი და ალესრულა ჩემი უმრწემესი ძმაც.

ასე ვამყარა განგებამ მეგობრებსა და ჩემი არსების ნახევართან.

იკმარებს ამას სიკვდილი თუ მალე მეც იმათ ვზას გამიყენებს?

მზადა ვარ. ველი ბედისწერის განჩინებას.

1872 წელი, პარასკევი, 5 იანვარი.

წვირღებში საკუთარ თავსაც კი ვერ უხელებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ მათი სახელოვნობის ზრდასთან ერთად მატულობს იმ თავყვანისმცემელთა რიცხვიც, ვისაც არ ძალუძს მათი ტალანტის შეფასება.

1873 წელი, ორშაბათი, 9 ივნისი.

ღირსეული ადამიანი მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს საკუთარ ღირსებას, თუ თავის თავში არა და არ შეანელებს საზოგადოებრივი აზრისადმი სიძულვილს.

1875 წელი, შაბათი, 30 ივნისი.

მძიმე დღეა ჩემთვის. პირველად იგზავნება წიგნი სტამბაში მარტოდენ ედმონ გონკურის ავტორობით.

ვაი, რომ ედმონის გვერდით აღარ ეწერება ყიული.

1875 წელი, 17 ივლისი

როცა ჩემი ილაჯწართმეული სული ითხოვს რამენაირ პოეტურ სახმილს, ამას ჰაინრიხ ჰაინეს ნაწარმოებებში ვპოვებ. თუ მიწიერი ცხოვრების უხამსობით გაბეზრებული ჩემი გონება ითხოვს განრიდებას, ზებუნებრივსა და ფანტასტურს რასმე, ამას პოს ქმნილებებში ვაკვლევ.

და ამავე დროს გული მწყდება, პოეტურ ცეცხლსა და ზებუნებრივობას მხოლოდ უცხოელნი რომ მაზიარებენ.

1877 წელი, მაისი

ბოდლერი დიდი, ძალზე დიდი პოეტია, ოღონდ მის პროზას ორიგინალობისა არაფერი სცხია. მიუხედავად ამისა, ის არ ეშვება და თარგმნის ედგარ პოს პროზას. ოღონდ ესაა, თარგმანი ბოდლერის ნაწერს უფრო ჰგავს, ვიდრე პოს ქმნილებას.

1878 წელი, სამშაბათი, 19 ივლისი.

ფლობერი ამბობს, რუსოდან მოკიდებული არცერთი რომანტიკოსი მკვეთრად არ მიჯნავსო სიკეთესა და ბოროტებას.

შატობრიანს ასახელებს, მაღამ სანდს, სენტ-ბევს და წუთიერი ღუმლის შემდეგ დასძენს: ასე გასინჯეთ თვით რენანსაც კი არ აშფოთებს უსამართლობაო.

1881 წელი, მარტი

აი, თქვენ წინ გიდევთ თეთრი ქაღალდი. თავში კი აზრი გიტრიალებთ — გაურკვეველი, ბუნდოვანი და მქრქალი.

ავერა დაჩნდა თეთრ ქაღალდზე შავი ბატიფეხურიც, რომელიც მერმე თქვენი გონების ნისლოვანგდიდან ჩამოქნის ლოგიკურ კრისტალს — ნეაცრსა და გამოკვეთილს, უდაგოსა და უეჭვოს.

ჭეშმარიტად რომ არაფერია ისე სამძიმო, როგორც მუშაობის ეს პირველი წუთები.

1881 წელი, 12 მარტი

ვოლტერი მართლაც რომ მახვილგონიერია. ოღონდაც ეს არის XVIII საუკუნის დედაბრის მახვილგონიერება.

მას არასოდეს არ გაუელვებს ისეთი აზრი, რომელიც ოდნავად მაინც ემგვანებოდა პასკალის, ბეკონის ან რომელიც გნებავთ სხვა დიდი ფილოსოფოსის აზრებს.

1886 წელი, სამშაბათი, 2 ნოემბერი

მწამს და მჯერა, რომ ლიტერატურას ვერაფერს შესძენს ადამიანი, რომელსაც არაფერი იტაცებს, იქნება ეს მშვენიერი სქესი, ცხენი, ღვინო, ლამაზი ნაკეთობანი, სულერთია რაც გნებავთ, რომელიც არასოდეს გადაცდენილა გზიდან და ყოველთვის ჭკუიერად იქცევა.

თამამად ვიტყვი, ასეთი კაცი დაკარგულია ლიტერატურისათვის, რადგან მას შინაგანი საწვავი არ ყოფნის და მისი ხელიდან არ გამოვა არამცთუ ენიალური, არამედ ოდნავი ნიჭით მომადლებული ხელნაწერიც კი.

1887 წელი, სამშაბათი, 19 ივლისი.

ცოლ-ქმარ დოდებს ძალზე მოეწონათ ჩემს მიერ წაკითხული ერთი ადგილი „დღიურიდან“, სადაც მორნისთან გამართულ საღამოზე დამსწრე ქალებია გამოყვანილი.

— გნებავთ შეიტყოთ, თავად რა აზრისა ვარ „დღიურის“ ამ ნაწყვეტზე? — მივმართე მათ.— გულწრფელად გეტყვი. ეს არის ნიმუში, როგორ ჩაკლავს ხოლმე მეკალმეობა სიცოცხლეს. ჩემს მიერ დახატული მანდილოსნები ცხოვრებისეული ქალები კი არა, მხოლოდღა მათი ლიტერატურული ანაბეჭდია მართალია, ამ ნამუშევრის ხელწერა ურიგო როდია, მაგრამ ასეთ პორტრეტებს არასგზით არ შევითანდი რომანში. მხატვრული ნაწარმოების წინადადება ნაკლებად უნდა გაიმართოს და დაიხვეწოს. აქ გვმართებს უმეტეს ბუნებრივი, ხორკლიანი-ხაოიანი სიტყვების გამოძენა. თავისი ხელობით გატაცებული მწერლისათვის ყველაზე საძნელო ალბათ ცხოვრებისა და ლიტერატურის ჯეროვანი შეზავებაა. ზედმიწევნით ნატიფი სტილი, თქმა არ უნდა, სიცოცხლეს აცლის სიტყვის ოსტატის სტრიქონს. და მაინც.— დავსძინე მე.— უდიერად დაწერილ რომანს მუდამ ვამჯობინებდი რომანს, შეთხზულს თუნდაც

ზომაზე მეტად გარანდული და ნამეტურ ნავგირისტევი სტილით.

1889 წელი, მარტი

კაფე რიში ერთი ბერიკაცი იჯდა ჩემს შორიახლო.

მომტანმა კერძები ჩამოუთვალა, წიგნაკი მოიმარჯვა და ჰკითხა, რას ისურვებდითო.

— მე ვისურვებდი... მე ვისურვებდი... სურვილი მქონდა. — ამოილულულა მოხუცმა.

სიბერის სრული ფანსახიერება გახლდათ ეს მოხუცებული.

1889 წელი, კვირა, 20 ოქტომბერი

დილაადრიან დანიელი კრიტიკოსი ბრანდესი მეწვია. მიაშბო ჩემი პოპულარობის შესახებ თავის ქვეყანასა და რუსეთში.

ლაპარაკს შევყევით. ორთავე გაკვირვებას ვიყავით ზოგი ჩვენი ცნობილი მწერლის სნობიზმის გამო.

1890 წელი, 23 ნოემბერი, კვირა


ისეთ ამინდში, როცა ძალიც კი არ გაიგდება გარეთ, ხუთ საათზე წამოვხტი ლოგინიდან და აი, ზოლასა, მოპასანსა და სხვებთან ერთად რუანისაკენ მიმავალ მატარებელში ვზივარ.

მოპასანი ამ სისხამ დილითაც კი ისე ცუდად გამოიყურებოდა, რომ შევკრთი მისი შემხედვარე. უჩვეულო სიგამხდრე, მიწისფერი სახე, ავადმყოფურად გაშტერებული მზერა. მთელ მის იერს, როგორც თეატრში იტყვიან, რალაც დამახასიათებელი, ნიშნეული ბეჭედი აძევს. ასე ჩანს, დიდხანს ვერ გააწევს. რუანთან, სენა რომ გადავკვეთეთ, მოპასანმა ხელი გააწვდინა ნისლით მობურთული მდინარისაკენ და წამოიძახა: ამ მდინარეზე ნავით სვირნობამ მიყო, რაცა მჭირს.

ვეწვიეთ ლოგინად ჩავარდნილ ლაპიერს, იქიდან კი სასაუზმოდ გავწიეთ მერთან.

გარეთ ისევ ცრის კვლავინდებურად და ქრის ქარი. ჩვეული ამინდია რუანისათვის. აქ დღესასწაულებზეც კი ყოველთვის წვიმს. ხალხი მიმოდის თავისთვის, ვულგრილი იმისადმი, რაც ხდება. აქეთკენ ფეხი ძნელად თუ მოუცდება ვინმეს.

ძლივძლივობით შევროვდა ოცამდე პარიზელი — მწერლები, ჟურნალისტები. ჩარდაზა მოაწყვეს ხელისუფალთათვის. ისმის მუსიკის ჭყვიტინი, თავი „მადამ ბოვარი-



ში“ აღწერილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გეგონებათ.

ჯერ მუხეტემს ვესტუმრეთ, ფლობერის ხელნაწერებთან თავმოყრილ კოლეჯის მოსწავლეებს შევუერთდით.

დაბოლოს შედგა თვით ძველის სადღესასწაულო გახსნა.

გშეკვამა დალახვროს, მე ხომ ჩემი თხზულების გვერდი რა არის, იმასაც ვერ წავიკითხავ აუღელვებლად, თუნდაც საკუთარ სახლში და საკუთარი მეგობრების წინაშე.

ესლა კი, ვალიაჩებ, შიშმა შემიბყრო, ხმა არ ჩამწყვეტოდა პირველივე სიტყვების წარმოთქმისას.

ბატონებო!

ყოველი ჩვენგანის მამისა და მოძღვრის, დიდი ბალზაკის მერმე, სწორედ ფლობერი გახლავთ შემქმნელი ჭეშმარიტად ცხოვრებისეული, მისი წინაპრის თხზულებების დარად შთამბეჭდავი ნაწარმოებებისა. თღონდაც ფლობერის ქმნილებებს უთუოდ მეტა მხატვრული სიმართლე მოსავდა. ეს იყო, როგორც იტყვიან, სიმართლე უმახვილესი თვალთ აღქმული. რომელიც შესაძლოა სახელდებულ იქნას, ვითა პოეტურ პროზაში არეკლილი ბუნების მკაცრი მიდევნა.

თუ ვავიხსენებთ იმ არსებებს, რომლებითაც ფლობერმა დაასახლა მოგონილი, თითქოსდა ნამდვილი სამყარო, ვიტყვით, რომ მწერალს მომადლებული ჰქონდა იშვიათი, ლამის დმერთის ბადალი ნიჭი თვის მიერ შექმნილ არსებათათვის სულის შთაბერვისა.

მისი გმირები მომავალი საუკუნის მცხოვრებთათვის წიგნების პერსონაჟებად როდი დაშთებიან, არამედ ისეთ სულდგმულებად, ვინც სინამდვილეში იცხოვრა, იღვაწა და გარდაიცვალა. და მომავლის ადამიანებს ცთუნებაც კი აღეძვრით ეძიონ მათ მიერ ამქვეყნად განვლილი ცხოვრებისეული გზის ნაკვალევი. ვინდლო თუესდაც ქალაქის კედეს მომდგარ ამ სასაფლაოზე, სადაც ჩვენა მეგობარი განისვენებს. მისი ნაწერებით მოხიბლულმა მკითხველმა მიმოიხედოს ცნობილი მწერლის საფლავის ირგვლივ და ძებნა დაუწყოს ქალბატონ ბოვარის საფლავის ქვას.

ფლობერი თავის რომანებში მარტოვე თანამედროვეობის ფერმწერად როდი გვევლინება. იგი კარლელიისა და მიშლესდაგვარად გახლდათ ძველი სამყაროების. აწ გარდასული ცივილიზაციების და გადაშენებული ხალხების მკვდრეთით აღმდგენელი.

ეს მან აღადგინა კართაგენი, ჰამილკარის ასული თებეიდა თვისა მეტადხნოვით და განაცოცხლა შუასაუკუნეობრივი ევროპის თვისი იულიანე მოწყალეთი. მანვე გვანიღვა ისეთი მიდამოები და პორიზონტები, რომელთაც ჩვენ, მისი დვთაებრივი ნიჭი რომ არა, ვერას დიდებით ვერ მივაკვლევდით.

აღბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ფლობერის ხიბლი ყველაზე მეტად ატყვია მის ერთ ნაწარმოებს. ეს გახლავთ „ქალბატონი ბოვარი“, ბურჟუაზიული ადიულტერის ეს უგენიალურესი გამოკვლევა, რომლის მსგავსი აღბათ ვერასოდეს დაიწერება, ვიდრე ლიტერატურა იარსებებს.

თუკი, ბატონებო, კეთილ ინებებთ და აქაურ მკვიდრთა ძველთაძველ განჩინებს გამოაღებთ, სადაც ისინი თეთრეულს და სანუკველ ნივთებს ინახავენ, ბატიფეხურით აჭრელებულ ფიცრებს იხილავთ.

ნორმანდიელ მეთევზეებსა და გლეხებს წესად დაუდევთ თავიანთი დაკოჟრილი ხელებით ამ განჩინების კედლებზე გამოიყვანონ სამახსოვრო მინაწერი მათ არე-მიდამოს მომხდარი ამბებისა, იქნება ეს გემის ჩაძირვა, ყანების დასეტყვა, ბავშვის სიკვდილი თუ სხვა რამ ამგვარი.

ასე ვამოხატავენ ისინი თავიანთი უბადარუკი არსებობის მთელ ისტორიას.

ეს მინაწერი უტყუარ საანგარიშო წიგნსა ჰგავს და როცა ვფურცლავ „მიაშიტ გულს“, ასე მგონია, თითქოსდა ამ მუბადურთა და გლეხკაცთა მიერ მუხის ადამყამინდელ ლამფებზე ამოკაწრულ მიაშიტურსა და გრძნობიერ ამბავს ვკითხულობდე.

ახლა, როცა ჩემი დიდი, საბრალო ფლობერი საფლავში წევს, ყველა მზადაა აღიაროს მისი გენიალობა. ამაზე უკეთესი ძეგლი სხვა რა იქნებოდა აბა მწერლისათვის.

მაგრამ ახსოვთ კია დღესდღეობით, რომ კრიტიკამ სიცოცხლეში მისთვის ნიჭით დაჯილდოებული კაცის სახელიც კი არ გაიმეტა.

მთელი სიცოცხლე შედეგებს ქმნიდა და რა საზღაური მიაგეს სანაცვლოდ?

უარყოფა, უვულებელყოფა, ზნეობრივი ჯვარცმა.

ო, რა დიდებული შურისსაგები წიგნი შეიძლებოდა დაწერილიყო მწერლების მიმართ კრიტიკის ცთომილებისა და ეგოდენი უსამართლობის გამო, მოწყებული ბალზაკიდან. ვიდრე ფლობერამდე.

მე მაგონდება წერილი ერთი პოლიტი-

კური მიმომხილველისა, რომელიც აცხადებდა, ფლობერის პროზა ნაპოლეონ III-ის გვირგვინს არცხვენსო. მახსენდება აგრეთვე ერთ-ერთ ლიტერატურულ გაზეთში მოთავსებული სტატია, სადაც ფლობერის სტილს ბნელიანის სტილი უწოდეს. მოგეხსენებათ, როგორ მოუწამლავდა ეს ეპითეტი სიცოცხლეს იმ ადამიანს, ვისაც იგი მიაწერეს.

ფლობერს ებრძოდნენ, ხან კი მის ნაწარმოებებს ავისმომასწავებელი დუმილით ხვდებოდნენ. ეს სამსალა უფრორე ამწარებდა მწერლის ისედაც ტანჯულ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

და მაინც ყველაფერმა აჰან ვერა დააკლო რა მის ქველ ბუნებას. ფლობერს არაოდეს შემუშრებია ვინმესი, არც ვაბოროტებულა. ბოლომდე შერჩა ბავშვური, გულდია სიცილი და თავისი ხელობის ადამიანთა ნამოღვაწარში არათუ ზადსა და საქილიკოს, არამედ მხოლოდ ფარსაგსა და საქებარს ეძიებდა.

თანამოკალმეთა შემოქმედებითი ციებცხელებისას, მარცხისა თუ გულგატეხილობის დროს, ყოველთვის მოექცეებოდა ბრძნული, მეგობრული სიტყვა, რომელიც აგვამაღლებდა, იგავამზნევებდა, რწმენით აღგვავსებდა, სიტყვა, აგრერიგად საჭირო აღწევებისა თუ დაცემის უამს.

თქვენ მოვმართავთ, დოდე, ზოლა, მოპასან!

რას იტყოდით, განა ასეთი არ იყო ჩვენი მეგობარი? ვინ ვინ და თქვენ მაინც უწყით, რომ მის აღშფოთებას მხოლოდ უზომო სიბრიყვე თუ იწვევდა.

დიახაც, კეთილი სული იყო ფლობერი. ისიც უნდა ითქვას, თუკი სიტყვით არ შევცოდავდით მისი აჩრდილის წინაშე, ეს ადამიანი სწორედ რომ ბურჟუაზიული ზნეობის განსახიერება გახლდათ. თავისი კეთილდღეობა და მომავალი მან დაუნდობლად ანაცვალა მშობლიურ ოჯახს. და ეს იმგვარი უბრალოებით მოიმოქმედა, რომელსაც ამქვეყნად ბადალი იშვიათად თუ მოექცევა.

დაბოლოს, ბატონებო, ჩვენს დროში, როცა ფულმა ხელოვნება და ლიტერატურა ლამისაა სამრეწველო სავნად აქციოს, ფლობერმა გაუძლო ოქროს ცდუნებას. გაუძლო მაშინაც კი, როცა ქონება დაკარგა და მისხალი აღარაფერი ებადა.

შესაძლოა ის არის ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი იმ ძველი თაობისა, რომელთაც მიაჩნდათ, რომ წიგნი უნდა

შექმნილიყო ჯოჯოხეთური შრომით, რომ წიგნში მწერალს უნდა ჩაექცია სისხლი და ტვინი. მათი ქმნილებანი მათივე მხატვრული ეგემონების საკადრისი უნდა ყოფილიყო. ეს გახლდათ ამ ადამიანთა მიზანი. ამიტომაც სულაც არ ედარდებოდათ, გასაღებოდა თუ არა ეს ნაწერები და ყაბულს იყვნენ თუნდაც თავიანთი სიკვდილის შემდგომ ორიოდ შემფასებლის კეთილი სიტყვა მიეღოთ საზღაურად.

ბატონებო!

მწერლის სახელის უკვდავსაყოფად მისმა მეგობრებმა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა ვთხოვეთ ცნობილ მოქანდაკე ბატონ შაბიუს, გამოეკვეთა მარმარილოს ეს ბარელიეფი. და აგერა თქვენს თვალწინაა რომანისტის ენერგიული თავი და ჭეშმარიტების ნატიფი ალეგორია. უკვდავების წიგნში სწერს ეს ქმნილება ვუსტავ ფლობერის სახელს.

ხელისმოწერათა კომიტეტმა მე მომანდო ძღვნად გადამეცა ქალაქ რუანისათვის ბატონ შაბიუს მიერ გამოკვეთილი ბარელიეფი.

ვიხდი ჩემს მოვალეობას, მომირთმევია ქალაქის მერისათვის ფლობერის ეს სახსოვარი.

დახეთ ბედსა, არც კი მოველოდი, თუ ასე გამართულად წარმოვთქვამდი სიტყვას. ერთხელაც არ ჩამვარდნია ხმა, მიუხედავად მძაფრი ქარისა, რომელმაც ლამის ტანზე შემომახია ქურჭი და ჩემი სიტყვის ფურცლებს ხელიდან მგლეჯდა. ასეთ ქარაშოტში, ყურთასმენას რომ ჭედავს. ორატორს ხომ დიდი რიხი მართებს. ხმისა რა მოგახსენოთ და ფეხები კი ლამის მართლაც მომეკვეთა, მუხლები მიკანკალედა. რის ვაინაჩრობით ვიკავებდი თავს, რომ არ გავმოტილიყავი. ჩემს შემდეგ მერმა წარმოთქვა ფრიად გაზომილი სიტყვა. მერე კი რუანის აკადემიის აკადემიკოსმა საზოგადოებას საშველი აღარ მისცა. ბრტყელ-ბრტყელი, გაცვეთილი და უგერგილო წინადადებების კორიანტელი დააყენა. ფლობერი რომ მკვდრეთით აღმდგარიყო, აღბათ ლაზათიანად მიბეგვავდა ამის გულისათვის.

გულახდილად რომ ვთქვათ, შაბიუს ბარელიეფი დიდი ვერაფერი შვილია. ჭეშმარიტება აქ ისე გამოიყურება თითქოსდა მოსასაქმებლად ორმოში იყოს გადამდგარი.



მერთან საუზმის ბოლოს ზოლამ ხელი მომიტათუნა. მას სურდა სეარს შევრიგებოდი. ვიცოდი, ეს უთანხმოება უხერხულობაში რომ აგდებდა მამა-შვილ დოდეს, ვიცოდი, რარიგი უგნურება იყო ახლობლების ასე ძალსა და კატასავით წაკიდება და ზოლას მივუგე, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი.

როცა ცერემონია დამთავრდა, სეარი მოვიდა მოსალოცად და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ ფლობერის ძეგლის წინ. თითქოსდა მისი აჩრდილი ჩამდგარიყო ჩვენს შუა შესარიგებლად.

ცერემონია ოთხის ნახევარზე დამთავრდა. თავსხმა მოდიოდა და ქარი იკლებდა იქაურობას. საუზმე, რომელსაც მოპასანი მატარებელში დაგვპირდა, ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ ნორმანდიელი მწერალი სადღაც აორთქლდა. ეტყობა, ვინმე ნათესავს მიაკითხა. მოგვიწია მირბოხა და ბაუერთან ერთად თავი შეგვეფარებინა რომელიღაც კაფეში და გროგი გვესვა. მთელი ორი საათი იქა ვკლავდით დროს სადილის მოლოდინში.

დაბოლოს, ღვთის წყალობით, ექვსმა საათმა ჩამოჰკრა და ჩვენც მაგიდას მივუჯექით მენეშეს სასადილოში. საჭმელზე ვერც კარგს იტყოდით და ვერც ავს. რაღა თქმა უნდა, მოგვართვეს სახელგანთქმული რუანული იხვი, კერძი, რომელსაც მე მაინც-დამაინც დიდ პატივს არა ვცემ.

ეს კი იყო, თავი შევიქციეთ ცისა და ბარის ამბებით, რას არ მოვედეთ. გული ვიჯერეთ ჩინელთა მიერ მომავალში მსოფლიოს დაპყრობასა, დოქტორ კოხის მიერ ჭლექის განკურნებასა თუ ქათმების თხიპაზე ლაქლაქით. არც ხუთვაშეყრილი მწერლები დაგვიწყნია, რომელთაც ასოების მაგივრად წერტილები გამოჰყავთ და კალამი ხელიდან უვარდებათ შეტევის უამს. ამ აბდაუბდას დიდი ხალისით უბამდა მხარს „ნოველისტის“ ახალგაზრდა რედაქტორი, რომლის პიესა „მხატვრის ოჯახი“ დადგა თეატრ-ლიბრმა და ფილოსოფოსი ნოტარიუსი, ავტორი „თანამედროვე ადამიანის ანდერძისა“.

1892 წელი, შაბათი, 5 მარტი

ერთი უმნიშვნელო გაზეთის ყურნალისტს თურმე ნუ იტყვით და უინტერესოდ მიუჩნევია ის დიალოგები, რომლებიც გამოვაქვეყნე ჩვენს „დღიურში“.

არა მგონია, ზემოხსენებულ ყურნალისტს

განათლებით ჩამოვუვარდებოდე და ამაზე ვიტყოდ:

ის, რაც მსმენია მიშლეს, გავარჩის, მონტალამბერის, თეოფილ გოტიესა თუ ფლობერისაგან, ჩინურ ანბანად დარჩება ამ პატივცემული გვამისათვის. მათ ნაუბართან აბა რა შესადარისია იმ ჭრელი ხალხის ლაილაი, რითაც მას დღენიადაგ ყურები აქვს გამოჭეჭილი.

1895 წელი, სამშაბათი, 20 აგვისტო

მთელი საღამო გავატარე დებორდ-ვალმორის ლექსების კითხვაში.

ესაა ნამდვილი პოეტი ქალი, რომლის პოეზიაში ბევრგან ისმის ჭეშმარიტი პროზაიკოსის საკადრისი უღერადობა, განსხვავებით იმ ლულულისაგან, რაიც მოსდგამთ რიგით და, ასე გასინჯეთ, თვით ნიჭიერ მოლექსეთაც კი.

1896 წელი, სამშაბათი, 9 ივნისი

მართალია, ჩემი თანამემამულეების ერთი ნაწილი მწყრალად შეხვდა ამ „დღიურს“, მაგრამ გუნებას ის მიკეთებს, რომ სხვა ერის ადამიანები როდი იშურებენ ჩემთვის კეთილ სიტყვას.

აი, მაგალითად, ახლახან მილანიდან მივიღე ძღვნად ქალბატონ ჯოკონდა დე ანჟელის პორტრეტი ასეთი წარწერით:

„ედმონ დე გონკურს, სრულიად უცნობი და ყველაზე აღფრთოვანებული თაყვანისმცემლისაგან, ვისაც გული დასწყვიტა „დღიურის“ ბოლო წიგნზე თქვენსმიერმა მინაწერმა“.

ამ მანდილოსანს მხედველობაში აქვს ის სიტყვები, რომელიც მე წავუძღვარე „დღიურის“ მეცხრე ტომს:

„მეცხრე ტომი, გონკურების „დღიურის“ უკანასკნელი წიგნია, რომელსაც ვაქვეყნებ ჩემს სიცოცხლეში“.

ეს ალბათ ბოლო ტომია, რომლის გამოცემაც ჩემს სიცოცხლეში მოესწრება და ამიტომაც ისე არ მინდა დავამთავრო „დღიური“, რომ არ მოგიტხროთ ჩემი ძმისა და ჩემი თანამშრომლობის მთელი ისტორია, რომ არ ავსახო ამ თანამშრომლობის მიჯნები, და გაგანდოთ, თუ რა უპირატესი თვისებები გაგვაჩნდა ერთს ან მეორეს.

სრულიად განსხვავებული ბუნებისანი გახლდით. ჩემი ძმა — მხიარული, შთაგონებული, სიცოცხლით სავსე, მე — მეოცნებე, გულსყურდანი და სევდით შეპყრობილი.

სწორედ რომ საკვირველია, ეს ორი

სხვადასხვაგვარი ბუნების ადამიანი. რანაირად ახერხებდა გარე სამყაროს აღქმისას ერთნაირი შთაბეჭდილებებით აღვსილიყო.

როცა ჩვენ ხელი ავადეთ ხატვას და ლიტერატურულ შრომას შევუდევით, იმავე დღიდან, უნდა ვაღიარო, ცხადი შეიქნა, რომ ჩემი ძმა უფრო მარჯვე სტილისტი იყო, სიტყვას შესანიშნავად ფლობდა და საერთოდ გაცილებით მეტად ჰქონდა მომადლებული მწერლური ნიჭი. მე მხოლოდ ერთი უპირატესობა მქონდა ყიულთან შედარებით, გაცილებით უკეთ ვჭვრეტდი გარემომცველ საგნებსა და არსებებში იმას, რაც შეიძლებოდა შემდგომში ლიტერატურის, რომანების, მოთხრობებისა და პიესების მასალად ქცეულიყო.

ჩემი ძმა ყიულ ჟანენის ფავლენას განიცდიდა, მე კი — თეოფილ გოტიესი, რაც აშკარად იგრძნობა ჩვენს პირველ ნაწარმოებში „18“. ორი ნიჭი ვერა და ვერ შეიწყა ერთ მთლიანად და ეს ორი ხელწერა, ორხმიანობა დაეტყო ამ რომანს.

ასეთნაირად შევდგით ფეხი მწერლობაში.

შემდეგი ჩვენი ნამუშევარი იყო რომანი „მწერლები“ (რომელიც ხელახლა გამოიცა „შარლ დემაიის“ სახელწოდებით), ამ წიგნის ავტორად, თქმა არ უნდა, ჩემი ძმა უფრო ჩაითვლება, ვიდრე მე. ეს მან გამართა მახვილგონიერი, ელვარე პასაჟები (ეს უნარი ყიულმა მერმე „მანეტ სალმონში“ გამოაჩვენა). მე კი მხოლოდ ჩონჩხი ავაგე ჩვენი მეორე რომანისა და შევასრულე მთელი შავი სამუშაო.

მოგვიანებით შევუდევით ხელოვანთა ბიოგრაფიებსა და ისტორიულ წიგნებზე მუშაობას. ეს წამოწყება ჩემი დაჟინების შედეგი იყო, რის მიზეზიც გახლდათ ჩემი თანდაყოლილი მიდრეკილება წარსულისა და აწმყოს სიმართლისადმი. აქ უკვე მე ოდნავად მეტი წვლილი მიმიძღვის, ვიდრე ჩემს ძმას.

მერე და მერე ეს ორი სტილი თანდათან შეიარწყა, შეზავდა და ჩამოყალიბდა და ჩამოიქნა ერთიან, მაგრამ განსაკუთრებულ, ეგრეთწოდებულ გონკურების სტილად.

ერთმანეთს ძმურად ეეჭიბრებოდით მწერლობაში და თანაც ვცდილობდით განვთავისუფლებულიყავით სათაყვანებელ წინამორბედთა გავლენისაგან.

ჩემმა ძმამ უკუაგდო ჟანენის ნამეტური ფერადოვნება, მე კი — გოტიეს სტილის მატერიალურობა, და ჩვენ შევუდევით საკუ-

თარი ხელწერის ძიებას. გვსურდა ეს სტილი ზედმიწევნით თანადროული ყოფილიყო, გამართული, კონკრეტული და ლაკონური მსგავსად ლათინურისა. ვისწრაფოდით იგი მიგვემგვანებინა ტაციტის ენისათვის, რომლის თხზულებებითაც იმ დროს გატაცებულნი და მოხიბლულნი ვიყავით.

ამიტომაც შეგვძაგდა მყვირალა ფერები (ამ მხრივ მე ხშირად ვცოდავდი) და იმჟამითგან მატერიალური საგნების გამოსახვისას ვილტვოდი მათი განსულებებისაკენ. სწორედ ასეთია ვენსანის ტყის ჩვენსმიერი აღწერილობა „ქერმინი ლასერტეში“.

დაბოლოს, წიგნებზე თანდათანობით მუშაობისას მოხდა ისე, რომ ჩემი ძმა სტილს მეურვეობდა, მე კი ნაწარმოების აგებაზე ვზრუნავდი.

ჟამი-ჟამ იგი ქედმაღლურად აალებდა ხელს ყოველგვარ გარჯა-ძებნას, მიღწევას თუ გამოგონებას. უკადრისობდა და სიზარმაცე მოერეოდა ამაების მიმართ. ოღონდ, თუკი მოინდომებდა, ჩემზე მარჯვედ მიაკვლევდა ხოლმე ყოველგვარ წვრილმანს. შესაძლოა ეს გახლდათ მისი გონებრივი გადაწვის შედეგი, რომელიც ალბათ იმ ხანებში დაეწყო, როცა იგი შეაწუხა ღვიძლმა და ვიშის წყალი დასჭირდა სამკურნალოდ. ამასთან, იგი ხომ ზიზლით იყო შეპყრობილი ნაყოფიერი მუშაობისადმი. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, წიგნთა სიუხვისა და მრავლობისადმი.


ყიული ხშირად იტყოდა ხოლმე: „მე დაბადებული ვარ, რათა ჩემი ცხოვრების მანძილზე დავეწრო მხოლოდ ერთი პატარა ტომი ლა ბრიუერის სტილში და მეტი არაფერი“.

და მხოლოდ ჩემდამი ფაქიზი სიყვარულის გამო იგი არ წყვეტდა თანამშრომლობას. ხანდისხან ამოიოხრებდა ხოლმე და მეტყობდა: „როგორ, კიდევ ერთი ტომი? ნუთუ არ გვეყო რაცა ვწერეთ?“

როცა ვუფიქრდები, თუ როგორი მძიმე ცხოვრება გატვირთე ჩემს უმცროს ძმას, სინდისი მქეჯნის და ის ფიქრი მტანჯავს, ვაითუ მე მოვუსწრაფე-მეთქი სიცოცხლე.

მართალია, ყიულმა მთლიანად მე დამაკისრა წიგნის შედგენა, მაგრამ ის ვალში როდი რჩებოდა და დიდის მგზნებარებით მუშაობდა სტილზე.

მისი სიკვდილის მეორე დღეს, ზოლასადმი მიწერილ წერილში მე მოვუთხრე მას, თუ როგორი რუდუნებით ხვეწდა ყი-



ული ფორმას, რანდავდა და კვეთდა ფრა-
ზებს, და სიტყვების ძიებაში მოუღლეელი
არაერთჯერ გადაწერდა ხოლმე ჩვენს მიერ
ადრე ერთობლივად შეთხზულ და მოწო-
ნებულ პასაჟებს. დღელამეს ასწორებდა
ტექსტზე მუშაობისას, ზოგან ებითეტს
ცვლიდა, ზოგან რიტმს შესძენდა რაიმე ნა-
წყვეტს, სხვაგან კი თავიდან აწყობდა წი-
ნადიდებებს. ილაჯი უწყდებოდა და დაუნ-
დობლად ფიტავდა საკუთარ გონებას. იმ
სრულყოფის ძიებაში, ავრე ძნელად მოსა-
ხელთებელი რომაა.

თანამედროვე გრძნობების გამოსახვისას

იგი, ასე გასინჯეთ, ცდილობდა გადაეჭარ-
ბებინა ფრანგული ენის შესაძლებლობები-
სათვის. და ამ ფრიად სამძიმო მუშაობის
შემდეგ არაქათგაცილი მიეგდებოდა დი-
ვანზე და მდუმარედ აბოლებდა ბანგარე-
ულ სიგარას.

არაოდეს ისე თავდაუზოგავად არ უშრო-
მია სტილის გამო, როგორც მაშინ, როცა
უკანასკნელ რომანს „მადამ ჟერევიხეს“
წერდა. და სასიკვდილო სენი, რომელიც იმ
დროს უკვე ტანში ჰქონდა გამჯდარი, ვგო-
ნებ ამ ნაწარმოების ზოგიერთ ადგილებს
ერთგვარი რელიგიური გზნებით მოსავს.

ქმეზ გონკურებს მეცხრამეტე საუკუნის ფრანგულ და მსოფლიო ლიტე-
რატურაში მნიშვნელოვანი წვლილი უდევთ. მათ კალამს ეკუთვნის არაერთი
მნიშვნელოვანი რომანი თუ პიესა.

ქმეზის ერთმანეთისადმი განუმეორებელი სიყვარული უმცროსი ქმის, ჟი-
ულის გარდაცვალების შემდეგ, უფროსმა ედმონმა საოცარი გრძნებით ასახა
ბრწყინვალე ნაწარმოებში „ქმეზი ზემგანობი“.

ისინი იყვნენ ლიტერატურის თავგადადებული მოღვაწენი.

მათ შექმნეს „დღიური“, რომელიც მათიანეა მეცხრამეტე საუკუნის სა-
ფრანგეთის დიდი ლიტერატურული მოვლენებით აღსავსე ცხოვრებისა.

ორიგინალური სტილის მწერლების, გონკურების სახელს ბევრი რამ
შესძინა ამ დღიურმა.

გონკურების დღიურიდან შევარჩიეთ ისეთი ადგილები, რომლებიც ჩვენი
ფიქრით საინტერესო იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის, სადაც ასახუ-
ლია გამოჩენილ მწერლებთან შეხვედრები და სინამდვილის მათთვის ნიშნადი
აღქმა.

მთარგმნელი



რეზო ყარაღაჯილი

პერმან ჰესის მოგზაურობა ხატებისა და ავბანის მიღმა

საკვირველ და დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობს პერმან ჰესე იმ პატარა ნაწარმოებში, „მოხილვა დილის ქვეყნისა“ რომ ჰქვია. იგი ავფიწერს ერთი იდეალური ძმობის განსაცვიფრებელი მოგზაურობის ამბავს. განსაცვიფრებელს თუნდაც იმიტომ, რომ განდობილთა ეს ლაშქრობა სრულიად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ყოველგვარი მოგზაურობისაგან. და განა მხოლოდ იმიტომ, რომ უარს ამბობს თანამედროვე მოგზაურობის ისეთ ჩვეულებრივ საშუალებებზე, როგორცაა რკინიგზა, გემი, ტელეფონი და სხვა, არამედ იმიტომ, რომ ჰესეს მოლაშქრეებს არა აქვთ ყველა მოცლილი მოგზაურის ერთი საერთო და აუცილებელი თვისება — ცნობის-მოყვარეობა და შთაბეჭდილებათა დავროვნების სურვილი. მათი გზა სულ სხვა, უფრო ქველი, უფრო უანგარო მიზნებისკენაა მიმართული. უამრავ და დიდად საკვირველ ხალხს მოუყრია თავი ძმობაში: ფილოსოფოსნი, ხელოვანნი, მგოსანნი და მათი ნაწარმოებების გმირები ერთად დასდგომიან აღმოსავლეთის გზას. აქ არიან პლატონი და ლაო-ძი, ნოვალისი და პაულ კლეე, პარტოფალი, დონ კიხოტი და თავად ჰესეს ნაწარმოების გმირები: სევედიანი ანსელმი, ბარტენი ზილპართა, შმაგი კლანჯორი და

მრავალი სხვა. მძლავრ ნაკადად მიედინებიან განდობილნი აღმოსავლეთისაკენ, არ ცნობენ არც დროისა და არც სივრცის საზღვრებს — ხან ფერიებსა და პატარა ქვებს ესტუმრებიან, ხანაც, თუ შემოაღწევიან, შუა საუკუნეებში გაათევენ ღამეს. მერე კი ისევ თავის გზას გაუდგებიან. მოხილვენი ნეტარ-მოსაგონარ ადგილებს, თავი-გულებით შეამკობენ სამლოცველოთ და საკურთხეველოთ, მოიგონებენ მიცვალებულთ, იმდროიან საგალობლებს და ზეიმობენ დღესასწაულებს. გასაოცარი, ზღაპრული და თანაც უჩვეულო სამყარო იშლება მკითხველის წინაშე. აქ დრო და სივრცე ისე გადაადგილ-გადმოადგილდება ბოლმე, როგორც თეატრის დეკორაციები: ჯადოსნური ზღაპარი და რეალური სინამდვილე ერთმანეთშია არეული, სასწაული კი გმირთა ძირითად გამოცდილებადაა ქცეული. მაგრამ განსაკუთრებით საკვირველი და ამასთანავე, საჩოთირო მაინც ისაა, რომ ეს მომხიბლავი ზღაპარი, პოეტის უწრესი ფანტაზიის ეს თვალწარმტაცი ქმნილება, ისეთი დამაჯერებლობით არის მოთხრობილი, თითქოს ავტორს მართლაც ემოგზაუროს ამ იშვიათ ადგილებში და ახლა ნამდვილად მომხდარი, თავისი თვალით ნახული, ყოველად სარწმუნო ამბის მოყოლა

განეზრახოს. მკითხველი პირველი გვერდი-დანვე ნათლად აღიქვამს მთხრობელს, რომელიც მას წარმოუდგება არა როგორც ნეზღაბრე და ტკბილად მოუბარი მგოსანი, არამედ როგორც ისტორიოგრაფიის ხერხებს კარგად დაუფლებული მემათიანე, რომელსაც მოვლენათა მიუყვებელი აღწერის და ობიექტურობა თავის ერთადერთ კრიტერიუმად გაუხდია. უფრო მეტიც — ეს მემათიანე მხოლოდ პირადად ნახისა და განცდილის ზუსტ გადმოცემას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით მისი მთხრობა უფრო ავტობიოგრაფიას, გულის-ნადების გამჟღავნებასა და აღსარებას უახლოვდება. ეს წინააღმდეგობა გამონაკონსა და ისტორიულ ფაქტს შორის, ეს შეუსაბამობა ობობას ქსელივით ნაზ სიზმრისეულ პოეტურ მასალასა და ვაჟმოცემის დამარწმუნებელ მანერას შორის ნაწარმოების პირველ სტრიქონებშივე იჩენს თავს და შემდეგ მთელ მთხრობას თან გასდევს. მაგრამ ეს „შეუსაბამობა“, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზნებს ემსახურება და ერთგვარად აღარცაა შეუსაბამობა. რადგანაც დაკვირვებულ მკითხველს რეალური სინამდვილის არა ერთ ფაქტს, არა ერთ ავტობიოგრაფიულ წვრილმანს აღმოაჩენს ჰესეს ჯადოსნურ ზღაპარში. მით უმეტეს, რომ ჰ. ჰესე იმ მწერალთა რიგს ეკუთვნის, რომელთა ყველა ნაწარმოები, გოეთეს თქმისა არ იყოს, „ერთი დიდი აღსარების ნაწყვეტებს“ წარმოადგენს. აკი თვითონ მწერალი წერდა 1953 წელს: „მე მოძღვარი და წინამძღოლი არა ვარ, მე აღსარების მთქმელი, მლტოლველი და მაძიებელი კაცი გახლავართ, ვისაც სხვა არაფერი აქვს აღამიანებლისათვის სათქმელი, გარდა შექლებისდაგვარად გულწრფელი აღსარებისა — თუ რა ვარდახდა თავს და რა იყო მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში“. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პოეტური აღსარებაა „მოხილვა დილის ქვეყნისა“. მთხრობელი აღწერს თავის თავგადასავალს და მკითხველი ხვდება, რომ მთელი ეს უცნაური მოვზაურობა რეალური სინამდვილიდან, თვით მწერლის ცხოვრებიდან იღებს დასაბამს, მაგრამ მერე, შემოქმედის ფანტაზიით, იერს იცვლის და ჯადოსნურ ზღაპრად გარდაიქმნება. მოვზაურობა ძირითადად იმეორებს თვით ჰესეს ცხოვრების მიგრაციულ სქემას. გეოგრაფიულ ადგილთა ჩამოთვლისას ყოველთვის დაცულია ბიოგრაფიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. თავდაპირველად ნახსენებია შვაბია, სადაც

დაიბადა მწერალი, სადაც გაატარა მან ბავშვობის წლები. მერე ბოდენის ტბაა მოხსენიებული. აქ, როგორც ცნობილია, ბატარა სოფელ გაიფსოფენში ჰესე 1905 წელს დასახლდა და ხუთი წელი ცხოვრობდა. სულ ბოლოს კი მოიხსენიება შვეიცარია, ჰესეს მეორე სამშობლო და თავშესაფარი. აქა-იქ ვხვდებით იმ ქალაქთა სახელებსაც, სადაც ხანგრძლივად უცხოვრობდა ჰესეს: ტიუბინგენი, ბაზელი, ფლორენცია. ნახსენებია ჰესეს მეგობრისა და მფარველის გეორგ რაინჰარტის სახლი ვინტერტურში, მაქს და ტილი ვასმერთა ბრემგარტენის სასახლე ბერნის მახლობლად, სადაც ნაწარმოების გამოსვლიდან თხუთმეტი წლის შემდეგ ხანდაზმული მწერალი თომას მანს ეპატიყებოდა თავის დაბადების დღეზე: რა თქმა უნდა, საგანგებოდაა ნახსენები ციურიხი — ეს ქალაქი ხომ 1925—1931 წლებში ჰესეს საზამთრო სამყოფელი იყო. სწორედ აქ, შანცენგრაბენის ქუჩის № 31 სახლში, სადაც მეგობრებმა, ალისე და ფრიც ლოიტჰოლდებმა მწერალს ბინა უქირავეს, შეიქმნა ნაწილობრივ „მოხილვა დილის ქვეყნისა“. საინტერესოა ისიც, რომ, როგორც შენიშნა ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა, ლიტერატურული ნაწარმოების გამირებიც იმ თანმიმდევრობით ერთგვებიან მოქმედებაში, რა თანმიმდევრობითაც მიეკუთვნებიან ისინი ჰესეს ბიოგრაფიას: პირველი სასწაულების მოწმე იგი უკვე მაშინ გახდა, — გვატყობინებს მთხრობელი, — როცა ჯერაც „სულ ახალბედა“ (ანუ ბავშვი) იყო. ეს სასწაულები დაკავშირებულია ბუმბერაზ აგრამანტთან. ქონდრისკაცთან და წმინდა ქრისტეფორესთან, რომლებიც სათავგადასავლო თურელივიური ზღაპრების გამირები არიან და ჰესეს ყველაზე უფრო ადრინდელ ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს ასახავენ. ამას მოსდევს იოაჰიმ არნიმის „გვირგვინის მცველნი“, რაც მწერალმა, ეჭვი არ არის, უფრო გვიან წაიკითხა და ა. შ. დაახლოებით იგივე პრინციპია დაცული მთხრობაში თვით ჰესეს ნაწარმოების გამირთა შემოყვანისას. გარდა ამისა, მწერლის ცხოვრების კარგმა მცოდნემ, რა თქმა უნდა, კიდევ მრავალი ბიოგრაფიული წვრილმანი შეიძლება აღმოაჩინოს ნაწარმოებში. მაგრამ მე არ შევუდგები ბიოგრაფიული შესატყვისების ძიებას, ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჰესე თავისი ზღაპრის მასალად თვით მისი ცხოვრების ფაქტებს, ე. ი. ნამ-

დვილსა და დადასტურებულ ამბებს იყენებს. მწერალს რეალური მოვლენები, ურთიერთობანი, აზრები და შთაბეჭდილებები ახალ სიბრტყეზე გადააქვს, ახალ ყალიბში გამოჰყავს ისინი. ეს ახალი ფორმა ზღაპრის ფორმაა.


ზღაპარი, უწინარეს ყოვლისა, წმინდა წყლის გამოწვევაა. იგი ვერ ეგუება რეალობას და ჩვეულებრივ ფანტასტიკურსა და სასწაულებრივ ამბავს ეტანება. ხოლო ამ ფანტასტიკის, ამ არნახულ-დაუჯერებლისა და სასწაულის უშრეტეი წყარო თავად ადამიანის სულია. ზღაპარი სწორედ იქ — ხალხის სულის არაცნობიერ წილში, ადამიანის ფსიქიკის უღრმეს ფენებში, სიზმრებსა და ზმანებებში იღებს სათავეს და იქიდან ცნობიერების ზედაპირზე გამოაქვს ეს ათასფრად მოლივლივე, ათასგვარ ხატად მოლიცლიცე პირველქმნილი ქაოსი, ეს გასაოცარი, გრძნეული და მარადსაკვირველი სამყარო, რომელიც ამავე დროს ქაოსის მოწესრიგების, ანტიგონისტური ძალების მორიგების, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰარმონიის პირველ ცდას წარმოადგენს. ამიტომაც ზღაპრის ფორმა ჰესესათვის რომანტიკული აზიერება კი არ იყო, არამედ უღიმღამო ყოველდღიურობიდან თავდადწევის, უკიდურესი მარტოობის გადალახვისა და ხელოვანის თავისთავთან და კარგ-სამყაროსთან მორიგების საშუალება. „ზღაპარში, როგორც შენიშნავს ერთგან თომას მანი, მოიხსნება ხელოვანისა და ბიურგერს, განცალკევებასა და ერთიანობას, ინდივიდუუმსა და კოლექტივს შორის არსებული წინააღმდეგობა“.

3. ჰესე სახეს უცვლის საკუთარ წარსულს, რეალურ სინამდვილეს მომხიბლავ ზღაპრად აქცევს, ცხოვრებისეულ პროზას პოეზიად გარდაქმნის. ამ საოცარი გარდასახვის, მშრალი ემპირიული მასალის ამ ჯადოსნური სახეცვლილების მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან:

1931 წლის აგვისტოში ჰესე „კასა-ჰესეში“ გადასახლდა — მშვენიერ ორსართულიან სახლში, რომელიც მისმა მეგობარმა და ქველმოქმედმა ჰანს კ. ბოდმერმა აუშენა მწერალს. ჰესე იხსენებს: „1930 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ციურბენში, „კიდობანში“ ვისხედით და ვმუსაიფობდით. საუბარი სახლებსა და საერთოდ მშენებლობაზე ჩამოვარდა. სხვათა შორის, ჩემი სურვილიც ვახსენეთ, ხანდახან რომ მომეძალეობდა ხოლმე. ჩემმა მეგობარმა ბ.-მ უცებ გაიციხა და წამოიძახა: „თქვენ

გექნებათ სახლი!“ ასე მეგონა, ხუმრობა იყო, საღამოს უამს ღვინის სმაში სალაღობოდ თქმული. მაგრამ ხუმრობა საქმედ იქცა და აი, ის სახლი, ოდესღაც ოცნებაში რომ ველაციცებოდით, ახლა ჩვენ წინ დგას“. კერძო სახლი ჰესესთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახალ სახლში შესვლამდე, 1931 წლის ზაფხულს იგი მეგობრებთან საუბარში, თუ ოცნებებში ამ თემას ხშირად უტრიალებდა. მიუხედავად ამისა, ჰესეს აღმოსავლურ ზღაპარში ეს ამბავი ორიოდე შტრიხითაა მოცემული.

აქ ნათქვამია, რომ გერმანულ საზოგადოებრიობას თავის დროზე თურმე გულის ჩქროლვით შეუტყვია ძმობის ღირსშესანიშნავი საქმენი: ზემო შვაბიის მამაცური დალაშქვრის, ბრემგარტენის ტრიუმფისა და ტესინის მონტაგს-დორფის გადაცემის ამბავი. მოხდა საოცარი რამ: კონკრეტულ მოვლენას ჩენჩოსავით შემოეცალა ყოფითი განსაზღვრულობა, იგი დაიწურა, ერთ ხატად შეიკრა და ჯადოსნურ ნიშნად იქცა. უკვე კონტექსტი, რომელშიც მოხსენებულია ამ მონტაგს-დორფის ამბავი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჰესესთვის დამახასიათებელი მინიშნება ზემოაღნიშნულ ბიოგრაფიულ რეალიებზე, მკითხველს მოაგონებს ძმები გრიმების ზღაპარს, სადაც შვიდი გულადი შვაბი ვაჟაკურად მოივლის ქვეყანას, გზად კურდღელს შეებრძოლება და ბოლოს მდინარეში დაიღრჩობა. მაინც ყველაზე საგულისხმო და საინტერესოა არა თავისთავად ეს ზღაპრული გარემო, არამედ ის, რომ ამ გარემოს, ამ ახალი კონტექსტის შემოქმედებითა და ნაირსახოვან ელემენტთა რაღაც გრძნეული შეჯერების შედეგად მარტივი ფაქტი კარგავს თავის ემპირიულ კონკრეტულობას და მრავალმნიშვნელოვან პოეტურ შიფრად გარდაქმნება, რომლის მიღმა, მართალია, ერთი მხრივ შეგვიძლია რაღაც ბიოგრაფიული ამბავი ვიგულისხმოთ, ან უფრო ღრმა და იდეალური მნიშვნელობა ვეძიოთ, მაგრამ თავისთავადაც, როგორც პოეტურ სახეს, მას საკმარისი დამატყვევებელი ძალა აქვს, რათა მიგვიზიდოს და დაგვძაბოს. ყოველი ბიოგრაფიული ფაქტი, ემპირიული რეალობიდან აღებული ყოველი მოვლენა ამ ჯადოსნური ფერიცვალების გზას გაივლის. ნინონ აუსლენდერთან მიჯნურობა სარაინდო რომანებში გავრცელებულ აღმოსავლელი მეფის ასულის ძიებას ემსგავსება, თანამედროვე საცხოვრებელი სახლები ზღაპ-




რულ სასახლეებად და ეგზოტაქურ ქვეყნებად გარდაიქმნებიან, და ისეთი თითქოსდა სრულიად არაპოეტური საკითხიც კი, როგორცაა სულს პოლიტიკის სამსახურში ჩაყენების პრობლემა, უცებ ერთი მომხიბლავი ეპიზოდის სახით იჩენს თავს ამ ჯადოსნური სამყაროს შუაგულში: ბოდენის ტბის მოჯადოებულ ციხე-კოშკში გვირგვინის მცველნი ჰოპენშტაუფენთა სამეფო გვირგვინს ინახავენ; ისინი ყოველი მხრით გზავნიან შიკრიკებს, ძალას იკრებენ, რათა ჰასბურგელები ჩამოაგდონ ტახტიდან. მათი შიკრიკი სალოცად მიმავალ ძმობასაც ეახლება და მუქარითა თუ დაპირებით ცდილობს სულს მსახურთა გადაბირებას შტაუფენთა სამსახურში. მაგრამ წინამძღოლნი ცივი უარით გაისტუმრებენ მათ და განაგრძობენ აღმოსავლეთით სვლას.

ზღაპარს თავისი კანონები აქვს. მისთვის უცნაო რეალური ცხოვრების პრაქტიციზმი და გონივრულობა. ამიტომაც, იგი უპირატესობას ანიჭებს პოეტებს, მეოცნებეებს, ფანტაზიის ტყვეობაში მყოფ ნაცარქვეჩებს და არნახული განძის მაძიებელთ, რომელთაც მხოლოდ უჩვეულო თავგადასავლისა და სასწაულის წყურვილი ამოძრავებთ. ეს არის შეუბოჭავი ინიციატივის, სილაღისა და თავისუფლების სამყარო. მაგრამ გვირთა ინდივიდუალიზმი და ამაყოთავენობა განუღებელია იმით, რომ მათ საოცრად პერმეტულ სამყაროში უხდებათ მოქმედება, რაც ზღაპრის მეორე მნიშვნელოვან თვისებად უნდა მივიჩნიოთ. ზღაპრის ყველა გმირი თავს ერთი დიდი კოლექტივის წევრად გრძობს. მართალია, აქ არიან ავი სულელებიც და კეთილი ფერებიც, გულბოროტი დევებიც და ქველი ქონდრისკაცებიც. მაგრამ ყველა ისინი ერთ დიდ ოჯახს განეკუთვნებიან, ყველასათვის საერთო წესებისა და კანონების მიხედვით მოქმედებენ. ზღაპარმა ამიტომ არ იცის პიროვნების გამოცალკევება და ზოგადისადმი მისი დაპირისპირება. ყოველ გმირს აქ მხოლოდ იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი საერთო ანსამბლის ერთ-ერთი წევრია. მთლიანი სპექტაკლის ერთ-ერთი როლის შემსრულებელია. სწორედ ამითაა გაპირობებული, რომ კონკრეტული ცხოვრების ზღაპარში გადასვლასთან ერთად იხსნება ის წინააღმდეგობა პიროვნებასა და გარესამყაროს შორის, რომელიც ამ კერძო ინდივიდუალურ არსებობას რეალურ სინამდვილეში ჰქონდა. ნაწარმოების წარმოსახვით სამყაროში ჰესეს თავისი თავი გან-

დობილთა საიდუმლო კავშირის ერთ-ერთ წევრად გამოჰყავს. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა სოციალურობის ხელახალი აღმოჩენა და იმ კავშირების აღდგენა, ხელოვნური კოლექტივისაგან გამოყოფასა და გამოცალკევებას რომ შეეწირა. ამრიგად, ზღაპარი შესაძლებლად ხდის ადამიანური არსებობის კოლექტიურსა და მითიურ ფორმებში უკუდაბრუნებას, სამყაროს პირველქმნილებაში განზავებასა და ცალკეული ცხოვრების უმაღლესი იდეისადმი დაქვემდებარებას.

ზღაპრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა მისი მრავალფეროვანი ხატოვანება, რაც იმითაა განპირობებული, რომ იგი უშუალოდ შეგრძნებებზე უნდა მოქმედებდეს. ამიტომ, თუ ჰესეს სურდა თავისი თავგადასავალი ზღაპრის ფორმით წარმოედგინა ჩვენთვის, მას უნდა მოენახა ისეთი მეტყველო და მომხიბლავი სახეები, ანდა ისეთი ქარვა უნდა შეერჩია, რომელიც მკითხველის წარმოსახვაში ჯადოსნურ სამყაროს შექმნიდა. ამ სახეებისა და შესაფერი სიუჟეტური ფორმის ძიებისას ჰესე, ისევე როგორც თავის დროზე ვილანდი, ჰაუფი და ბევრი სხვა, „ათას ერთი ღამის“ რომანტიკულ სამყაროს მიმართდა. იგი ოსტატურად აქსოვს თხრობაში ამ სამყაროს ელემენტებს და მკითხველსაც დროთა განმავლობაში სრულიად კონკრეტული წარმოდგენა შეექმნება იმ საუცხოო ქვეყანაზე. საითაც ჰესეს მოლაშქრეებს უჭირავთ გეზი. სულ მალე ამ წარმოდგენას ავტორიც ადასტურებს. „ჩვენ რომ მივდიოდით.— წერს იგი,— ამ გზით უვლიათ ოდესღაც მსხემთა, მეფეთ და ჯვაროსნებს მაცხოვრის საფლავის დასახსნელად, ანდაც არაბული მადიის შესასწავლად, ამ გზით მოულოცნიათ წმიდა ადვილნი ესპანელ რაინდებსაც, გერმანელ სწავლულებსაც, ირლანდიელ ბერებსაც და ფრანგ პოეტებსაც“ და თუმცა ქვემოთ ავტორი შეცდება მკითხველი დაარწმუნოს, აღმოსავლეთი მლოცველთათვის გეოგრაფიულ ცნებას არ წარმოადგენსო, მას უკვე აღარ ძალუძს მისი ცნობიერებიდან ამოშალოს ამ სტრიქონებით გამოწვეული ხატი ევროპიდან ბაღდადისა და ქაშინისაკენ დაძრული ნაკადისა.

თხრობის ქარვად ჰესე იყენებს აღმოსავლურ თუ დასავლურ ზღაპარში გავრელებულ მოგზაურობის მოტივსაც, თუმცა ის მოგზაურობა, ჰესე რომ ავციწერს, სულაც არა ჰგავს არც სინდბადის საუცხოო



თავდადასავალს და არც მამაცი მკერავისა და ცეროდენას ქვეყნად ხეტიალს. რადგან ზღაპარში მოგზაურობის მიზანი ისაა, რომ სახლიდან გამოიყვანოს გმირი და უღიმღამო ყოველდღიურობას მრავალფეროვანი თავდადასავლით და სასწაულით აღსავსე სამყარო დაუპირისპიროს. სახლი აქ ყოველთვის მოგზაურობის საწყის წერტილს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ჰესეს ნაწარმოებში იგი ყარბობის საბოლოო მიზანია. ჰესეს მლოცველნი სამშობლოს სევდით არიან შეპყრობილნი, უცხოებაში ყოფნით დაღლილნი ისევ შინისკენ მიილტვიან, დაკარგული ჰარმონიის აღდგენაზე ოცნებობენ. ტყუილად როდი სწვდება მემატიანეს ვულში ღრმად ნოვალისის სიტყვები: „განა საითკენ მიუღივართ? მეღამ შინისკენ“. და თუმცა ეს სახლი, ეს ბინა მლოცველებს აღმოსავლეთში ესახებათ, იქ, სადაც კაცობრიობის სულიერი ცხოვრება იღებს დასაბამს, და თუმცა ზღაპრის სურნელით წაზალისებული მკითხველის ფანტაზიაც ძველი არაბეთისა და ინდოეთისკენ მიილტვის, მაინც ეს ჭეშმარიტი სამშობლო და სალოცავი, საითკენაც ჰესეს განდობილნი მიემართებიან, სულ სხვაგანაა.

„ჩვენ გოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე; განა სამყარო ჩვენში არ არის?“ — ამბობს ნოვალისი. იქ, თავის თავში, საკუთარი ფსიქიკის უღრმეს ფენებში ეგუღვით დილის ქვეყანა ჰესეს მოგზაურობსაც. ისინი რომანტიკოსები არიან და სწინათ, რომ სამყარო „მეს“ დაკონკრეტების, მისი განსაგნების შედეგია და საკმარისია შენი თავი შეინიციონო, რომ მთელი სამყაროც გაითავისო. მათ მშვენივრად იციან, რომ ანეთ შეშეცნებას არაფერი აქვს საერთო გარეგნულ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებასა და სამყაროს გრძნობადი ზედაბირის შესწავლასთან. მაგრამ ამავე დროს ისიც სჯერათ, ვინც საკუთარ თავს შეიმეცნებს, ის სამყაროს არსსა და იდუმალებას განჭვდობს. ამიტომაც ადვანან ისინი გზას შინაგანასკენ და მათთან ერთად, ბრენტანოსა და პოლმანთან, ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენსა და არქივარიუს ლინდჰორსტთან ერთად ამ გზას ადგას „რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლეადის უკანასკნელი რაინდი“, მწერალი ჰერმან ჰესე.

ჰესეს თითქმის ყველა ნაწარმოები აღსარებაა. ყველა მათგანი მისი სულის თავდადასავალს ასახავს სიტყვანა და ხატში. ასევეა „მოხილვა დილის ქვეყნისა“. ამ პატარა მოთხრობის პირველი ნაწილი სულის

სიყრმეს წარმოგვიდგენს და ცხოვრების ესთეტიკურ აღქმას ეძღვნება. ანუ სულის იმ მდგომარეობის გამოხატვას, როდესაც იგი წმინდა გრძნობად ცოცხებში აღქმასს სამყაროს.

ზღაპარი სულის ამ საწყისი მდგომარეობის, ბავშვობისა და ყრბობის, უპასუხისმგებლო გრძნობადი არსებობის ადექვატური ფორმაა. ისევე, როგორც სულისთვის ამ საფეხურზე უცხოთა ცალმხრივობა, მორალი და გონივრულობა და იგი, კაერკეგორის კატეგორიები რომ ვიხპართ, წმინდა ესთეტიკური კუთხით განიცდის მოვლენებს, ასევე ზღაპარიც, — ფორმა, ნოვალისმა რომ „პოეზიის კანონი“ შეარქქვა, — ძირითადად სამყაროს გრძნობადი აღქმით იფარგლება, გამორიცხავს გონივრულობას და სასწაულისაკენ ისწრაფვის. ზღაპარი ეთიკური ნორმის მიმართ სრულიად გულგრილია, მას, როგორც აღნიშნავს გოეთე, „არა აქვს არავითარი ზნეობრივი დანიშნულება“. მისი ერთადერთი მიზანი საუცხოო და უჩვეულო ამბის გადმოცემაა.

მაგრამ, როგორც ითქვა, ჰესეს მოთხრობა მაინც წმინდაწყლის ზღაპარი არ არის. ზღაპრისათვის მეტად საჩოთირო და შეუთავსებელია აქ გამოვლენილი თხრობის მეცნიერულად დასაბუთებული და ავთენტიკური მანერა. მაგრამ სწორედ ფანტასტიკურ სიუჟეტთან შერწყმული ეს მეცნიერული გადმოცემის ფორმაა, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას რომ ქმნის, იმ უშრეტ ირონიას რომ წარმოშობს, ასე რომ ხიბლავდა ანდრე ჟიდს ამ პატარა მოთხრობაში.

ზღაპრის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ რაც არ მომხდარა, არ შეიძლება მომხდარიყო და სასწაულის სფეროს განეკუთვნება, აქ ისეა მოთხრობილი, თითქოს მართალი და სარწმუნო ამბავი იყოს. თანაც საინტერესო ისაა, რომ არც მოთხრობელს და არც მკითხველს არ სჯერა ამ ამბის ნამდვილობა, მაგრამ ისე იქცევიან, ისე უჭირავთ თავი, თითქოს ეჭვიც არ ეპარებოდეთ, რომ მოთხრობილი ამბავი მართლა მომხდარა და სინამდვილეა. ეს გაორება, ეს შეუსაბამობა საქმის ჭეშმარიტ ვითარებასა და გარეგნულ გამოვლენის ფორმას შორის არის კომპლემისა და ირონიის ის წყარო, რასაც კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს მწერლებმა და რაც ერთობ ნაყოფიერად გამოიყენა პ. ჰესემაც. ჩვენს კერძო შემთხვევაში ზღაპრის ამ ირონიულ ტენდენციას ჰესე იმით ამ-

ლიერებს, რომ ზღაპრისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ კილოსა და თხრობის მიმიკას იგი პირუთენელი უამთააღმწერლის ამბიციას და გადმოცემის მეცნიერულ ხერხს უმატებს. ხოლო თუ დავუჭერებთ თომას მანს, ირონიული ხელოვნების ამ უბადლო ოსტატს, — „სრულიად არამეცნიერულისა და ზღაპრულის მიმართ გამოყენებული მეცნიერება თავს ამჟღავნებს, ვითარცა წმინდაწყლის ირონია“. ასე რომ ჰესეს თხრობას იმთავითვე ირონია სდევს თან და ეს ზღაპრულ სამოსელს შეფარებული ირონიაა, რომელიც საზღვარს უდებს ზღაპრის ფორმას და სხვა, უფრო პროზაულ, ჯადოსნურ-სასწაულებრივ ელემენტებისაგან თავისუფალ ეპიკურ ფორმას უმზადებს ნიადაგს. ასეთი უკუგარდაქმნა პოეზიისა პროზაში ანუ ლეგენდის რეალურ სინამდვილედ უკუქცევა, მოთხრობის მეორე ნაწილშია მოცემული და სულის განვითარების მეორე საფეხურს შეესაბამება.

ამ საფეხურს შეიძლება ეთიკური ვუწოდოთ, რადგანაც იგი, ჰესეს თანახმად იმ ზნეობრივი მოთხოვნებით განისაზღვრება, რომელთაც ადამიანს კულტურა, მორალი, რელიგია და კაცობრიობის მიერ შემუშავებული ესა თუ ის იდეალი უყენებს. ამავე დროს ეს საფეხური უშუალოდაა დადაკავშირებული გონებასა და ინტელექტის მომძღვრებასთანაც, რაც განაპირობებს პრაგმატისტული იდეალებისა და ანგარიშის კულტის დამკვიდრებას. სარგებლობა, ხეირი, გამორჩენა, ფხიზელი ჭკუა და საქმიანი მიდგომა წარმართავენ ამიერიდან ადამიანის მოქმედებას. ცხადია, ამ საფეხურზე ადვილი აღარ რჩება დონკიხოტური იდეალიზმისა და ზემიწიერი აღმაფრენისთვის, ხოლო ყოველივე საუცხოო და ჯადოსნური მეტად საეჭვო გამონაგონად და მონაჩმახადაა შერაცხული. ამდენად, ეთიკური საფეხური გულისხმობს, რომ ინდივიდუუმმა მიატოვა სიყრძის დროინდელი უმანკო და წმინდა გრძნობადი არსებობა, მიატოვა ფანტაზიისა და ოცნების სამყარო და ცხოვრებას ამიერიდან რაციონალურად აღიქვამს. მაგრამ ახალ საფეხურზე გადასვლას, რამდენადაც იგი გონიერებაში ცალმხრივი განვითარების შედეგია, ეწირება რგორც ინდივიდუუმის შინაგანი ჰარმონია, ასევე მისი გარე-სამყაროსთან შეწყობა-შეთანხმებაც. ამ დარღვეულ ჰარმონიას ჰესე ამიერიდან გონებისა და პრაქტიკული ვამოცდილების წყალობით აწესრიგებს.

ჰესეს მოთხრობაში სულის განვითარებას ეს ახალი საფეხური, ერთი შეხედვით სიუჟეტის განვითარებითაა შემოტანილი: ერთ მშვენიერ დღეს ჰ. ჰ. თავის მეგობრებთან ერთად აღმოაჩენს, რომ ძმობის ერთგული წევრი და ბარგის მზიდველი ლეო უკვალოდ გამქრალა. ეს ამბავი დავს გამოიწვევს ძმობის წევრებს შორის, რის შედეგადაც მათი კავშირი დაიშლება და დავიწყებას მიეცემა. შესაბამისად აქ წყდება გასაოცარი მოგზაურობის აღწერაც. მაგრამ ყველაფერი ეს ასეა და არცაა ასე, ვინაიდან დაკვირვებული მკითხველი მშვენიერად ხედავს, რომ ავტორის კავშირი ძმობასთან მაშინ კი არ ირღვევა, როცა ლეოს გაქრობას შეიტყობს, იგი იმთავითვე დარღვეული, როცა ავტორი მოგზაურობის აღწერას, მაგიური შინაარსის ლოგიკურ კატეგორიებში მოქცევას დააპირებს. ძმობა და დილის ქვეყნის მოხილვა იდეუმალების სფეროს განეკუთვნება, ხოლო ყოველი ცდა იდეუმალის გამჟღავნებისა, გამოუთქმელი და აღუწერელი შინაარსის სიტყვიერი გამოხატვისა მაშინვე ამ იდეუმალების ფარგლებს გარეთ მოაქცევს იმას, ვინც ამას ვაბედავს. სწორედ ასეთი ამბავი ემართება ჰ. ჰ.-ს. თანდათანობით ისიც ირკვევა, რომ ნაწარმოების შინაარსი იდეუმალი მოგზაურობის ისტორია კი არ ყოფილა, არამედ მოთხრობელი „მეს“ მიმართება ძმობისა და მოგზაურობისადმი. ავტორის სათხრობი პერსპექტივაც, ეპიკური აწმყო, სულის განვითარების მეორე სტადიითაა შემოსაზღვრული, სადაც რეტროსპექტულად არის შემოტანილი ამბავი განდობილთა მომხიბლავი მოგზაურობისა. მაგრამ, ასეა თუ ისე, თანმიმდევრობის თვალსაზრისით ზღაპრის მაგიური სამყარო მაინც წინ უსწრებს პროზაულ სინამდვილეს, რაც მკითხველს სულიერად განვითარების დინამიკის აღქმის შესაძლებლობას აძლევს. ეთიკური სტადიის განკვეთა წარმოდგენა ზღაპრის ფორმაში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ჰესეს უნდა მოენახა ამ განცდათა შესატყვისი გამოსახვის საშუალებანი. ამ გარემოებამ განაპირობა ის მკვეთრი გარდატეხა, რისი მოწმეც მკითხველი მესამე თავში ხდება. მოქმედების განუსაზღვრელი არე ურბანისტული ლანდშაფტითაა შეცვლილი. თავად ამბავიც, მანამდე ზღაპრულად წარმტაცი და მომხიბლავი, ახლა ერთი ევროპული ქალაქის ყოვლად კონკრეტულ და ჩვეულებრივ გარემოშია გადმოტანილი. საფუძვლიანადაა შეცვლილი მოქმედების მოტივაცია. თუ მა-

ნამდევ ყარბებისათვის გეზის შესაცვლელად საკმარისი იყო ცის მნათობთა განლაგება, ანდა უცნაური ბერიკაცის განოჩენა მათ გზაზე, სასწაულზე. რომ არაფერი ეთქვათ, ახლა მთხრობელი ცდილობს „პრაქტიკული და გონიერი მხრიდან მიუახლოვდეს მიზანს“. ამ გონიერების პრინციპის განსახიერებას წარმოადგენს ჰ. ჰ.-ს სიყრმის მეგობარი, გაზეთის რედაქტორი ლუკასი. სწორედ მას მიმართავს რჩევისათვის მთხრობელი. საქმე ისაა, რომ ლუკასი ოდესღაც ჰ. ჰ.-ს მდგომარეობაში ყოფილა ჩავარდნილი. ქაოსისა და „არარაობის“ წინაშე მდგარს, მასაც განუცდია თურმე სასოწარკვეთა და თავი იმით უხსნია, რომ ომის შესახებ წიგნის დაწერა მოუხერხებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლუკასმა ისევ იწამა საკუთარი თავი, ომი, თავისი წარსული, რომ მან აღადგინა გონებისა და სალი აზროვნების მანამდე შერყეული რწმენა და ამით ისევ აზრი შესძინა ცხოვრებას. იგი ისევ დაუბრუნდა გაზეთს, პოლიტიკას, საზოგადოებას, დაუბრუნდა ყოველივე იმას. რასაც ჰ. ჰ. გაუბრუნდა. საგულთხმოა, რომ ლუკასი გონიერი ადამიანის უტყუარი ალლოთი მაშინვე ხვდება, რა უშლის ხელს მის მეგობარს, ცივი განსჯისა და ლოგიკის, ბანკებისა და ყაზარმების სამყაროს დაუბრუნდეს. „გამიგონეთ, — ეუბნება იგი ჰ. ჰ.-ს, — თქვენ ისევ და ისევ უბრუნდებით მსახური ლეოს ამბავს, ეს მე არ მომწონს. როგორცა ჩანს, აქ რაღაც დაბრკოლება იმალება. მოდით, მოეშვით, მოიშორეთ ლეო თავიდან, თორემ, მგონი, ლამისაა აკვირებულ იდეად გადაგექცეთ“. ეს ფრიად საგულთხმო სიტყვებია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეო ცალკე დამოუკიდებელი გმირი კი არ არის, არამედ ჰ. ჰ.-ს ორეულია, მისი მაღალი „მეს“, ატმანის განსახიერებაა, რომელიც „უკვდავთა“ დასთან აკავშირებს მას. ცხადია, ამ ორეულს გონიერი ლუკასის მხოლოდ გალიზიანება და უარყოფა შეიძლება გამოეწვია, ვინაიდან იგი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ არარსებული ქიშკრა და აგზნებული ფანტაზიის ნაყოფია. ლუკასს არ ძალუხს დაუშვას ლეოს არსებობა, ყოველ შემთხვევაში — იმ სახით არსებობა, როგორც მას ჰ. ჰ. აღიქვამს და ამიტომაც კანონზომიერი, რომ მისი დამოკიდებულება ამ მაგიური გმირისადმი კომიზმის წყაროდ იქცევა. ამ თვალსაზრისით, არსებული ვითარება გროტესკს აღწევს, როდესაც ლუკასი, მისთვის ჩვეული პრაქტიკულობით ლეოს

ადგილ-სამყოფელს ჩვეულებრივ სამისამართო წიგნში ეძებს და მართლაც მონახავს იქ ვიღაც ანდრეას ლეოს მისამართს. ხოლო ეს ანდრეას ლეო, როგორც შეიტყობს შემდგომ მკითხველი, სწორედ ის მსახური და უხუცესთა-უხუცესი ლეო აღმოჩნდება, ყოველგვარი უცხო და უჩვეულო ამბების მოძულე რედაქტორის ასეთ ეჭვს რომ იწვევდა.

სულიერი ფერისცვალების მეორე ეტაპი სასოწარკვეთით მთავრდება. „ყველა, ვინც ამ საფეხურს სერიოზულად, როგორც დიფერენცირებული ინდივიდუუმში გაივლის, — წერდა ჰესე მოთხრობაზე მუშაობის ხანს ერთ-ერთ თეორიულ ნაშრომში, — გარდუვალ სასოწარკვეთილებამდე მივა“. ჰ. ჰ. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინს მსახურ ლეოს, გამოეცნაურება კიდევ, მაგრამ ყოფილი მეზარგული მას ვერ იცნობს. ამ გარემოებას უსასოობამდე მიჰყავს ძმობის ისეღაც გულგატეხილი მაძიებელი. საბოლოოდ იმედგადაწყვეტილი, დაღლილ-დაქანცული და სასომიხდილი ბრუნდება იგი შინ, წვიმით გალუმბული მიუჯდება მაგიდას და ჩივილით, მონანიებითა და თხოვნა-ვედრებით აღსავსე წერილს სწერს თავის ყოფილ მსახურს. შემდეგ ამ წერილს უახლოეს საფოსტო ყუთში ჩააგდებს, კვლავ შინ დაბრუნდება და ღრმა ძილს მიეცემა.

მომდევნო დღეა მოქმედების შემდგომი გარდატეხისა და სულის ბიოგრაფიის მესამე და უკანასკნელი სტადიის დასაწყისია. ამ სტადიის წარმოსახვას კი ნაწარმოებში შემოაქვს მესამე თხრობითი ფორმა, რომელსაც პირობითად „ქარავმული ზღაპარი“ შეიძლება ვუწოდოთ. ერთი შეხედვით, იგი ჰოფმანის ზღაპრებს მოგვაგონებს და გვახსენებს, რომ შმაგი რომანტიკოსი და მისი ორსახოვანი გმირებიც დილის ქვეყანაში მსხემლობის მონაწილენი არიან. მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლო ნაწილის ეს ჯადოსნურ-ფანტასტიკური და ყოფით-რეალური ელემენტებისაგან შემდგარი სამყარო გარდაუვალად იწვევს ფრანც კაფკას გრძნეულ ხილვათა ასოციაციასაც. ამ სამივე შემთხვევაში მაგიური სამყარო რეალური სინამდვილის შუაგულშია მოქცეული, ერთგვარად მასშია გათქვეფილი. ეპიკური სიფრცე, მართალია, ყოველად ჩვეულებრივი, თითქოს უფერული და უდიდამო სინამდვილის ელემენტებისგანაა აგებული, მაგრამ ამ სიფრცეში განლაგებული საგნები და გმირები, ჩვეულებრივობისა და ყოველდღიურობის ამ გარეგნულ საფარს მიღმა



სულ სხვა, ჯადოსნურსა და უჩვეულო თვისებებს ამყლავნებენ, თუმცა კი ერთი შეხედვით ისეთივე ჩვეულებრივი არიან, როგორც მთელი ეს სამყარო. ძაღლების მკრეჭავი და ფეხის ფრჩხილების დაქნაში დახელოვნებული ლეო განდობილთა ორდენის უხუცესთა უხუცესი აღმოჩნდება: ქალაქის გარეუბნის ერთ ყოვლად ჩვეულებრივ, მუზეუმისა თუ დაწესებულების მსგავს შენობაში ძმობის არქივი და უზენაესი სამსჯავრო განლაგებულია. ჯადოსნური და საუცხოო აქ ცხრა მთას იქით კი არაა საქებნი, არამედ აქვე, გვერდითაა, ყოვლად პროზაული ყოველდღიურობის შუაგულში. ერთი მხრივ საქმე გვაქვს რეალურ სინამდვილესთან, მაგრამ ამავე დროს იძულებული ვართ ვცნოთ ჯადოსნური სამყაროს არსებობაც და ზღაპრის შესაბამისი საზომითა და მიმართებით ვიხელმძღვანელოთ.

განვითარების მესამე საფეხურზე სული ისევ უბრუნდება სიყრმის ჰარმონიულ და უზრუნველ არსებობას. მაგრამ ეს უზრუნველობა, ეს სიმშვიდე და მხიარულება აღძრინდელი წლების უმანკოებისა და გაუცნობიერებელი არსებობის შედეგი კი აღარაა, არამედ იმ აღმატებულობის ნაყოფია, სასოწარკვეთელი ადამიანი რწმენის მეოხებით რომ მოიპოვებს. მხოლოდ რწმენას, მხოლოდ პარადოქსის უსიტყვო მიღებას ძალუძს გამოიყვანოს ადამიანი უკიდურესი გაუცხოებისა და უსასოობის მუგომარეობიდან და აზიაროს იგი იმ ნეტარ არსებობას, როდესაც ზნეობა და კანონი ყოველგვარ ძალას კარგავს მსოფლიო სულისა და ბუნების იმ მრავალფეროვნების წინაშე, რომელთა განუყოფელ ნაწილადაც აღიქვამს ამიერადან თავის თავს ადამიანი. ამრიგად, მესამე საფეხური, რაღაც აზრით ემთხვევა პირველს, იმეორებს მას, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე — ბავშვი მამაკაცი ხდება, არაცნობიერი — ცნობიერი, ბავშვური მრწამსი და დაჯერება სასოწარკვეთილებით ნაწრობი რწმენით იცვლება.

ზღაპარი ადამიანის არაცნობიერის, მისი სიზმრისეული ცხოვრებისა და გაუცნობიერებელ ოცნებათა შესაბამისი ფორმა იყო. სულის განვითარების უმაღლეს საფეხურზე ყოველი ზღაპარი და არაცნობიერი — სიმბოლოდ იქცევა ცნობიერისათვის, რომელიც მას ჰვრეტს. ცნობიერებას არ ძალუძს ჭეშმარიტების ისეთი უშუალო და გულუბრყვილო გამოხატვა, როგორც კაცობრიობის სიყრმის გენიას შეეძლო ზღაპრის ფორმით, ვინაიდან მას დაკარგული აქვს

აღრინდელი უმანკოება და ამასთანავე ისიც იცის, რომ ყოველივე, რაც კი მოვლენათა სამყაროს განეკუთვნება, მხოლოდ ქარაგმა და ანარეკლია იმ წარუდინებელი არსებობისა, რაც მას საფუძვლად უძევს.

„ჭეშმარიტება, — წეროთა გოეთე — რაც იგივეობრივია დვთაებრივისა, არასოდეს შეიმეცნება პირდაპირ, არამედ მხოლოდ ანარეკლით, მხოლოდ მაგალითით, მხოლოდ სიმბოლოთი, მხოლოდ ცალკეულისა და მონათესავე მოვლენებით გვეძლევა“. ჰერმან ჰესეს არა ერთი ასეთი ქარაგმა და სიმბოლო შეუქმნია. ამ ქარაგმათა არსი ყოველთვის ის იყო, რომ უაზრო და უღიმღამო ყოველდღიურობის მიღმა აზრს წარმოაჩენდნენ ხოლმე, სიმრავლის იქით მის ერთიან საფუძველს ხდიდნენ საჩინოდ. „ტრამალის მგელში“ ასეთი ქარაგმაა:

რადიომიმღები, რომელიც ჰაიდნის მუსიკას გამოსცემს. ეს საკვირველი ნივთი, რითაც ესოდენ მოაქვთ თავი ტექნიკური საუკუნის მკვიდრთ — ხრიალებს, ტკაცუნებს და თითქოს ძალას არ იშურებს, რომ როგორმე შეაფერხოს საუცხოო პანგების მღინარება, მაგრამ რადიოდამბრკოლებათა მიღმა აყდრებული დვთაებრივი მუსიკის ფონზე მხოლოდ საკუთარ უმწეობასა და უსუსურობას ავლენს. ჰესეს ამ მოთხრობაში კი ქარაგმული ხატი ჩვეულებრივი დაწესებულების მსგავსი უფერული შენობაა, სადაც კაცობრიობის მთელი ცოდნის შემცველი უნიკალური არქივი და უზენაესი სამსჯავრო განლაგებულია. და ბოლოს ქარაგმულია თავად თხრობის ფორმაც, ტრადიციული ტონით თითქოს ყოვლად ჩვეულებრივ ამბავს რომ გვაუწყებს და ამავე დროს იმ მოუხელებელ, აბსოლუტურსა და და მაგიურ სამყაროსაც წარმოაჩენს, რასაც ჩვეულებრივი გზით ვერ გაწედება გონების თვალს.

ჩვეულებრივისა და უჩვეულოს, ემპირიულისა და ტრანსცენდენტულის, რეალურისა და იდეალურის შეპირისპირებით შექმნილი ქარაგმა იუმორს წარმოშობს, რამდენადაც უსასრულობასთან კონტრასტი მოვლენის ნაკლულობას, არასრულყოფილებას და საბოლოო ჯამში მის კომიკურობას წარმოაჩენს, ვინაიდან სრულყოფილების მცოდნეთათვის ყოველთვის სასაცილო იქნება ნაკლულოვანების პრეტენზია, მარადიულობის მჭვრეტეს ყოველთვის გაელიმება სასრულისა და დღემოკლის დაჩემებაზე — მოიპოვოს უკვდავება. ამრიგად, იუმორი, ჟან ბოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ,



„სპობს და ანადგურებს სასრულს, იდეას-თან მისი კონტრასტის გზით“. შესაბამისად, იგი ეთიკურიდან რწმენის საფეხურზე გადასვლის აუცილებელ მომენტსაც უნდა წარმოადგენდეს და შედეგად უნდა ჰქონდეს ემპირიული პიროვნულობის განადგურება, რადგან რწმენა ადამიანი იდეათა სამყაროს აზიარებს და ამდენად მოვლენათა სამყაროსადმი, მათ შორის — საკუთარი თავისადმი იუმორისტულ დამოკიდებულებას გულისხმობს. სწორედ ამიტომაც, რომ უკვდავნი „ტრამალის მკვლელები“ ჰარი ჰალერისაგან მოითხოვენ დაეუფლოს სიცილის ხელოვნებას, ხოლო უხუცესნი ჰესეს ადმოსავლურ ზღაპარში დამილით აბათილებენ ჰ. ჰ.-ს „მომაკვდინებელ ცოდვებს“. ამრიგად, ცხოვრების რაციონალური პრინციპი, სულიერი განვითარების ეთიკური სტანდარტი წინამავალ და მომდევნო საფეხურების მიმართ ორი კომიკური ფორმითაა შემოსაზღვრული: ზღაპრულსა და უჩვეულოსთან შეჯერებული გონიერება წარმოშობს ირონიას, ხოლო სინამდვილისა და იდეალის, ანუ მეორე და მესამე საფეხურის კონტრასტი იუმორს ქმნის.

იუმორი ჰ. ჰ.-ს უკანასკნელი ფერადგაღებებისათვის ამზადებს, ხოლო ეს ფერადგაღება უკვე იმ იდუმალ სფეროს განეკუთვნება, ისიდას საბურველით რომ არის დაფარული და სიტყვითა და ხატით არ გამოითქმის. ნოვალისის ლექსში ერთი ყმაწვილი მოახერხებს სასიელი დვთაების საბურველის ახდას და იქ, სადაც სამყაროს გამოცანა და წმიდათაწმიდა ეგუთვოდა, თავის თავს აღმოაჩენს. ჰესეს ნაწარმოებშიც სულის განვითარება შინ დაბრუნების ნიშნით ხდება და ისევ საკუთარ თავთან მიჰყავს თავისი არსისაგან ლტოლვილი და გაუცხოებული ადამიანი. მაგრამ ეს „საკუთარი თავი“, ეს „მე“, რასაც თავგადასავლით აღსავსე ფერადგაღებები დასასრულს უბრუნდება სული, არის, რა თქმა უნდა, არა ადამიანის პიროვნული „მე“, არა ის, რადაც იგი ჩანს რეალურ ცხოვრებაში, არა-მედ ვიპოვებ არსების სამყაროს ერთიანობასთან წილნაყარი ნაწილი. მისი ზენარი „მე“. 1920 წელს ერთ-ერთ წერილში ჰესე შენიშნავდა: „ის „მე“, რომელსაც მაძიებელი ადამიანი გულისხმობს და რომელსაც აგერ უკვე მესამე ათასწლეულია მთელი არაფერობული აზროვნება და თავად ეგრობული მეცნიერებაც იკვლევს, ეს „მე“ არის არა ცალკეული ადამიანი, როგორც იგი შეიგრძნობს და აღიქვამს საკუთარ თავს, არა-

მედ ყოველი ადამიანის სულის ყველაზე შინაგანი და ყველაზე არსებითი მარცვალი, რასაც ინდოელი ატმანს უწოდებენ და ლათინები და მარადიული გახლავთ. ის, ვინც ნიაგებს ამ „მე“, ბუდას, ვედებია, ლაოცის თუ ქრისტეს გზით, იგი თავისი შინაგანი არსით დაკავშირებული იქნება სამყაროსთან, დიერთთან და მისი მოქმედებაც ყოველთვის ღვთაებრივთან შეთანხმებული მოქმედება იქნება“.

სწორედ ამ ზენარ „მე“ დაუბრუნდება ჰ. ჰ. ლეოსთან შეხვედრით. როდესაც უზენაესი სამსჯავრო ნებას დართავს მას ყოველმცოდნე არქივის აზრი შეიტყოს თავის თავზე, გადასწიოს ისიდას საბურველი, იგი არქივის ერთ-ერთ წალოში, რომლის თავზეც მისი სახელია გამოკვეთილი, ერთ ძველ გამოხუთებულ, ხისა და ცვილისაგან გამოძერწილ ქანდაკებას აღმოაჩენს. ქანდაკება გამოხატავდა ორ, ზურვიზურვ გადაჭდობილ მამაკაცს, რომელთაგან ერთი, უსიამო და დაღეული, იყო ჰ. ჰ. — მისი მდაბალი, ამქვეყნიური ვნებით შეპყრობილი „მე“, ხოლო მეორე, ძლიერი და აღზევებული იყო ლეო, მთბრობელის ზენარი, ღვთაებრივი „მე“ პერსონიფიკაცია, ასე ფთქვით — მისი ატმანი, მას რომ მარადისობასთან აკავშირებდა. როცა მთბრობელი სანთლის შუქით გაანათებს წალოს და ქანდაკებას დააკვირდება, დაინახავს, რომ ეს ორი გამოსახულება ცოცხალი ორგანიზმივით იყო ერთმანეთთან შეზრდილი. მათ შიგნით თითქოს რაღაც დუღდა და ნელა. ტაატით ჰ. ჰ.-ს გამოსახულებიდან ლეოსაში გადადიოდა. ამიტომ პირველი, როგორც ჩანს, რაც უნდა გადიოდა, სულ უფრო ილეოდა, ხოლო მეორე — იზრდებოდა და მშვენიერდებოდა. ამის შემყურე ჰ. ჰ. ხედება, რომ დადგება დღე, როცა მისი გამოსახულება სრულიად გაქრება და მხოლოდ ლეოსი დარჩება.

მთბრობის დასასრულს ჰ. ჰ. ისევ უბრუნდება ძმობას და განავრძობს საოცრებებით აღსავსე მსხემობას დილის ქვეყანაში. მაგრამ მკითხველმა უკვე იცის: რაც უფრო მიუახლოვდება იგი მიზანს, რაც უფრო ღრმად შეიჭრება იდუმალების სამყაროში, რაც უფრო აღივსება იმ საკვირველ ქანდაკებაზე ლეოს გამოსახულება და დაპატარავდება პერმან ჰესესი, მით უფრო ნაკლები ექნება მას ჩვენთვის მოსათხრობი, ვიდრე იგი სულ არ გაუჩინარდება ხატებისა და ამბების მიღმიეულ სამყაროში.



литературно-художественный
альманах
(на грузинском языке)

1978

№ 1

Главная редакционная коллегия
художественного перевода и литературных
взаимосвязей

Тбилиси, ул. Шалва Дадiani, 2.

გადაეცა წარმოებას 5/II-78 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 6/III 78-წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.28. ნაბეჭდი
თაბახი 21. ტირაჟი 10.000 შეკვ. № 124.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქერიძე
მხატვარი აკაკი თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი იმნაიშვილი

□

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლი-
გრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объеди-
нения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.